



1873

ეგვიპტის და ეგვიპტეს შიგნი

~~1880~~

ԱՐԺԻՑԱՐՈՒԹ

ԵԱՀՈՒՅԱՆԱԳՐԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ

Ճամանակակիցներ

Կայուն թվութագիր

6 372

1873

ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ

ՏՐՈԼՈՒՅՈ

ԹԵՂՈՓՈՎՅՈՒՅՈ

1873



Дозволено цензурою Тифлис, 29 Августа 1873 г

მესუთი და მემკვეთი შიგნის შინაარსი

830.

- | | |
|--|------|
| I.— ეგზონტი, გოტეს ტრაგედია. პირველი ნაწილი. თარგმანი გ. წერეთლისა | 1. |
| II.— გვართა ბრძოლა საქართველოში,
გ. გორისელისა | 113. |
| III.— აჩრდილი (ხანა IX და XVII) პოემა
ილ. ჭავჭავაძისა | 184. |
| IV.— გლეხური სიმღერები (ილ. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი). | 187. |
| V.— მვზავრის წიგნები. პირველი ნაწილი,
გ. წერეთლისა | 189. |
| VI.— „ტვირთ-მძიმეთ და მამშერალთ
მხსნელი...“ ლექსი ილ. ჭავჭავაძისა . . | 354. |
| VII.— რუსეთის ცხოვრება (მიმოხილვა)
სტატია ნ. სკანდელისა | 355. |
| VIII.— მთესველი (ნიკიტინიძემ), ლექსი . | 398. |
| IX.— ჩვენი მწერლობა: „გლახის ნამბობზე,“ სტატია ნ. სკანდელისა | 401. |

რედაქციისაგან

ამ წიგნში მკითხველი სხვათა შორის უფ. გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებს“ ნახავს. ეს პირველი ნაწილი „დროებაში“ იყო დაბეჭდილი (1867 № № 12, 13, 15, 36, 37, 39, და 1870 № № 16 და 22). ჩვენ ეხლა ეს ნაწილი ერთიანათ გადმოვტეჭდეთ, ამიტომ რომ ამ მოკლე ხანში მეორე, ჯერ სრულიად გამოუცემელი ნაწილის ბეჭდვას უნდა შეუდგეთ, და ამ მეორე ნაწილის გაგება, პირველის გარდაუკითხავათ, მკითხველს მეტის მეტათ გაუძნელდებოდა. რადგანაც „დროების“ ძველი ნომრების შოვნა ეხლა სრულიად შეუძლებელი საჭმე შეიქნა, მკითხველი, იმედი გვაქვს, არ დაგვემდურება ამ წიგნების გადმობეჭდეისათვის, მათ უფრო, რომ ეხლა ისინი შესწორებულათ და სრულად იბეჭდებიან.

ეგვიპტი

ტრაგედია ხუთ მოქმედებათ
გოტესი

(1788)

თარგმნილი გერმანიულით

გ. წერეთლისაგან

გვამნი

მარგარიტა პარექელი, კარლოს მეხუთეს ასული,
რეგენტინი (გამგებელი) ნიდერლანდისა.

გრაფი ეგმონტი, თავადი ლავრისა.

ვილჰელმი, ორანელი თავადი.

გერუოგი ალბა.

ფერდინანდი, იმისი უკანონო შვილი.

მაკიაველი, სახელმწიფო მოხელე რეგენტინისა.

რიხარდი, ეგმონტის ძდივანი.

სილვა | ალბას ხელქვეითი მოსამსახურენი.
გომეცი |

კლერხენ, ეგმონტის საყვარელი.

სოესტ, ვაჭარი

იეტერ, დერძიკი

დურგალი

მესპონე

ბურკ, ეგმონტის ხელქვეითი.

რუიზუმ, ყრუ ინვალიდი.

ვანზენ, მწერალი.

ხალხი, კარისკაცები, მხედართგუშაგი და სხვ.

(ეს ამბავი ბრუსელშია.)

პირველი გონიერება

სასწროლი ალავდა.

სალდათები და მოქალაქენი თოფებით.
დურძიკი იეტტერ, ბრუსელის მოქალაქე, თოფს
ათაბაშებს. — ვაჭარი სოესტ, ბრუსელის მოქალაქე.

სოესტ

ესროლეთ და მორჩით: სანიძლავოს მ:-
ინც ვერ წამართმევთ. სამს შავს წრეს თქვენს
დღეშიაც ვერ გახვრეტთ. იქნება ამ წელს
მე გავხდე უფროსათ.

იეტტერ

უფროსათ და მასთან კაროლათაც. რა და-
გრშლისთვის მერე ჩვენც ხომ/ერთი ორად უნდა გა-
გვიმასპინძლდეთ; საოსტატო უნდა ჩამოასხათ.
მაშ რა, ტყულათ ხომ ვერ მიიღებთ ოსტატობას;
ბუიკ, ლოლანდიელი, უგმონტის ხელქვეითი სალ-
დათი.

ბუიკ

იეტტერ, მოდი თქვენს მაგიურ მე ვესვრი.

კრებული

მოგებასაც შუაზე გავიყოფთ და ამ კაცებსაც
დავპატიჟებ; ამდენს ხანს აქა ვარ, და ამათი
პატივისცემა ბევრი მახსოვს. თუ დავაცილე,
რა უყოთ, თითქოს თქვენ გესროლოსთ, ისე
ჩაგეთვლებათ.

სოესტ

მაგის წინააღმდეგი თუ ვიქები, მე უნდა
ვიყო, ამიტომ რომ მაღ მარტო შე ვარ ზა-
რალში... მაგრამ, ბუიკ, ეგრე იყოს. ჰა, ის-
როლე.

გუიპ. (ესვრის)

მაღლი მითხარ და, უხეირო! — ერთი, ორი,
სამი, ოთხი...

სოესტ

ოთხი რგოლი გახვრიტა!

ჟველანი

ყოჩალ! ბატონს კაროლს გაუმარჯოს!
ღმერთმა გაუმარჯოს.

გუიპ

გმაღლობთ, ბატონებო, მაგრამ ოსტატის

ღირსებით დაჯილდოებაც ბევრია. გშაღლობთ
პატივისცემისათვის.

იმტორი

ეგ თქვენ თავს დაუმაღლეთ.

რუიზუმ, ყრუ ფრისლანდელი, ინფალიდი.

რუიზუმ

ყური მიგდეთ, რა მოგახსენოთ.

სოდესტ (ხა მალლა)

როგორ მოგწონს, მოხუცო?

რუიზუმ

ყური მიგდეთ. ეგ თავის ბატონსავით ისერის.

ეგ ეგმონტსავით ისერის.

გუიპ

მე იმასთან ბუზათაც არ გამოვჩდები. ქვე-
ყანაზე იმისთანათ თოფს ვერვინ ისრეის. იმისთვის სულ ერთია, კარგ გუნებაზედ ყო-
ფილა, თუნდ ცუდზე: როცა დაუმიზნებს,
პირდაპირ შავს წერტილში მოარტყამს ხოლ-
მე. მე იმისგან მისწავლია სროლა. უხეირობაც
იქნებოდა ჩემ მხრით, იმასთან მემსახურნა და
არაფერი მესწავლა... შავრამ ამასაც ნუ
დარვიწყებთ ბატონებო, რომ კაროლი თავის

კრებული

ხალხს უნდა არჩენდეს. მაშ, კაროლის ხარჯზე
ლფინო ჩამოასხით.

იმტმრ

ჩვენში იციან, როცა ვინმე.....

ბუიპ

მე ხომ თქვენებური არ ვარ! და რადგან
კაროლათ გავხდი, თქვენ წესსა და ჩვეულე-
ბას არ დავსადევ.

იმტმრ

შენ ესპანიის კაროლზედაც უფრო ფიცხი
ყოფილხარ! ჩვენს რჯულსა და წესს ისიც
ვერ ეხება აქამდის.

რუიზუე

რაო?

სოესტ (ხშაბალლა)

მაგას მარტო ის ჰესუს ჩვენ არა დაგვა-
ხარჯვინოს რა, და ე ხარჯოს. მაგას ის
კიარა სურს, რომ ჩვენც გამოვილოთ და კა-
როლმა თავის თავად მარტო ორი წილი
შემოიტანოს.

რუიზუე

რაგენალვლებათ თავიდაუნებეთ ეგეც მაგის

ბატონის ჩვეულებაა: გულუხვობის გამოჩენა
და ხელგაშლილობა, როცა საქმე კარგათ
მიღის (ლეინო მოაქვთ).

უველანი

ლმერთმა ადლეგრძელოს მისი დიდებულე-
ბა! კაროლს გაუმარჯოს!:

იეტონ (ბუკა მიუბრუნდება)

თქვენი დიდებულებაო.

ბუკა

თუ ფრეა, გულითადს მადლობას მოგახსე-
ნებთ.

სოესტ

რასაკეირველია ეგრეა, ნიდერლანდელი
გულითადს სადლეგრძელოს ეგრე ადვილათ
ვერ დალევს ესპანიის დიდებულებისთვის.

რუზუმ

ვისთვის?

სოესტ (ხმაბალლა)

ესპანიის კაროლის ფილიპე მეორისთვის.

რუზუმ

ჩვენი კაროლისა და ბატონისათვის?..
ლმერთმა დოდო დღე მისცეს იმას.

სოესტ

კარლოს მეხუთე, იმისი ბატონი და მამა,
უფრო არ გიყვარდათ?

რუზუშ

ღმერთმა იმას განსცენება მისცეს. აი, ის
იყო კაცი! მთელს დედამიწაზე ჰქონდა ხელიგა-
პყრობილი და ყოველივე იმასზე იყო. მაგრამ
თქვენც რომ შემოგყროდათ, ისეთ თავმდაბ-
ლათ მოგეგებოდათ, თითქოს თქვენი მე-
ზობელი ყოფილიყოს; თუ შეგატყობდათ, რომ
აჭვენ შეკრიით, ან შეშინდით, ისე დაგიტკბე-
ბოდათ, რომ ჩაღა მოგახსენოთ... ის დადიო-
და, ცხენოსნობდა, როცა მისი ქეიფი იყო,
და თამ ბევრი მხლებლები როდი დაყავ-
და. როცა იმან თავის შეილს სახელმწიფო
გამგეობა გადასცა, ყველანი ვტიროდით. ეს
სულ სხვა კაცია, ეს უფრო ხელმწიფურად
იქცევა. ხომ გესმისთ ჩასაც მოგახსენებთ....

ინტერ

როცა აქ იყო, თუ არ დიდებულათ მორ-

თული და მეფეური სახით, ისე არავის ეჩვენებოდა. ამბობენ, ცოტასაც ლაპარაკობდათ.

სოესტ

ეგ საჩვენო ბატონი არ არის. ნიდერლანდელებს ისეთი მთავარი გვინდა, რომ მხიარული და გულგაშლილი იყოს, როგორც თეითონ ჩვენავართ, ილხინოს და ჩვენც გვალხინოს.

იქტიერ

უკეთესი მრჩეველები რომ ყავდეს, ჩემის აზრით, კაროლი ძალიან მოწყალე გულის კაცი იქნებოდა.

სოესტ

არა, არა. მაგას ჩვენთვის გული არ შესტკივა. ხალხზე გული აქვს ავარდნილი. ჩვენ მაგას არ უყვარვართ, და ჩვენ როგორლა უნდა შევიყვაროთ ეგ? რათ არის, რომ გრაფი ეგშონტისთანა ჩეცნ. ჭვეყანაზე არა ვინა გვყავს? რათა გვაქვს თუ იცი ყველას იმისკენ ხელები გაწვდილი? ჩვენი კეთილი ჰსურს და იმიტომ შევხარით იმას. თვალებში გამო-

ჰკიაფობს იმას ალექსი, შხიარულება და ჩვენი სიკეთის სურვილი. იმისი გული ყველას-თვის გაშლილია. იმას თავისთვის არა აქვს რა: არამც თუ ლარიბებს აძლევს შემწეობას, უისაც არ უჭირს, იმასაც ხელს უშართავს. ადლე-გრძელოს. ღმერთმა გრაფი ეგმონტი! ბუიკ, პირველად თქვენ უნდა დაგელიათ იმის სა-დღეგრძელო. აბა, ადლეგრძელეთ თქვენი ბა-ტონი.

გუიპ

სრული გულით: გრაფს ეგმონტს გაუშარ-
ჯოს!

რუიზუგ

კენტენის ქალაქთან ძლევაშოსილს გაუმარ-
ჯოს!

გუიპ

გრაველინგენის გმირს გაუმარჯოს!

შველანი

გაუმარჯოს!

რუიზუგ

კენტენის ქალაქში უკანასკნელათ დავდე-

წარ ბრძოლაში. სიარული მიჰირდა; ძლივ-სლა ვათრევდი ჩემს მძიმე თოფს. მოგეცა სიცოცხლე მემაინც ფრანცუზებს კანი. აუწვია გამოთხოვებისას მარჯვენა ფეხის ძვალში ტყვიამაც გამოხაჭნა.

გუიპ

გრაველინგენი, ძმაო! აბა ცხარე ბრძოლაიქ იყო, აი! გამარჯვება მარტო ჩვენ დაგვრჩა. მთელს ფლანდრიაში დაუწვევ-დაუდაგველი აღარა. გადარჩენიათ რა იმ ველშის *) ძალლებს. მაგრამ ლვის წყალობა გაქვთ ჩვენც კარგათ დავხვდით! დიდხანს გაგვიძლო იმათმა ძველმა ხელმარჯვი ჯარმა, მაგრამ ჩვენც ძალინ ვერეკებოდით: ასე ესვრიდით, ესცემდით, რომ სულ ღრანჭები დავალეწეთ და ბოლოს გატყდა იმათი რაზმიც. ეგმონტს ცხენი მოუკლეს. ხან წინ წავირეკდით, ხან ჩვენც უკან დაგვწევდენ, ისეთი გახურებული ჭახა-ჭუხი გვქონდა, რომ საარა შესახედავი იყო: კაცი-კაცი, ცხენი-

*) ვლშებს იტალიელებს ეძახიან.

ცხენს, რაზმი-რაზმს ვეჯახებოდით ფართო ქვიშანს მინდორზე, ზღვის პირათ. უეცრათ შეიქნა სამინელი გრიალი, თითქოს ცას ყუმბარების წვიმა და შინოს ფრანცუზებისათვის. ეს იყო ადმირალი მალინის ზარბაზნები. ის მოღიოდა თავის ხომალდებით დუნკირხენითგან და უცაბედათ თავს წამოგვაწყდა. მართალია, ბევრს არას შეგვწევია: იმათ მარტო პაწაწინა ხომალდებით შეეძლოთ ემოქმედნათ და ვერც დავეიახლოვდენ კარგათ. შველის მაგიერათ იმათი ზარბაზნების ყუმბარები ჩვენსკენ ეცემოდენ. მაგრამ იმათაც კარგი საქმე გვიყვეს: გული მაინც გაგვიმაგრა, ბატონი, და ველშებს თაქზარი დასტა. მერე კი საქმე კარგათ წავიდა. შეიქნა საშინელი ჭახა-ჭუხი, აქაც ვსვრიდითიქაცა. ვისაც მოხვდა, ცოცხალი აღარ დარჩენილა. ყველანი წყალში გადავრეკეთ. ის საძაგლები წყალში იმ წამსევ იძირებოდენ. პოლლანდიელებს წყლის არ გვეშინია. როგორც გადაცეინდენ ჩვენც სიხარულით თან გადავყევით.

ხომ იცით წყალში ბაყაყებსავით ვცურავთ. მტრებს ისე ვკუწავდით და ვსვრიდით, როგორც იხვებსა. ვინც კი ხელითვან გავეიძრა იმათ გაუსიერთ თქვენებური გლეხის ქალები და ამათ ბარით და ფიწლებით დახოცეს ისინი ბოლოს ველშის ღიდებულებას ძალა დაადგა და სამოწყალოსავით გვთხოვა მშეიდობიანობა. ახლა თქვენ ჩვენის წყალობით მოვეცათ მშეიდობიანობა; ღიდს ეგმონტს დაუმაღლეთ.

უვალანი

გაუმარჯოს, ღიდ ეგმონტს გაუმარჯოს და კიდევ გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

იეტტერ

მარვარიტა პარმელის მაგიერათ, ნეტა
ის დაესვათ ჩვენ რეგენტათ (გამგებლათ)

სოესტ

მაგას ნუ ამბობთ. მართალი უნდა თქვას კაცმა. მე მარგარიტაზე ცუდის ლაპარაკი არ მიამება. ყმაწვილებო, სხლა ჩემი რიგია. ღმერთმა აღლევრძელოს ჩვენი გულმოწყვლე დედაკაცი.

შველანი

ლმერთმა აცოცხლოს!

სოესტ

მართლა რომ იმ ოჯახითვან კარგი დედაკაცები გამოდიან. გაუმარჯოს რეგენტის!

იქტირ

ჭკვიანია და ყოველს საქმეში თავ დაჭერილი; მხოლოდ ეს არის, რომ ძალიან უყვარს ლვდლები: იმის წყალობით არის, რომ ეხლა ჩეენ ჭვეყანაში თოთხმეტი ახალი ეპისკოპოსია დაყენებული. რა ოხრათ გვინდა? ახლა უცხო ჭვეყნელებმა კარგი ალაგები უნდა ჩაიგდონ ხელში და მრევლისაგან არჩეული ლვდლები კი უნდა გამოაგდონ, ასე არ არია? და ვითამ დავიჯერო, რომ სარწმუნოების გასამშვენიერებლათ მოხდა ეს ამბავი? დიალ ეგრეაო. ჩვენ სამი ეპისკოპოსიც გვყოფნიდა: საქმე პატიოსნათ და წესიერათ მიღიოდა. ახლა საქმის გასაჩენათ ყველა იმათვანი ისე იქცევა, თითოეულს ის იყოს, სხვა არა; და ამას სულ მუდამ ჩხუბი და დავიდარაბა მოყვება. და

ხომ შოგეხსენებათ, სასმელს რაც უფრო ძალიან დაანჯლლევ, იმდერათ უფრო აინლერევა (ხვამენ).

სოენტი

ეგ კაროლის ნება იყო და იმის ბძანებას, ხომ იცი, მმართველი ვერ გადავა.

იეტომრ

აწ ჩვენ ახალი ფსალმუნები აღარ უნდა ვიგალობოთ. სწორეთ მშვენიერათ არიან ისინი გალექსულნი და გაწყობილნი. იმათი გალობა დაშლილი გვაქვს; მაგრამ საერო და შნეობის შემაგინებელი ლექსები, რამდენიც უნდა ეიმდეროთ, კაცი არას გვეტყვის. რათაო რომ ჰკითხო, ასე გიჭასუხებენ: — ეგ სარწმუნოების წინააღმდეგია, და ღმერთმა იცის, რას არ სწამებენ იმ ლექსებს. მე კიდეც მიმდერია რამდენჯერმე, მაგრამ იმათში საწინააღმდეგო არა შემიმჩნევია რა.

გუიპ

მე თქვენ მოგახსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში რაც გვიჩდა, იმას ვიმდერებთ. მას აქეთ

რაც გრაფი ეგმონტი ჩვენი შტატ-ჰალტერი *) შეიქნა, სულ ასეა. ის ამაზე არათერს ამბობს. გენტში, იპერნში და მთელს ფლანდრიაში ვისაც რა ჰსურს, იმას მღერის (ხმა მალლა). ფსალმუნების გალობაზე უცოდველი რა ჭრდა იყოს, ასე არაა, შამაო?

რუიზუმ

სწორეთ ეგრძა. ეგ ღვთის მსახურების და სარწმუნოების მტკიცეთ დაჭერის ნიშანია.

იეტტერ

მაგრამ ისინი ამბობენ, არამ სასულიერო სიმღერები კარგ ნაირათ, იმათნაირათ არა არიან გაწყობილია, და ყოველთვის საშიშოა ამათი თავისუფლათ მღერა: ინკვიზიციის მსახურნი ჩუ-მათ თვალყურს ადევნებენ და საჯავენ. ბევ-რი პატიოსანი კაცი გაუბედურდა მაგის გამო. ძალა დაატანონ ბარემ ჩვენს სინდისაც და ის იქნება. თავისუფლათ მოქმედების ნებას თუ არ გვაძლევენ, ფიქრსა და გალობას მაინც რას გვემართლებიან.

*) შტატ-ჰალტერი მთავარ-მმართველია.

სოდესტ

ინკვიზიცია ვერას გაიტანს. ესპანიელები ხომ არა გართ, რომ ვრსმე ნება შივ'ცეთ ჩვენი სინდისის დამონებისა. თავადაზნაურობაც ეძებს დროს, რომ იმას ფრთხები მოკვეცოს.

იეტორი

სწორეთ საძგლობაა. ვთქვათ, ეს კაი ფაცები თავს დამეცენ და ჩემს სახლს შამოერტყენ იმ დროს, როცა ვმუშაობ და მართლაც ფრანგულს ფსალმუნს ვიმღერი, — თუმცა იმ დროს არც კარგი, არც ცუდი აზრი თავში არ მიტრიალებს; მაგრამ ვმღერი, იმიტომ რომ პირზე მაღვია. ამისთვის მქაშინვე რჯულის დამარლვევათ შემრაცხვენ და დამიჭერენ. ან, ვთქვათ, გზაზე მივდივარ, დავინახე შეგროვებული ხალხი და მეც შეუერთდი, რომ ახალ მოსულს გერმანიელ მქადაგებელს ყური უგდო. ახლა იმათვანი ჩვენში ბევრი მოვლის საქადაგებლათ. მე იმ წამსევ აჯანყებულოთ ჩამოთვლით და დაწება სიკედილითაც დამსა-

ჯონ... თქვენ ვინმე ამისთანა მქადაგებლის-
თვის ყური არ გრგდიათ?

სოდესტ

მარჯვე ხალხია ეს მქადაგებლები! ამასწი-
ნეთ მე ერთ იმათგანს ყური დაუგდე,—ის
მინდოორში ჭადაგებდა, რამდენიმე ათასი კაცის
წინ. მისი სიტყვა სულ სხვანაირათ იყო შე-
ზავებული, ვინემ ჩვენი ლვდლებისა, როცა
ესენი ეკკლესიაში იქანცებიან და ხალხს
ლათინური ენით ისე ბერვენ, ლამის გახეთ-
ქოხ. ის მხნეთ ლაპარაკობდა. ის გვიხსნიდა,
თუ როგორ აგვიხვიდს ლვდლებმა თვალები
და თავიანთ ნებით გვატარეს დღემდი, რა ნა-
ირათ უმეცრებაში გვტოვებენ და რა რიგათ
შეგვიძლია ჩვენ თვითონ განათლების მიღება.
და ამას ყველაფერს ის საღმრთო წერილის
სიტყვებით ამტკიცედა.

იეტტერ

შეიძლება; ამ ჭადაგებაში სიმართლე იყოს.
ჩემ თავსაც გრე ვეუბნებოდი და ვფიქრობ კო-
დეც მაგ საგანზე. დიდი ხანია, რაც თავში

მომიერილა ეს აზრი.

ბუიკ

მთელი ხალხიც იმიტომ აჰყოლია იმათ.

სოჭესტ

გასაკვირეელიც არ არის. შეიძლება კაცმა იმათგან კარგიცა და ახალი რამეც გაიგონოს.

იეტტერ

რაი, მერე? რას ემართლებიან? ვისაც როგორ ჰსურს, ისე წარმოსთქას თავისი სრტყვა.

ბუიკ

ყმაწვილებო, მაგლენს დავიდარაბაში თქვენ ღვინისთვისაც თავი დაგინებებიათ და ორანელიც დაგვიწყებიათ.

იეტტერ

იმას როგორ დავივიწყებთ. აი, მაგარი ზღუდე ის არის. ვინც იმაზე ფიქრობს, ასე ჰგონია, მის უკან ამოფარება შემიძლია ისე, რომ ეშმაკიც ველარას შიზამლა: ღმერთმა გაუმარჯოს ვილპელმ ორნელს.

ყველანი

ღმერთმა გაუმარჯოს!

სოესტ

აზლა, მოხუცო, შენ ვისიმე სადღეგრძელო
ალიე.

რუჩემ

მოხუცებული სალდათების სიდღეგრძელო
ებს, აგრეთვე ყველა სალდათებისაც. ღმერთ-
ომი ადლეგრძელოს!

გუიკ

ყოჩალ, მოხუცებულო! სალდათებს გაუმარ-
ას! ღმერთმა ომი ადლეგრძელოს!

იეტორ

ომი, ომი, რომ ყვირით, იცით რას ყვი-
თ? თქვენ რომ ადვრლათ ხმარობთ მაგ
ჟყვას, ეგ კიდევ გასაგებია; მაგრამ მროვორ
მიძლიან გამოვთქვა, რამდენათ სამწუხა-
ვა ჩვენთვის მაგის ფაგონება. მთელი წე-
წადი რომ მარტო ნობათის ცემა გესმის,
ტო სულ ამას გეუბნებიან, რომ, აუ ეს
ხი აქეთ წავილა, და მეორე იქით მიღისო;
თი წყება გადავიდა გორას და შეჩერდა
ჭვილთან; ამდენი დარჩა ამა და ამ ავილის

და ამდენი სხვაგანაო. ბრძოლა როგორ ატელა, ერთმა როგორ გაიმარჯვა და შეორ როგორ დაშარცხდაო, და მის დღეში შართ ლი კი უერ შეგრტყვია, ეინ რა მოიგო დ ეინ რა დაკარგა. გესმის ქალაქის აღება, მა ქალაქების გაფლეტა, დედა-კაცების დაქვრივა, უმან კო წვრილ თავობის გააუბედურება, რა არის სამწუხარო და საჭირობო სულ იმის ფიქრში უნდა ვიყოთ, „ვაი, აქაც მოვიდენ და ჩვენც ისე დაგვემართო.

სოესტ

ამისთვის ყოველმა მოქალაქემ უნდა იც დეს იარაღის ხმარება.

იეტომრ

დიალ. ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს, ყველა სწავლობს. მაგრამ მე სალდათებზე შორ განალაპარაკი უფრო მიყვარს, ეინამც იმ დანახვა.

გუიც

მე ეგ ცუდათ უნდა მიეიღო.

იეტტერ

ჩემო, თანამემამულევ, მე ეგ თქვენზე არ
მითქვამს. როცა ჩენ ესპანიის გარნიზონს
გადაურჩით, მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ
ტკბილათ.

სოესტ

ტყულია თუ? საშინლათ კი გაწვა შენ მა-
თი ყოფნა.

იეტტერ

შენს თავს დასცინე.

სოესტი

ისინი მაგრა ჩამოგესახლენ შენსა.

იეტტერ.

ენა ჩაიწყვიტე....

სოესტ

იმათ შენ გამოგაგდეს საშზარეულოდგან,
არდაფიდგან, ოთახიდგან და ... საწოლიდგა-
ც (იცინია).

იეტტერ

ჰატი, შენ უგნურო.

გუიპ

დამშვიდდით, ქვებო, ნუთუ სალდათმა უნდა მოგაგონოს მშვიდობიანობა? — ახლა, რა კი თქვენ ჩვენი არა გწამსთ რა, თქვენ საღლეგრძელო დალიეთ, მოქალაქური საღლეგრძელო.

იმტტერ

მაგაზე ჩვენ მზათ გახლავართ. ღმერთმა მოგვცეს მშვიდობა და მოსეენება!

სოესტ

წესიერება და თავისუფლება!

გუიპ

ყოჩალ. ჩვენც ეგ გვინდა.

(სტაქნებს არაკუნებენ, და მხიარულათ ხმამაღლა იმეორებენ ამ სიტყვებს, მაგრავ ისე, რომ ერთი რომ გათავებს, მეორე წამოიძახებს. მოხუცებული ყურს უგდებს და მერე ისიც იმათ აჰყვება.)

ჟველანი

მშვიდობიანობა და მოსეენება, წესიერება და თავისუფლება.

რეგენტის ის სასახლე

მარგარიტა პარმელი სანადორო ტანსაცმელში
გაზომული გარისკაცები, პაცები და მოსამა-
ხურენი.

რეგენტისი

ბრძანება გაეცით, რომ დღეს ნადირობა
ალარ მოხდება. შე დღეს ალარ ვიმსედრებ,
მაკიაველს უთხარით, ჩემთან ვამოცხადდეს.

(უკელანი გავლენა)

ამ საშიშარს ამბებზე ფიქრი მოსევენებას არ
მაძლევს. ამ მდგომარეობაში ვერცარაფერი ვე-
ლარმასიამოვნებს დავწრცარაფერი გამართობს.
ყოველთვის შფოთის სურათი მიღვას თვალ-
წინ და იმის ჯავრი მაქვს. ვიცი კაროლი ამას
იტყვის ჩემზე; ეგ შენი გულკეთილობის და
გულჩილობის ბრალიაო. მაგრამ ჩემი სინი-
დისი ამას მეუბნება, ეგ ძალიან კარგათ, ძა-
ლიან გონიერათ გიქმნიაო. ნუ თუ გულ-აჩ-
ქარებულზე უნდა შემებერა ცეცხლისთვის,
გამეძლიერებინა, რომ ალი ყოველგან მო-
დებულიყო? მე იმედი მქონდა ამ ცეცხლს

გარს შემოვდვომოლი, რომ გასაძლიერებელი მიზეზი არა მიეცეს რა და თავისით დაჭრეს; დიახ, რასაც მე ჩემს თავს ვეუბნები, რაც მე კარგათ ვიცი, ის საკმაოთ მამართლებს ჩემს თვალში. მაგრამ ჩემი ძმა როგორ მიიღებს ამას? უნდა გამოვტყდე, რომ უცხო მქადაგებლებისამპარტავანობადლითიდლეძლიერდება; ისინი ჩეენს საკურთხეველს აგინებენ, უგნურს დაბალს ხალხს არყევენ და თავის ასხმენ. განდგომილებს ბიწიერი გვამებიც გაერიენ, და საშიში ამბები მოხდა, ისე რომ წარმოთქმაც მეზარება. ახლავე უნდა შევატყობინო სასახლეში ეს ამბები, ხალხის ხმამ რომ ჩემს წიგნზე ადრე არ მიაწიოს ხელმწიფის ყურამდის და მას ეჭვი გულში არ შეუვიდეს, ვითოშც მე უფრო მეტა განზრან და შეფაროს. ვერცერთ საშუალებას ვერ ვხედავ ბოროტის შესაჩერებლათ, ვერც ავსა და ვერც თავიზიანსა. რა ვყოფილვართ ჩეენ დიდებულნი კაცობრიობის ძლიერს ღელვაში? ჩეენ გვევინია, რომ მასზე ვუფლებთ, მაგ-

რამ ის საითაც უნდა, იქით გვაქონებს, ხან ზევით, ხან ქვევით, ხან მარცხნით და ხან მარჯვნივ.

(მაკიაველი შემოდის)

რეგენტინი

კაროლთან წიგნები დასწერეთ?

გაკიაველი

ერთს საათს შემდეგ ისინი მზათ იქნებიან
თქვენ ხელმოსაწერათ.

რეგენტინი

ხომ კარგათ დაწერილებით გამოხატეთ
ყოველივე?

გაკიაველი

სრულათ და დაწერილებით, როგორც კა-
როლს უყეარს. ჯერ მოვახსენე, თუ როგორ
აღიძრა სანტ-ომერს ხალხი ხატთ საბრძოლ-
ველათ, ვინ კეტით, ვინ ცულით, ვინ ჩაქუ-
ჩით, ვინ კიბით და ვინ თოვებით, ცოტანი კი
იარაღით, თუ როგორ დაეცენ სამლოცველო-
ებს, ტაძრებს და მონასტრებს; თუ როგორ
გაირეკა წინ მლოცველნი და სათნო კაცები, შე-

ამტვრია დაკეტილი კარები, ყოველივე შემოწლუდა, საკურთხეველნი თავქვე დაამხო, წმინდათა ძეგლები დაამტვრია, ხატები გააფუჭა და რაც კი შეხვდა წმინდა ან ნაკურთხი ყოველივე დაამსხვრია, დალეწა და მტვრათ აქცია მერე ვსწერ, თუ როგორ ამ ურდოს გზაზე ემატებოდა კაცები და თან-და-თან იზრდებოდა, იპერნის მცხოვრებლებმა თუ როგორ გაუღეს თავის ალაყაფის კარები და იქ ერთ წუთას როგორ გაცარცვეს ტაძარი და საეპისკოპოსო ბიბლიოთეკასაც ცეცხლი წაუკიდეს. შემდეგ მოუთხრობ, თუ დიდი ურდო ხალხისა შეგროვებული როგორ გაიბნა მენინს, კომინს, ვერვიკს და ლილს, ისე, რომ წინ არავინ დასდგომია და ამნაირათ ეს საშიშარი შეთქმულება მოედო თითქმის მთელს ფლანდრიაში.

რეგენტინი

ოჰ, როგორი გულისწუხილი აღმიძერ მაგ შენის ერთნაირის აშბების გამოსახვით! ვაი, თუ ეს უბედურება თან-და-თან გაძლიერდეს. ამის

შიში ჩემს გულს კიდევ უმატებს მწუხარე-
ბას. მაკიაველო, ვამიზიარე შენი აზრი.

მაკიაველი

მომიტევეთ თქვენო უმაღლესობავ, ახლა
ჩემი მოსაზრება ოცნებას ჩამოგავს, თუმცა
თქვენ ყოველთვის კმაყოფილი ზრდანდებო-
დით ჩემი სამსახურით, მაგრამ ჩემს რჩევას
ძვირათ მისდევთ, თქვენ ხუმრობით ხშირათ
გიბრძანებიათ ჩემთვის ეს სიტყვები: მაკიაველო,
ერთობ შორს სჭრეტო, შენ უფრო ისტო-
რიკოსა უნდა ყოფილიყავიო: „ვინც გამგებ-
ლობს, ის შორს რად ფიქრობს, დღეისთვის,
უნდა ზრუნავდესო.“ მაგრამ მე მაინც წინათვე
მოგახსენეთ, რომ ეს ასე იქნებოდა. განა
წინათვე არ განვსჭრიტე ყოველივე?

რეზენტინი

შეც ბევრს რასმე ვნიშნავ, მაგრამ მისი
შეცვლა კი არ შემიძლია.

მაკიაველი

ერთი სატყვა მომახსენებინეთ: თქვენ ახალს
სწავლას ვერ დაჭრობთ; დაანებეთ თავი,

და, განდგენ წმინდა ეკკლესიისგან; თავისი ეკკლესია იმათაც ქონდეს. მიეცით სამოქალაქო უფლება და გარე-შესაზღვრეთ ისინი: ამის შემდეგ უცბათ დამშეიდდება აჯანყებული ქვეყანა! სხვა საშუალება გარეშე ამისა ყოველივე იჭირდება ამაო და თქვენი ქვეყნის დამამხობელი.

რეგენტინი

განა დაგავიწყდა, თვითონ ჩემმა ძმამ რანაირის სიფიცებით მიღლო მარტო ის უბრალო კითხვა, ახალ სწავლას მოთმინებით მოვყვარათ, თუ არაო? ნუ თუ არ იცი, ის ყოველს წიგნში მიღებეს ჭრიალიტი სარწმუნოება მაგრა რათ დაიცეო? რომ ის მშვიდობიანობისა და ერთობისათვის სარწმუნოებას არ მოიძულება? განა თვითონ იმას ჩვენ უცნობლათ არ ჰყავთ მაზრებში დაყენებული მეზვერეები, რომ ყოველი კაცის აზრი გამოიკვლიონ, ვინ არის და ვინ არა. ახალ სარწმუნოებაზე მიღრეკილი? აკი, ჩვენ გასაოცებლათ, სათითაოთ დაგვისახელა იმან, თუ ვინ არის და ვინ არა ჩვენს შაზ-

რაში ახალი სარწმუნოების ჩუმითანამდებნობელი? აკი გვიბრძანა, ფუცხათ და შეუბრალებლათ იმოქმედეთო? ნუ თუ ამის შემდეგაც გულმოწყალეთ უნდა ვიმოქმედო? ნუ თუ მე იმას უნდა მოვახდენო, რომ აჯანყებას ყურადღება არ მიაქციოს და დასთმოს... მაშინვე გული არ აეყრება ჩემზე და მისი ნდობა არ დამეკარვება?

გაკიაველი

მე ეგ კარგათ უიცი; კროლი მბრძანებელია. იმან თავისი განზრახვა შეგატყობინათ. თქვენ მშვიდობიანობა და მყუდროება უნდა დაამყაროთ იმ საშუალებით, რომელიც უფრო ამწარებს ხალხს და მიუცილებლათ ყოველგან ერთს დროს ატეხს ომიანობას. კარგათ მოიფიქრეთ, რა გინდათ ქმნათ. თავალ-აზნაურობა, შემძლე ვაჭრობა, ხალხი, მხედრობა სულერთიანათ გულგადაბირებულია. თუ კი ყოველივე იცვლება ჩენს გარშემო, მაინცა და მაინც ჩეენ რაღას გვარეია უწინდელს აზრზე დადგომა? ნეტაი ღმერთი აფიქრებინებდეს ფრ-

ლიპე მეორეს, რომ კაროლისთვის უფრო ღირსეული საქმე ის იქნება, რომ ორთავე სარწმუნოების მიმყოლთა თანასწორათ განაგებდეს, ვიღრე ერთი სარწმუნოების მიმყოლს აულეტინებდეს სხვა სარწმუნოების კაცებსა.

ჩეგვენტინი

მაგისთანა სიტყვას მეტს ნულარ მდტყვი. მე კარგათ ვიცი, რომ პოლიტიკა ძვირათ უვდებს ყურს ჭეშმარიტ სარწმუნოებას! ის ვულითვან მივვტაცებს ხოლმე დანდობილებას, სიბრალულს და გულწრფელობას. სამწუხაროთ ქვეყნიურს საქმეებში ეს ყოველთვის ასეა; მაგრამ ღმერთს წომეერ მოვექცევით ისე, როგორც ერთმანეთს? ნუ თუ ყურადღებას არ უნდა ვაქცევდეთ ჩვენს ჭეშმარიტს სარწმუნოებას, რომლისთვისაც ამდენს კაცს თავი შეუწირავს? ნუ თუ ეს სარწმუნოება უნდა შევსწიროთ ახალს სწივლას, რომელსაც არც სიმტკიცე აქვს, არც ნათელი დასაბამი, არც სრული შეთანხმება ჭეშმარიტებისა?

გაკიაველი

მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ჩემზე ამ მიზე-
ზით ცუდ აზრს ნუ შეიღენთ.

რეგენტინი

შენ კარგათ გიცნობ, მრწმს შენი ერთ-
გულებაც და ისიც ვიცი, რომ შეიძლება პატიო-
სანი დაქამეში ძალან ჭკუიანი კაცი სულის
ცხონების სწორ და მოკლე გზას გადამცდა-
რი იყოს: მაკიაველო, არიან სხვა ისეთი კაცე-
ბი, რომელთაც მე საუბედუროთ ძლიერაც
პატივსცემ და თანაც ვკიცხავ.

გაკიაველი

ვიზე მიბძანებთ მაგს?

რეგენტინი

უნდა გაგიტყდეთ, რომ დღეს ეგმონტნმა
ღრმათ და მწუხარეთ მწყენია.

გაკიაველი

რა რიგ მოქმედებით?

რეგენტინი

თავის ჩვეულებრივის გარეწილებით და
თავქარიანობით. მე შევიტყვა ის საშინელი.

ამბავი იმ დროს, როცა საყდრითვან გამოვლიოდა, თან უთვალავი ამ ლი მახლდა, რომელშიაც ეგმონტიც ერია. მე ვეღარ შევიკავე ჩემი მწუხარება, ღრმათ და ხმა-მაღლადავრწყე გოდება და მიუბრუნდი მას ამ სიტყვებით: „ხედავთ, რას სჩადიან თქვენს მაზრებში? ნუ თუ, ეგმონტ, თქვენ ამას მოითმენთ, თქვენ რომელზედაც კაროლი ასე გულდანდობილია..”

მაკიაველი

და რა მოგახსენათ იმან?

რეგენტინი

თითქოს უბრალო რამ ყოფილოყოს, თითქოს არაფერიაო, ისე შიპასუხა: “ნიდერლანდელები თავის საკუთარი სახელწიფო წყობილების თაობაზე რომ გულდამშვიდებული იყენენ, დანარჩენი ყოველივე ისევ ადვილათ ჩადგებოდათ თავის კალაპოტში.”

მაკიაველი

იმას ალბათ გართლის თქმა უმჯობინებია, თავდაკავებით და მოწიწებით ლაპარაკსა. ნი-

დერლანდელები როგორ იქნებიან ერთგულნი და დანდობილნი, თუ კი ხედვენ, რომ ეს საქმე უფრო იმათ ქონებას ეხება, ვინემ მათ კეთილ-დღეობას და სულის ცხოვნებას. ახალ ეპისკოპოსებს ნეტა თუ იმდენი სულა მოუყიათ ღვთისთვის, რამდენიც მსუქაში შემოსავალი ჩაუნთქვეთ მუცელში? განა ისინი უცხო ქვეყნელები არ არიან? ყველა სახელმწიფო თანამდებობანი ჯერ კიდევ სულ ნიდერლანდელების ხელშია, მაგრამ ცხადათ არ აჩვენებენ ესპანიელები, რომ ისინი თავშეუკავებელათ, დიდის თვალხარბობით ეძებენ ამისთანა აღვილებს? განა ყოველ ხალხს არ სურს, რომ თავისიანისაგან თავისებური გამგეობა ჰქონდეს და არ უყვარს უცხო ქვეყნელი, რომელიც ყველაზე უფრო ქონების შეკრებას ცდილობს, თან მოაქვს, სხვა წესი და ჩვეულება, და შეუბრალებლათ ეპირობა მის ხელქვეითებს.

რეზენტინი

შენ ჩვენს მოწინააღმდეგეს უდგები.

მაკიაველი

გულით, რასაკვერცველია, არა; მაგრამ მსურს
კი, რომ ჩემი გონებაც ერთიანათ ჩვენს მხა-
რეზე იყოს.

რეზენტინი

შენ რომ დაგიჯეროს კაცმა, მე იშათ უნ-
და გადავსცე ჩემი გამგეობა; ეგმონტს და ორა-
ნელს მაინც დიდი იმედი ჰქონდათ ამ აღგი-
ლის მიღებაზე. მაშინ ისინი ერთმანეთის
მტრები იყვნენ. ახლა კი ჩემს წინააღმდეგ შე-
ერთებულან, მეგობრები გამხდარან, განუშო-
რებელი მეგობრები.

მაკიაველი

ძალიან საშიშნი არიან ისინი ერთად.

რეზენტინი

მართალი რომ ვთქვა, მე ძალიან მე-
შინია ორანელისა და პეშინიან უფრო ეგ-
მონტისათვის. ავი ფიქრები აქვს ორანელს,
იმის აწრი შორს სწევდება. ძალიან გულჩახვე-
ული კაცია, თითქოს ყველაფერზე თანახმაა,
წინააღმდეგობას არაფერზე აცხადებს და დიდის

მოწ-წებით, დიდის წინდახედულობით ასრულებს, რაც გონიერაში აქვს.

გაკიაველი

წინააღმდეგ ამისა ეგმონტი პირდაპირს თავისუფალს გზას ადგას, და ისე მოქმედებს, თითქოს მთელი ქვეყანა იმას ეკუთვნოდეს.

რეზენტინი

იმას იმდენათ მაღლათ მოაქვს თავი, თითქოს მისი დიდებულების ხელი მას ვერ მიწვდებოდეს.

გაკიაველი

მთელი ხალხის თვალი იმისკენ არის მიჰყრობილი და გული მასზედ აქვს ღანდობილი.

რეზენტინი

იმას თავის დღეში თავი არ დაუმალავს, თითქოს კაცი არ ჰყავდეს პასუხის მომთხოვნელი. ის კიდევ სახელათ ეგმონტს ირქმევს. გრაფ ეგმონტს რომ დაუძახებენ, იამება, თითქოს არ უნდა დაივიწყოს, რომ იმისი გამა-პაპა გელდერნის მფლობელი ყოფილა. რატომ გავრელს თავადს არ ირქმევს სახე-

ლათ? წესით ეს სახელი უფრო შეჰქვერის. რა-
თა შერება ამას? გამქრა ლიუფლებების აღდგე-
ნა ხომ არა ჰსურს?

მაკიაველი

მე ის ძალიან ერთგულ კაროლის მოსამსა-
ხურეთ მიმაჩნია.

რეზენტინი

რომ სდომებოდა, როგორ დაიმსახურებდა
ჩემს გამგეობაში. ამის მავიერათ იმან სულ
უსარგებლოთ თავისთავისოვის მოგვაყენა გა-
მოუთქმელი მწუხარება. მისი საზოგადოება,
მასპინძლობა და დღესასწაულობა უფრო აკავ-
შარებს და მტკიცეთ აბამს თავადაზნაურობას,
ვინამც უსაშიშროესი და უსაიდუმლოესი შე-
თქულობა. სადღეგრძელოებზე ის ისეთ სიტ-
ყვებს ამბობს, რომ მის სტუმრებს ჩანარი-
ლივი გრძნობა და დაუვიწყარი აღტაცება გა-
მოქვეთ. რამდენჯერ აუღელვებია იმას ხალ-
ხის გონება თავისი დაცინვით, და რანაირათ
აღტაცებულია წვრილკაცობა მისი მხლებლე-

ბის ტანსაცმელით და უხეირო შემცულობით! *)

გაკიაველი

დაწმუნებული ვარ, რომ ამას ის განზრანებით და საგანგებოთ როდი შერება.

რეგენტინი

ესეც საკმაო იყო. როგორც ვთქვი, ის ჩვენ გვავნებს და თავის თავს კი არას არ ურიგებს. ის შესაძნევ საქმეს ხუმრობათ იღებს, და ჩვენ რომ დაუდევნელობა არ შეგვწამონ, მისი ხუმრობა შესამჩნევ საქმეთ უნდა მივიღოთ. ამნაირათ ერთი მეორეს სტეს და რასაც დღეს ვცდილობთ თავზე გადავიცილოთ, სწორეთ ის თავზე გვაწყდება. ის უფრო საშიშარია, ვინემ აშკარი მოთავე რომელიმე შეთქმულებისა და თუ ხელმწიფის კარზე ეს ყველაფერი იმაზე დაეთარში არაა ჩწერილი, მე ძლიერ გამიკვირდება.

*) ეგმონტმა თავის მოსამსახურებს სამასხრო ტანსაცმელი ჩააცვა, კარდინალი გრანველის საცინლათ ასაგდებლათ.

ტყუილს ვერ ვიტყვი, ცოტა დღე გავა ისე-
თი, რომ იმან არ მაწყენინოს რაშე, ზოგჯერ
ძალიანაც.

გაკიაველი

მე შვინია ის ყოველთვის თავის სინდი-
სის თანხმათ იქცევა.

რებენტინი

მისი სინდისი ძალიან მატყუარი საჩკეა. იმი-
სი ყოფაქცევა ხშირათ მოურიდებელია. ხშირ-
ათ ისე იქცევა, თითქოს სრულებით დარ-
წმუნებული იყოს, რომ ისაა აჭ ბატონი, რომ
ის მარტო გულკეთილობით არ გვაგრძნობით
ნებს ამას და ერთიანათ ამ ქვეყნიდამ არ
გვრეკს,—ეს ვითომ თავის თავათ მოხდება.

გაკიაველი

გევედრებით, იმისი გულსალობა, იმისი უდა-
რდელი ხასიათი, რომლისგამო ის ყოველს მძიმე
საქმეს ხუმრულათ ეპყრობა, ნუ გვონიათ სა-
შიში. თქვენ თქვენს თავსაც ავნებთ ამითი
და იმასაც.

რეზენტინი

მე არა მგონია რა. მე ვ მბობ მხოლოდ აუცილებელს მომავალზე და მე იმას ეიცნობ. ნიდერლანდელი მაღალ გვარიშვილობა და მკერდზე ოქროს მატყლოვანი სამხედრო ნიშანი აგულდიდებს და ათამამებს იმას: ამ ორივე ლირსებას შეუძლიან დაითარონ ის კაროლის უკაბედის რისხეისაგან. კრგათ იფიქრე ამაზე: რაც ფლანდრიაში უბედურება მოხდა, მხოლოთ ის არის იმაში დამნაშავე. პირველად ის უცხო ქვეყნის მქადეგებლებს არას ეუბნებოდა, არაფრათ შეიწუხა იმათზე თავი და იქნება ჩუმათ კიდეც უხაროდა, რომ ჩვენთვის იმათგან დაბრუოლებას ელოდა. მაცალე! ამ შემთხვევაში რაც გულში მაქვს სულ უნდა გამოვაცხადო. მე ტყულათ არ ვესერი ჩემს ისარს, მე ვიცი რა უფრო საგრძნობელი აქვს იმას. იმასაც აქვს საგრძნობელი რამ.

მაკიაველი

რჩევის შეკრება ბძნეთშ.. ორანელიც დაესწრება?

რეგისტრი

მე იმას გზირი გაუგზავნე ანტვერპენს. მე მინდა იმათ კარგა ძალი დანაშაული მო-
ვახვივო თავზე; ისინი ან ჩემთან ერთათ სი-
ფიცხით უნდა გაუმკულავდენ ბოროტებას, ან
შეიქნენ ხელმწიფის წინააღმდეგნი. დააჩქარე,
რომ წიგნები მზათ იყოს მაღა და მომიტანე
ხელმოსაწერათ. მერე ჩქარა გავზავნე მაღრიდს
ერთგული ვასკა; ის დაულალივი და ერთგუ-
ლი კაცია. პირველათ ჩემგან უნდა შეიტყოს
ჩემმა ძმამ აქაური ამბავი, რომ ხმამ ჩემ წიგნს
ვერ მიასწროს. მე თვითონ მინდა იმას წასვ-
ლამდის მოველაპარაკო.

მაკიაველი

თქვენს ბრძანებას მტკიცეთ და ჩქარა ავა-
სრულებ.

მო კალაქის სახლი

კლერხენ. კლერხენის დედა. ბრაკენბურგ.

კლერხენ

ბრაკენბურგ, შულოს არ დამიჭერთ?...

ბრაჟენგზრბ

გეველრები, კლარა, მაგისტრანტები, გამათაცსუფლება.

კლერხენ

რა დაგემართათ, კიდევ? ამ პაწაწა მეგობრულს სამსახურზედ რათ მეუბნებით უარს?

ბრაჟენგზრბ

ამ ძაფით ისე მაგრათ მოოკავთ თქვენ წინ, რომ არ შემიძლიან თქვენ თვალებს წაუვიდე.

კლერხენ

მასხარა! მოდი, დადექ!

დედა (ზის და ქსოვს).

ერთი იმდერეთ! ბრაჟენგზურგმა რა სასიამოვნოთ იცის მოძახილი! უწინ ყოველთვის მხიარულათ იყავით და მეც საცინარი არ მაკლდა.

ბრაჟენგზრბ

ჰო, უწინ.

კლერხენ

ვიშლეროთ.

გრაპენბურგ

როგორც გნებათ.

კლერხენ

შავრამ მხიარულათ და ცოცხლათ მომყევით.
ეს მხედრის სიმღერაა, ჩემი საყვარელი სიმ-
ღერა.

(სწრაფათ აწვევს ქაფს და იმღერის. ბრაქენ-
ბურგი აჰყვება.)

ისმის ნალარა,
ჯარი შეიძრა.
შეხე საყვარელს!
ჯავშან საჭურველს
ტანთ შეიმოსებს,
შუბს მხარ გაიდებს
და ჯარს წინ უძლვის.
მე სული მიმდის,
ოჳ, გული მიძგერს
და სისხლი მიდუღს.
ნეტავი მომცა
ტანსაცმი მეცა,
შალვარი, ქუდი!

ტანთ შევიმოსდი,
 მას გავყვებოდი,
 ვისთანაც მინდა
 მირადის ყოფნა;
 ცხრა მთას იქითა
 ლეთის შეწევნითა,
 მტერს მოვსწვდებოდით,
 თავზარს დავსცემდით,
 ისარსა ვკრავდით,
 დავამარცხებდით.
 ოჯ ბედსა ჩემსა
 ვერვინ დაპყეფსა,
 ვაჟკაცობაცა
 თუ შევძელ მეცა... .

(ბრაჟენბურგ სიმღერაში ხშირად შეხედავს ხოლმე
 კლერხენს; ბოლოს ხმა ჩაუწყდება, თვალებზე ცრემ-
 ლის კურცხლები გადმოსცვივა, ძაფის შულოს დაგ-
 დებს და მივა ფანჯარასთან. კლერხენ მაინც განაგრ-
 ძობს სიმღერას, სანამ არ გაათვებს. დედა უკმაყოფი-
 ლების ნიშნათ თავს გადააჭნევს; ის ადგება, ერთს ნა-

ბიჯს გადასცევამს ბრაკენბურგისკენ, მერე თავის უნებულათ მობრუნდება და ისევ დაჯდება.)

დედა

ბრაკენბურგ, რამბავია ამ ჩვენ ქუჩაზე?
ფეხის ხმა მესმის.

ბრაპენბურგ

რეგენტინის საგუშავო ჯარია.

კლაერხენ

ამდროს? რამბავი უნდა იყოს? [ადგება და
მივა ფანჯარასთან ბრაკენბურგის. გვერდით] ეს მარ-
ტო ღამის გუშავი არ არის. აქ თით-
კმის მთელი იმათი ჯარია შეგროვებული.
ბრაკენბურგ, თუ გწამდე, წადი, შეიტყე, რა-
ამბავია? ეს სწორეთ რამე ანბავი უნდა იყოს.
წადი, გეთაყვა ბრაკენბურგ, მაგით მასია-
მოვნე.

ბრაპენბურგ

მივდივარ! ახლავე მოებრუნდები. (ის გაუწ-
ვჭენს თავის ხელს, კლერხენ ჩამოართმევს.)

დედა

რავა, კიდეც ისტუმრებ?

კლერხენ

მე ცნობის მოყვარე, ვარ. ამას გარდა, ნუ გამიწყრებით, მისი აქ ყოფნა მაწუხებს. რა ვქნა, არასოდეს არ ვიცი, როგორ მოვეპყრა იმას. მე იმის წინ დანაშაული ვარ, და გულს მიკლავს, რომ ის ამას ასე ღრმათ გრძნობს. მაგრამ მე ამას ვერაფრით ვერ უშველი.

დედა

რა ერთგული ახალგაზლა!

კლერხენ

მეც იმის გამო ვერ მომიხერხებია, რომ მეგობრულათ არ შევეყარო. ჩემი ხელი ხშირათ უნებურათ უჭერს ხელს, როცა ის ტკბილათ და საყვარლათ ხელს მაძლევს ხოლმე. მე ჩემს თავს ვუჯავრდები, რათ ექცევი- (ბმეთქი იმ საწყალს ისე, რომ მის ვულში ტყუკლალს იმედს აღვიძებ-მეთქი. ეს მე ძლიერ მალწუხებს. მაგრამ ღმერთმან იცის, რომ არ დაწატყუებ. მე არ მინდა, რომ იმედი ექნეს; ძოშაგრამ იმის გულში ვერ ამომირეცხია ჩემ-ლექამო სიყვარული.

დედა

ეგ არ არის კარგი.

კლერხენ

მე ის არ მეზიზლება, მსურს კიდეც იმის-
თვის ყოველი კეთილი. მაგრამ თუნდა რომ
კიდეც წავყოლოდე ცოლად, მაინც არ შე-
ძეძლებოდა იმის სიყვარული.

დედა

იმასთან შენ მაინც ბეღნიერი იქნებოდი.

კლერხენ

უზრუნველი და გაუმჯობესებელი ცხოვრე-
ბა მექნებოდა.

დედა

შენი ბრალით ყველა ესენი დაგეკარგა.

კლერხენ

სწორეთ საკვიპრეველ შდგომარეობაში ვარ.
როცა დავფიქრდები, ეს როგორ მოხდა, ვი-
თომ კიდეც მესმის და არც არაფერი გამეგე-
ბა რა. და მერჩე ოღონდ კი ეგმონტი ვნახო
და მაშინ ყოველივე კარგათ მებმის, ის კი არა,
უფრო მეტიც რომ იყოს, იმის გავებაც შე-

მეძლება. არ, კაცი ისაა! ყველა მაზრებს. ის
გაგიჟებით უყვართ და მე იმის ხელში უბედ-
ნიერესი ქვეყნის არსება არ უნდა ვიყო?

დედა

მერე რა კეთილს მოელი შემდეგში?
კლერხენ

მე მხოლოდ ამას ვკითხულობ, ნეტა თუ
მართლა უყვარვარ? და თუ უყვარვარ, შეტი
საკითხავი რაღა მექნება.

დედა

შეწუხების მეტს შვილები არას. გვაძლევენ
რა გამოვა! მხოლოდ ჭირი და მწუხარება. კარ-
გა არა გამოვა რა მაღეთგან! შენ შენი თავი
გაუბედურე და მევა გამაუბედურე!

კლერხენ (წყნარად)

თქვენ თავდაპირეელათ ხომ არ გვიშლი-
დით.

დედა

სამწუხაროთ ერთობ გულ-კეთილათ ვიქტე-
ოლი. მე ყოველთვის გულკეთილათ ვიქ-
ტევი.

ქლერხები

ეგმონტი რომ ცხენით ჩაიარდა და მე ფანჯარასთან მივარდებოდი, თქვენ ხომ არ ვამიჯავრდებოდით? განა თქვენ თვითონ კი არ მოხვიდოდით საყურებლათ? როცა ის ამონედავდა, მიცინოდა, თავს მიკრავდა, მეალერსებოდა, ნუთუ ეს თქვენი საწინააღმდეგო იყო? თქვენ თვითონ თავს არ იწონებდით, რომ თქვენს ქალს ასეთს პატივს სცემდენ?

დედა

გამკიცხე...

ქლერხები (აღელვებით).

როცა იმან უფრო ხშირათ დაიწყო ჩვენს კარზედ სიარული, და ჩვენც კარგათ ვიცოდით, რომ ეს ჩემთვის იყო, თქვენ თვითონ ვულში არ გიხაროდათ ეს ამბავი? ფანჯარასთან რომ ვუცდიდი, როდესმე დაგიძახნიათ — გამოდი აქეთო?

დედა

როგორ წარმოეიდგენდი, თუ აქამდის მიაწევდა საქმე?

კლერხენ (ხმა ჩაუწყდება და ცრემლს ძლივს იკავებს).

და ერთ საღამოს ლამპართან რომ
ვისხედით და ის პალტოში გამოხვეული უე-
ცრად შემოვიდა, ვინ დატრიალდა იმის მისა-
ლებათ? მე ჩემს სკამზე თითქოს ჯაჭვით დაკ-
კრული და გაშტერებული დავრჩი.

დედა

შაშინ როგორ მომეცემოდა იმის ფიქრი,
რომ ჩემს ჭკვიანს ქალს კლერხენს ასე უცებ
გაიტაცებდა ეს უბედური სიყვარული? ახლა
მე უნდა ვითმინო, რომ ჩემი ქალი...

კლერხენ (ცრემლების ღვრით)

დედა, ეს გდომებია და ის არის. თქვენ ჩე-
მი ბწუხარება გახარებსთ.

დედა (ტირილით).

იტირე, შვილო იტირე, კიდევ უფრო
მოშიკალ გული: მწუხარებათ არ მეყოფა,
რომ ჩემი ერთათ ერთი შვილი დალუპული
ქალია?

კლერხენ (აღება გულცივათ)

დალუპულიო? ეგმონტის საყვარელი და

დალუპული! რომელ ბატონისშეიღება არ შე-
ეხარბება ის ადგილი, რომელიც კლერხენს
ეგმონტის გულში უჭირავს? ოჰ, დედავ,
ჩემო დედა, უწინ მაგრე არ მელაპარაკებო-
დით. საყვარელო დედა, გულს ნუ შეიცვლი.
ხალხმა რაც უნდა იფიქროს და მეზობლის
ჭალებმა რაც უნდა იჩურჩულონ.... ეს პა-
წაწა ითახი, ეს პაჭარა სახლი ზეცათ მიმა-
ჩნია მას აქეთ, რაც შიგ ეგმონტის სიყვარუ-
ლმა დაიბუდა.

დედა

მართლაც, არ იქნება, რომ კაცმა ის არ შეი-
ყვაროს, ყოველთვის ისე მოყვარული, გულ-
წრფელი და გულგაშლილია

კლერხენ

ერთი წვეთი ორპირობა არაა იმაში. ხედავ
დედა, რომ ის დიდი ეგმონტი, არის, და
როცა ჩემთან მოდის, რა მოყვარულია, რა
გულკეთილია! რომ იცოდე, როგორის მეცა-
დინეობით ჰფარავს ჩემთან თავის ლირსებას, თა-
ვის მამაცობას! ოჰ, როგორის ყურადღებით

მექტევა! ის მაშინ მხოლოდ კაცია, მეგობარი
და საყვარელი.

დედა

ღლეს ხომ მოვა?

კლერხენ

არა მხედავთ, რომ ხშირათ მივლიკარ
ხოლმე ფანჯარასთან, არ მნიშნავთ, როგორ
ყურს უგდებ, კარზე ხომარავინ არახუნებს?
თუმცა ვიცი, რომ დალამებამდის არ მოვა,
მაგრამ ყოველ წამს ველი, როგორც ავღვე-
ბი. ნეტა ბიჭი ვიყო, მას ვახლდე სასახლეშიც
და ყოველგან, ნეტა მისი დროშა მეჭიროს
ბრძოლაში, მის გვერდით!

დედა

შენ ყოველთვის გიჟი იყავი, როცა პატ წა
იყავი: ხან გიჟობდი, ხან ჩაფიქრდებოდი. ნუ-
თუ ამაზე უკეთ არ მოირთები?

კლერხენ

იქნება მოვირთო, დედა! თუ მომეწყინა.
გუშინ, წარმოიდვინე, ზოგიერთმა მისმა მხლე-
ბელმა ჩამოიარეს აქეთკენ დაიმის ქებას მდე-

როდნენ: ამ ქების ლექსში იმის სახელს კი მოვ-
კარი ყური, სხვა ვერა ვავიგე რა. გული ისე
ამიტოკდა, რომ ყელზე მომაღვა. რომ არ
მომრიდებოდა კიდეც დაუძახებდი.

დედა

წინდახედვით იყავი, თორემ შენი ყოფა-
ქცევა ყველაფერს წახდენს. შენ თვითონ
ამხელ შენ თავს. ამ დღისა არ იყოს, როცა
შენ ჩვენი ბიძაშვილისას იმის სურათი ნახე,
წაიკითხე რაც ქვემოთ ეწერა და წამოიძახე
„გრაფი ეგმონტიო!“ მაშინვე პირზე ავენთე.

კლერხენ

როგორ არ დამეყვირა? იქ იყო გრაველინ-
გენის ბრძოლა დახატული. ერთს სურათ ზე-
მოთ დავინახე ასო ე და ამ ასოს ქვემოთ ასე
ეწერა: გრაფი ეგმონტი, რომელსაც ცხენი მოუ-
კლესო. ჯერ ძალიან ავლელდი, მაგრამ მერმე
კი ბევრი მაცინა იმ დახატულმა ეგმონტმა,
რომელიც იმის გვერდით დახატული დიდი კო-
შკის და ინგლისელი ხომალდების ტოლათ
დაეხატათ. როცა გამახსენდება, უწინ რო-

გორ წარმოვიდგენდი ბრძოლას, ამ სიყმა-
წვილეში როგორ მეხატებოდა ეგმონტის
სურათი, როდესაც თქვენ იმაზე და ყველა
დიდკაცებზე მომითხრობდით... და ეხლა რო-
გორა ვარ იმასთან!...

ბრაკენბურგი შემოდის.

კლერხენ

რა ამბავია?

ბრაკენბურგ

კარგათ არაეინ იცის. ამ ცოტა ხანს ფლანდრია-
ში ხახლი აჯანყებულა, მგონია; რეგენტინას
ალბათ ეშინია, აქამდინაც არ მოაწიოსო. ციხე
გაამაგრეს. ალაყაფის კარებთან ბევრი მოქალა-
ქე შეგროვებულა. ქუჩაზე ხალხი ყაყანობს.
ჩქარა უნდა წავიდე ჩემს მოხუცებულ მა-
მასთან (წასვლას აპირებს).

კლერხენ

ხვალ კაცი გნახავს? მე მინდა ცოტა კარ-
გათ ჩაეიცვა, რაღაც ჩემ ბიძაშვილს ველი
და ასე უხეიროთ მობურდული არ მინდა ვე-
ჩვენო. დედა, ერთ წუთას მომეხმარე.—ბრა-

კენბურგ, ეს წიგნი წაიღე და კიდევ მოიტანე
ამ გვარი ისტორია.

დედა

მშეიდობით ბრძან დებოდეთ.

ბრაჟენგურბ (ხელს გაუწვდენს)

ხელი მომეცით.

ქლერხენ (ხელს არ აძლევს)

მეორეთ მოხვალთ, მაშინ იყოს.

(დედა და შვილი გადის)

ბრაჟენგურბ (ჩარტო)

მე გადავსწყვიტე, მაშინვე უკან უნდა გა-
მოვბრუნებულვიყავი და იმან რომ ისე გულ-
ცივათ მიმიღო და გამომისტუმრა, ჩემს გულს
ვასკდები.—უბედურო ჩემო თავო, ნუ თუ შე-
ნი ქვეყნის უბედურება შენ არ გეხება? ნუ
თუ ესპანიელი და შენი თანამემამულე, მო-
ძალადე და მართალი სულ ერთია შენთვის?! მე
შკოლაში სულ სხვა ბიჭი ვიყავი: როცა ამ გაკვე-
თილს მოგვცემდენ: „ბრუტუსის სიტყვა თავი-
სუფლებისათვის, სიტყვიერებაში სავარჯიშოთ,“
შაშინ ფრიცი პირველი იყო თავის ამხანაგებში

და რექტორიც იტყოდა: რომ გაწყობილი იყო-
სო და ასე ერთი მეორეზე არ იყოს მიურილი
აზრებით. — მაშინ მე ცეცხლი მედებოდა და
ლელს ვეცემოდი!... ახლა ერთმა ახალ-
გაზდა გოგოს თვალებმა ფეხ ქვეშ გამიგო.
რომ ვეღრ მოვშორებულვარ! იმისაც რომ
არ უნდა ჩემი სიყვარული!.. აჭ, არა,
ის სრულიად ვერ მომიძულებს! არც სრუ-
ლიად და არც ნახევრათ და არც ოდნათ. მე-
ტი მოთმენა აღარ შემიძლია. ნუ თუ მართა-
ლია, რაც ამ ცოტა ხანში ერთმა მეგობარმა
ყურში მითხრა, რომ იმასთან ლამით ჩუმათ
დადის ვრაც კაციო, როცა მე სახლიდგან
ზღილობიანათ გამოამისტუმრებს ხოლმე? არა,
ეგ მართალი არ არის, ეგ ხაძაგელი ტყუილია
და საზიზლარი ცილისწამება! კლერს ენი
უმანკოა, როგორც მე ვარ უბედური. იმან
მომიძულა, გული ამოირეცხა ჩემზედ. ამას
იქით როგორლა უნდა ვიცოცხლოვ ვერა, ვერ
ავიტან ამას. ჩემი ქვეყანა მაინც აღელვებულია
შინაური განხეთქილებით. იქ რომ პრიმოლაა

მე აქ უხეიროთ ვკდები. მე ამას ველარ მო-
უითმენ. საყვირის ცემა და თოფის გრიალი
მე ძვალსა და ტვინში გამიარდა ხოლმე! ის
მე ალარ გამამხნევებს. ის მე როდილა უამო-
მიწვევს, იარალს ხელი ვავლო, ამხანაგებში
ჩავდგე და ვიზრძოლო. საბრალო, სამარცხეინო
მდგომარეობავ! ის არა სჯობია, ბარემ ბოლო
მოვულო ამას? ამას წინათ წყალშივადავვარ-
დი, და მძირა, მაგრამ გაჭირებულმა ბუნებამ
თავი იმაგრა. მე ვიგრძნე, რომ ცურვა შემიძ-
ლია და უნებურათ თავი გადვირჩინე. რომ ვერ
ვივიწყებ იმ დროს, როცა იმას ვუყვარდი, რო-
ცა მეგონა, რომ მას ეუყვარდი. გამიჯდა მაშინ
ძვალში და ტვინში ეს ბედნიერება!....რათ მო-
მიწამლა ამ იმედმა ყოველივე ცხოვრების
სიტკბოება, რათ დამანახა შორიდგან სამოთ-
ხე? და ის პირველი კოცნა! ის ერთად ერთი!
აქ (ხელს სტოლზე დადებს), აქ ვიყავით ორივე,
მარტო, მარტო.... ის ყოველთვის მეგობრი: თ
და გულკეთილათ იყო. ჩემთან. ის თითქო
დამიტკბა, ისე შემომხედა. გრძნობა დავკარგე

და იმის ტუჩები ჩემ ტუჩებზე ვიგრძენ. და....
ახლა?... მოკვდი, უბედურო! რას უდგიხარ?
(ის ამოილებს ჯიბიდგან პაწაწა შუშას) ტყუვილად
კი არ წამომილიხარ ჩემი ძმის საექიმოდგან,
შენ, ჩემო მკურნალო საწამლაო. ეს სიმუხთ-
ლე, ეს თავბრუ, ეს სასიკვდილო ცივი ოფლი
შენ უნდა შთანთქა და განაქარო.

მეორე მოძველება.

ბრუსელის მოედანი
იეტტერ და ერთი დურგალი, მიღიან ერთათ
დურგალი.

წინათევ არ ვამბობდი, რომ ეს ასე იქნებოდა?
ამ რეა დღის წინათ ამქრობის წინ გამოვაც-
ხადე, რომ დიდი დავიდარაბა უნდა მოხოეს
მეთქი.

იეტტერ

ვითამ მართალია, რომ ფლანდრიაში იმათ
საყდრები გაცარცვესო?

დურგალი

საყდრები და სამლოცველები სულ ერთიანათ
გაუცარცვავთ: ოთხი ტიტველა კედლების მე-

ტი აღარა დაუტოვებიათ რა. ეგ სწორეთ მუ-
რტალი ხალხია, ჩვენი წმინდა საქმე იმან წა-
ახლინა. წინათ კანონიერათ და ბეჯითათ შეგ-
ვეძლო ჩვენი სიმართლეგამოგვეცხადებინა ჩე-
გენტინის წინაშე და მტკიცედ დავმდგარიყავით
იმაზე. ახლა ჩვენ თუ ხმა ამოვილეთ, ან შევიკ-
რიბენით, იტყვიან, რომ ჩვენ უდგებით ავაზაკებს.

იმტტერ

დიალ, ახლა ყოველი კაცი ასე ფიქრობს;
მაგრამ შენ შენი ცხვირით წინ რათ ეჩრები?
არ იცი, რომ ცხვირს კისერიც მიჰყვება?

დურგალი

მეშინია, ერთხელვე ალიაქოთი არ ატყდეს
ამ შავ ხალხში, რომელსაც დასაკარგავი არა-
ფერი აქვს. ისინი მიზეზათ იმასვე იღებენ, რი-
სთვისაც ჩვენ თვითონ უნდა ვმეცადინეობდეთ
და ქვეყანას ჩააგდებენ უბედურებაში.

სოხესტ (გამოდის)

გამარჯობა, ბატონებო. ახალი ამბავი რა
არის? მართალია, რომ ხატის მტვრეველები პირ-
დაპირ აქ მოდიან?

დურგალი

ისინი აქ ვერაფერს შეეხებიან.

სოდესტ

ერთი სალდათი შემოვეიდა ჩემთან თამბაქოს
საყიდლათ. იმას გამოვკითხე. თუმცა ჩვენი რე-
გენტინი ქველი და გონიერი დედაკაცია,
ამ შემთხვევაში კი თავის გონიერება დაუკა-
რგავს. ძალიან ცუდი ამბავი უნდა მომხდა-
როყოს, რომ თავის გუშაგებს უკან დამალუ-
ლა. ციხე-ქალაქი მაგრათ დაუჭრიათ. კიდევ
ფიქრობენ, რომ იმას ქალაქიდგან გაქცევა
უნდაო.

დურგალი

ის არ უნდა გაიქცეს! იმისი აქ ყოფნა ჩვენ
გვიფარავს და ჩვენ უფრო მეტს მფარველო-
ბას აღმოუჩენთ იმას, ვინამც იმისი გძელ წვერ-
ულვაშიანები. და თუ ის ჩვენს სიმართლეს
და თავისუფლებას მტკიცეთ დაიცვავს, მაშინ
სულ ხელით ვატარებთ.

მესაპონე (შემოდის)

ცუდი ამბავი, საძაგელი ამბავია! შფოთი

ატექილა და უკულმართად მიღის. მოე-
დანს თავი მოარიდეთ, რომ თქვენც ავაზაკე-
ბათ არ ჩაგთვალონ.

სოდესტ

აპა, საბერძნეთის შეიდნი ბრძენნი.

მესაკონე

შე ვიცი, რომ აქ ბევრია კალვინის მუნე-
ბის საიდუმლო მიმყოლნი, რომელნიც ეპის-
კოპოსებს გმობენ, და რომელთაც კაროლის
არ ეშინიათ. მაგრამ ერთგული ქვეშევრდომი,
გულწრფელი კათოლიკე... (იმათთან ყოველ
მხრიდამ გროვდება ხალხი ყურის საგ-
დებათ.)

ვანჭენი (შემოდის)

გწყალობდეს ლმერთი, ბატონებო. ახალი
ამბავი რა არის?

დურგალი

მაგ კაცს მოერიდეთ, ბოროტი კაცია.

იეტტერ

ევ ის მწერალი არ არის, დოკორ ვიტოს
რომ ყავს?

დურგალი

მაგას ბევრი უფროსი გამოუცვლია და რაღვან იმათ ყველას გამოუგდიათ მაგის ცუდ-კაცობის გამო, ახლა ნოტარიუსის და ადვო-კატობის ხელობა აუღია და სამიკიტნოს ბურ-ჯათ გამხდარა.

(ხალხი ემატება და დიდი გროვა დგება).

ვანზენ

თქვენც შეკრებილხართ, ერთ აზრს დაადე-
ქით. ეს ამბავი ყოველთვის ლირს სალაპა-
რაკოთ.

სოესტ

მეც აგრე მგონია.

ვანზენ

ახლა რომ ერთ ვისმე ვაჟკაცური გული
ჰქონდეს და მეორეს თავი ებას, ჩვენ შეგვე-
ძლებოდა ესპანიის ბორკილი სამუდამოთ და-
გვემტვრია.

სოესტ

უფალო, თქვენ აგრე არ უნდა ილაპარა-
კოთ. ჩვენ კაროლი შევფიცეთ.

ვანზენ

და კოროლმაც ჩვენ შემოგვთიცა, კარგად
შენიშნეთ ეს.

იეტორ

ღირს ყურის გდება. თქვით თქვენი აზრი.

ზოგიერთები

ყური უგდეთ! მაგას კარგათ ესმის. ეგ
გამოჩარჩული კაცია.

ვანზენ

მე ვმსახურებდი ერთ მოხუცებულ პატრონთან,
რომელსაც ჰქონდა პერლამენტები და წერილები
ძალიან ძველი დებულებისა, პირობებისა და გუ-
ჯრების შესახებ. იმას უყვარდა ძალიან ძვირფასი
წიგნები. ერთ იმათგანში დაწერილი იყო მთე-
ლი ჩვენი წესდებულება: პირველათ თუ რო-
გორ განგვაგებდენ ჩვენ ნიდერლანდელებს
ჩვენი საკუთარი თავადები, ყოველთვის ჩვენი
კანონისა, უფლებისა და ჩვეულებისამებრ;
თუ როგორი პატივის ცემა ჰქონდათ ჩვენს
წინაპრებს თავადის, როცა ის განაგებდა ისე,
როგორც იმისი ვალი და წესი იყო, და რო-

ვორი წინდასედეით პატრონობდენ თავის-
თავს, როცა ის მოინდომებდა საზღვარზე გა-
დასვლას. ყოველი მაზრა მუდამ მზათ იყო,
ამიტომ რომ ყოველს მაზრას, რაც უნდა
პატარა ყოფილიყო, მაინც თავისი გამგეობა და
ერობა ჰქონდა.

დურგალი

თქვენი ლრანჭი გააჩერეთ! ეს დიდი ხანია
ვიცით! ყოველმა წესიერმა მოქალაქემ რამ-
დენიც ხაჭიროა იმდენი იცის თავისი წესდე-
ბულებისა.

იეტორ

აცალე მაგას ლაპარაკი! რამე მომეცებული
ყოველთვის შეატყობის კაცი.

სომხი

ის სულ მართალს ამბობს.

გევრნი

მოყევი, მოყევი! მაგისთანას ყოველდღეს
ვერ გაიგონებს კაცი.

ვანზენ

თქვენ ქალაქის ხალხი ეგრე ხართ: თქვენ

მხოლოდ დღითი-დღე ცხოვრობთ; და რაკი
თქვენ თქვენი ძველებიდგან მიგილიათ თქვე-
ნი მოხელობა, თქვენ მთავრობისთვის მიგი-
ნებებიათ უფლება, როგორც იმას სურს, ისე
გმართოსთ, თქვენ არ ეკითხებით არც ჩვეუ-
ლებას, არც ისტორიას, არც გამგებლების
უფლებას; და ამ უზრუნველობის გამო ესპა-
ნიელებმა ყურჩე ბადე გადაგაცვეს.

სოესტი

მაგაზე ვინ ფიქრობს? ოლონდ კაცს დღი-
ური ლუკმა ჰქონდეს.

იეტტერ

ოხრობაა? რატომ დროზე არავინ მოდის და
არ გვეუბნება ამისთანაებს.

ვანზენ

მე თქვენ ეხლა გეუბნებით ამას. ესპანიის
კაროლს, რომელიც ბედნიერი შემთხვევით
უველა მაზრებს ერთად ჰქონდა, არ უნდა
შეეძლოს იმაზე მეტის ბრძანება და უფლება,
რაც უწინ თითოეულს პატარა მაზრის მთა-
ვარს შეეძლო. მიხვდით?

იგთმერ

ეგ აგვიხსენი.

ვანზენ

ეგ ისე ცხადია, როგორც მზის სინათლა. თქვენ რატომ თქვენი ქვეყნის კანონისამებრ არ უნდა გექმნესთ სამართლი? საიდგან უნდა წარმომდგაროყო ეს?

ერთი მოშალაშვი

ჭეშმარიტია.

ვანზენ

ნუ თუ ბრუსელელს სხვა სიმართლე არ უნდა ჰქონდეს ვინემ ანტვერპენელებს, და ანტვერპენელს—ვინემ გენტელს? საიდგან უნდა წარმომდგაროყოს ეს?

გეორგ მოშალაშვი

ჰო, ღმერთმანი!

ვანზენ

მაგრამ, თუ თქვენ ამას მიანებებთ თავს მალე სხვაც ბევრი უარესი დაგემართებათ. ფუ! რაც კარლოს გამბედავმა, ფრედერიკოს მებრძოლმა და კარლოს მეხუთემ ვერ შეს-

ძლეს, იმას ახლა ფილიპე ერთი დედაკაცის
ხელით ახერხებს!

ცოდნა

დიალ, დიალ! ძველმა მთავრებმაც კი სცა-
დეს ეგ.

კანზენ

სწორეთ! ჩვენ ძველებს თვალ-ყური ეჭი-
რათ მათზე. როცა ისინი თავის მთავარზე
უკმაყოფილოთ შეიქმნებოდენ, მაშინვე შვილ-
სა და მემკვიდრეს წართმევდენ და დაიჭერ-
დენ, და მხოლოდ უკეთეს პირობების გამორ-
თმევის შემდეგ დაუბრუნებდენ. ჩვენი მამები
კაცები იყვნენ! იმათ იცოდენ, რა იყო იმათი
საზრუნველი, იმათ იცოდენ, რა ჩაეგდოთ ხელ-
ში და რაზედ უნდა მდგარიყვნენ მაგრათ! აი პა-
ტიოსანი კაცები! იმათ წყალობით ჩვენი უფ-
ლება ასე ნათლათ არის გამოყვანილი და
ჩვენი თავისუფლება ასე დაცულია.

გესვარნა

თქვენ რას ლაპარაკობთ თავისუფლებაზე?

ხალხი

ჩვენს თავისუფლებაზე, ჩვენს უფლებაზე,
მოყევი რამე კიდევ ჩვენს უფლებაზე!

ვანზენ

განსაკუთრებით ჩვენ, ბრაბანტელები,
თუმცა ყველა მაზრებს თავისი საკუთარი უფ-
ლება აქვთ, ჩვენ მაინც უფრო დიდებულათ
დაფარული ვართ. მე ესეები ყველა შიკითხავს.

სოესტ

გვითხარი.

იეტტერ

გაგვაგონე!

ერთი გოგალაშვ

მე თქვენ გთხოვთ.

ვანზენ

პირველათ ასე სწერია: ბრაბანტის გერცო-
გი უნდა იყოსო ჩეენი კეთილი და ერთგული
უფალი.

სოესტ

კეთილი! ეგ ეგრე სწერია?

იეტტერ

თუ ღმერთი გწამს, ეგ მართალია?

ვანზენ

როგორც მოგახსენეთ. ის ჩვენი მოვალეა, როგორც ჩვენ — ამისი. მეორეთ: იმან ჩვენ წინააღმდეგ არას გზით არ უნდა იხმაროს მძლავრობა და თავისნებობა, არც სხვას მისცეს ამის ნება და არც აფიქრებინოს.

იეტტერ

შვენიერია, შვენიერი. არ უნდა იხმაროს.

სოესტ

არც სხვას მისცეს ნება...

ვინგ

არც კი აფიქრებინოს... ეს არის უმთავრესი: არას გზით არავის არც კი აფიქრებინოს.

ვანზენ

სწორეთ მაგ სიტყვებითაა წათქვამი.

იეტტერ

გვიშოვნე ეგ წიგნი.

ერთი მოხალავე

დიალ, ჩვენ უნდა გვქონდეს ეგ.

მეორე

წიგნი, წიგნი!

ვინდაცა

ჩვენ იმ წიგნით რეგენტინთან წავალთ.

სხვა ვინგე

ბატონო ლოქტორო, თქვენ მაშინ ჩვენ
მაყიერ უნდა ილაპარაკოთ.

გესავონე

ოჰ, სულელებო!

სხვაგი

კიდევ რამე გვითხარი იმ წიგნიდგან!

გესავონე

მე იმას კბილებს დავამტკრევ, ერთი სიტყ-
ვა რომ კიდევ თქვას.

ხალხი

ენახოთ, ვინ რას ჰქადრებს მაგას! გვითხარით
კიდევ რამე ჩვენ უფლებაზე. გვქონდა კიდევ
სხვა რამე უფლება?

ვანგენ

მრავალი და ძალიან კარგი, ძალიან სარგე-
ბნი. იქ სწერია აგრეთვე: მთავარს ასასუ-

ლიერო წოდების არც შეცვლა და არც გამ-
რავლება არ შეუძლია აზნაურობისა და ერო-
ბის ნება დაურთველათ. შენიშნეთ ესეც:
არც ქვეყნის გამგეობის გადასხვაფერება.

სოდესტ

ეგ ეგრეა?

ვანზენ

მე თქვენ გიჩვენებთ, რომ ეს ორასი-სამასი
წლის წინათ არის დაწერილი.

მოქალაქენი

და ჩვენ უნდა ვითმენდეთ ახალ ეპისკო-
პოსებს? აზნაურობამ დაგვიფაროს და ჩვენ
დავიწყებთ საჭმეს.

ვინავ

ჩვენ ინკვიზიციამ აფრე როგორ უნდა შე-
გვაშინოს?

ვანზენ

ეგ თქვენი ბრალია.

ხალხი

ჩვენ ეგმონტი კიდევ გვყავს, და ორანიე-
ლიცა. ისინი ზრუნავენ ჩვენი სიკეთისთვის.

კრებული

ვანგენ

თქვენმა ძმებმა ფლანდრიაში კარგი საქ-
მე გამოიწყეს.

მესაპონე

შენ ძალლო! (შემოკრავს)

სხვანი (ეწინალმდევებიან და ყვირიან) შენც ეს-
პანიელი ხარ?

ერთი ვინავ

რაო, პატიოსანს კაცს?

მეორე ვინმე

სწავლულს! (ეცემიან მესაპონეს).

დურგალი

ღვთის გულისათვის, დამშვიდლით (სხვანიც
შეერევიან ჩხუბში)

დურგალი

მოქალაქენო, ამას რას შვრებით?

(ყმაწვილები სტვენენ, ესვრიან ქვებს, უსევენ ძალ-
ლებს, მოქალაქენი დგანან პირდალებულნი. ხალხი მო-
რბის, სხვანი მიდი-მოდიან და აწვებიან, ზოგი ერეკება;

ყოველნაირი მასხარობა და ალიაქოთი ადგება, უკირიან
და ერთი ამბავი აქვთ).

სხვანი

თავისუფლება და უფლებანი, უფლებანი და
თავისუფლება!

ეგმონტი მოდის თავის ხლებულით.

ეგმონტი

დამშვიდლით, დამშვიდლით, ხალხო. რა მოხ-
და? დაწყნარდით, გაზავეთ ეგენი!

დურგალი

მწყალობელო ბატონო, თქვენ ციურ ან-
გელოზსავით მობრძანდით. (ხალხს) წყნარათ!
ვერ ხედავთ, ვინ არის? გრაფი ეგმონტი! გრაფი
ეგმონტს პატივი ეცით!

ეგმონტი

აქაც ეგრე? რას იწყებთ? მოქალაქენი მო-
ქალაქების წინააღმდეგ! ნუთუ ჩვენი მეფეური
გამგებელის სიახლოვეც ვერ მოგაშლევინებსთ
ამ უჭიუბას? გაზავდით, წადით, დაუჯექით
თქვენს ხელობას. ეს ცუდი ნიშანია, როცა

თქვენ საჭის დღეს არაფერს აკეთებთ. რა
იყო ამისთანა?

(არეულობა თანდათან ცხრება და ჩველანი გარს შე-
მოადგებიან იმას).

დურგალი

ესენი იბძეიან თავისუფლებისათვის.

ეგვიპტი

— ეგენი თავის უგუნურებით სულ დალუპვენ
იმათ — თქვენ ვინ ხართ? თქვენ მე რიგიანი
კაცები მვლნიხართ.

დურგალი

ჩვენი მეცადინოებაც ეგ არის.

ეგვიპტი.

რა ხელობისა ხართ?

დურგალი

დურგალი და ამქრის თავი გახლავარ.

ეგვიპტი

— თქვენა?

სოესტი

— მელუქნე.

ეგვიპტი

თქვენ?

იეტერ

დერძიკი.

ეგვიპტი

მახსოვს. თქვენ სადღესასწაულო ტანსაც-
მელები შეუკერეთ ჩემს მოსამსახურებს. თქვე-
ნი სახელია იეტერ.

იეტერ

გმადლობთ, რომ მაგისთან ები გახსოვთ,

ეგვიპტი

ვინც ერთხელ მინახავს ან ვისთანაც მი-
ლაპარაკნია, ის მე აღვილათ ალარ დამავიწ-
ყდება... რაც კი თქვენგან შეიძლება, ყო-
ველივე საშუალება იხმარეთ, რომ შვი-
ლობიანობა დაიცვათ. თქვენ ბევრს ცუდს
გწამებენ. კაროლს მეტს ზუღარ აჯავრებთ:
რაც უნდა იყოს, ძალა მაინც მის ხელშია.
წესის მოყვარე მოქალაქეს, რომელიც პატი-
ოსნათ და მომჭირნეთ თავს ირჩენს, ყოველ-

გან - იმდენი თავისუფლება აქვს, რამდენიც
სჭირია.

დურგალი

პო, დიალ. აი ეგ არის ჩვენი საწუხარი. არა-
მზადები, ლოთები, ზარმაცები, უკაცრაული
პასუხია თქვენ აღმატებულებასთან, უსაქმოე-
ბის გამო ავკაცობენ, შიმშილისგამო გამო-
ნახვენ უფლებაებს და ატყუებენ ამბის მოყვა-
რეებს და მსუბუქ გონებიანებს, და ერთს ჭი-
ქა ლუდის გულისათვის რევენ ხალხს, სტეხენ
დავიდარაბასა და რიმდენიმე ათას კაცს 'აგდე-
ბენ უბედურებაში. იმათაც ეს უნდათ. ჩვენ
კარგათ გვაქვს დაცული ჩვენი სახლები და
სკივრები; რომ შესძლებოდათ, ისინი იქიდამ
მუგუზლებითაც გამოგვრეკდენ.

ეგმონტ

ოქიენ ყოველივე შემწეობა მოგეცემათ.
ყოველი ლონისძიება მიღებულია, რომ ბორო-
ტებას მძლავრათ წინაღუდვენ. მაგრათ იყავით
უცხო მქადაგებლებთან და ნუ გჯერათ, რომ
აჯანყებით თქვენი უფლებანი გაამაგროთ.

შინ იყავით; ნუ მისცემთ ნებას, რომ ქუჩებზე
ხალხი შეგროვდეს. გონიერს კაცებს ბევრი
შეუძლია.

(ამასობაში ხალხის გროვა სულ დაიშლება).

დურგალი

გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, გმა-
დლობთ კარგი აზრისათვის! რაც შეგვიძლია
ყველას ვიქმთ (ეგმონტი გადის). მოწყალე კა-
ცია, ნამდვილი ნიდერლანდელია. ესპანიელე-
ბისა სრულებით არა აცხია რა.

იეტტერ

ოლონდ კი ეგ გვყოლოდა გამგებლათ,
ყველა სიამოვნებით დაუჯერებდა მაგას.

სოესტ

კაროლი ეგრე როდი ჰეფიქრობს. იმას ყოველ-
თვის თავისიანები ჰყავს აღგილებზე განწესე-
ბული.

იეტტერ

იმის ტანისამოსი დაინახე? ეგ ახალმოდის
არის, ესპანიურათ აქვს გაწყობილი.

დურგალი

შვენიერი კაცია.

ინტერ

მაგის ყელი ჩინებული ლუკმა შერხმლის-
თვის (პალახისთვის).

სოდესტ

გიჟი ხარ? რამ გაფიქრებინა?

ინტერ

სრულებით უტვინოა ის, ვისაც მაგისთანა
ფიქრი მოსდის. მე კი ახლა ეგრე მომდის.
როცა შეენიერს გძელს კისერს ვხედავ, უნე-
ბურათ მომდის ხოლმე თავში: „ეს კარგი მოსა-
ჭრელია. „დასწყევლოს ღმერთმა ამდენი დასჯაც
თავიდგან რომ აღარ მშორდება! როცა ყმაწვი-
ლები ცურავენ და მე ვხედავ იმათ ტიტველა
ზურგებს, მაშინვე ჯგუფ-ჯგუფათ მაგონ დებინ
ისინი, ვინც ჩემ თვალს წინ უმოწყალოთ გაუ-
ჯოხავთ. დიდ მუცელიანს რომ შევხედო,
ასე მგონია, მის შეწვას ვუყურებ. ლამით, სიზ-
მარში, ვგრძნობ თითქო ხელფეხს გაზებით
მგლეჯდენ. ერთი საათის მხილულება აღარ
მაქვს, ყოველი მხილულება და სიცილი სულ

დამაკიწყდა. ეს საშიში წარმოდგენაები თით-ქოს შუბლზე ცეცხლს მიკიდებდენ:

ეგმონტის სადგომი

გლივანი

(ქალალდებიან სტოლთან ზის. წამოდგება მოუსვენრათ).

რომ არ მოდის! ეს ორი საათია უცდი; კა-
ლამი ხელში მიჭირავს, ქალალდი წინ მაქვს;
და სწორეთ დღეს კი ჩქრიდება აღრე წასვლა.
ფეხის გულებზე ცეცხლი მიკიდია. ძლივს
ვითმენ. „დროზე აქ იყავიო“, მითხრა, წასვლის
დროს, და ახლა აღარ მოდის. ისე ბევრია სა-
კეთებელი, რომ შუალამემდის ვერ მოვრჩები.
მართალია, ის გულკეთილათ მექცევა, მაგრამ
ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, რომ ფიცხი იყოს
და აღნიშნულს დროს იქით კაცს თავისუფ-
ლებას აძლევდეს. შეიძლებოდა კაცს თავისი
სქმები კარგათ გაეწყო. რეგენტინისაგან ორი
საათია რაც ის გამოვიდა. ვინ იცის, გზაზე
ვინ შეხვდა.

ეგმონტი შემოდის.

ეგვიპტი

დღეს რა ამბებია?

ედივანი

მე მზათ გახლავარ და სამი შიკრიკი იც-
დის.

ეგვიპტი

მე შენ ნამეტანი გაგაჩერე; შენ უმკაყო-
ფილობა გეტყობა.

ედივანი

კარგა ხანია გიცდით, რომ თქვენი ბრძა-
ნება ამესრულებინა. ქალალდები აქ გახლავს.

ეგვიპტი

დონნა ელეირა ძალიან გამიჯაერდება, რო-
ცა შეიტყობს, რომ ამდენს ხანს გაგაჩერე.

ედივანი

თქვენ ხუმრობთ.

ეგვიპტი

არა, არა. ნუ გრცხვენია. შენ კარგი გემო
გჭონია. ის კეკელა ქალია, და მე ძალიან მე-
სიამოვნა, რომ შენ სასახლეში მეგობარი ქა-
ლი გყავს. წიგნები რას ამბობენ?

ედივანი

ბევრსა და სასიამოვნოს კი ცოტას.

ეგმონტი

მაშ კარგია, რომ მხიარულება ჩვენ შინ
გვქონდეს და გარედგან იმას არ ველოდეთ.
ბევრი საქმე მოვიდა?

ედივანი

საკმაო და სამი შიკრიკი იცდის.

ეგმონტი

ჯერ ყველაზე უფრო საჭირო მიამბე.

ედივანი

ყველა საჭიროა.

ეგმონტი

მაშ ერთი მეორეზე მოაყოლე. ჩქარა.

ედივანი

ასისთავი ბრედა გზავნის მოხსენებას კი-
დევ იმაზე, თუ რა მოხდა გენტაში და იმის
გარემო მდებარე ალაგებში. არეულობა თით-
ქმის დაცხრაო.

ეგმონტი

რასაკვირველია ის სწერს აქა-იქ მომ-

ხდარ უშეერობას და სულელობას?

გდივანი

ღიალ. მრავალი მაგისტანა ამბები მომხდარა.

ეგვანტ

მაგაებისაგან განმათავისუფლე.

გდივანი

ექვსი კაცი დაუჭერიათ, რომელთაც ვერვის
ლვთისმშობლის ხატი დაულეწიათ. ის ჰეკით-
ხავთ, ისინიც ისე უნდა ჩამოვახრჩობინო,
როგორც სხვებიო?

ეგვანტ

ამდენმა ჩამოხჩობამ დამდალა. როზგქვეშ
გაატარონ და გაუშვან

გდივანი

იმათში ორი ქალი ურევია. ისინიც როზგ
ქვეშ გაატარონ?

ეგვანტ

ისინი გააფრთხილონ და გაუშვან

გდივანი

ბრიკნს, ბრედის რაზმის კაცს, ცოლის
შერთვა სურსო. ასისთავს იმედი აქვს, თქვენ

ამაზე უარს იტყვით. ის იწერება, ჯარში იმდენი ქალებიაო, რომ როცა ლაშქრათ ავბარგდებით, სალდათების წყობას კი არა ბოშების ურდოს ვგავართო.

ეგმონტი

შეიძლება მაგასაც ნება მიეცეს ის მშვენიერი აგალგაზდა ბიჭია; ის ძალიან მეხვერწებოდა ამას, როცა მოვდიოდი. ჩაგრამ ამიერითგან არავის მიეცეს ნება, თუმცა მე ძლიერ მწყენს, რომ იმ საბრალოებს, რომელთაც უმისოთაც ბევრი შწუხარება აღვია, მე ამ ტკბილი თამაშობის ნებაც არ უნდა მივსცე...

გლივანი

ორი თქვენ მსახურთაგანი, ზეთერი და ლარტი, საძაგლათ მოექცენ ერთს ახალგაზდა, მეტრახტირე ქალს. ისინი დაეცენ იმას ზა გოგომ ვეღარ შესძლო იმათი მოვცერება.

ეგმონტი

ის თუ პატიოსანი. ახალგაზდა ქალი იყო და იმათ ძალა დაატანეს, სამს დღეს ზედის-ზედ ჯოხით სცემონ ისინი და თუ რამე საკუთ-

რება აქვთ, იმდენი წაერთოსთ, რომ ქალს
მზითევი შეუდგეს.

გლივანი

ერთი უცხო მქალაგებელთაგანი ჩუმათ
კომინის ქალაქით მიღიოდა და იქ დაი-
ჭირდეს. ის ჰეიცავს, განზრახვა მქონდა, რომ
საფრანგეთში წაცსულიყავი. ბრძანებისამებრ
იმას თავი უნდა მოეკვეთოს.

ეგვიპტი

გაიყვანონ ის ჩუმათ საზღვარს გარეთ და
შეაგონონ, რომ მეორეთ ასე აღვილათ ველარ
გადარჩება.

გლივანი

ერთი წიგნია თქვენი მოურავისაგან. ის
იწერიბა: ცოტა ფული შემომდისო, ძნელათ
შემეძლება ამ კვირის განმავალობაში გამოვ-
გზავნო რამდენიც გებძანათ იმდენი ფულიო.
აჯანყებამ უველა საქმეები ძალიან არია-და-
არიაო.

ეგმონტი

ეგ ფული მჭირდება. რაც უნდა ჰქონას, და
ფული კი უნდა გამომიგზავნოს.

გდივანი

ის აშბობს: შეძლებისამებრ ვეცდებიო და
ბოლოს უჩივლებ და დავატუსალებინებ რაი-
მონდს, რომელსაც ამდენი ხანი თქვენი ვალი
არ გადაუხდიაო.

ეგმონტი.

იმან ხომ დაგვპირდა გავისწორდებითო.

გდივანი

უკანასკნელათ იმან თვითონ თუთხმეტი
დღე ვადა ითხოვა.

ეგმონტი

თუთხმეტი დღე კიდევ მიეცეს და მერე
უჩივლოს.

გდივანი

თქვენ ეგ კარგათ ქენით. შეუძლებლობი-
სგამო კი არა, ის ცუდყაცობით არ იხდის.
რასაკვირველია, ის ჩახვდება გონებაში, რო-
ცა დარწმუნდება, რომ თქვენ ალარ ეხუმრე-

ბით. შემდეგ მოურავი ამბობს: მინდათ, მოხუცებულ სალიდათებს, ქვრივებს და სხვებს, რომელთაც თქვენ სამოწყალო ხარჯი დაუნიშნეთ, ნახევარი თვის ჯამაგირი დავუჭიროვ; შეიძლება იმათ შევატყობინოთ, როგორმე თავი გაიტანონ.

ეგვიპტი

როგორ თუ თავი გაიტანონ? ამ კაცებს კიდევ უფრო სჭირია ფული, ვინამც მე. ხელს ნუ ახლებს მავათ.

ედივანი

მაშ როგორ ბძანებთ, საიდან უნდა იშოვოს იმან ფული?

ეგვიპტი

ამაზე თვითონ იმან იფიქროს. წინანდელს წიგნში ეს კიდეც ნათქვამი აქვს იმას,

ედივანი

ამიტომაც წარმოგიდგინათ ეს აზრები.

ეგვიპტი

ეგ აზრი ან ვარგა, სხვა რამე უნდა მოი-

გონის, ისეთი, რომ მისაღები იყოს, და ყველაზე უწინ კი ფულები უნდა იშოვნოს.

გდივანი

ხელახლავ მომირთმევია თქვენთვის გრაფის ოლივასაგან მოწერილი წიგნი. მომიტევეთ, რომ ეს მოგავონეთ. ეს მოხუცებული კაცი ყველაზე უფრო ღირსას, რომ დაწვრილებითი პასუხი მისცეთ. თქვენ თვითონ გინდოდათ იმასთან წიგნის მიწერა. ეჭვი არ არის, იმას თქვენ, როგორც მამას, ისე უყვარხართ.

ეგმონტი

არ შემიძლია. ყოველს საძულველზე უფრო წერა მძულს. შენ ხომ კარგათ ჰბაძავ ჩემს ხელს, ჩემ მაგიერათ შენ მიწერ. ორანიელს ველი. წიგნს ვერ შივსწერ, მაგრამ მსურს კი, რომ იმის აღმფოთებულ წიგნზე დასამშვიდებელი პასუხი მისწერო.

გდივანი

მიბძნეთ დაახლოვებით თქვენი აზრი. მე პასუხს დაუსწერ და თქვენ წარმოგიდგენთ. ისე

დაიწერება, რომ სრულებით თქვენი ხელი
ეგონოს.

ეგონტ

მომეცი წიგნი (თვალს გადაავლებს). კეთილო
და პატიოსანო მოხუცო! ნუ თუ შენც თვი-
თონ შენს ყმაწვილობაში ასე წინდახედულიყა-
ვი? ნუთუ არასოდეს არ შევარდნილხარ ციხის
კედელზე? ბრძოლის დროს უკან დარჩენილ-
ხარ, როგორც გონიერება გირჩევდა?... ერთ-
გულო მზრუნველო! იმას ჰსურს ჩემი სი-
ცოცხლე და ბედნიერება და ის კი არ იცის,
რომ ის კაცი მკვდარია, ვინც თავის სიცოც-
ხლეს უფთხილდება! მისწერე, ჩემზე ნუ სწუხს.
მე ისე ვიქცევი, როგორც მოვალეობა მიბრძა-
ნებს, მე თავს გაუფთხილდები. იმან კი თავისი
გავლენა ხელმწიფის კარზე ჩემ სასარგებლოთ
იხმაროს და დარწმუნებული იყოს ჩემს გუ-
ლითად მაღლობაზე.

გდივანი

მეტი არაფერი? ა, ის მეტს ელის.

ეგმონტი

მე მეტი რა უნდა ვთქვა? სხვას თუ რასმე
იტყვი, ეს შენ იცი. ის სულ ერთს და იმავე
აზრს მიმეორებს: მე ისე უნდა ვიცხოვო, რო-
გორც ცხოვრება შეუძლებელია ჩემთვის. მხია-
რულათ ყოფნა, ყველაფრის არატრათ ჩაგდე-
ბა, მოსწრავებული ცხოვრება,—აი რა მიმა-
ჩნია მე ბედნიერებათ. და მე ამას სამარის გვარ
მყუდროებაში ვერ გავცვლი. ერთი ცვარი
სისხლიც არ სდის ჩემს ძარღვებში ისეთი, რომ
ესპანიურათ ცხოვრება შემეძლოს. გული ნე-
ბას არ მაძლევს, რომ ჩემი ცხოვრება კარის-
კაცების ახალს, თავ-დაჭრილ მიხვრა-მოხერის
კილოზე მოვმართო. ნუ თუ მხოლოდ იმის-
თვის ვცხოვრობ, რომ ცხოვრებაზე ვფიქ-
რობდე? ნუ თუ ახლანდელი წუთით არ დავ-
ტკბე, იმისთვის რომ ვიზრუნო შემდეგზე, და
ეს შემდეგი წუთიც სხვა ზრუნვას და ოცნე-
ბას უნდა მოვანდომო?

გდივანი

გევედრები, ნუ მოექცევით ამ კეთილ კაცს

ავრე გულ-ცივათ და მკაცრათ, თქვენ ხომ სხვებს ყველას მეგობრულათ ეპყრობით. პრძანეთ ერთი ტკბილი სიტყვა, რომ კეთილ შობილ მეგობარს გული დაუმშვიდო. ხედავთ, როგორ ზრუნავს თქვენთვის, როგორის მორიდებით გეხებათ.

ეგვიპტი

მაგრამ ის ყოველთვის ერთს და იმავე მხარეს ეხება. დიდი ხანია იცის, რომ მე ძალიან შძულს ამისთანა დარიგება. ის აბნევს კაცს და არაფერმი არგია. მე რომ მთვარისა მჭირდეს და საშიშარის, გზით სახლის წვერზე მივდიოდე, ნუ თუ მეგობრობა იქნება, კაცმა რომ სახელი დამიძახოს, გამაფრთხილოს და სიკვდილს შემამთხვიოს! ყოველი კაცი თავის ბილიკზე მიუშვი: თვითონ იზრუნოს თავის-თავზე.

ედივანი

თქვენ შიში კა არ გეკადრებათ, მაგრამ ვინც თქვენ გიცნობთ და ეისაც უყვარ-ხართ....

ეგმონტ (წიგნში ჩაიხსულავს)

ის კიდევ უწინდელს ზღაპრებს მიმეორებს იმაზე, თუ რა ვქენით და რა ვთქვით ერთხელ საღამოს, როცა მეგობრულმა ყრილობამ და ლვინობ მხიარულ ქეითზე მოგვიყვანა, და მერე რა შედეგი ჰქონდა ამას, რა გამოიყვანეს და რა ხმუბი დაჰყარეს მთელ სახელმწიფოში... კარგი, ვთქვათ ჩვენ სახუმროთ მოსამსახურებს ტანსაცმელზე მასხრის ქუდები და უიჯის ნიშნები მოვაქარგვინეთ, მერე ამ სასაცილო საგნების მაგიერ ისრების კონები დავაკერებინეთ: ეს უფრო საშიშ სიმბოლოთ შეიქნა იმათთვის, უინც აზრს და მნიშვნელობას იქ ეძებს, სადაც არათერი აზრი და მნიშვნელობა არაა. მხიარულ წამში ჩვენ ამისთანა გიჟობა ბევრი მოგვიგონია და აგვისრულებია. ჩვენი ბრალია კიდევ, რომ დიდ-კაცების გროვამ გლახის პარკით და უხეირო სახელის დარქმევით კაროლს დამცინეელი სიმდაბლით მისი მოვალეობა, გაახსენა. ეგ ჩვენი ბრალია... ახლა კიდევ რაო? ყველიერის

ლხინიც სახელმწიფო ლალატს ნიშნავს? მოკლე ჭრელი ტანსაცმელის ხმარებაც ცოდვათ უნდა ჩაგვეთვალოს, რომელიც ჭაბუკის გუნებას და მხიარულს გულს ართობს და ჩვენი სიცოცხლის ლარიბ უხეირობას ჰმალავს? თქვენ რომ თქვენს სიცოცხლეს სულ დაღვრემილი ატარებთ, რა გამოდის იქიდგან? თუ დილა ახალი მხიარულებისთვის არ გაგვაღვიძებს, თუ სალამო არავითარი სიამოენების იმედს არ მოვვცემს, ლირს განა ტანის ჩაცმა და გახდა? დღეს მზე განა იმისთვის მინათებს, რომ ვფიქრობდე იმაზე, გუშინ რა მოხდა, ან ვცდილობდე, გავიგო და გავაწყო ის, რაც არც გაიგება, არც გაიწყობა—ესე ივი ხვალინდელი ბედი. თავიდამ ამაცილე ამისთანა ფიქრები; მოწაფეებს და კარის-კაცებს დავანებოთ მაგისი ფიქრი. დაე იმათ იფიქრონ და ოცნებას მიეცენ, სადაც უნდათ წავიდენ, რაც უნდათ, შესწამონ ერთმანეთს, სანამდისაც შეეძლოთ—მიაწიონ, რაც მოახერხონ, ხელში ჩაიგდონ.. შენ ყველა ესენი ჩაწერე

და წერილის მაგიერათ თუ მთელი დიდი წიგნი არ შედგა, ეს ჩემთვის სასიამოვნო იქნება. მაგ კეთილ მოხუცებულს ყველა ესეები სამძიმო საქმეთ ეჩვენება. ამნაირათ იქცევა ის მეგობარიც, რომელსაც ჩვენი ხელი დიდხანს სჭერია ხელში; ის ერთს უკანასკნელათ კიდევ მრავალჭერს ხელს, თუ იცის, რომ მალე უნდა გაუშვაო.

გლოვანი

უკაცრავათ, მაგრამ ქვეითს კაცსაც ასე ესხმება თავბრუ, როცა ხელავს ეტლში მეტის-მეტი სიჩქარისგან ბრახა-ბრუხით მიმქროლავს კაცს.

ეგმონტი

ყმაწვილი ხარ, ყმაწვილი! თითქოს უხილავი სულის გარეკილი მიაქროლებენ მზის რაშები ჩვენი ბედის სუბუქ ეტლს. ჩვენ იმის მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ მხნეთ დავიჭიროთ აღვირი მძლავ ხელში და ხან. მარჯვნივ, ხან მარცხნავ, აქ ქვას, იქ დრანტეს ავაცილო ბორბლები. სად მიედიდართ, ვინ

იცის? ისიც ძლიერ ახსოვს კაცს საითგან მო-
დის!

გდივანი

ბატონი! ბატონი!

ეგვიპტი

მე მაღლა ვდგევარ, და შემიძლია და მო-
ვალეობაკა მაქეს, კიდევ უფრო მაღლა აფი-
წიო: გულში იმედს, მხნეობას და ძალას
ვგრძნობ: მეჯერ კიდევ არ ავსულვარ ჩემი სი-
მაღლის წვერზე: რაკი ერთხელვე იქ დავ-
დგები, მინდა მაგრათ ვიდგე, და არა კანკა-
ლით: თუ უნდა დავეცე, დამცეს მეხისტეხამ,
ქარიშხალმა, ან თუნდ შემცდარმა ნაბიჯმა
გადამიძახოს უფსკრულში; იქ მრავალი ათასი
კაცი ეგდება ჩემს ჩვერდით. მე არასოდეს, მცი-
რედი სარგებლობისთვის, ჩემ კარგ თანამებრ-
ძოლ ამხანაგებთან საზარელ ბრძოლას არ
ავაცილებულვარ. ნუ თუ თავი უნდა დავხა-
რო ახლა, როცა ცხოვრების სრულს და
ნამდვილ ლირსებაზე მივარდა საჭმე?

გდევანი

ოჰ, ბატონო, თქვენ არ იცით რა სიტყვა-
საც ბრძანებთ! ღმერთი იყოს თქვენი მფარ-
ველი:

ეგვიპტი

აკრიფე შენი ქალალდები. ორანიელი მოდის,
მოამზადე, რაც უფრო საჭიროა ისე, რომ ში-
კრიკები წავიდენ, სანამდის ჭიშკარი დაიკეტე-
ბოდეს. სხვები კიდევ მოესწრება. გრაფთან
გასაგზავნი წიგნი ხვალამდის იყოს. დროს
ნუ კარგავ, ელვირა ნახე და ჩემ მაგიერ თა-
ვი დაუკარი... შეიტყე. როგორაა რეგენტინი.
ის კარგათ არ უნდა იყოს, თუმცა ამას არ
იჩენს.

(მდევანი მიდის)

ორანიელი შემოდის

ეგვიპტი

კეთილი იყოს შენი მოსველა, ორანიელო.
თქვენ რაღაც ქეითზე არა ხართ.

ორანიელი

რას იტყვით თქვენ ჩვენ მოლაპარაკებაზე
რეგენტინთან?

ეგმონტ

მე იმის ქცევაში ჩვენი მიღების დროს განსაკუთრებული არა შემინიშნავს რა. წინა-თაც ბევრჯერ მინახავს ამგვარათ. მგონია, ის უქეიფოთ არის.

ორანიელი

არ შეგინიშნავთ, თითქოს უწინდელზე უფრო თავდაჭერილათ გვექცეოდა? ჯერ იმას უნდოდა მოეწონებინა ჩვენი ყოფაქცევა დაბალი ხალხის ახლანდელ არეულობაში. შეძლევ იმან გვითხრა, რომ შეიძლება ცუდათ ახსნან ეს ამბებიობა მერმე იმან ნელ-ნელა სიტყვა გადიტანა თავის ჩვეულებრივ ლაპარაკზე: რომ ჩემი სიყვარულით სავსე მოქმედება და მეგობრობა თვენ ნიდერლანდელებმა საკმაოთ არ დააფასეთო, არათურათ მიგანიათო, საწადელი ბოლო არაფერს მოებაო, ბოლოს შეიძლება ლონე გამომელიოს და კაროლის სხვა გზას დაადგესონ: ეს ხომ გაიგონეთ?

ეგვიპტი

სულ არა; მაშინ მე სხვაზე ვფიქრობდი. ის ქალია, ჩემთვი ძვირფასო ღრანიელო, და ქალებს ყოველთვის ჰსურსთ, რომ ყველამ თავი დაღუნოს მათ ალერსიან უღელს ქვეშ, რომ ყოველმა ჰერკულესმა ლომის ტყავი გაიძროს და გაამრავლოს მათი შულოს მკაცებლების რიცხვი. რადგან ისინი თვითონ მშვიდობიანი ხასიათის არიან, იმათ სურთ, რომ ხალხის ღელვა-დუღილი და საშინელი გრგვინვა, რომელიც ძლიერ მოპირდაპირებს ერთმანერთის წინააღმდეგ აუტეხიათ, ერთმა იმათმა ტკბილმა სიტყვამ დაცხროს და სულ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები იმათ ფეხქეშ ტკბილის თანხმობით შეერთდენ. იმასაც ეს უნდა. და რადგანაც ეს იმას არ უსრულდება, ის ეხლა ჯავრდება, უმაღურობას და გაუფრთხილებლობას გვაყვედრის და გვაშინებს მომავლის საშიშარი სურათებით, გვაშინებს... თავის აქედამ წასვლით.

ორანიელი

ნუ თუ არა გწამო, რომ ამ შემთხვევაში
ის თავის მუქარას აასრულებს?

ეგვიპტი

არაოდეს. რა ხშირათ მინახავს, რომ ის
წასასვლელათ აბარგებულა. ან სად უნდა
წავიდეს? აქ ის შტატჰალტერია, კაროლევაა;
ნუ თუ გვიჩვით, რომ ის აიტანს თავის ძმის
კარზე დავიწყებული დღითი-დღე ცხოვრებას? ან
წავიდეს იტალიაში და ჩაითარიოს ცხოვრება
თავის ბებერ ნათესავებში?

ორანიელი

თქვენ არ გვიჩვით, რომ იმას შეეძლოს
მაგნაირი გადაწყვეტილების მიღება, რადგან
თქვენ ხედავთ, რომ ის ყოვმანობდა, უკან
იხევოდა, მაგრამ ეს მხოლოდ თვითონ
იმაზეა დამოკიდებული. ახალმა შემთხვევებმა
ხშირათ შიტოვებული გადაწყვეტილება რომ
მიაღებინონ, მაშინ რა? ის რომ წავიდეს და
კაროლმა იმის მაგიერათ სხვა ვინმე რომ გა-
მოგზავნოს?...

ეგმონტი

რა უყოთ, ის მოვა და საქმე იმასაც აუჩნდება. ის მოვა დიდი პლანებით, მოსაზრებით და ფიქრებით, როგორ გააწყოს ყოველივე, დაიმორჩილოს და ერთ დონაზე დააყენოს. მაგრამ დღეს რაიმე პატაწა საქმე მიიპყრობს მის ყურადღებას, ხვალ მეორე, ზეგ ერთი რამ მცირედი დაბრკოლება. მთელ ერთ თვეს მოსაზრებათა შედგენაში გაატარებს, მეორე თვეს შწუხარებაში, რომ თავისი განზრახვა ვერ მოიყვანა ასრულებაში, და ნახევარ წელიწადს მოანდომებს მარტოთ ერთად-კრთი მაზრის ყურისგდებაში. იმასაც დრო გაეპარება, თავი დაურეტიანდება და საქმეები, როგორც აქამდის, იმნაირათვე წავლენ; ისე რომ გაშლილ ზღვაში ერთ დანიშნულ მიზნისკენ პირდაპირ გაფრენის მაგიერ, ის ღმერთს მაღლობას შესწირავს, თუ ამ ღელვაში თავის ხომალდი კლდეს მოარიდა.

ორანიელი

მაგრამ კაროლს რომ ურჩიონ ერთი საშუალების, ხმარება?

ეგვიპტი

რა საშუალების?

ორანიელი

ნახეო, რას იზამს ტანი უთავოთო.

ეგვიპტი

როგორ?

ორანიელი

ეგმონტ, მრავალი წელია, რაც გულში
მაქვს ჩვენი მოქმედება, მე ვდგევარ ყოველ-
თვის, თითქო ჭადრაკის მოთმა'მე, რომელ-
საც არც ერთი გამოსვლა მოკამათისა უბრა-
ლო არ ჰგონია; და როგორც მოცლილი
კაცები დიდის ყურადღებით აღევნებენ გო-
ნებას ბუნების საიდუმლოებას, მეც ეგრე
შთავრის მოვალეობათ და დანიშნულებათ
მიმაჩნია, შევიტყო ყველა პარტიების განზრა-
ხვა და აზრი. მე საკმაო საფუძვლები მაქვს,
ვიფიქრო, რომ რაღაც მზარდება. კართ-
ლი დიდი ხანია, ერთ გვარ საქციელს და აზ-
რებს ადგა. ის ხედავს, რომ ამით ვერ მი-
აღწევს, თავის განზრახვას; ძლიერ შესაძლე-

ბელია, რომ ეხლა იმან სხვა გზაზე დაღვი-
მა სკადოს.

ეგმონტი

მე ეგ არა მწამს. როცა კაცი ბერდება და
ხედავს, რომ ბევრი რამ სკადა და ქვეყანა
თავისებურათ მაინც ვერ მორთო, ის ბო-
ლოს ცდასაც თავს ანებებს.

ორანიელი

იმას ჯერ ერთი რამ კიდევ არ უცდია.

ეგმონტი

რა?

ორანიელი

ჟალხი დაზოგოს და თავადები კი ამოსწ-
უვიტოს.

ეგმონტი

რამდენია, რომ მაგის დიდი ხანია ეშინიათ
ფიქრი არ არის!

ორანიელი

უწინ ეგ მარტო ფიქრი იყო. თან და თან
ის ჩემთვის შესაძლო საქმეთ გადიქცა და
ეხლა ეს ჩემი რწმუნებაა.

ეგვაზტ

და კაროლს ვინ ყავს ისეთი ერთგული
მოსამსახურენი, როგორც ჩვენ?

ორანიელი

ჩვენ იმას ჩვენებურათ ვემსახურებით და
გამოვტყდეთ, რომ ჩვენ კარგათ ვიცით კარო-
ლის უფლებისა და ჩვენი სიმართლის შეწო-
ნება.

ეგვაზტ

მაგას ვინ არ იქს? ჩვენ იმის ერთგული და
მორჩილი ვართ ყოველფერში, რაც კი მას
ეყუთვნის.

ორანიელი

მაგრამ იმან რომ მეტი მოინდომოს და
მუხანათობა დაარქვას იმას, რასაც ჩვენ ჩვენს
სიმართლეზე დადგომას ეყძახით?

ეგვაზტ

ჩვენ შეგვიძლიან, თავი დავიცვათ. შეკრი-
ბოს-იმან ოქროს მატყლოვანი წოდების რა-
ინდები და ჩვენ ისინი გაგვასაშართლებენ:

ორანიელი

წარმოვიდგინოთ განჩინება გამოძიების უწინ
და საქმის გადაწყვეტა მის განხილვამდი.

ეგმონტი

ამისთანა უსამართლოებას ფილიპე არაოდეს
არ იყადრებს. ამ სიგიფეს მე ჩემს დღეში არ
შევსწამებ არც იმას, არც მის მრჩეველებს.

ორანიელი

და ისინი რომ უსამართლონი და გიუური
საქმის მომქმედნი შეიქნენ?

ეგმონტი

არა, ორანიელო, ეგ შეუძლებელია. ვინ
გაბედავს ჩვენ ხელი შეგვახოს? — ჩვენი დაჭე-
რა უჭკუო და უიმედო მოქმედება იქნება.
არა, ისინი ვერ გაბედვენ მტარვალობის დრო-
შის ეგრე მაღლა აწევას. ქარის ქროლა, რო-
მელიც მთელ ქვეყანაზე მოჰყენდა ამ ამბავს,
აღძრავს საშინელ ცეცხლს. ან რა მიზანი უნ-
და ჰქონდესთ. კაროლი ხომ შარტო თავის
თავით ვერ გაგვასამართლებს და დაგვესჯის. ნუ
თუ ისინი მოინდომებენ ჩვენს ჩუმათ მოკველას?

იმათ არ შეუძლიანთ ამისი ფიქრი. იმავ წამს ხალხი საშიშარი კავშირით შეერთდება. ფიც-ხათ ატყვება სიმძლვარე და საუკუნოთ დაშორება ესპანიელების სახელისა.

ორანიელი

ცუცხლის ალი ჩვენ სამარეზე ავარდება და ჩვენი მტრის სისხლი დაიღვრება, როგორც უსარგებლო შენდობის მსხვერპლი. ეგმონტ, დაწყიქრდეთ ამაზე.

ეგმონტ

მაგრამ ისინი როგორ იქმენ?

ორანიელი

ალბა მოდის.

ეგმონტ

მე ეგ არა მწამს.

ორანიელი

მე ეს ბეჭითად ვიცი.

ეგმონტ

რეგენტინი აკი ამბობდა— მაგისი არა ვი-
ცი რაო.

ორანიელი

მით უფრო დარწმუნებული ვარ. რეგენ-

ტინი იმას ადგრლს დაუთმობს. იმის მომაკვ-
ლინებელ განზრახვას კარგათ ვსცნობ და თან
ჯარიც მოჰყავს.

ეგმონტი

ხელ ახლავ უნდა გასრისოს მაზრები? ხალ-
ხი ძალიან აჯანყდება.

ორანიელი

მოთავეებს ხელში იგდებენ.

ეგმონტი

აჰ, არა!

ორანიელი

მოდი, ჩეენ წინდაწინვე მაზრაში წავიდეთ.
იქ გავმაგრდეთ, ძალას ხომ ვერ იხმარს.

ეგმონტი

განა ჩეენ არ უნდა შევეგებოთ, როცა
მოვა?

ორანიელი

დავიგვიანოთ.

ეგმონტი

და მოსველის დროს, კაროლის სახელით
რომ დაგვიბაროს?

ორანიელი

მიზეზი მოვიგონოთ.

ეგვიპტი

და მაინც რომ დაგვაჩქაროს!

ორანიელი

ბოლიში მოვითხოვოთ.

ეგვიპტი

მაინც რომ თავისაზე დადგეს?

ორანიელი

მით უფრო აღარ უნდა მივიღეთ.

ეგვიპტი

მაშინ ომი ატყდება და ჩვენ ხელმწიფის
მოღალატეები შევიქნებით. ორანიელო, ნა-
მეტანი სიფრთხილით თავს ნუ მოიტყუებ.
მე ვიცი, რომ შიში ვერ დაგწევს უკან. მაგ-
რამ იფიქრე სად მიღიხარ.

ორანიელი

მე ეს მოფიქრებულიც მაქვს.

ეგვიპტი

იფიქრე, რომ შესცდე, შენიქნები დანაშაული
ისეთს დამამხობელ ბრძოლაში, რომ იმის-

თანა ჩვენს ქვეყანას არ ენახოს. შენ უარის ყოფას მაშინვე უნდა მოჰყევს ყველა ჩვენი მაზრების შეიარაღება; ამით ყოველს, სიფიცეს გაამართლებენ, რომლისთვისაც ესპანიელები დიდიხანია ცდილობენ, რამე მიზეზი იპოვონ. რაც ჩვენ დიდი ხნის შრომით დავაკავეთ, იმას ერთი შენი თავის დაქნევა საზარლათ არევს და ააშფოთებს. მოიფიქრე, რა დაემართება ქალაქებს, აზნაურობას, ხალხს, გაჭრობას, მეურნეობას და მოხელობას! მოიფიქრე, რა გაოხრება, რა სისხლის ღერა მოხდება! გულგრილათ უყურებს მხედარი თავის ამხანაგის სიკვდილს ბრძოლის ველზე. მაგრამ როცა მდინარეები თვალ წინ გაგიტარებენ ლეშებს მოქალაქეთა, ყრმათა, ახალ-გაზდა ქალთა, შენ განცვითრებისაგან გაშეშდები და აღარ გეცოდინება, ვის გულისათვის იბრძვი: ამიტომ რომ გაწყდება ყველა, ვის თავისუფლებისთვისაც იარაღი აგილია. და როგორ გუნებაზე იქნები, როცა შენ თავს ჩუმათ უნდა

უთხრა: „ჩემის თავის მზრუნველობას შევწინორე ესენიო!“

ორანიელი

ეგმონტ, ჩვენ ხომ უბრალო კაცები არა
ვართ, თუ ჩვენ მოვალე ვართ; ათასი კაცისა-
თვის თავი გაეიძეტოთ, აგრეთვე იმის მოვა-
ლეობაშიაც უნდა ვიყოთ, რომ ათასს კაცს
შეუნახოთ ჩვენი თავი.

ეგმონტ

ვინც თავის-თავს იფარავს თავის-თავზედაც
ეჭვი უნდა ჰქონდეს.

ორანიელი

ვინც თავის-თავს იცნობს, იმას გულმტკი-
ცეთ შეუძლია წინაც წაღვეს და უკანაც დაი-
წიოს.

ეგმონტ

ის ვნება, რომლისაც შენ გეშინიან, აუცი-
ლებელი შეიქნება შენი წასელით.

ორანიელი

გონიერება და უშიშრობა ის არის, რომ
აუცილებელს ავს პირდაპირ წინ შეხვდე.

ეგმონტ

დიდს გაჭირვებაში ძალიან მცირედ იმედ-
ზედაც კი უნდა დაფიქრდეს კაცი.

ორანიელი

ჩვენ ოდნა ნაბიჯის წინ გადადგმაც აღარ
შევვიძლია: ღრმა უფსკრულია ჩვენს წინ.

ეგმონტ

კაროლის მოწყალებას ნუ თუ ეგრეთი ვი-
წრო ნიადაგი აქვს?

ორანიელი

ვიწრო კი არა, ერთობ საბორბიკოა.

ეგმონტ

ღმერთს ვფიცავ, უსამართლოთ ეწამებიან.
ვერ მოვითმენ, რომ იმაზე აგრე დაბალი
აზრისა იყოს ვინმე. ის კაროლის შვილია და
არავითარი სულის სიმდაბლე იმასში არ იქ-
ნება.

ორანიელი

კაროლის მოქმედებას სიმდაბლე არ ჰქვია.

ეგმონტ

უნდა ისწავლოს კაცმა იმის გაცნობა.

ორანიელი

ეს ცოდნა გვირჩევს, რომ ახალს საშიშის
ცდას თავი დავანებოთ.

ეგვიპტი

არავითარი ცდა არ არის საშიში, თუ კაცს
იძღვნი მხენეობა აქვს, რომ გამოსცავოს.

ორანიელი

შენ აჩქარებული ხარ ეგმონტ.

ეგვიპტი

მე ჩემი თვალებით უნდა ვნახო

ორანიელი

აჰ, ამ შემთხვევაში ნეტა ჩემი თვალითა
იცქირებოდე! მეგობარო, შენ თუ რომ თვა-
ლი გახელილი გაქვა, დარწმუნებული ხარ,
რომ მართლა ხედავ. მე მივდივარ. მოუცადე
ალბის მოსვლას და ღმერთი იყოს შენი შემ-
წე. იქნება ჩემმა უარის ყოფამ დაგიფაროს.
იქნება ვეშაპმა იფიქროს, ხელში არა მყავს
რაო, სანამ ორივეს ერთად ავ ხელში
არ ჩაგვიგდებს და არ გადაგვეყლაპავს. იქნება
ის, თავის განზრახვის უკეთ ასასრელებლათ,

არ აჩქარდეს, და ამასობაში იქნება შენცა
დაინახო ჭეშმარიტი მდგომარეობა საქმისა.
მაგრამ მაშინ კი ჩქარა! თავს უშველე! მშვი-
ლობით—არაფერი არ გამოეპაროს შენ და-
კვირვებას: რამდენი ჯარი მოიყვანოს თან,
როგორ დაიჭიროს ქალაქი, რამდენი უფლე-
ბა დარჩეს ხელში რეგენტინს, როგორ გზას
დაადგებიან შენი მეგობრები. შენი ამბავი
უოველივე მაცნობა.—ეგმონტ.

ეგმონტ

რა გინდა?

ორანიელი (ხელს ჰყიდებს)

დამიჯერე, წამოზი!

ეგმონტ

როგორ, ორანიელო, სტირი?

ორანიელი

დაკარგულ მეგობარზე ტირილი, ვაჟკაცსაც
შეეფერება.

ეგმონტ

შენ ჩემი თავი დაკარგული გვონია?

ორანიელი.

დიახ. მოიფიქრე. ცოტა დრო დაგრჩა. მშეი-
ღობით. (მიღის).

ეგვიპტი (მარტო)

განა სხვის ფიქრს ამისთანა გავლენა უნდა
ჰქონდეს ჩვენზე? ეს მე ჩემს დღეში არ მოჰ-
სვლია. და ამ კაცმა თავისი შიში მეც ჩამიგ-
დო გულში.... იქით! — ეს უცხო წვეთია ჩემს
სისხლში შემოტანილი. კეთილო ბუნებავ,
განაგვე ის შენი გვამიდან! და ჩემს შუბლზე
შევი ლრუბელის გადასაწმენდათ, ერთი სასა-
მოვნო საშუალება კიდევ დამრჩენია.

Tbilisi University Library

გვართა ბრძოლა საქართველოში

კახეთი

უწინდელს კახეთს ეჭირა ალაზნისა და იორის ორივე კიდეები და ჭალები სათავიდგან მოკიდებული იმათ შესართავამდის მტკვართან ამას გარდა აღმოსავლეთის კიდე არაგვის სათავიდგან მოკიდებილი იმის შესართავამდის მტკვართან. ახლა ეს ქვეყანა ორ დიდ უეზდათ არის გაფოფილი — თელავისა და სიგნახისა. ამას გარდა ნახევარი ნაწილი დუშეთის უეზდისა და ტფილისის უეზდის ნაწილიც მტკერის ჩრდილოეთით, არაგვიდგან მოკიდებული სიგნახის უეზდამდე, უწინდელს კახეთის ქვეყნებს შეადგენდა.

ძველათ კახეთი განიყოფებოდა შემდევ ნაწილებათ: არაგვის აღმოსავლეთის ნაწილს ჟინვანსა (Жинвани) და ანანურს (Ананури)

ქვეით მტკვრამდის ეწოდებოდა კუხეთი; იო-
რის ხეობას: ერწო თიანეთს (ერჭი, *Tio-
nemys*), საგარეჯომდის (Сагареджо) ეწოდე-
ბოდა გარეთ კახეთი, ანუ ხერკი და საგურა-
მო. ალაზნის ხეობის დაყოლება მტკვრის შე-
სართავამდის იყო კახეთი და ჰერეთი. ჩრდი-
ლოეთის ნაწილს თურდოდა და შტორის ხე-
ვამდის (p. *Tyrdö u p. Шторх*) ერქვა კახეთი;
იქიდგან დაწყებული სამხრეთისაკენ მტკვრამ-
დის ერქვა ჰერეთი. ამსახით კახეთი შეიცავ-
და ახლანდელს თუშეთის ქვეყანას და ფშა-
ვეთს; რომელიც ფშავის არაგვზე იყო ჩეყო-
ლებული ქინვანამდის, აგრეთვე ალაზნის შუა
წელს პანკისის (p. *Панкис*) სამხრით თურ-
დოსა და შტორის ხევებამდის, რომელსაც
შიგნით კახეთს უძახოდენ. ამ შიგნით კა-
ხეთის ერთს ნაწილს ალაზნის აღმოსავ-
ლეთით ლეკეთამდის აქამომდე უძახიან გაღ-
მა მხარს. ჰერეთის ნაწილები იყო ჭარი,
ბელაქანი, კაკი, ელისენი—სულ ესეუბი ახლა
შეადგენენ ზაქათალის მაზრას (Закаталыскii)

ოკრუებ)-და ქიზიყი, აგრეთვე შაქი, და ყარა-
ალაჯი სულერთიანათ მტკვრამდის, რომელნიც
ახლა შეადგენენ სიგნახის უეზდს და განჯის ნა-
წილს (Элисаветпольская Губерния). ამას
გარდა საზოგადოთ კახეთის ნაწილათ ითვლე-
ბოდა დიდოეთი (Аидицкая котловина).
ეს ქვეყანა მდებარებს დიდს კავკასიის ქედს
გადაღმა გრემისა და ყვარელის პირისპირ.
დიდოელები აქამდის კერპთაყვანის მცემლები
არიან, იმათი ქვეყანა ისე მწირია, როგორ
მაღრან-დვალუთი და ხევი, უჭირავს ძლიან
მაღალი მთათსავანე (котловина).

ვახუშტი მოგვითხრობს შემდეგ ზეპირ გად-
მოცემას ამ ხალხზე: როცა დიდმა ალექსან-
დრემ (მაკედონელზეა ლაპარაკი) დაიჭირა სარ-
კინეთი, გახერრტეს კავკასიის ქედი ამათ (და-
დოელებმა), წავიდენ და დაეშენენ იქ, სადაც
დღეს არიან. იმიერითგან აქამომდე დგანან
იმავე რჯულზე და წესზე, ამას ამტკიცებს იმა-
თი ახლანდელი ზნე და ქცევა. იმათ არ იცი-
ან ერთარსი ლმერთი, ნათესავი და ნათესაო-

ბა. ყოველს სულიერს სჭამენ: მამა მოგვირის
თავის პაწაწა შვილს ცოლს და სანამდის შვი-
ლი ასაკში არ მოვა, მანამდის მამას ჰყავს და
ცოლათ მიაჩინა. როდესაც შვილი გაიზდე-
ბა, მაშინ ამ დედა კაცს შვილს მისცემს ცო-
ლიად და რაც შვილები ამ დედა-კაცთან ეყო-
ლა, ნახევარი თავის თანა ჰყავს, ნახევარს ეძასნდე
მისცემს. მოთავეთ ჰყავთ მოხუცებულნი რომე-
ლნიც ბჭობენ ე. ი. სამართალს აჩენენ, განაგე-
ბენ და შფოთს აწყნარებენ ხეობებში; ბრძოლა-
ში წინ ვერ წავლენ, მშიშარანი და უძლურნი
არიან, ცუდი ტანისამოსი აცვიათ, ცუდი იარა-
ლი აქვთ, ყველას შავები აცვია: შალი და ნაბა-
დი. ტყავს აკეთებენ, იციან უხაო, შალის
ქსოვა და თელვა, აკეთებენ შვენიერს გრძელ
ბეწვიანს შავს ნაბდებს; მჭედლობენ ხარატო-
ბენ, თლიან კარგს ფიცრებს და იციან ფა-
ცრული სახლების შენება. ისინი კახეთის მე-
ბატონეებს აძლევდენ ძეელითგანვე ხარჯს,
ჯარის კაცს კი არ აძლევდენ, ომში გამოუ-
დეგრობისათვის. იმათი ქვეყანა ისეთს მაღ-

ლობზეა, რომ თითქმის არა მოდის რა; ამის-
თვის თავს ირჩენდენ ნახელავის გაყიდვით
კახეთში და იქვე დღიური მუშაობით.

ალაზნის ხეობა-ჰერეთი და კახეთი
კაკი, ელი სენი, ყარა-ალაჯი, ქიზიუ
და კახეთი.

ალაზნის შესართავს ზემოთ აღმოსავლე-
თიდგან დასავლით ერთეის ალაზანს გიშის
წყალი (*p. Aäru-kaa*), რომლის პირათ გაე-
კერის შემახითგან წამოსული გზა სიგნახს.
სპარსელები და თათრები ძველითვანცე ამ
გზით შემოდიოდენ კახეთში. გიში (*Kissz-kum-
laxz*) არის კავკასიის მთის ძირში დალის ტა-
ნის მხარეზე ძველი ნაჭალაქევი, სადაც იჯდა
ეპისკოპოსი შაქისისა და წუქეთისა. ამას ზე-
მოთ ალაზანს ერთეის ქურმუხის ხევი (*Kyrmukhi-
kaa*), რომელზედაც კავკასიის მთის ძირს იყო
სიმაგრე ქურმუხისა. ახლა ამ დაბას ქძახიან
ელიუს (*Elyssy*). მეთექვსმეტე საუკუნის გა-
სულს ვახვახიშვილი მიწიდა შაჰ-აბასთან, გა-

მაჰმადიანდა და ამის გამო თურმე ესწუქე-
თის საერისთავო წაართვა შაჰ-აბასმა კახეთის
მეფეს ალექსანდრეს და ვახვახიშვილი გაასულ-
თნა. ამავე მდინარეზე არის სოფელი კახი.
ამბობენ, ძველათ ეს იყო ქალაქი და იმისგან
დაერქვა მთელ ალაზნის ხეობას კახეთიო.
შემდეგ ჩამოდის კავკასიის მთითვან ფიცინე-
თის წყალი (*p. Джара-чай*). ამ წყალზე მდე-
ბარებდა ფიცინეთი, საღაც ლევან მეფემ და-
სახლა ლეკები, რომელნიც უზიდავდენ ყი-
ნულს კავკასიის მთიდგან. არჩილ მეფის შემ-
დეგ ლეკებმა გაამაგრეს ეს ადგილი, დაარქვეს
სახელათ ჭარი (*Джары*) და დაიწყეს თავისუ-
ფლებისათვის ბრძოლა კახეთის მეფეებთან. ამ
ბრძოლაში ჭარალებმა ძალიან ისახელდეს თა-
ვი. დაამკვიდრეს თავის საკუთარი საერო უფ-
ლება, გამგეობა, რესპუბლიკური დაწყობილე-
ბა, რომელმაც მოატანა ჩვენ დრომდის. მე-
ორე სახელოვანი ლეკების საზოგადოება იყო
ბელაქნისა, რომელიც მდებარებს ბელაქნის
წყალზე. ამ ორმა საზოგადოებამ დაიმორჩი-

ლა კახეთის ნიწილი, ესე იგი წუქეთის საერისთოს ნახევარი, ქართველები გაამაჰმადიანა და თავის მოხარჯეთ გახადა. ამათ ეწოდება ინგილო (ახალმიქცეულნი). ამსახით ჩვენ ვხედავთ საქართველოს საზღვარზე ორს სახელოვანს ლეკის საზოგადოებას ჭარ-პელაქნებს, რომელნიც განიგებოდნენ არისტოკრატულ რესპუბლიკის წესდებულებისამებრ. აქვე ჭარის მახლობლათ არის ზაქათალა, ახლანდელი მაზრის ქალაქი. ზემოხსენებული ორი საზოგადოების ისტორიისა და დაწყობილების შესწავლა ძალიან საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ახალგაზდობისათვის. ქურმუხის წყალსა და გიშის წყალს შუა ქვეყანას ალაზნამდე და კავკასიმდე უწოდებდენ ელისენს. ეს ქვეყანაა ძალიან ნაყოფიერი, ხეხილი ტუეთ არის მოდებული. აკეთებენ ვენახს მოდის აბრეშუმი, ბრინჯი, ბამბა. აქ ზაფხულნაშინია და ცაცელი; მაგრამ რომელიც მაღლობი და მთის კერძა ადგილებია, იქ ძალიან კარგი გრილი ჰავა იცის; ზამთარს ჭალებზე კარგი

ჰავაა, თოვლი და ყინვა არ იცის, მაგიერათ
მთების მხარეს ძალიან ყინვეს და დიდი-
თოვლიც მოდის. ალაზნის შესართავიდან მო-
კიდებული იმის დასაცლეთის კიდეზე ყარა-ალა-
ჯამდის (*Кара-Алай*) მიიღრისება კლდე, რომელ-
საც ალაზნის მხარე ტყიან ბალახიანი აქვს,
ეწოდება უფადარი (*Падары*) და ძალიან ბევ-
რი სხვა და სხვა ნაღირიც იცის. ამ კლდის
თავზე დაეფინება შირაქის მინდორი და წინა
მინდორი (*Эль-Мары*). ყარა-ალაჯის ჩრდილოით
არის ბოდბის-ხევი, რომელიც გამოდის ცივი-
სის მთის ბოლოს (*Гомборский хребет*). ამ
ხევზე არის ბოდბეს ეკკლესია. აქ მიიცვალა
წმინდა ნინო. უწინ აქ იჯდა ეპისკოპოსი,
რომელსაც ჰქონდა სასპასპეთო დროშა (*ბაი-
რალი*). მთელი ქიზიყი იმის საღროშო იყო.
ბრძოლაში ჯარს ყოველთვის წინ უნდა გაძ-
ლოლოდა. ბოდბეს ზევით, მაღაროს, იყო მე-
ფის სასახლე. ბოდბის ხევს ზემოთ არის უე-
ზდის ქალაქი სიგნახი, ძველათ ჭოეთი მაგარი
ციხითოური. ცივისის ანუ გომბორის მთიდა-

გან ჩამოსულს მთას, ფუჩტის გზის სამხრე-
თით, ქვაბების გორას ეტყვიან და უწინ ეძა-
ხოდენ კამბეჩოვანს. რაღაც აქ ძალიან მრავ-
ლობდენ კამბეჩები, მერე დაარქვეს ქისიყი,
და ამ სახელით იწოდა მთელი ქვეყანა ალაზნის
დასავლით მტკვრამდის. ბელაქნის წყალს
ზევით ერთვის ალაზნს მაწის წყალი (*Ma-
zavts-pani*); ამ წყლის სათავეში არის მაგარი
ხუნზახის ციხე. მაწის წყალს ზევით მაღ-
ლობს ველზე არის ლაკვათის ციხე, რომე-
ლიც ალაშენა არჩილ მეფემ და ახლა ეწოდა
ლაგოეთი (*Kr. Lagodech*); შემდეგ მიჰყვება
ალაზნის მდინარის გაყოლება — თითქოს ერთ-
ხაზზე — კართუბტნის ციხე, გორის წყლის ციხე,
მერე ვეჯინის ზემოთ მთის კალთაზე კიდევ
ციხე, ამას ზეით მოერთვის ალაზნს ყვარე-
ლის წყალი, რომელზედაც არის მაგარი ყვა-
რელის ციხე ავებული; აქ მთაში არის ნეკრი-
სი — ძველათ ქალაქი. აქ ცხოვრებდა ასურე-
თიდგან მოსული ერთი მეტამეტე მამათავანი
დიბოს, რომელიც გახდა ეპისკოპოსათ და

ეჭირა გაღმამხარი დიდოეთიანი ნეკრესს მე-
თერამეტე საუკუნოს გასვლამდის იჯდა ეპის-
კოპოსი და ჰქონდა სასპასპეტო დროშა,
რომელსაც მორჩილებდენ გაღმა მხარი და
ელისენი ყვარელის წყლის შესართავს ზევით
არის ჭერამის წყალი, რომელიც გამოდის ცი-
ვისის მთითგან; ამ წყალზე არის ველის ცი-
ხე. ამ წყალზედვე ააშენა ვახტანგ გორგას-
ლანმა) ჭერამის ქალაქი, დააშენა საუპისკოპო-
სო ეკკლესია. აქ იყო შიგნით კახეთის მწყემ-
სი ეპისკოპოსი. ჭერამის წყალს ზევით არის
გრემის ხევი, რომელიც გამოდის დიდოეთის
მთითგან და ჩარბის ალაზანში. ამ წყალზე იყო
უწინ ქალაქი გრემი, ახლაც არის. შვენიერი
გუმბათიანი ეკკლესია, სადაც ლევან მეფე
დაფლული. გრემის ხევს ზემოთ ჩამოდის
ლოპოტის ხევი, სადაც არის უზარმაზარი
კლდისაგან ბუნებით გაკეთებელი ციხე, შეუ-
ვალი.

ლოპოტის წყლის შესართავს ზეით ალაზანს
მოერთვის დასავლეთით თურდოს ხევი, რომ

მელიც გამოდის ცივიგომბორის მთითვან. ამ ხევის სამხრეთით საგარეჯომდის ეს მთა არის ჰერეთისა. ზურგი აქვს უტყეო, ბალახ-ყვავილიანი, კალთები ტყიანი და ნაღირიანი. თურდოს მდინარეზე გადადის გომბორის შტაბ-კვარტირითვან ერთი საურმე გზა თელავს. ჰერეთის მთას ეძახიან ცივისის მთას, რაოგან ძირს მთის იქით-აქეთი ჭალები ალაზანსა და იორის პირათ ძალიან ცხელია, მთის ქედზე კი გრილა. თურდოს ჩრდილოეთით ამ მთას ეძახიან გომბორის მთას და თურდოს სამხრეთით ცივისის მთას. ორივეს ერთად ჰქვია კახეთის მთა. თურდოს სამხრით მდებარებს ჭალაქი თელავი, რომელიც პირველმა კახეთის მეფემ კვირიკემ გაშენა და გახადა სატახტო ჭალაქად. იქ არის მეფის სასახლე და ციხე. ამჟამათ თელავი არის უეზდის ჭალაქი, სადაც მეფის სასახლე გადააკეთეს ჭალების სასწავლებელათ. თურდოთ ჩრდილოეთით არის იყალთო, რომლის მახლობლათ არის მონასტა-

ტერი, საღაც დაფლულია ერთი მეცამეტე სირიელთ შამათაგანი წმინდა ზენონ. მეცნიერი არსენი, რომელმაც თავი იჩინა მეთერთმეტე საუკუნეს, იყალთოელი იყო. ამის ჩრდილოეთ არის შტორის ხევი კავკასითგან შომდინარე, რომელიც ერთვის ალაზანს. ამ ხევზედ არის მაგარი ციხე თოროლისა. კახეთის მთის კალთის ველზე ალაზნის პირათ არის ძალიან მაგარი დიდი ციხე ალავერდი. აქ იყო ხაეპისკოპოსო კახეთის ქვეყნისა კავკასამდე. ალავერდს ზევით ერთვის ალაზანს ახმეტას ხევი, რომელზედაც არის სოფელი ახმეტა. აქ აყენებენ შვენიერს ღვინოს, პანკისის ხევსა და უთოს (p. *Ильмо*) ხევს შუა, რომელიც გამოდის კახეთის მთითგან არის ციხე კვეტერისა, ძალიან მაგავარი და დიდი, ალაზნის აღმოსავლეთით და კვეტერას ჩრდილოეთით არის ციხე ბახტოონი. პანკისკვეტრას შუა არის წმ. მარინეს შონასტერი შვენიერი. პანკისის ხეობაში ალაზანი გარყოფება ორად და ამ ალაგას არის ციხე ხორჯისა, ძალიან მაგა-

რი და შეუალი. პანკისის ხეობა მეტად შეენიერი და მღიდარია მოსავლით. ბრინჯა და ბამბას გარდა ყოველიფერი მარცვალი და ხორბალი მოღას. პანკისის ხეობის ჩრდილოით იწყებიან ხევების გაყოლება მთათსავანეები სა-დაც დგანან თუშნი და ფშავნი. პანკისის სამხრით კი არის შიგნით კახეთი ხილიანი, ტყიანი, ბუჯობს მრავალი ფრინველი დურჯა და კაჭაბს გარდა. აქ მცხოვრებლებს ჰყავს მრავალი ლორი. გამოვა ისეთი გლეხი, რომ ორი ათასი სული ლორი ჰყავდეს. ერთი ნაწილი შიგნითი კახეთისა, გაღმა მხარი მაინც, საკვირველად შემკულია წყლით, წყაროთი, მდინარით, ტყით, ველით მოსავლით, ვენახით და ხილით. მოჰყავთ აბრეშუმი ბლომათ.

პანკისის ჩრდილოეთით იწყება თუშეთი, რომლის მომეტებული ნაწილი ბარბალოს მთას იქით არის და გაიყოფება თებულოს (*Tebullos-mta*) მთის ქედით ორ ნაწილათ. ამ მთის აქეთ რომ. თუშეთია, ის ალიარებს ქრისტეს სარწმუნოებას, ლაპარაკობს ქარიაულად და

თებულოს მთას იქით კი უფრო ქისტურათ. თუშეთის შესანიშნავი ალაგებია: წოვა, გომე-წრი და ჩალმა. თუშებიც იმავე ხელობას ეწყობიან, რასაც დიდოლები. იმათი ადგილია ძალიან ციფი მოუსავლიანი და რჩებიან კახე-თით, აშენებენ ცხვარსა და ლორს. ზაფხულს იმათ კარგი საძოვარები აქვთ თავიანთ მთებზე, ზამთარს ჩამოვლენ შიგნით კახეთში და გალმა მხარში.

თუშები ძალიან მარჯვე, მეომარი ხალხია, შემმართებელი, მხნე, ძლიერი, ძალიან კარგი მხედარი, მგრამ როგორც მთის ხალხი ბრი-კვრა. იმათში როცა დედაკაცი შობს, ცალკე დაწვენენ და ორმოც დღემდის ოჯახში არ მოიკარებენ, მერე კი მოიყვანენ შეილიანა. ამათში თუ ვინმე გამოექცა მტერს, კაცს აღარ უძახიან და აჭმევენ ძალლთან ერთად. ისინი უწინ თამარ მეფის დროს ყოფილან ქრისტიანები. ახლაც თუმცა არიან ქრისტიანები, მაგრამ ქრისტიანული წესისა არა იციან რა. მაგალითად იმათ აქვთ ერთი დიდი მაღა-

ლი კლდე და ელია წინასწარმეტყველის დღეს
მივლენ და შესწირვენ იმ კლდეს ცხვარსა და
ძროხას, თაყვანს სცემენ კლდეს და ძალიან
სწამთ. იმათში სიძვა შეუძლებელია. თუ ვინმე
იმძლავრა და დედაკაცს შეურაცხყოფა მიაყე-
ნა, ის თავს მოიკლავს და თვითონ კაცს თე-
მი მოჰკლავს. დამნაშავე არაოდეს არ დაიმა-
ლება. იარაღი უყვართ ძველი, ახურავთ რგ-
ვალი ნაბდის ან ცხვრის ქუდი. როცა საომ-
რათ გამოეწყობიან, ტანთ იცმენ რკინის წვ-
რილთვალას და ქუდიც რკინის აქეთ, რო-
მელსაც ჰქვია მუზარადი.

ფუშავეთი არის ფუშავის არაგვის ჩაულე-
ბა. ამ ფუშავის არაგვის იქით აქეთ რაც ხევები
ერთვიან და ამ ხევების გაყოლება ჟინვანამდის,
სადაც თეთრი არაგვი შავს არაგვს ჩაერთვოს,
იმათი გაყოლება სულ ფუშავების ხალხია დასახ-
ლებული. ფუშავია და თუშეთსშუა არის ბარბა-
ლოს მთა, რომლითგანაც იწყება კახეთის
(გომბორის) მთა იორსა და ალაზანსშუა. ფუშა-
ვეთს ჩდილოით საზღვრავს დიდი კავკასიის

ქედი. იმას იქით არის ღლილება და ქისტეთი. თანანეოთისაგან გაიყოფება უბის მთის ქედით ის (ა. უბის-ლითა), რომელიც ჩამოდის სამხრით ვძელ ზურგათ. ამ ზურგითგან გამოდის მდინარე კუსიჭო (р. Կուսո), შემდინარე იორის წყალში. ფშავეთი გაიყოფება ხევსურეთითგან სალალოს ქედით (Хребетъ Салаго), რომელიც გამოდის ჩოუხის (ა. Чоухи) მთითგან და დაწყდება ჟინვანს. ფშავეთში არის წმინდის გიორგის ეკკლესია, აშენებული მეფის ლაშ, გიორგისაგან. ამ საყდარშია მრავალი ოქრო და ვერცხლის ხატები, ჭურჭლები, წიგნები. ამ ეკკლესიას ეძ. ხიან ლაშას ჯვარს. ფშაველებს და ხევსურელებს აქვთ დიდი სასოება. ამ ეკკლესიისა და თუ საღმე ოქრო, ან ვერცხლი იშოვნეს, მაშინვე ამ საყდარს შესწირვენ: ისინი სარწმუნოებით და ენით ქართველები არიან, სწამო ჭადაგნი, ესე იგი კაცები, რომელნიც თითქოს სულის წმინდით განათლებულიყონ, წარვარდებიან დაიწყებენ. გრეხის, მანჭვას და

ლაპარაკობენ; ამ ღრმას რასაც იტყიან ქადა-
ვნი, ყოველივე ჯერათ. ბრძოლაში ვერ
არიან მარჯვე და მხნე, როგორც მთიული
ხალხი უზნეო და გაუზღელები არიან. ამათი
ქვეყანა ჟინვანს ზემოთ სულ მთათსავანებია,
სადაც მტრის ჯარი არასოდეს არ შესულა.
ესენი რჩებიან კახეთის ქვეყნებისაგან, სადაც
ჩადიან სამუშაოთ და ამისთვის იხდიან კიდეც
ხარჯს კახეთის მებატონეებისათვის. ფშავეთი
განსაკუთრებით ორ ფშავის არაგვებზეა და-
ბინავებული დაძველათ ამ ორ ხეობის ხალხს;
ფხოველებს ეძახდენ. ისინი ახლაც ასე იწო-
დებიან. ჟინვანი იყო ციხე მაგარი.

ხევსურეთი არის სალალოს ქედია და
ლაგის მთას გადალმა (Masiseti ათა) შედის
არაგვის გაყოლება. დასავლეთით ის გაიყოფა
ხევისგან და ოსეთითვან გადამაყარით ჩამო-
სული მთითა. ჩვეულება, ხასიათი და ცხოვ-
რება სულ ფშაველების ნაირი აქვს ამ ხალხს,
ბრძოლაში ფშაველებზე კიდევ ესენი უფრო
მუშაშნი და მხდალი არიან.

ბ) ოორის ხეობა

გარეთ კახეთი. ეს ქვეყანა მდებარებს იორის იქით და აქეთ ნაპირებზე. იორის მდინარე გამოდის კახეთის მთის დასაწყისში თებულოს მთის (*Tebullos*) მახლობლათ. წამოვა სამხრით და მერე მიიქცევა აღმოსავლეთით. მტკვარსა და იორსშუა გაივლის კვერჩაკის მთის გაყოლება, რომელიც არც ერთობ მაღალია და არც ტყიანი. ამ მთას აკლია წყალი. ალაგალაგ მლაშეები გაჰყვება დასავლეთითგან აღმოსავლეთისკენ და ეწოდება გძელი ტბა და გარეჯა. ამ მთის ტოტი ჩამოდის ავლაბარზე და ჩაღება მტკვარში მაღალ კედლათ, რომელზედაც არის აშენებული მეტეხის ციხე. ზამთარს ზემოხსენებულს ქედის ფერდობებზე მოდის ბალახი და იზდება მრავალი ჯოვი ხარი და ძროხა. ზაფხულ ძალიან სიცხე იცის და გაუძლისი ალაგებია. იორის ზედა წელი და იმის ჭალები ძალიან ნაყოფიერები არიან, რადგან იორითგან ამ ალაგებზე რუები გაჰყავთ სარწყავათ. ქვედა წელი

გარეჯისკენ და შაქისის მინდვრებისაკენ; უწინ
ძალიან გამრავლებული იყო ხალხი და გავრი-
ლი: მაგრამ ბერქასა და თიმურ ლენგის გად-
მოვარდნის დროს ქვეყანა მოოხრდა. ისტო-
რიითვან ვიცით, რომ თიმურ ლენგმა ექვს-
ჯერ განვლო საქართველო აღმოსაფლეთით-
გან დასავლით და ექვს-ჯერვე გაანადგურა,
ყოველივე მოსწვა, მოდაგა. მართლაც ამ ჟამათ
ეს ალაგები საშინლათ მოოხრებული და გა-
ვერანებულია. ტყეები გამწყვარა, წყლები დამ-
შრალა და ზაფხულ გამხმარ მთა-ბარის მეტს
ვერას იხილავს კაცი. აქ მხოლოდ გესლიანი
ქვემდრომნი და ჭიები ბუდობენ. იორის,
სათავესთან არის ორი ვაკეგორა: თიანეთი და
ერწო, რომელნიც ჩაუყვებიან იქით-აქეთ
იორის ნაპირებს უჯარმომდის. ცალმხრით ჩაუ-
დის კახეთის მთა, მეორეს მხრით ხერკის გო-
რა და თუშურისთავი (გ. *Tushuris-tavisi*)
რომელნც არის კავკასიის მთის ტოტის გა-
მოყოლება. ეს ვაკე გორები ბუნების შემკუ-
ლობით ბევრათ გვანან თრიალეთსა. ამავე

გორების გაყოლება იორში კალმახის მეტი
სხვა თევზი თითქმის არ არის. აქ არიან ბევ-
რი ძეელი შენობები და ეკკლესიები დარ-
ღვეული.

ერწოს ვაკე-გორის აღმოსავლეთის კუთხე-
ში მაღლობზე არის ბოჭორმის ციხე ძალიან
მაგარი. აქ იორის ხეობა ძალიან მიეცწროე-
ბულია და კლდიანი, ასე რომ ბოჭორმის
ციხე თითქოს მთელი კახეთის და კუხეთის
კარია. ბოჭორმის ქვემოთ იორის ხეობაზე
არის ციხე უჯარმო, რომელიც ორ მთას
შუა არის აშენებული და ჩაითვლება ბოჭორ-
მის ციხის წინა ბურჯათ. ეს ციხე დიდ სიმა-
გრეს შეადგენდა ძეელათ და ვახტანგ გორ-
გასლანის დროს სპარსელებს აულებლათ მი-
აჩნდათ. ეს ციხე იცავდა მთელს კახეთს ცალ-
მხრივ და მეორეს მხრივ ტფილის ქალაჭის.
მეშვეობი იყო გაჭირვების დროს. უჯარმოს
ქვეით ხაშმის ერთვის სამების ხევი, რომელიც
გამოდის კახეთის მთითგან. სამების ხევის შე-
სართავთან არის ხაშმი, სადაც არის მონასტერი.

რი და ციხე. იჯდა ეპისკოპოსი ერწო-თიანეთისა და გარეჯის უდაბნოც იმის ხელში იყო ესევე ხევი არის საზღვარი კახეთისა და ჰერეთისა. საგარეჯოს დასავლეთით იორს ერთვის ნინო წმინდის ხევი, სადაც არის დიდი გუმბათიანი ეკკლესია, რომელიც ააშენა ვახტანგ გორგასლანშა და დაადგინა ეპისკოპოსი, მცველი ქიზიყისა. იქ, საცა ახლა წილებისა (მელისაცი) უწინ ყოფილა დამპალა--კახეთის მციფის სასახლე, სადაც ზამთრით დგებოდენ კახეთის მებატონები ნადირობისათვის. ხაშვით-გან მოკიდებული იორის მდინარეს ჩაუყენდოდა მრავალი სოფლები და დაბნები, ამ ალაგას გამოდიოდა გიორგი წმინდის ხევი გომბორითგან. ამ გიორგი წმინდის ხევის ჩაყოლება რაც სოფლები იყო, ყველა შეწირეს გარეჯის მონასტერს და ამისთვის დაერქვა ამ კუთხეს საგარეჯო.

საგარეჯოს აღმოსავლეთით არის დიდი სოფელი მანავი. აქ იყო უწინ ციხე. მანავს მოდის მშეენიერი ლეინო. უწინ იმამ-ყული-

ხან კახეთის მეფეს აქ ჰქონდა სასახლე. აქეთ-გან დაწყებული ქიზიყამდე ძალიან დაშენე-ბული აღაგებია იორის გაყოლება და იზრ-დება მრავალი ჯოგი ყოველნაირი პირუტყვი-სა.

8. არაგვის ხეობა.

ხერკი და საგურამო. ჟინვანს ქვეით არაგვს ერთვის ბოდავის ხევი; გამოდის ხერ-კის მთას (*Tianetckie gory*). ბოდავს იყო შვენიერი მონასტერი და გუმბათიანი ეკკლე-სია. ამას ქვეით ერთვის არაგვს ხერკის ხევი ან თეზმის ხევი (*Muralitsch-kevvi*), რომელიც გამოდის კუხეთის მთას ანუ იალონს. ამ ხევს ქვემოთ ერთვის არაგვს აღმოსავლეთით ნა-რეკვავი და ნარეკვავს ქვეით არის მთა სარ-კინეთისა, რომელიც არის კვერნაკის მთის გამოყოლება. ამ მთას და კუხეთის მთას შუ-აში გაჰკვეთს არაგვი. ეს ორი მთა ერთმანე-თის პირდაპირ არიან და უწინ ეძახოდენ ია-ლონს. გახუშტი ამბობს, რომ ამ მთაზე თუ რომ ცოტა ლრუბელი ჭაინც იქმნა, შეუძლე-

ბელია, რომ დიდი ქარი არ ატყუდესო. ამ კუნძულის მთაზე ააშენაო მეფემ ფარნაჯომშა ციხე და ამართაო კერპი ზაღენ, ამიტომაც დაერქვა ამ მთას ზედა-ზენი (ვეძა ვენი). შემდეგ ერთმა მეცამეტე სირიელ მამათავანმა ითანები გააკეთა აქ მონასტერი. ეს ზედა-ზენის მთა შეერთდება ხერკის ანუ თიანეთის მთას და არის აქ ხერკის ვაკე-გორა ან საგურამო. ზედა-ზენის სამხრეთით მცხეთის პირდაპირი იყო ჯვარის მონასტერი, ახლა ცალიერი. ამის აღმოსავლეთით დაეფინება გლდანის ხეობა. აქ არის სოფელი ავჭალა, სადაც ცხოვრობენ გურამისშვილები და იმიტომ დაერქვა საგურამო. ამ ალაგებს კარგი მდებარეობა აქვს, ხილი ბევრია და აკეთებენ ვენახებს. კუნძულისა და ლილოს მთას შუა არის მარტყოფი, რომელსაც ჩამოუდის მარტყოფის ხევი (ყ. *apthonon*) კუნძულის ანუ იალონის მთიდგან. მარტყოფის წყალს ერთვის საცხენისის ხევი, რომლის აღმოსავლეთის ნაწილს ეძახიან ლოჭინოს და ძველიათ ოშანის ხევსა. ამ ხევზეა დიდი

გუმბათიანი ღვთავბის ეკკლესია. აქ დასდგა წმინდა ანტონი ერთი მეცამეტე სირიელ მამამთავანი და დაერქვა მონასტერს სახელი მარტი ყოფობისათვის. შემდეგ რაც რუსთავი გაოხრდა, რომელიც მდებარეობდა ახლა რომ ყარაია არის, იქაური ეპისკოპოსი გადმინიჭანეს აქ და ისევ რუსთველ ეპისკოპოსს ეძახდნენ. ეს ეპისკოპოსი იყო საგურამო მარტყოფისა და ჰქონდა სამხედარო-მთაეროდროშა გარეთ კახეთისა ქიზიყავდე. ბრძოლის დროს იმას ეჭირა მარცხენა მხარე.

რამდენიმე შენიშვნა

კახეთის მი წა-ჭულის ჭურ ბაზე

და იმის სტრატელიულ მდგომარეობაზე

კახეთს თითქოს ფარდასაეით მოფარებული აქვს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ კავკასიის ქედი. თითქმის ბუნებას სცოდნოდეს დაღისტნის ერის მტაცებლობა და იმის თვალისწინ კედელსაეით ჩამოფარებულიყოს, რომ კახეთის მდიდარი ქვეყანა არ დაენახებინა.

ჟინვანითგან მოკიდებული, რომელიც თეთრი
და შავი არაგვის შესართავთან მდებარებს,
ხაზი რომ გავლოს კაცია და ეს ხაზი თია-
ნეთს ზემოთ გავიდეს, განვლოს პანკისი და
მიებჯინოს კავკასის მთას აღმოსავლეთისკენ
ამით ჩვენ გავყოფდით კახეთს ორ ნაწილათ:
ხაზის ჩრდილოეთით იქნებოდა უზრმანისარი
მთათ-სავანეები, რომლებშიაც დასახლებულან
ხევსური, ფშავი და თუში. ეს მთათ-სავანეები
დიდ ციხეებსავით დაჰყურებენ გავლებულ ხა-
ზის სამხრით მდებარე სამხრეთის კახეთს. ეს
სამხრეთის კახეთი ძალიან შეკრულია შემდე-
გი ციხეებით: ტფილისისა, უჯარმოსი, ჭოეთი-
სა ანუ სილნახისა და კურმუხის ციხისა. ამ
ციხეებს რომ გავლო ხაზი, მაშინ სამხრე-
თის ნაწილი კახეთისა ამ ხაზსა და ზემოსეკ-
ნებულ მთათ-სავანეებს შუა შეადგენდა ერთს
დიდს ვაკე-გორას, რომელსაც ერთის მხრით
ხევსურეთით ფშავეთით და თუშეთით ექნებოდა
ზურგი გამაგრებული და მეორეს მხრით ტფი-
ლისი, უჯარმო, ჭოეთი და კურმუხი ბაწრათ.

გაყოლებული ციხეები, დაკეტავდენ კახეთში
შესასვლელს გზებსა. თავის მხრით ეს მაღა-
ლი ვაკე გორა, რომელშიაც არიან ხერკი,
ერწო, თიანეთი, შუა წელი ალაზნისა და
კამბეჩოვანი დაპყურებდა შაქი შირვანის და
მოვაკანის ქვეყნებსა კასპიის ზღვამდის. ამ ნაირი
აგებულება ქვეყნისა მიუკილებლად დააპყრო:
ბინებდა კახეთის ქვეყნის ხალხს კასპიის ზღვამ-
დის მდებარე ქვეყნებსა: ესე იგი განჯისა და
შემახიის მიწა-წყალსა. და თუ კასპიის ზღვით გა-
მოჩნდებოდა ვინმე მძლავრი მტერი, რომელიც
შეიძლებდა ამ ქვეყნების უკან დაბრუნებას, ის
მაინც ვერაოდეს ვერ მოახერხებდა, საქართვე-
ლოში შესრულიყო, თუ ზემოხსენებულს ციხე-
ებს მტკიცეთ დაიჭირდენ ქართველები. ვახტანგ
გორგასლანმა ცხადათ დაამტკიცა ეს მოსაზ-
რება, როცა სპარსეთის მეფეს ფირუზსა ებ-
რძოდა. *) ამ შემთგვევაში შესანიშნავი იყო

*) იხილე „ვახტანგ გორგასლანის“ თხზულება გორი-
სელისა. „კრებული“ მერკე შიგნი, 1872 წ.

ორი სტრატელიული გზა: ერთი მოდიოდა განჯითგან დაღისტნით სილნახის ციხეზე, მეორე განჯითგანვე ტფილისის ციხეზე. ორი ვე ციხეებს უჯარმოს ციხეთი და ბოჭორმის ციხეთი ჰქონდათ ზურგი გამაგრებულნი და, თუ ქართველები მტკიცეთ იქნებოდენ, ამ ციხეებს მტერი ვერას უზამდა.

დაღისტანი ანუ ლეკეთი ძალინ მაღლობი ქვეყანაა, აქ სულ პიტალო კლდეებია, ვაკეები თითქმის არ მოიძევა პატარ-პატარა ვიწრო ჭალებიან ხეობებს გარდა. სახნავ-სათესი მიწები ცოტაა. ქვეყანა ამისგამო ძალიან მქისი და მოუსავლოა. ამისთვის აქაური ხალხი, ლეკები, მუდამ ძველითგანვე ცდილობდა, ალაზნის მდიდარ ხეობაზე დამკვიდრებულიყო. მაგრამ ალაზნის აღმოსავლეთით კავკასიდგან მომდინარე ხევებზე იყო ბაწარსავით ჩამოწკრივებული კავკასის ქედის კალთებზე ციხეები, რომელიც იცავდენ ლეკებისაგან კახეთში გაღმოსასვლელს ვზებსა.

კახეთის კაცი და ქალი შვენიერია, ძალიან

კარგი შესახედავი, მაგარი აგებულებისა, ენით ზნით, ჩეცულებით და ქცევით ქართველებში ას გამოიჩინან, მაგრამ იმათზე უფრო მომ-ლხენი, ამაყნი, ხუმარანი, დიდ-მთქმულნი, მაჩ-ხუბარნი, გულაღნი არიან. აცვიათ ქართუ-ლათ.

II მართლი

ქართლი არის ბორჯომითვან დაწყებული მცხეთამდის ერთი დიდი მტკერის ხეობა. ამ ქვეყანას სამხრით საზღვრავს თრიალეთის ქე-დი, რომლის ტოჭები და კალთები დააწყდე-ბა მტკერის პირებზე, დასავლეთით ლიხის მთა, ჩრდილოეთით კავკასიის ქედი და აღმო-სავლეთით არავგი. გორჯომითვან დაწყე-ბული თრიალეთის ქედითვან გამოდიან შემდეგნი უმთავრესი ხევები: შავიწყალი, გუ-ჯარეთის წყალი, ძამა, ტანა, თეზაძი და კაჯ-თურა. ამ ხევებს ჩამოურეცხიათ თრიალეთის ქედის კალთები; ჩაუჭრიათ და გაუკეთებიათ ვიწრო ჭალები, რომლებშიც მშვერიერი ხეო-ბებია ჭამართული. ამ ხეობებში მომეტებულ

ნაწილათ სულ ხეხილები, კაკალი და ვენ-ხებია გამართული. ამ სახით დაკეთებულან მრავალ ცხვირებიანი მთის თხემები, რომელნიც დაიწყებიან თრიალეთის ქედიდგან და დაწყებულიან მტკერის ჭალებზე. ამ თხემებში ყველაზე შესანიშნავია გვირგვინა, რომელნიც გამნეულია ბორჯმითგან მოკიდებული ჭარელამდის, საცხენისთავი, რომლის ცხვირი დაწყება გორის ჯვართან, წერეთის ქედი და საბუღრაო, რომელნიც თავდებიან ახალ-ჭალაჭის ბოლოს.

ა. გუჯარეთის ანუ თორის ხეობა არის გუჯარეთის წყლის გაყოლება, ეს ქვეყანაა მთანი, ხეობებში დიდი ნაძვის ტყეებია. მდინარის პირათ მოდის კარგი მთის ხილი, მაგრამ ვენახს არ აკეთებენ სიცივის გამო. ამ ხეობის ხალხი ყოფილა ბრძოლაში. ძლიერი, გულადი, ტანოვანი და შემმართებელია ამათ აქეთ საბალახო თრიალეთის მთაზე და ჭყაფთ ბევრი პირუტყვი; აქ კლდეები შავი ფიქალ ნარი ქვისგან არის შემდგარი;. ეს ქვები თხელ

ფიქალებათ ავარდება ხოლმე (შიფერისა დოკი) და იმითი ხურვენ სახლებსა. ამ ხეობაში მრავალი ციხის ნანგრევებია.

ბ. საციციანო. თორის ხეობითგან მოკიდებული გორის ჯვრამდის ძამისა და ხელურეთის ხეობა სულ ერთიანათ შეადგენს საციციანოს. ამ ხეობებში მრავალი ციხეების და საყდრების ნანგრევია. ამათ შორის ყველაზე შესანიშნავია ძოვრეთის ციხესა, ძამის ციხესა და წრომს შუა მთაზე მონასტერი ყოვლად წმინდისა (ქ. ცვ. მარიны). აქ არის ეკკლესია გუმბათიანი სოფიის კენჭით (მозაიკით) დახატული. საციციანოში ზოგიერთ ხევებში ვენახებიაქვთ გაშენებული და მოპყავთ ღვინო. საციციანოს ხეობები უზარმაზარი ტყეებით არის შემოსილი, რომელიც შემდგარია ნაძვ-ფიჭვისა, მუხისა, წაბლისა, წიფლისა, კაკლისა და თხილისაგან.

გ. საბარათიანოს ნაწილი: ტანისა-კავთურას და იმის მიმყოლ ხეობებში ხილი და ვენახი მრავალია. ამ ხეობებში დგება სა-

უკეთესო ღვინოები ქართლისა. განსაკუთრებით ატენურს ღვინოს არა სჯობს რა. რაღაც გან საბალახოები თრიალეთზე ბევრი აქვთ, ამისათვის აქ აშენებენ მრავალს პირუტყვს, აქლემს გარდა. ამ ხეობების თავშია დიდი გორის მთა და კლდე-კარი, საღაც მრავალი გარეული თხა იპოვება. ისტორიული ნაშთები, ძეველი საყდრებისა და ციხის ნანგრევები აქაც ბევრია. ტანის ხეობაში ძევან ატენი, გარდატენი და ხიდის თავი, თეზამზედ არის ახალ-ქალაქი, საღაც ცხოვრებენ თარხნის შეილები. კავთურაზე ძევს კავთის-ხევი.

მტკვრის ჩრდილოეთისაკენ კავკასიის და ლიხის მთითგან მომდინარე ხევები და მდინარეები არიან შემდეგნი: არაგვი, ქსანი, რე ხულა, ბეჯუდა, ლიახვი დიდი და პატარა, ფრონე, ფცის წყალი, ჭერათ ხევის წყალი, და სურამულა. ამ ხევებზე დაუყვება შეენიერი ხეობები, დაშენებული ქართველებისაგან ქვემო ნაწილებში და სათავეები ამ წყლებისა ზე-მო წელამდის უჭირავს ოსებს, რომელნიც:

თანდათან გადმოდიან ქართლის მინდორზე. ჩვენ ამ ხეობებს დაწვრილებით აღარ ავსტურთ, რათგა იმათ სტრატელიული მნიშვნელობა გარეშე მტერთან საბრძოლველათ. არა აქვთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ხეობები საესეა მრავალი ციხეების კოშკების და ტაძრების ნანგრევებითა, რომელნიც შეადგენენ ძვირფას ისტორიულს მასალებს. ამ ქვეყანას ამ გვარი წყობა აქვს: ჟინვანითგან რომ ხაზი გამოვავლოთ დასავლეთისკენ და გამოვიდეს კორინთის (ქსანზე), ანდორეთს (მეჯულაზე), ცხინვალს (დიდ ლიახვზე) და მიეძინოს პერანგის მთას, მაშინ ამ ხაზის ჩრდილოეთის ნაწილი კავკასიის ქედამდის იქნება სულ მთათ-სავანეები ძალიან ამაღლვებულნი, რომელნიც დაჰყურებენ მთელს ქართლის მინდვრებს. ამ მთათ-სავანეებში. (Komlosini) ცხოვრობენ მთიული ქართველები, და ოსები. ზემოხსენებულს ხახს ქვემოთ იქნება დაფენილი ერცყვლი ქართლის ვაკე-გორა მტკვრამდის და მტკვარს გალმა სამხრეთით არის

ერთი განიერი ძალიან დაცუმული ჭალა, რომელსაც უტყვიან ქარელის მინდობრსა; ახლა მთელი ქართლი, სურამის მთიდგან მოკიდებული მცხეთამდის წომ დიდ ქვაბათ წარმოვიდგინოთ, მაშინ ჭარელის მინდობრი იმის ძრო იქნება და თრიალეთის ქედი, ლიხის მთები და დიდი კავკასიის ქედი გარშემო რტყმული უზარ-მაზარი, ქვაბის კედლები იქნებიან. ამ ქვაბში შესანიშნავი ვაკე-გორებია შემდეგი: ქართლის ვაკე-გორა, სურამითვან დაწყებული რეხულამდის, შუხრანის ვაკე-გორა, რეხულამგან მოკიდებული წილკანამდის; წილკანის ვაკე-გორა საგურამომდის, და პაზალეთი. ამ ვაკე-გორაზე შესანიშნავნი არიან შემდეგი ქალაქები და დაბები:

ქ: მცხეთა არის ორ მდინარეს შუა. ვახუშტის სიტყვით, ეს ქალაქი აშენებულია მცხეთასისაგან, აქ გაშენდა. დიდი ქალაქი და შეჩე, როგორც სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში, გალავანი შემოაელეს, რომელიც იყო მტკვრამდის. ჩატანილი. აქ არის მცხეთის ტაძრი,

რომელიც აღაშენა მირდატ მეფემ და მერე განაახლა ვახტანგ გორგასლანმა. ეს ეკალესია ბევრჯელ დანარეულა. და ბოლოს როსტომ მეფემ აგო; ტაძარს შიგნით არის სვეტი ცხოველი, ქვითკირით გარს მოშენებული იქ, სადაც უწინ იყო ხე, რომლის ქვეით დაფლული იყო ქრისტეს კვართი (პერანგი). როცა ეს ხე მოჭრესო, იქითგან მარონმა დაიწყო დენაო. ვახტანგ მეხუთემ ეს ალაგი, საიდგანაც უწინ მირონი. სდიოდაო, ოქროთი და ვერცხლით შეამკო. მცხეთას იჯდა მთელი საქართველოს კათალიკოსი. ამ ტაძარში არიან დაფლულნი ვახტანგ გორგასლანი, დაგით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სეიმონ და გიორგი. ეს მცხეთა ძალიან დიდი და ქვითკირით ნაგები ქალაქი ყოფილა, მავრამ მურვან ყრუს შემდგომ და თემურლანგის შემდეგ სულ დაუქცევათ და მიწასთან გაუწიორებიათ.

მცხეთის დასავლით არის პაწაწა ხევი ქარ-

თლისა, აქ იყო ციხე ქართლის. ფარნაოზ მეფე იყემ აქ აღმართა არმაზის კერპი. აჭიტომაც ამ ხევს ეწოდა არმაზის ხევი (აღმასის წყარო). არმაზის ქალაქი იყო ძალიან დიდი, პირველათ ეს ქალაქი დაქცია მურვან ყრუმ და იმის შემდევ სულ განადგურდა და გავერანდა.

ქ. გორი. ამ ქალაქს შეუა ამოსულია დადო გორი, რომელზედაც ვრცელი ციხეა, აგებელი. ამ გორის გამო დაერქვა ქალაქსაც გორის სახელი. გორის დასავლით ჩაუდის ლიახეი. გორის ციხეს დასავლეთით აქვს გვირაბი მდინარემდის ჩატანილი. როსტომ მეფემ ეს დარღვეული ცრხე ხელმორეთ ააშენა. მერე ნადირ-შაჰი დაარღვია ეს ციხე. როსტომ მეფემ და ვახტანგ მეექვემდებარება ქალიან გაამშვენიერეს ეს ქალაქი, ზაღებით შადრევანებით, გამართეს ჩინებული ქვითკირის სასახლეები, მავრამ შემდევ თაორებმა და ლეკებმა დანგრიეს და დამხვევა ეს ქალაქი. ამ შაჰით ეს

ქალაქი უეზდის ქალაქათ არის და თანდათან
ისევ შენდება და მშვენიერდება.

ქ. ღუშეთი ძევს ბაზალეთის ვაკე-გორა-
ზე, ის არის სულ ათლა გაკეთებული უეზდის
ქალაქი.

ქ. სურამი არის ძეველი პაწაწა ქალაქი,
რომელიც მდებარებს სურამელაზე და შეუ-
ში გორაზე ამართულია ძეველი ციხე კოველ
გეარი მოწყობილობით. აქ სახლობენ ქართ-
ველები, ურიები და სომხები.

ქ. ცხილვანი არის ლიახეზე, ქართლის ვა-
კე-გორის კუთხეში. სახლობენ აქ განსაკუთ-
ბით ურიები. ამ ქალაქებს გარეთ არის დიდი
დაბები, მუხრანი, რუისი, ქარელი, ხიდის-თა-
ვი და სხვა. ამ ქეეყანას ეძახიან ჩრდილოე-
თის საქართველოს და ყოფილი ყოველთვის
ან სამცხე საათაბაგოს მებატონების დამოკი-
დებულების ქვეშ და ან კახეთის მეფეების
მფლებელობის ქვეშ. დასაცლეთით ამ ქვე-
ყანას გაჰყოფს იმერეთთან მორეხის მთა, რო-
მელიც გამოდის კავკასიის ქედითგან სამხრე-

თასკენ და ახალციხის მთებამდის მიიღებს კიდევ ორ სახელს: პერანგა და ლიხის მთა. ლიხის მთას და პერანგას შუა არის იმერეთის გადასაფალი გზა, რომელსაც ეძახიან კორტოხსა, მორეხისა და ლიხის მთები იმერეთსა. და ქართლში ჩამომდინარე ხევების უკუმჯუვი ლარია (ვითოვანი ლიქია). ჩრდილოეთის საქართველოს ეწოდება კიდევ ამერეთი, გასარჩევათ იმერეთისაგან.

ისტორიული ჟენეზები.

როდესაც საქართველო დაიყო და ქართლი ცალკე სამეფოდ გახდა, მაშინ ტაშირითგან მოკიდებული და ლიხის მთას აქეთ კახეთამდის სამსამხედარო-მთავროთ გაიყოფებოდა. მარჯვენა მხარე ეჭირა ქართლისა მხედართ-თავარს, მცხეთიდგან დაწყებული ლიხის მთამდის და კავკასიამდის მარცხენა მხარე ეჭირა მუხრანის სამხედართ მთავროს, რომელიც შეიცავდა არაგვისა და ქსნის ხეობის ხალხებს კავკასიამდის. მოხევებიც ამ სამხედართ მთავროს იყო, იმათ ჯარუ-

ში არაერთ გამოაწვევდა, ეჭირათ ხევის კარი ანუ დარიალის სივრცულე და ოხები, კავკასიის ხალხი არ უნდა გამოეშვათ. მესამე სასპასპეტო იქნ თვითლისითგან დაწყებული ხრამის და ალგეთის ხეობის ხალხები ტაშირამდის. ამ ქეყუნებში არც დაბა და არც პატარა სოფელი მოიძებნებოდა, რომ თლილი ქვით ნაგები ეკლესიები არ ყოფილიყოს; იყო მრავალი შეენიერი მონასტრები აკლდამები, კოშკები და ციხეები აგებული; ამას გარდა ჩრდილოეთის საქართველოში ბევრგან კლდეში გამოკვეთილი სახლები არის, აშათში ყველაზე შესანიშავია უფლის ციხე, წოლერის პირათ, რომელშიაც მრავალი ოთახები ჰდა ტარიც არი გამოკვეთილი.

მთიულეთი, ანანურს ზეით არაგვის მდინარის ჩაყოლება კავკასიის ქედითგან მოკიდებული და გუდამაყრის ხევზე, რომელიც ერთვის არავს, სახლობენ ქართველები მთიულენი და ამ ქეეყანას ამიტომ ჰქვია მთიულეთი. აქეთგან კავკასიის ქედზე გადადის ორი გზა.

ერთი გუდამაყრით (*Буслакирский перевалъ*), მეორე არაგვითვან თერგზე, საცახლა საქართველოს სამხედრო გატკეცილი გზაა (*Всеви-но-иркутская дорога*). ეს მთიულეთი მდებარებს არაგვის დასავლეთში და იმის ხევებზე. ოსეთს და ხევისურდოს შეკავშირდილოւეთით ჩაას საზღვრავს კივკასიის ქვეთ, რომელიც გამჭოფს მთიულეთს ცალკე თერგის ხეობისაგან, ანუ ხევისგან და ცალკე ძურძუკეთისაგან.. მთიულეთი, როგორც ძალიან მთიანი ქვეყანა, მწირი ადგილია. თუმცა ყურძენი არ მოდის, მაგრამ საქართველოს ალაგებითვან წაიღებენ ხრლმეტკბილს და დაყენებენ იმისგან ჩინებულს ლეინოს. მოდის პური და ქერი. მთიული არის მოსული, მხნე, გულავი და იარაღის მოყვარე ხალხი. მთიულეთი გა-დაღმა თერგის პირზე დაუყვებიან ხეველები, რომელიც არიან იგივე ქართველები. ეს ქართველები, ფინომეც საქართველოს მცხვები-საგან იყოს აქ გადასახლებული კავკასიის კარის დასაცუკლათ, რომ ხაზარები და სხვა კავ-

კასიის ხალხი არ გადმოეშვან საქართველოში. ამ ხევის კარს ჰქვია დარიელია (*Даргельский евреи и проходчики*). ხეველები ხასიათით ჩვეულებით, ენით არ განირჩევიან მთიულებისა-გან.

ოსეთი. ხეველებისა და მთიულების დასაცლით არის უმთავრესი ნაწილი ოსეთისა; მდებარებს თერგის (*p. Терекъ*) სათავეზე და ამ ალაგას რომ ხევები ერთვის, იმ ხეობების ჩაყოლება, ამას გარდა კასრის მდინარის ხეობაზე (*p. Нордонъ*) და დიგორს. სულ ეს ქვეყნები არის თერგის მდინარის ხეობებზე გაყოლებული კავკასიის მთას იქით, რაჭა ქართლის გადაღმა; ის განიყოფებოდა ძველათ შემდეგ ნაწილებათ: თალაური, ქურთაული, ნარა, ზროვო, ზაქი და ვალაგირი. იმის დასაცლით იყო სეანეთის მოსაზღვრეთ დიგორი. შემდეგ ის ოსის ხალხი კავკასიის აქეთ გადმოვიდა და თანდათან დააშენა ლიტევის, ყვირილის და რიონის სათავეები. ისინი გაქართვეჭლდენ, მიიღეს ენა, ჩვეულება და სა-

რწმუნოება ქართველებისა და, როგორც სა-
ქართველოს ხალხის შემადგენელი, ჩვენ უნდა
აესწეროთ დაწვრილებით იმათი საკუთარი. ჩვე-
ულება და წესდებულება, როგორც ვახუშტი
ამას გეიამბობს.

ოსეთის ქვეყანა განსაკუთრებით კავკასიის
მთას იქით მაღალი, მთანი და შეუვალი ალა-
გია; ტყე თითქმის არ არის, არყნალის (*Береза*)
გარდა, რომელიც ძირს ხევის პირებზე ჩაუკ-
ვება ხოლმე, არყას გარდა აქ სხვა ხე. არ იზ-
ლება სიცივისგამო, შეშა მოაქვთ ჩერქეზების
მთებითგან. მომეტებული ნაწილი კი სახლის,
გასათბობათ ხმარობს წიგას (გამხმარს ნეხეს).
იზღება პური, უფრო კარგათ ქერი და შერია,
სხვა არა ფერი მოდის. ხილთაგან მოდის
მხოლოდ კაპარი და ასკილი. ცხვარი იცის.
უდუმო გძელკულიანი და ტან-მორჩილი,
ძროხას ხარს და ცხენს აშენებენ, მაგრამ რა-
თგან საძოვარი ბევრი არა აქვთ, ამისთვის
ცოტას იჭერენ; მაგალითად ერთ კომლს რომ
ასე ცხვარი ეყოლოს და ოცი ძროხა შეტა.

ვეღარ შეინახავს, რაც უნდა მდიდარი იყოს. ოსეთში ბევრი მარილიანი წყლები გამოდის, რომელსაც სვამის პირუტყვი დასუქდება. ამის-ვამო ძალიან გემოიანი ხორცი აქვს იქაურს პირუტყვს; შინაური ფრინველებში მარტო ქათამი იზრდება, რომელიც ჩვენებურ ვარიანტებში იზღება. კლდეებში ცხოვრებს ჯიხვი (*myrra*) და მასთან შურთხი (*meterevetz etiukharis*). ძირს ხეობებშია არჩევი (*серна*), შველი, ზოგგან ირემიც და ფოცხვერი (*рысь*) აქ არის მაღანი (*rydai*). ვეცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, გვარჯილისა და ბროლის ქვესა.

ქალი და კაცი შვენიერი სახის არის, შავ-თვალ-წარბა, თეთრ-ყირმიზი, ტანოვანი, წელწერწეტი; განსაკუთრებით ქალები არიან: ფიცხნი, თითქოს თვალებითგან ცეცხლის ნაკარწკლები მოხცევათო. ესხუშტი ამბობს, ისინი თავის ქვეყანაში ცოტას ცხამენო: ზოგ ვის ოჯახში წყალს, პურსა და შრატა სრულებით იქმარებენ; შეგრამ სხვა ადგილებში

თუ მოხვდენ, ან სტუმრათ წაეიძენ, იქ კი
გაუმაძლები არიანო. ვერ არიან გულ-მაგარნი,
პირდაპირ ბრძოლის ეშინიათ, მაგრამ ლამით
კი იციან თავსდაცემას, ამბობს ვეხუშტი,
შეეპარებიან მტრის ჯარი, აზარალებენ და გა-
მოვლენს უკრებელათ. თავის ქვეყანაში ამპარ-
ტავანი არიანო და გულ ამაყნი, სხვა ქვეყანა-
ში გულ მდაბალნი. როგორც მთიული ხალ-
ხი, არიან უზღდელნი, გონიერი მოლაპარაკე/
ქურდი, შპარავი, მომხვევჭნი (ინტერესის მემ-
ბელნი), მემრუშენი, ტყვევბის გამყიდველნი,
მაგრამ არაოდეს თავის გვარის კაცს არ გა-
ყიდიან; ქალები. სანამდის გათხოვდებოდენ-
მანამდის მაგრამ უჭირავთ თავი და როცა
გათხოვდებიან, მერე კი კუროების ყულა სა-
სახელოთ მიაჩნიათ. აცვიათ ხამის პერანგი
საყელორიანი, მასზე ჩოხა მუხლაშდის და შა-
ლის პაჭიშები. ჩოხა იციან ნაოჭიანი, ჩოხაზე
არტყიათ ქამარი და მერე ასხრათ ნაბადი, ფეხ-
ზე იცმენ მოთელილ ტყავის ქალამნებს და
ძირს თასმებით გამოუბანდვენ. თავად-ზრაუ-

რებს აცვიათ წულები და გრძელი ბეჭვიანი ბო-
ხოხი, ან ჩერქეზული ქუდი ახურავთ. ერთმა-
ნეთს მიემშეიღობებიან ქუდის მოხდით. სხე-
დან სკამებზე. მდიდარი იცვამს აბრეშუმის და
ტილოს ტანსაცმელს. ქალებიც ისე იცმენ
როგორც კაცები, მაგრამ უფრო გძლათ, თავ-
ზედ ეხურათ უწინ კაცური, ქუდი ახლ-
კი უფრო ქართული დედაკაცების ტანსაცმე-
ლი. შემოიღეს ქალებმა. დაბალი ხალხის ქა-
ლებს აცვიათ ავრეთვე პაჭიჭები და ნიფხავს კი
არ იცმენ. უწინ ყოფილან ქრისტიანები და
ახლა კი ქრისტიანულის წესისა ბევრი არა
იციან რა. ინახვენ მარტო დიდმარხეას. ხატა
და ეკლესიების პატივის ცემა დიდი აქვთ.
კაეკასიის ქედს გადალმა მომეტებული ნაწი-
ლი თავის თავს უძახის მახმადიანს, მაგრამ
არც მახმადის რჯულისა იციან რა. რომელ-
ნიც ლორს ჭამენ. ისინი თავის თავს ეძახიან
ქრისტიანებს და რომელნიც ცხენსა, ისინი
მახმადიანებს.

მოხუცებულებს დიდს პატივს სცემენტ და
როგორც თავისი პატრონები ისე მიაჩნიათ.
ისინი არიან ერის მოთავე კაცები, ასამართ-
ლებენ დანაშაულებს, ან მოდავეებს და ყო-
ველს სათემო საქმებზე ისინი ზრუნავენ. იმა-
თი სიმდიდრეა თოფი, ხმალი, ჯაჭვი, ჯავშანი
და ოქრო. ვერცლი მაგლენი არა აქვთ. უწინ
არ იცოდენ თეთრი ფულის ხმარება, ისინი
სცვლიდენ თავის საჭირო საგნებზე ჩოხას,
ნაბაღს, ცხვარს, ძროხას, და ტყვეს. ბე-
ვრგან ახლაც ასე ვაჭრობენ, ტყვეს გარა
და. უცხო სტუმრის პატივის ცემა იციან
და თავის ქვეყნითგან უვნებელათ გაა-
ცილებენ. თუ ვინმე სტუმარს რამე გა-
უჭირდა, მთელი იმ კუთხის კაცები, ყვე-
ლანი უქომავებენ. იციან ყოველნაირი ხელო-
ბა, რაც ფშავმა, თუ შებმა და დიდოელმა. იმათში
ბევრია ეკკლესია და კოშკი ძველითგანვე აშე-
ნებულები და რომ ჰქონდა ვინ ააშენაო? სულ
თამარ მეფეს აბრალებენ იმათ აშენებას.
ხდიან ლუდს, მაგრამ სვივა (Xმია) მიაჭირ

ქართლითგან, რაჭითგან და ჩერქეზეთითგან. აგრეთვე ხდიან აყსა (არაყსა) და დღესასწაულობაში ცმენ. თავის მკვდრის სულის მოსახსენებლათ გააწყობენ დოლს (მარულა). რამდენიმე ვერსის სიშორეზე გამოუშვებენ ორს და რამდენსამე (კენოსანს და ვინც მოასწრებს, იმას აჩუქებენ დანიშნულს ჯილდოს და ჰერინიათ იმისთანა შექცევით კვდრის სულს ამხიარულებენ. ენა აქვთ საკუთარი ინდოეციანულის შთამომავლობისა. საკვირველათ მიემგზავსება ახლანდელს გერმანიულს. ქალვაჟი სახითაც ძალიან ჰგვანან გერმანიულებს. თავად-აზნაურობა ამათშიაც არის. მთელს ოსეთში რამდენიმე თავადის გვარია, რომელნიც გვარში მოთავეთ ითვლებიან და რომელსაც დაბალი ხალხი ემორჩილება. გვარებმა ერთმანეთის შველაც და მესისხლობაც (კულტ) იციან. ამისთვის ხშირათ გაილაშქრებენ ხოლმე ერთმანეთზე და აქვთ დიდი სისხლის ღვრა; მაშინ მთელი ოსეთი გაიყოფოდა გვარებში დაომობდენ. ვთქვათ ვინმე მოკლა კაცი, თუ

ამ კაცის გეარმა მაგიერი არ მოკლა, ისე არ
დადგება. როცა მოკლავს, მივა და ყურში
ჩაძახებს „მოვყალ შენი მკვლელიო“. აწ გე-
რების ბრძოლა აღარ არის, მაგრამ მესისხ-
ლობა კიდევ იციან. რომელიც მდიდარია
ორსა და სამს ცოლს იჩითავს, რომელიც
დარიბია ერთსა ცოლის შერთვის დროს სი-
ძემ უნდა მოგვაროს სახლეულს ათი, ოცი,
ოცდაათი ან ორმოცი ძროხა, ვის როგორ
შეუძლია. იქ თითო ძროხას განსაზღვრული
ფასი აქვს. თუ, ძროხა არ მიგვარა, იმის დი-
რებულს რამეს მიიტანს. თუ ვინიცობაა ძმა
მოკვდა, იმის ცოლს მეორე ძმა შეირთავს.
იმ განზრახვით, რომ შეკრებილი ქონება ისე-
ვე მათ ოჯახში დარჩეს და ქვრივის გათხოვე-
ბით არ წერთვას.

დასავლეთის ნაწილი ჩრდილოეთის

საქართველოსი.

ი მ ა რ ე თ ი.

იშერეთი ბევრათ უფრო დაბლობი აღგი-
ლია ამერეთზე, რომელიც ამაღლებულა იშ-
ტენათ; რომ მცვრის ხეობა თითქმის მთიდ-
გან დაჩერებია რიონ ეგრისის ჭალებს. იმერეთს
სამკუთხით რკალსავით აქვს შემორტყმული
კავკასიის, მორეხალეხის და ახალციხე-
გურიის მთები, შეოთხე კუთხით შავი ზღვა
აქვს. ეს ქვეყანა ყველა საქართველოს ნაწი-
ლებზე უფრო მრავალ გვარია, მუნებით მდი-
დარი და კაცის გონების გამღვიძებელი. აქ
არც ის უზარმაზარი ქედები და თვალ ჩაუწე-
დენ ელი ნაპრალები იპოება, როგორც ჩვენ
მცირე კავკასიის ვაკე გორებზე ვხელავთ, და
ზეკარითგან მოკიდებული შავკლავემდის და-
ლისტნის მხარეზე; არც ის განიერი, ერთ
ნაირობით გულის შემწუხებული ვაკე-გორე-

ბია, როგორც იმერეთში ანუ ქართლ-კახეთში; არც ის გამხმარი და სიცხისაგან დაღულებული, დამწევარი უზარმაზარი ჭალებია, როგორსაც ეხედავთ მაგალითათ ყარაიის და შაქი-შირვანის მინდერებსა. იმერეთში მთებიც არის, ნაპრალები (*pronastis*) და მთის ნახეთქებიც არის, ვაკე-ვორებიც და მინდერებიც არის; მაგრამ სულ მომცრო, პატარ-პატარა, მდიდარი, მცენარეულობით შემძული, რომელიც ეუბნება კაცის თვალს და გონებას, ჩემში არა ვითარი მიწის აფებულობა შემაშფოთებელი შენის გონებისა არ არისო. ეს მდიდრათ და შენი გონების გამფხიზლებული დადება ბუნებისა შენ საძიებლათ და გონების საწვრთნელათ გაჩენილაო. თეითონ იმერეთის ფერიც კი მიიტაცება, და ახალისებს კაცის თვალს. მახლობლათ ყოველივე მწვანით არის მოსილი, ცოტა შორს თუ გააცილებ თვალს, მთის ფერდებზე, იქ ლურჯი ფერი ცალმხრით მშვენიერათ არის შეხამებული მწვანესთან და მეორეს შხრით მტრებული

დის ფერი ცის კამარისა ზემოხსენ ებულიფერებთან თევე; მაგრამ ამით კიდევ არ თავდება ეს ფერი. იქ საღაც ლაჭვარდი მთებისა და მტრედის ფერი ცის კამარისა უახლოვდებიან ერთმანეთს, იმათ შუა გამობრწყინდება თეთრი ნათელი ზოლი თოვლით შემოსილი ქედებისა და ეს თეთრი, ლაჭვარდი და მწვანე ფერები ერთად ათას სხვა და სხვა შეზღვებულს ფერს ჰგადებენ. გადავა თუ არა კაცი ქართლითვან იმერეთში, ის უცბათ შეიქმნება კარგს გუნებაზე, ფერი და მდებარეობა თვალს ართობს, გრილი ჰაერი გულს ამხიარულებს და ამასთან შორს, შორს დასავლეთისკენ მოჩანს ზღვის ლაჭვარდი, რომელიცა მზის ჩასვლის დროს ალის-ფრათ იღებება.

ნახევარი იმერეთი გაესებულია კაცებისის, მორეხა-ლიხის და ახალციხე-გურიის მთების. კალთებითა. ამ მთების კალთებზე დაეფინება ან შეენიერათ ან გები ვაკე-გორები, ან და მჩქეფარე და მქოთავს ხევებზე ჩაუყენება ვიწრო ხეოს ბები, რომელნიც შეადგენენ მთათსავანებს.

მეორე ნაწილი იმერეთსა შეადგენს ჭალებ-სა, რომელთაგან შესანიშნავნიარიან ყვირილი-ლის ჭალა, რიონის ჭალა, ენგურის (Ethiop-იან) ჭალა და ზღვის პირის ჭალები. იმერე-თში არის ისეთი ალაგები, სადაც მთელი წე-ლიშადი მუდამ ყვავის და თოვლი არ იცის, არის ისეთი ალაგებიცა, რომ სიმქისით და ციუი ჰაერთ თითქმის ისეთს უდრიან.

ეს ქვეყანა გაიყოფება თავის აგებულებისა-მებრ სამ გვარათ.

1. მთათ-სავანეები, რომლებშიაც მდე-ბარებენ რაჭა ლეჩხუმი სვანეთი და მთის აბხაზეთი.

2. ვაკე გორები, რომლებიც უჭირავს სა-წერეთლოს, არგვეთს, ახალციხე-გურიის მთე-ბის კალთებსა.

3. ჭალები: ქვემო იმერეთი, გურია, სა-მეგრელო და აფხაზეთი ზღვის პირისა.

ჩდილოეთ საქართველოში სანუ იმერეთშია ერთი დიდი წყალი რომნი, რომელსაც უჭი-რავს სამას ოცი ვერსი სიგძე, გამოდის ფა-

ზის მთას, მოდის აღმოსავლეთიდგან დასაფ-
ლეთისკენ ძალიან წელტეხილათ (ვაგვარომ)
ქუთაისის რკინის გზის სტაციამდის, მერე
მობრუნდება დასავლით და ერთვის შავს ზღვას.
იმას ერთვის ჩრდილოეთით ლების წყალი, სა-
კურა, ლუხუნურის წყალი და აკის წყალი;
სამხრეთით ჯორჯორა, ხოტევი და შალაურა. ეს
წყლებია რაჭაში. შემდევ იმერეთში და გურიაში
ერთვიან შემდევი წყლები: ჩრდილოით — გუ-
ბის-წყალი, ცხენის-წყალი, აბაშა და ტეხური,
სამხრით ყვირილა ხანის წყალით, რომელიც
ჩამოუდის ბალდაცს და საჯავახოს-წყალი.

ყვირილა გამოდის ოსეტითგან და იწყება
ორი სათავეთი, ერთი იწყება ერწოს ტბით-
გან და შეორე — ლებერტოს მთითგან. ყვირი-
ლას ერთვის ჩრდილოეთით შესანიშნავი
ხევები: ჯრუჭულა, ჩოლობეური, რომელიც
არის ორი წყლისაგან შემდგარი, ბუჯა და ძუ-
სა, ძევრის წყალი, ჭიშურა და წყალ-წითე-
ლა; სამხრით ჩხერიმელა და ძირულა, რო-
მელნიც შეერთდებიან და ჩადიან ყვირილაში.

მომეტებულ ნაწილი ყვირილისა სდია საწერე-
თლოს ვაკე-გორებზე და მიერთვის რიონს
უარციხეს.

ცხენის წყალი გამოდის ცურნიალის მთით-
გან ფასის მთის მახლობლათ. ამ მდინარის
ზედა წელზე ძევსა სადადიანო სვანეთი, რო-
მელიც იყო ლარუშის ციხემდის. ამ ციხეში
იდგენ დადიანის ციხის მცველები და სვანებსა
და ლეჩეუმელებს ართმედნენ ციხის კარის
გასაევალს ჯარიმას. შუა წელი ცხენის-წყლისა
უჭირავს ლეჩეუმს ხომლის მთამდის და
ქედა წელი გადას იმერეთში.

ეგერისში ანუ სამევრელოში სდის ხო-
პის წყალი, რომელიც გამოდის ჯვარის
მთებითგან და ჩადის ზღვაში ყულევს (*Pe-
rutz-Kale*).

ენგური (*p. მუკურა*), რომელიც გამოდის
ფასის მთის მუორე გვერდით სვანეთში და
ჩადის სამურჩაყანოს და სამეგრელოს შუა
ზღვაში ანაკლიას ნაეთსადგურთან. ამ მდინა-
რის ზედა წელზე ჩაუყვება სვანეთი, შუა წელ-

ზე, ფარითგან მოკიდებული ჯეარამდის, ალა-
ნეთის ხალხი, რომელიც აქამდის არ აღიარებს
ქრისტეს სარწმუნოებას და არაულებს კერპო-
თაყვანის-მცუმლობასა. ქვედა წელზე ჯერით-
გან მოკიდებული ზღვამდის მეგრელები სახ-
ლობან.

ეგრის წყალი, რომელიც ერთვის
ზღვას ილორთან.

მო ქვის წყალი, (p. *Moneti*), რომელზე-
დაც არის მოქვის დიდ ნაგები ეკკლესია,
აფხაზეთის მეფის ლეონისგან აშენებული.

კოდორის მდინარე, რომელიც გამო-
დის, კავკასიის მთითგან.

კოდორის დასავლით არის ძველი ანაკულ-
ფია (*Cukhumt-Kale*), რომელიც იყო საბერძ-
ნეთის სახელგანთქმული ქალაქი. ძველათ ამ
ანაკულფიის დასავლით (*Cukhumt-kale*) დაიწყე-
ბოდა საკუთრათ აბხაზეთი. აქამდის სამეგრე-
ლო ერქვა ამ ქვეყანას.

ანაკულფიითგან დაწყებული ჯიქეთის ზღვამ-
დე (*Azovskoe more*) ანუ კავკეტის მდინარემ-

დის (p. *Кубити*), ეწოდებოდა აბხაზეთი. აქ შემდეგი მდინარეები ჩამოდიოდნენ: ზუფუ მდინარე (p. *Бзыбь*). ამ მდინარის აღმოსავლით არის ბიჭვინტა (*Пшеворд*), უწინ იყო დიდი ქალაქი, რომელიც ააშენა იუსტინიანე კეი-სარმა, ამბობენ ამავე ქალაქს ნიკონიასაც (*Nikoneia*) ეძახდენ.

ზუფუს დასავლით არის მუწის წყალი (p. *Мзымта*).

იმ დროთის მიწა წყლის წყობადა
სტრატელული შენიშვნები.
იმ დროთს სამყუთხით არტყია მთები, რო-
მელშიაც აჭარა მთათ-საეანები, მაგარს ხეო-
ბებში ჩაყოლებული. ამ ხეობების შესა-
ვალ კარებთან არიან ციხეები აგებული. ეს ად-
გილებია მაგარი და მტრისგან შეუვალი. ყოველ
მტრის დაცუმის დროს ბერის ადგილებითგან
იჭიზნებოდენ აქ, ე. ი. რაჭას, ლეჩხუმის და სვა-
ნეთს. ეს მთათსავანები დაჩრდებია ვაკე-
გორებსა, რომელიც მდებარეობენ მდინა-
რების შუა-წელში და საუც ვაკე-გორა კიბუ-

კიბეთ ჩამოდის ჭალაზე. ყოველ მდინარეზე ამ ვაკე-გორის ყელში ყოფილა ციხე მავარი, და შეუვალი. და ამ სახით ეს ვაკე-გორები ერთის მხრით იყვნენ იმის შესასვლელ ყელებში ციხეებით გამაგრებული და მეორეს მხრით ისინი დაჰყურებდენ რონ-ეგნურის ჭალებს. ისინი ზღვითგან გამოსულს მტერს ჭალებზე მუქარას აძლევდნენ და ფეხს არ ამაგრებინებდენ. მართლაც ზღვითგან გამოსული მტრები სანამდის ამ ვაკე-გორის ჭარებს, ესე იგი ციხეებს არ აიღებდენ, მანამდის ამ ქვეყანაში ფეხს ვერ მოიმაგრებდენ. ამისთანა ციხეები იყო: ყვირილაზე საწერეთლოს შესავალი კარი-1) შორაპნის ციხე, რომელის ნანგრევიც სულ ერთიანათ გაქიაქდა, როდესაც რკინის გზა გაიყვანეს. ამ ალაგას იყო ძველი დედა ჭალაქი სარაპანი, აზის და ევროპის შორის საქონლის საწყობი. რიონზე ოკრიბაში და არგვეთში შესავალი კარი—2) ქუთაისის ციხე, მთაზე მოზღუდული. ქუთათისი შექმნა ბაგატ მეოთხემ სატახტო ჭალაქათ, სადაც ააშე-

ნა შეენიერი მარმარილოს საყდარი დიდი და შიგნით აიასოფის კენჭით გაწყობილი. მეჩეიდ-მეტე საუკუნის გასულს თათრებმა დააქციეს ეს საყდარი და მარმარილოს ფილაქნები, აგრეთვე მარმარილოს სვეტები და სხვა სიმდიდ-რე წაიღის ახალციხეს. შემდეგ მიღის ბანძის ციხე და იმის ზეით უნაგირას მთაზე შეენიერი ტაძარი ჭყონდიდისა (მარტვილის ეპკლესია); აქ იჯდა ოდესმე ჭყონდიდელი საქართველოს მეფის პირველი სასულიერო პირი, რომლის ხელქვევით იყო მთელი სამღვდელოების და განათლების საქმე. აგრეთვე ლაშქრობისა და ბრძოლის დროს იმას ეჭირა მრთელი საქართველოს დროშა და წინ მიუძღვდა ჯარს. შემდეგ აბაშის მდინარეზე, სამეგრელოს ვაკე-გორის ყელშია სახარიას ციხე, მერე ტესურის მდინარეზე შხეფის ციხე, მერე ეგურჩერუბის ციხე და სხვ. ამ სახით ვაკეგორის ქვეყნები იმერეთში შესალტული ციხეებით, რომელნიც იცავენ აუგოთონ ჭალებსაც და ზღვის პირს. აი რითი აიხსნება ის ანბავი, რომ სა-

შერძნეთი ქველთაგან ვე - ვერ დაბინავდა ამ
ქვეყნის ჭალებზე, ის აშენებდა ზოგ ალაგას
ზღვის პირათ ჭალაქებს, რომ იქ ყოფილიყო
ბოლოზი, საღაც ვაჭრობითს დამოკიდე-
ბულებას აწყობდა კოლხიდელებთან. ამ
ვაჭრობითს დამოკიდებულებებს გარდა სხვა
უფლება აფხაზეთზე ვერ მოუპოვებიათ, ამ სა-
ხით მთელი იშერეთი ანუ ჩრდილოეთის ნა-
წილი დასავლეთის საქართველოსა გარეშე
მტრისაგან შეუვალი და ფეხ-მოუკიდებელი იყო
ჭლვით გამოსულ მტრისგან. ამას ეწინააღმდეგე-
ჭოდა თვითონ ჭლვის პირის ჰავა, უცხო კაცის
მომაკვდინებელი და კარგათ გამაგრებული
ვაკე-გორები, როგორც მთათსავან ებითა,
ისე ჭალების ყელში აგებული ციხეებითა. იმ
ქვეყნის ადვილათ დამორჩილება მხოლოდ
ქართლისა და საათაბაგოს მხრით შეიძლებოდა,
რადგან ეს ქვეყნები ამაღლებულნი არიან და
ციხეებსავით ჭევითგან დაჰყურებენ იმერეთს.
რაც რომ შესაწიშნავი გსტოიული სახსოვ-
რებია; ეკალესიები ვარდა, კოშკები, ციხეები

და ისტორიული სამკაულები სულ მთათ-სავან ე-
ებში და ვაკე-გორის ქვეყნებში არის დაგროვე-
ბული. მშ ისტორიულ სახსოვრებში პირველი
ალაგი უჭირავს გელათის მონასტერს, რომე-
ლიც ააგრი დავით აღმაშენებელმა. ეს ტაძარი
აქამდის დაურღვეველათ დგრე და შიგ მრავალი
სიმღიდრეა დაგროვებული; მთათ-სავანის ხალ-
ხები რაჭველები, ლეჩხუმელები, და სვანები
ჩვეულებით, ზნით, მიხვრა-მოხვრით, და ისტო-
რიული, მწიშენელობით ძალიან ჰგვანან ერთ-
მანეთს ამის სრულის მშაო ცალკ-ცალკე ქვეყნე-
ბათ აღარ ავაწერთ მაგალითათ ავილებთ სვა-
ნების ხალხს ერთი ამისთვის, რომ ეს არის
ქართლის ტომის ერთ, თავის, ენაზე მოლა-
პარაკე, რომელიც სხვებზე უფრო და მორე-
ბის ცხოვრებით საქართველოს ერს და რო-
მელსაც თავის მთებში უველაზე უფრო ძვირ-
ფასი და მევრი ისტორიული სახსოვრები შეუ-
ნახავს.

სვანები.

ჭმთაცრეს კავკასიის ქედსა და ლათტარის
მთის შეკარის თავისუფალი სვანეთი უშკუ-
ლითგან მოკიდებული ეწერამდის, რომელნიც
მუდამ იბრძოდენ თავისუფლებისათვის დადეშ-
კელიანების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში
ლატალის საზოგადოება და იმათი მოთავე
კაცები დანარჩენ საზოგადოებების თავისუფ-
ლების ბურჯათ ყოფილან. ბევრი შესამიშნა-
ვი თავისებური საერო დაწყობილება აქვს
ამ ხალხს. თუნდ მაგალითათ ბჭენი ანუ სა-
ერო მოსამართლენი, უღლის ლაშქარი, ანუ
ამორჩეული ყოველ საზოგადოებითგან მოთა-
ვენი, იმათი შეკრებულება და საერო საქმის
გამგეობა. ამათი წესდებულების და გამგეობის
შესწავლა ძალიან ბევრს ახსნის ჩვენი ძველი
თავისუფალი ცხოვრებისას. ისინი დიდს პატივს
სცემენ თავის ეკკლესიებს, რომელნიც მრა-
ვალნი არიან დაკეთებულნი სვანეთში ოქრო-
თი, ვერცხლით და ისტორიულ ზედწარ-
წერილობით ავსებულნი. იმათ სწამთ ყველა-

ზე უფრო მთავარმოწამე კვირიკე, რომელიც არის წმიდა გიორგის ხატი, ლატალის შახლობლათ მთაზე არის ერთი პ.წაწა ეკულესია. გზა გვირაბით აქვთ ასახულელი, და როცა შიგ შეხვალ მრავალი ჯიხეის ჩქები დაგხედება შეწირული, აგრეთვე მრავალი შეილდ-ისარი, ქალის ნაწილები და მოვერცხლული ხატები. აქ წმიდა კვირიკეს ხატი ოქროს ჯაჭვით არის დაბმული და სწამთ, ვითომც რომ აუშვან ყველა ხატებს დალეწავსო. ეწერთგან მოკიდებული ჩუბის-ხევამდის ენგურის გაყოლება, საკუთრათ ეწერში, ფარში და ბექოში, დამკვიდრებულან დადებყელიანები, რომელთაც სურვებიათ და ნარჩენი თავისუფალი სვანეთის დამორჩილება, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. ეწერშია ეკულესია, რომელსაც სახელით სვეტი ჰქვიან. ამბობენ სვეტიკხოვლის სამკაული აქ არის დახიზნულიო, ამ საყდარში არისო, ამბობს ვახუშტი, სვეტი ცხოველის კანკელი სულ იაგუნდით ნაკეთებიო, რომელიცა ვახტანგ გორგასლანმა ინდოეთიდან მოიტანო. საზოგადოთ ჰქონ ეკულე-

სიებში მრავალი სიმღიდრეა დაგროვებული და ხალხს დიდი პატივი აქვს იმათი და ვერავინ გაბედავს იმათ უნებურათ საყდარში შესულას. ამ საყდარში მრავალი ძველი წიგნები პერგამენტებზე დაწერილი. კაცი რო მოყვალას ეისმე და ტაძარში შეეწირო, აღარას აკადრებდნენ და გაათავისუფლებდენ. ხატების დაზი შიში აქვთ და იმაზე რაფიცებულებს ერწმუნებიან. ყოველივე, რაც რამე ჩეირიანი ისტორიული ლეგენდა იპოვება ხალხში, სულ თმარ მეფეს აბრალებენ და იმისი პატივისცემა იმდენი აქვთ, რომ თითქმის წმიდათაც ლიარენენ. ყოველი საზოგადოება რომლისამე ხევის პირზეა ჩასახლებული. სახლები უდგათ ქერტყირისა, ორ ეტაჟიანი, ზევით თათონ დგანან, ქვევით პირუტყვი ჰყავთ, ყოველი სახლი და კოშკი გადახურულია შავი ფიქალი ქვითა. მთელს საზოგადოებას ანუ სოფელს ავლია ქვიტყირის კედელი და ამის კუთხეებში კოშკებია. მრთელი სოფლის დასაცემად ჩვენი მთის ხალ-

ხები ყოველგან თითქმის იმნაირათ მოსახულობენ. ვახუშტი ამბობს, ძურძუკეთში ისე გამრავლდა ხალხი, რომ ვეღარ დაიტიან, და საურმავ მეფემ ისინი გამოიყვანა ამ ქვეყანას, რომელსაც ერქვა სავანე და დასახლაო. აი ამიტომაც ეწოდა ამ ქვეყანას სავანეთი ანუ სუანეთით. სვანები არიან კარგი მოსულნი, დიდი ტანისა, ღონიერნი, მუშა, ბარში ჯარათ არ ვარგან, მაგრამ კოშკების და ციხეების დასაცუელად შალიან მარჯვენი არიან. ენა აქვთ საკუთარი, ქართულის მონათესავე. ჩაცმული არიან როგორც თრიალეთის და ჯავახეთის ქართველები. ქუდი ახურადთ ან გძელი შალია, კალთებ ჩამოშებული, ან არადა ქოჩარს მოიპარსვენ მანეთის ოდენათ და ზედ დაიფარებენ მანეთის ოდენს ფერანავსა. მესისხლობა, როგორც ოსებს, სჩვევიათ. სხვაფრივ მეგრელისა და ქართველის ზე და ჩვეულება უჭირავთ.

აშხაზები

სამეგრელოსა და შავი ზღვის ჩრდილო-

ეთით და სვანეთის დასაცლეთით არის ჯიქეთი ჯიქეთის ზღვამდის და კაპპეტის მდინარემდის (P. კყნაუ). ჩრდილოეთით ამ ქვეყანას საზღვრავს კავკასიის ქედი, სამხრეთით შავი ზღვა. აფხაზეთი ყოველნაირი ჰავით მიწა-წყლით და მოსავალით შემკულია. ხილი და მაღლარი ვენახია ტყეთ მოდებულია, პირუტყვი მრავალი ჰყავთ. აქაური თხა მაინც ყოველის კუთხისას სჯობია: წმინდა ბალანი აქეს, შავთეთის ჭრელია, კანჭ-მაღალი და დიდი ტანისა, ჩქები ზოგიერთს ვაცს ამოუა აღლნახევარი. ეს ქვეყანაა ტყიანი მდინარეებზე დაუყება შეინიერი ეიწრო ჭალები და მთებზე ალაგ-ალაგ ველებია გაშლილი. კაცი სახით ჰგავს მეგრელს, უფრო მოსული ტანოვანი წელწერწოტნი და უფრო ცქვიტნი, ქურდი და ავაზიკი ზნისა. ზღვის ხელობა კარგი იციან, აქეთ ბარქასები, რომელშიაც ჩაეტევა ორას-სამასი კაცი ერთად. ხმელეთზე ბრძოლაში დიდხანს ვერ იციან, მაგრამ ზღვაში ძალიან მარცები იყვნენ და არიან. უწინ უხვდებოდენ ოს-

მალებს, მეგრელებს, ლაზებს და ცარცვავდენ
იმათ ნავებს. სარწმუნოებით იყვნენ უწინ
ქრისტიანები, როცა საქართველოს ერთობა
იყო, ახლა კი უფრო კერპთ-მსახურების წესსზე
დგანან. მკვდარს თავის ტანსაცმელით და ია-
რალით ჩადებენ კუბოში, შედებენ ხეზე და,
თუ სტენს ღამით, ჰელნიათ ცხონებულაო.
ღამით საჭმელსაც დაუდგმენ ხეზე და სწამთ,
რომ სული მიცვალებულისა ჩამოვა და სჭამ-
სო. ნათესაობა იციან, ირთვენ ერთ ცოლს,
მარხეას ინახენ და ღვდელს პატივს - სცემენ.
სიძვას და მრუშებას ძალიან სდევნიან. უყვართ
სტუმარი, ძიძაობა იციან და გაზღიული დიდათ
უყვართ. ენა თავისი აქვთ, მაგრამ თავად-აზნა-
ურობამ ქართული ენაც იცის და მხელრული
წერა-კითხვა. აცვიათ ჩერქეზულათ, წევრი
მოშვებული აქვთ, თავი მოპარსული. სხდე-
ბიან სკამზე, სჭამენ ტაბლაზე (სტოლზე) და
უფროსის ერთგულება იციან.

ჯიქები სულ ყოველფერში გვანან აფხა-
ზებს, მაგრამ კიდევ იმაზე უფრო ბრიყვები
აჩიან.

იმარნი

იშერელი, გურული და მეგრელი
იმერეთი არის ზღვის პირს მიღებული ერ-
თი დიდი ჭალა თავისიგორებიანა. ჰავა ზღვი-
სა აქვს, ესე იგი ჰატენილია ნამით და
იმის გამო ზაფხული გრილია და ზამთარი
თბილი იცის; წევიმებისგამო მრავალი წყლები და
ხეობებია. ამის გამო შცენარეობა ძალიან
ჰორეული აქვს ქვეყანას. ზოგჯერ დიდი სი-
ცხვც იცის, განსაკუთრებით ოიონ-ენგურის
ჭალებზე. უწინ მაინც მიაელი იმერეთი ტყით
იყო შემოსილი და ზევითგან რომ დაგეხედნა,
ერთ მოსახლეაც ვერ შენიშნავდა კაცი თა-
ვის სახლეარიანა. ცინი იყენებ ტყეში გაფან-
ტულნი; ახლა ტყე ძალიან გაიკაფა, ჭალები
მოტიტველდა, მაგრავ იმერეთის სოფლები
მაინც ჯერ კიდევ სქელს ჩრდილში იფა-
რებიან. ჭალებიც ქავმაოთ არის, განსაკუთ-
რებით ზღვის პირათ, რომელიც ხაშმავს ჰა-
ერს და აჩენს გესლიან ციცებ-ცხელებას. ამას
გარდა ზაფხულში ამოვარდება ზენი ქარი და

თუ გაგრძელდა ყოველსავე ახმობს და აჭკ-ნობს. ბარათ თხმელა, ხურმა, და კაკალი არე-ულია ერთმანეთში, ამათში გამანდულან ყურ-ძნის ვაზები. შიგა და შიგ ერევა მრავალ-ნა-ირი ხეხილი თფილის ქვეყნისა, მაგალითათ ლელვი, ზეთისხილი, ნარინჯი (პომერანეც), ბროწეული და ზღვის პირათ ლიმონიც. გა-ზაფხულზე და ზაფხულზე სამევრელო ვუ-რიას რომ დახედო ერთ დიდ დობილოთ (კე-ნახის ბალათ) მოგეჩენება. ქვეყანა ყოველ-გვარი მოსავლით და ცხოველით ძალიან მდი-დარია. მიწა არის შავი და დიდი მოსავლიანი, სათიბი ოთხჯერაც გაითიბება.

ქალი და ქაცი ამ ქვეყნისა უშვენიერესნი არიან მთელს საქართველოში, ლაზათიანათ და მოხდენით ჩაცმულნი. თოფ-იარალის და ცხენ-უნაგრის მოყვარულნი, ცქვიტნი, ბრძო-ლაში გულადნი და ძლიერნი, მაგრამ დიდ-ხანს კი ვერ გაძლებენ, არიან სულ მოკლე; თუ პირველ მისვლაზე ვერ გაიტანეს მტერი, მერე კი გადრკებიან. მომხვეჭნი (ალებ მიცა-

მობის და საკუთარი ინტერესის ხალხი), უყვართ სწავლა, მეცნიერება, წიგნის კითხვა გალობა, ქალებს — ჩონგური და ზე დამღერებაა სარწმუნოებით. მართლ-მაღიდებელნი არიან; ციტყვა პასუხი ქართული აქვთ, მაგრამ იმერელი უფრო ჩქარი მოლაპარაკეა ქაჩ თველზე, გურული კიდევ იმერელზე უფრო და მეგრელს კი თავისი საკუთარი ენა აქვს ქართულის ძირისა. მაღალი წოდების ენათ იმათაც ქართული მიაჩნიათ, საღვთო წერილი და მწიგნობრობა ქართული აქვთ. აცვიათ ჩერქეზულათ, გურულებსკი ბერძნულათ, მხოლოდ შალვალი იციან ვიწრო და ტანზედ შემოსხეპილი. ამ ბოლოს დროს ისინიც ჩერქეზულს ტანსაცმელს უფრო მისდევენ.

ქველათ ამ ქვეყანას რქმევია ეგრისი შემდეგ როცა ლეონ მეფე გაძლიერდა, მერვე საუკუნის ბოლოს, იმან დაიპყრა მთელი ეგრისი და უწოდა სულ აფხაზეთის სამეფო. როცა ბაგრატიონის გვარმა მთელი საქართველო ერთ სამფლობელოთ გააკცია, მაშინ

აფხაზეთს დაარქვეს იმერი, ესე იგი იმ შთის
ერი განსარჩეველათ ქარლთ-კახელებთან, რო-
მელთაც ეწოდათ ამერი. მეთუთხმეტე საუკუ-
ნეში, როდესაც საქართველო სამეფოდ და
სამთავროებათ დაწესდა, მაშინ აქ გაკეთდა
ერთი სამეფო იმერეთისა, ერთი სამთავრო
გურიისა და ერთი საგადიანო ოლიშ-სამეგრე-
ლოსა. აფხაზები და ჯიქები კიდევ ცალკე
გავიდენ.

საზოგადო შენიშვნები

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ამ მოკლე
საქართველოს აღწერილობისათვის, ის უეჭ-
ველათ შენიშნავდა, რომ არც აღმოსავლით
გრკვარზე და არც დასაელით შავი ზღვით
კერა ძლიერი მტერი საქართველოს ვერ შე-
მოეკარებოდა, ისე იყო ის გამაგრებული ძვე-
ლითგანვე, როგორც ბუნებითი მიწა-წყლის
წყობით, ისე ჩვენი წინაპრის გონიერი სტრა-
ტელიური მოსაზრებით. სამხრეთით და ჩრდი-
ლოეთით კი მთის ქედები და კლდეები იცავდა.

ამასთან თვითონ ქ რთველის ტომის ხალხებიც ძალიან ვაჟკაცნი, ძლიერი მებრძოლები, გაჭირვებაში მოპოვენი, სახელის მიმდევნი და თვისუფლების მოყვარენი ყოფილან. ამისთანა თვისების ერი ამ ბუნების ქვეყინაში ჩასაფრებული სწორედ მიუკარებელი უნდა ყოფილიყო გარეშე შემოსევისაგან, თუნდ იმაზე ნაკლები მცხოვრებნიც რომ ყოფილიყონ, ვინამც ეხლა არის. ყოველ გაჭირების დროს იმათ ისე გონიერათ შეეძლოთ დანაწილება სიმაგრეებში, ხევებში, ციხეებში, რომ ყოველთვის გამარჯვებულნი დარჩებოდნენ მოგერებითს ომში და ვერც ერთი მძლავრი მტერი ვერ შელეწდა საქართველოს კარებსა. მაში რათ მოხდა, რომ ეს ქვეყანა მას აქეთ გათელილი, გალეწილი დარჩა? ეისი ბრალია, ან რა გარემოებაშ შეამთხვია ეს ხაოცარი საქმე? აი, ამის პასუხს კვალ და კვალ ერთი მეორეზე ზედმიყოლითი ისტორიული მოთხრობით შერტყობს მკითხველი შემდეგს სტატიებში.

გ. გორისელი.

ერთი ხანა პოემისა
„აჩრდილი“

XVII

აეგრ დიდ-კაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე ყოველი

რად ინდომებს ის ქვეყნისთვის ბედსა,
როს მასა შეელის მის ბედკრულება?
რათ შეებრძეის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით რჩება?
აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
რა ძმა მის მოკვედეს თუნდა შიმშილით

უნაღველოდ განველის სიცოცხლის ხიდსა;
 აგერა შლედელნიც—ერთა მამანი—
 რომელთ ქრისტესგან კისრად ჰსდებიათ
 ამა ერისა სულის აღრზდანი,
 რა რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
 სად არის სიტყვა დაადის სწავლის,
 სიყვარულისა და სამართალის,
 რომ მათ ბაგიდგან არ მომდინარებს
 და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
 სად არის იგი მღაღადებელი
 ქვეყნისა ხსნისთვის ჭეშმარიტება?
 სად არის იგი ბიწის მდევნელი
 ჯვარუმულის ღმერთის მაღალი მუნება?

ილ. ჭავჭავაძე.

გლეხური სიმღერები

(ილ. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანი)

I

სანადიროდ გამოვედით ამირან და ძმანი მისნი,
ცხრანი მთანი გადეიარეთ და მეათე ალგეთისნი;
მინდორს ვნახეთ ერთი კოშკი, ტურფად ანაგები ისი,
სამი დღე-ლამე ვუარეთ, ვერ ვიპოვეთ კარი მისი,
საცა. მზე მიადგებოლა, იქ ყოფილა კარი მისი.
ამირანმა წიხლი ჰქონა იქ და გაელო კარი ისი.
შიგა ნახა ერთი მკვდარი საწყალი და საბრალისი,
თავით ება ერთი რაში, ქერსა სჭამდა, ბზესაც ისი,
გვერდით ეჯო ერთი ხმალი, იამან და ბასრი მისი,
ფეხთით ერთი შუბი ერჭო, ცასა ხერეტლა წვერი მისი,
თითებ შუა წიგნი ედო, დაწერილი ქალალდისი:
„სინამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი მისი,
ერთი. დამრჩა ბაყბაყ დევი, ვაი ჩამყვა ჯავრი მისი!...
ვინც რომ იმასაც მამიკლავს, ჩემი ხმალი ალალ მისი.“

II

ასა ლიტრასა რეინასა კბილს მოუჭირებ, ქნაცის უზამო,
იქით მთასა და აქეთსა ხელს მოვუჭირებ, რასტის უზამო,
ალაზანსა და იორსა დავეწაუები ყლაპს ვუზამო,
თავსა გასულსა დიაცს კი, მე იმას ვერას ვუზამო.

მგზავრის შიგნიში.

I

186... მაისის უკანასკნელ რიცხვებში
ქ... ჩამოვიდა კიკოლიკი. ის მიემგზავრებოდა
სეანეთისაკენ. წარმოიდგინეთ ჩემი ვახარე-
ბა, როდესაც ამ ყმაწვილმა მირჩია თან წავ-
ყოლოდი. სახლში ძილის მეტს არას ვაკეთებ-
დი და თვითონ სახლობაც გვერდზედ მიყუ-
რებდა. ბევრჯერ მოვიწადინე თოხის და ბა-
რის ხელში აღება: მსურდა სმა-და-ჭამის ფასი
მაინც გამეკეთებინა, მაგრამ მაშინვე დამიტა-
ტანებდნენ, გაჯავრებით მეტყოდენ, თოხი
და ბარი რა შენი საქმეაო, მაგის ხმარება
ჩეენც კარგათ ვიტითო. თუ ხელს გერჩის, იქ
შედი (სასამართლოზედ თითით მიჩვენებდნენ),
ოჯახში ფული შემოიტანეო. მე კი, სწორე
მოგახსენოთ, არაფრად მეხალისებოდა სამსა-
ხურში შესვლა. უღელ-შეუჩეველმა მოზვერ-
მა რომ უღლის დადგმა იუკადრისოს, ეს გა-

საკვეირეელი არ არის. სამსახურში შესვლას რაღაც გული არ მათხრობდა, ბუნებაც მას ეწინაღმდეგებოდა. წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც თავის დღეში სხვის სიტყვებზე ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, სხვის სურვილზე უბრალოთ წარბიც არ გაუმართავს, ახლა უცბათ სამსახურის მტკიცე კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო, მორჩილების დალი შუბლზედ მიეკრა, ან მუდამ თავ დახრილს და ტუჩ-მოპრუწულს კალამი უნდა ეწრიპინებინა ქაღალდზედ, ან დაყურში კალამ გაყრილი, ისიც დამორჩილების ნიშნათ, წარმდგარიყო უფროსის წინაშე და, სურდა არ სურდა, მაინც გაეკრიჭა, ვითამ და მხიარულათ გახლავართ, სულ ვიცინი, სულ ცანგალას ვთამაშობ თქვენ კეთილ მობილების, ან მაღლა კეთილ მობილების, ან კიდევ მაღლა, ესე იგი აღმატებულების საფარ-ველს ქვეშეო. ბევრია ისეთი კაცი, რომელიც ამისთანა მდგომარეობას შენ-ტროდა, იმისთვის რომ იმას კარგი ტკბილი ცხოვრება მოჰყვებოდა და ზემოხსენებული ჩვეულე-

ბები პოლიტიკათ, თავის გონიერების ნიშნათ
მიაჩნდა. მე.. მე... მე კი ვერაოდეს ვერ და-
ვმორჩილდი ამას! ახირებული გამოხატულება
მქონდა! ამის წარმოდგენა და ტანში ჟრუან-
ტელის დავლა ერთი იქნებოდა ჩემთვის... „არ
მინდა“ მეთქი დავიყვირებდი, არ მინდა და
მაშინვე, შინ რომ ცყოფილიყავ, გარეთ გა-
ვიღოდი.

სახლეულობა კი შუდამ მეჩეუბებოდა და
ერთი დავი-დარაბა გვექონდა. ამ დავიდარაბას
რომ მორჩენილვიყავ, სახლიდგან გაქცევა და-
ვაპირე, მაგრამ სად წახვალ, გროში ჯიბეში
არ გიჭყავა? ამისთანა მდგომარეობაში თვი-
თონ იფიქრე, მკითხველო, როგორ გამეხარ-
დებოდა კიკოლიკის ჩამოსვლა.

ვინ წარმორიდგენს, იმ სიამოვნებას, რაც
მე ამ გზაზედ გამოვსცადე:—ხან მოხდებოდა

რომ მთის ქედზედ დგეხარ, ძირს დაჩერები-
ხარ მდინარეს, რომელიც გველსავით კვლა-
კვნით მიძრება დობილოებში *), გალმა მთის
კალთებში აქა-იქ პატარა ხის სახლები გაბ-
ნეულან. ის არის სოფელი, საიდგანაც ყრუთ
მოგესმეს ძალლების ყეფა; კლდეზედ თხა ნე-
კერს (წვდება, მწყემსი სასწრაფოს **) უკრავს,
ტყეში ცულდა ურახუნებენ, შეშას სჭრი-
ან. ზოგჯერ შეჰედავ, რომ კლდესა და
კლდეს შუა ენგური გადმომჩქერვალებს, ორ-
საჟენ სიმაღლეზედ. იმისი ხმა ქოჩორა ნა-
ძეის ტყეში შორს გაისმის. ხან დგეხარ თოვ-
ლიან ქედზედ; შორს მთის ნახეთქებში ვე-
ება თოვლი ჩიმოწოლილა; ის თან დნება

*) დობილოს იმერეთში ეძახიან ხეზედ შესულს ყურ-
ძნის ვაზსა.

**) სასწრაფო არის ერთგვარი საკრავი. ის არის
შემდგარი წვრილ-წერილ ლერწმის მასრებიდგან, რომ-
ლებიც ერთათ ბალის ქურქით არიან შეწნულნი. ამ
საკრავს ნაზი და მრავალ გვარი ხმა აქვს.

და თან ადამის წლის კლდეებს გრგვინეით არღვევს. ზოგჯერ ისაც მომხრადა, რომ თვალ-უწვდომს მთის ძირს დაბინაებულვართ. ზე-ვიდამ გათეთრებული მთის წვერი მიმინოსავით თავზედ დაგყურებს. უკურათ ბნელს ღამეში ამობრწყინდება კაშკაში მთვარე და შეხედავ, რომ იმ წვერს ძირში გარს შემოეხვია ბამბის ქულასავით თეთრი ღრუბელი. დალას, როცა მზე ცას გააპობს, შეხედავ, რომ იგივე ბამბის ქულაღრუბელი მთის წვერზედ ადენილა და იქ დამჯდარა ციურ სულიერსავით. ამ-გვარ სურათების ნახეასრა ბჯობდა ქვეყანაზე!...

186... 9 ი ვ ლ ი ს ს ნაშუადლის 5 საათზედ ქ...დგან გამოველით. ჩვენ ოთხნი ვიჲავით: ჩიკოლიკი, კიკოლიკი, კუდაბზიკა და მე. კუ-დაბზიკა იმერულათ იყო გამოწყობილი, მარ-დი და მეტიჩარა. იმის ქერა-თმაზედ, ნისკარ-ტიან ცხვირზედ და წვრილათ გაწკიპინებულს ულვაშებზედ რომ შეგეხედნა, მაშინვე იტყო-დი, ეს იმერელი უნდა იყოსო. ასეთი ამაყი და უკადრისი რაშ იყო ეს დალოცვილი, რომ

ტყუილად ცერი რომ აგეშვირა, ერთ ადლ-
ბედ შეხტებოდა. ასეთს გახრევილს ცხენხედ იჯ-
და, რომ ძელისა და ტყავის შეტი არა იყო რა.
იმისი ბედაური სწორეთ წყალში ამოწუმბულს
ეირთავეს ჰგავდა. კუდაბზიუა ხშირაა შოსქი-
მავდა ხოლმე საღავეს, რომ თავის ცხენისთ-
ვის კისერი მოედრიკა და ამასთანავე ჰკრავდა
დეზებიანს ქუსლა, რომ ცოტაზედ მაინც
გაეცუნდაუკებინა, ეითამდა შეჩედეთ, რომ
გორ ბედაურზედ ეზივარო. საწყალს ეირთავეა-
ცხენს იმის დეზებისაგან გვერდი ჰქონდა გა-
ცლალი. მე მეცვა გასცრილი თეთრი შალის
ჩოხა, ვიჯეჭი ოცდა-ზუთის წლის გაუკრეჭელს
ჯორზედ და უკან ასეთი ხურჯინი მეკრა,
რომ ქვეითს კაცს წელს მოსწყვეტია ჩემი
ჯორი მეტათ გაუწვრთნელი რამ სულიერი
იყო, იმისთანა ზანტი ნურც გინახავს. ქარ-
თველი გორის უეზდისა; ასეთი თავის-ნე-
ბა იყო, რომ, თუ აზრში არ მოუვიდოდა,
იფნის ჯოხიც ფეხს ვერ გადაადგმევინებდა: ეს
იყო პარადაპირ იმ-ძეველა კაცასთანა, რომელსაც.

არც დიდი განათლება მიუღია და არც ისე
დარჩენილა სულ არარაოთ; ყოფილა პირ-
ველთაგანი იმდროს, როდესაც უკანასკნელები
პირველობდენ და ამ პირველობაში უკანასკ-
ნელს თავი გასვლია, მომეტებულ პატივის და-
ყრით ჭანი გასქელებია, უგუნურების ნიშანი
ვონიერებათ შესცვლია და ახლა შენ რომ
უთხრა: ბატონები ცხენებითგან ჩამოაბძანეს და
მოკლე კუდიანებზე შესვესო, ის მოგიგებს“ ეინ
გითხრა, ისევ ას ბედაურები გახლავესო. „— ბატო-
ნო ყური უნახე, და კუდი ხელში დაიჭი-
რე, თუ ის არ არის. — „ყურიც ვნახე, იმის კუ-
დიც ხელში მიჭირავსო, შაგრამ მაინც ბედა-
ურები არიანო“ მოგიგებს. სწორეთ ამისთანა
ძეელ კაცს წარმოადგენდა ჩემი ჯორიც.

¶ წინათვე ვიცოდი ამისთანა მატარებლის
ოვისება და დეზებით შეეიარალდი. ქვეყანა-
ზედ ყოველთვის ასეა: როცა სიტყვა არ გავა,
წნელს ხმარობდენ და თუ წელიც ალარ იმოქმე-
დებს, დეზებსაგაჲკრაენ ხოლშეგვერდებში; მაგ-
რამ ახლა ეს უნდა ვიკითხოთ, თვითონ ის არსება.

რა შვილი უნდა იყოს, რომელიც დეზებით
გვერდებს აჩვლეტინებს?... ის სწორეთ ჩემ
ჯორს ემგზავსება.

კიკოლიკს ჩინოვნიკსავით ეცვა და ჩიკო-
ლიკს წითელ საყელოიანი სერთუკი. არ ჭი-
კეირს, რომ ამისთანა მცირე საგნებზედ ვღავ-
პარაკობ! — მაგრამ რადგანაც აქ ტან-საცმლით
აფასებენ კაცებსა, ამისთვის არ შეიძლებოდა,
რომ ამაზედაც არა მეოქვა რა, მით უფრო,
რომ ჩემმა ლარიბმა ტანსაცმელმა, როგორც
ტრაბახა აზნაურის მოდგმას, ბევრი დამცრო-
ბა გამომართნინა. ამ მხარეში თუ ვისმე ჩი-
ნოვნიკსავით აცვია, მაშინვე გაიფიქრე-
ბენ, უთუოდ ვინმე უფროსი უნდა იყოსო. მაში
დღეს იქნება, თუ ხვალ, იმის წინ თავის
დაკურა დამჭირდებაო. მართლაც იმერელი ისე
როგორ გაწილდება, რომ უფროსთან თვე-
ში ერთხელ მაინც არზით არ მივიდეს. ამის-
გამო თანამდებობის კაცს, როგორც ძალი-
ან საჭირო გვამს, იმერეთში დიდს პატივს
სცემენ. თუ ტანსაცმლით თანამდებობის პი-

რათ გიცენება, სადაც უნდა შემოგალაშდეს ყოველვან იპოვნი ღამის გასათევსაც და კარგს მასპინძელსაც. მაგრამ თუ ჩვენებურათ უბრალოდ გაცვია და უბრალო კაცათაც გიცენება, მაშინ კი ღმერთმა შეგინახოს! კარგალებულს სახლის წინაც რომ მიხვიდე და ღამის გათევინება სთხოვო, სახლის კარებს მენ წინ მიხურავს და შიგნითგან დედა-კაცი გამოგდახის: „შინ არაეინ გახლავსო“. მეზობლისკენ თითს მიგიშვერს და გეტყფის: „იქ მიბრძანდით, იმ მეზობზლისას, იქ მოგისევნებენო.“ ამისთანა გარემოებაში, რასაკეირველია, ჩინოვნიკის ტანსაცმელს დიდი მნიშვნელობა აქვს...

ქ....დგან რომ გამოვეკლით, მზე გადახრილი იყო, მაგრამ მზე მაინც ასეთნაირად გვაჭერდა, რომ ვარჩა ჩემ დამტვრეულს ქოლგის ქვეშ თავი შემეფარებინა. ჩეენ მიედიოდით გლანათუბნის გზაზედ. ჩიკოლიკი და გიგოლიკი დაწინაურდნენ, კულაბზიკა კი ჩემ გვერდით მიდიოდა. იმისი გახრევილი ცხენი ისე

დაუძმობილდა ჩემ ჯორს, რომ უიმისოთ ნა-
ბიჯის გადადგმასაც არ აპირებდა. კუდაბზიკა
ჩემთან ძალიან ამაყობდა და ცდილობდა უკან
ჩამოვერჩინე; ამისგამო ის ხშირად ასაჩუქ-
რებდა დეზებით და მათრახით თავის ბედაურს,
მაგრამ საწყალი ცხენი ხენეშით თითქო ამას
ეუბნებოდა: ტყავიც რომ გამაძრო, ჩემ ძმო-
ბილს ვერ დავცილდებიო. პატრონის თვალის
მოსატყუებლად ცოტაზედ გაჩანჩალდებოდა,
მერმე შეჩერდებოდა და ისევ გვერდით ამოუ-
დგებოდა ჩემ ჯორსა. ქუდაბზიკას მეტის-მეტი
სიკაპასით ცხეირი უწითთლდებოდა. ის ჯავრო-
ბდა ჩემ გვერდით სიარულს. ქვემო იმერეთ-
ში გაუკრეჭელ ჯორზედ შეჯდომა ძლიერ
ეთაკილებათ; თუ მოახერხა, იმერელი ცხენს
უკან ხურჯინს არ შემოიკრავს; თავადი-შეი-
ლი და აზნაური-შეილი გვერდით არ ამოუ-
დგება იმ კაცსა, რომელსაც ვლეხურად აცვია;
თუნდ კეთილ-შობილაც იყოს: — „იმა-
რმ კაცს გვერდში რავა ამოვუდგები, ვისაც
ყაჩახურათ აცვია; რომ ვინმე შეგვეყაროს;

მეც ყადას არ დამიძახები „კულაბზიკაც, რასა-
კვირველია, ასე ფიქრობდა ჩემზედ. ის გაჯაერე-
ბული სწყვეტდა და სწყვეტდა შათრას თაეის
ვირთავა. ცხენსა, შაგრამ ცხენი ყურსაც არ
ჰპანტურებდა. სერზედ გველიო, სამხრეთით
მიეფინებოდა რიონის ჭალები, რომელზედაც
აქა-იქ სიმინდის ყანები მწვანედ მოელვარებ-
დნენ; ამ ჭალებს საზღვრავდა ლურჯი ბაწა-
რი საჯავახოს და გურიის მთებისა, ამ დროს
ერთ ხის ძირას მუშები დავიწახეთ. იმათ სა-
მხარი ეჭ. შათ და ისევენებდნენ: „შეხედე, იმ
დედა... გ... რავა ტყულა არიან! სულ ძინავენ!
ლარიბი იქნებიან აპა რა იქნებიან!“ — მითხრა
კულაბზიკამ. — ნეტა ერთი შენც თოხი მოგცენ
და დილითგან სალამომდე ამისთანა სიცხეში
გამუშაონ, ენახავ, იტყვი თუ არა შაგისთა-
ნა სიტყვებს? ეს პასუხი გულზედ ლახვრად
დაესო ჩემს გულ-ამაყს მეგობარს. გაფიცხ-
და. გულში რას ფიქრობდა, ისიც ვიცოდი;
„აგი რავა გამიბედა ამ ყაძახის მგზაუსმა, ამან!..
აჭ, შე ყაძახის (გლეხის) შეილო! აპ:, კიდო მით-

ხარი მაგისთანა სიტყვები, მე შენ გიზამ ნაქნარს!..
 კი გიცხუნებ კაი-კაის მათრახს მაგ ზურგში!..“
 თუმცა გულში ამას ლაპარაკობდა, მაგრამ
 ცხადათ კი ჩემზედ ხელი ემოკლებოდა. ოც-
 ოდა, რომ გლეხკაცის ტყაპუჭში აზნაურისშვი-
 ლი ვიყავ გამოხვეული. ამისგამო ჩემი ჯავრი
 თავის ცხენზედ ამოიყარა. რათიც იქნა, ოთხი
 აშოალებინა და წინა-მგზავრებს დაუახლოედა.
 ვითოვ იმან ამით დამიმტკიცა; „შენისთანა ყა-
 ძახებს თავს არ გაუყადრებო.“ მე მაინც ჩემთვის
 ვსთქვი: „მალე გნახავ ლიახვი დაგხვეოდეს
 კოლოები....“ მართლაც ხუთ წამს არ გაუცლია,
 ისევ ამომეტუზა! კუდაბზიკა როგორლაც თვალს
 მარიდებდა; შეენიშნე, ჩემზედ ძლიერ გამწყრ-
 ალი იყო. ის ძალიან შეუშინდა ჩემს სიტყვას. მგონია, კოდით სიმინდს *) დაპარდებოდა
 თავის გახრევილს ცხენს, ოღონდ კი ჩემზედ
 დაწინაურებულ იყო. მაგრამ იმის საუბედუ-
 როთ ვირთაგვა ბედაურს ფეხს არ ერჩოდა.

*) ქვემო ომერქეთში ქერს იშვიათად სთესვენ; იმის
 მაგივრათ ცხენს სიმინდს აჭმევენ.

დაბინდლა. გლახათუბანს რომ მივედით, ათი
საათი შესრულდა. აქ ჩიკოლიკს ბევრი მე-
გობარი ჰყვანდა. არჩია, არჩია, ვისას ჩამოვ-
ხდეთო და ბოლოს გადაწყვიტა, ერთს შეძლე-
ლებულს აზნაურის ოჯახში მისვლა და იქ
სტუმრება.— „აბა კუდაბზიკა, წინ წადი და
მასპინძელს ჩვენი მოსვლა შეატყობინე, უთხ-
რა ჩიკოლიკმა. — მამა ნუ წაგიწყდება,
ერთი წინ წაითამაშე შენი ბედაურით, მეც
დავუმატე. ”ვერ პლაც!... შენი გოუკრეჭელი
ჯორი არ გევონოს, ყმაწვილო“ — სიამაყით
მომიგო კუდაბზიკამ. ცოტახანს კიდევ ისმო-
და იმის მათრახის ტკაცუნი უმთვარო ღამე-
ში, მერე კი სულ მიწყნარდა. ჩეენ ცოტა
დღესანთან შევიცადეთ და შემდეგ მივმართეთ.
აზნაურის ბიჭმა ჭიშქარი (ალაყაფის კა-
რი) ააჭრიალა. ეზოში ჩავედით. გზაში ძა-
ლიან დამტანჯა ჩემმა ჯორმა. იმისმა ჯაგჯა-
გმა და ქუსლის ცემამ ტანში ღამამტცრია,
ფეხები დამეფორხა, ჯორიდამ ჩამოხდომა მე-
ნატრებოდა. ვიფიქრე „ჩემ ნივთებს მასპინძლის

ბიჭები ყურს უგვებენ; ჩემს ჯორსაც იმათ
გადაუცემ“. მინდოდა, რაც შეიძლება მალე
ჩამომხდარებიყავ და აივანში დაწოლილვიყავ.
ვაი, როგორ მოესტყუვდი! მასპინძლის ბიჭებ-
მა, როგორც კი გლეხურის ჩოხით შემნიშ-
ნეს, იფუქრეს, ეს ხლებული უნდა იყო! თ
და გვერდი ამიარეს. ზედაც აღარავინ შემომ-
ხედა. აი გაგიშურა ღვერთი“ ვთქვი ჩემ გუ-
ნებაში. კუდაბზეკა აქ დატრიალებდა და ამის-
თანა გაჭირებული. მდგომარეობაში რომ
დაშინახა, ძალა იამა, ალბათ გულში გაითი-
ქრა: „ჰა მასთე გირჩევია, შენ ყაბახო, შენ!“
და ვითომ ვერ ვხედავო, ზურიგი შემაქცია. ჩემ
ჯორს ხეირჯინ-უნაგერი მოეხადე და ოდაში
(იმერეთში ოთახებიანს და იატაკით მოგე-
ბულს სახლს ოდას ეძახიან) მიმქონდა. რო-
გორც კი ფეხი შევდგი ჭიბას მეორე საფე-
ხურზედ, ფიცარი ჩამიტყდა და ხეირჯინ-უნა-
გრიანათ ყირამალაზედ გადავცურდი. კუდა-
ბზიკამ ზევიდამ დამიძხა: „აქანეი მოდი და
აგაყენებ!“ ამისთანა დაცონებამ სულ სირ-

ცხვილით დამწევა. მე ვიყავი შთაშომავლობით აზნაური. უფრო ესა მკლავდა, რომ მასპინძლის ბიჭებმა ყურადღება არ მომაქციეს. მინდოდა ისინი მათრახით დამესივებინა, შაგრამ სხვის ოჯახში ვიყავი და ამასაც ვფიქრობდი: შალის ჩოხაში რომ აზნაურობა აღარ გაიკათხონ და ხელი შემდევან, მაშინ ხომ სულ გავუპატიურდები-მეთქ. ვარჩიე ისევ ჩემ ბედის წერას დამორჩილებოდი.—ნეტაც აზნაურის შეილვათ მარნც არ მიცნონ—ვფიქრობდი გუნებაში. ჩემ მასპინძლის ოდას პატრა აიგანი (ბალკონი) ჰქონდა, მაგრამ რიკული კი ერთიც აღარ ებადა, სულ ჩაცვინოდა, თითქო აღამისწლის მოხუცი ყოფილიყოს. თვითონ ხარიხაც (ფრთედი) ასეთ რაგათ იჩწევოდა, რომ იმის ჩაქცევას ერთი ხელის კვრის მეტი არა უნდოდა რა. ჯერ მინდოდა აიგანზედ თავისუფლად წამოწოლილვიყავ; მაგრამ, რა კი ხარიხის სისუსტე შევამჩნიე, ისევ ოთახში შესვლა ვამჯობინე. სასტუმრო ოთახი ფიცრის იატაკით იყო მოგებული:

ფიცარსა და ფიცარს შეუ იატაკს ასეთი ფარლლალები ჰქონდა დატანებული, რომ დიდი გაფრთხილება გმართებდა, ფეხი არ ჩაგვარდნოდა. „კარგათ არ უნდა ეთბილოს აქ ზამთარში“ გავივლე გუნებაში. ოთახში იდგა ორი გძელი რიკულებიანი სკამი; ერთ-ზედ შეხვეული ფარდაგი იდგა, დალოცვილს სახლის პატრონს ისეც არ გაეშლევინებინა. ალბათ უნდოდა ჩეენთვის დაემტკიცებინა, რომ ფარდაგი გვაქვს. იქნება ეს შეხვეული ფარდაგი ერთხელაც არ გაშლილიყოს. გაშლა რა საჭიროა! საჭმე ის არის, უცხო კაცმა არა თქვეს, რომ მასპინძელს ხალიჩა არა ჰქონია, თორემ შეიძლება სახლში ხალიჩა სულაც არ იხმარონ. ხშირად ნახავ იმერჩლის ოჯახში იმისთანა ნივთს, რომელიც ოჯახობაში სრულებითაც გამოსაღევი არ იყოს და რომლის ხმარება იქნება არც არავინ იცოდეს, მაგრამ ოჯახის პატრონს ეს ნივთი იმისთვის უყიდნია, რომ სხვის სახლში უნახავს, და რაც სხვასა აქვს, ის რომ იმას

არ ჰქონდეს, დიდი სიჩუხვილია. იქნება მნიშვნელოვანი ერთი წლის მონაგებიც მოიღომოს; მაგრამ იმერელი მაინც იმითი ინუგეშებს თავს, რომ სტუმარს თავი მოვაწონეო! ჩვენ ოთახს ცალგვერდზე ჩანგრეული ბუხარი ეშენა. იმის წინ სამფეხა სკამი იდგა. როგორც ეტყობოდა ამ სკამზედ ოჯახის ყმაწვილებს დურგლობა ესწავლათ; სკამი სულ დანით იყო დაჩქენილი. ჩვენ საბინაო-ოთახში რეა კაცი თუ მოთავსდებოდა, მეტი არა. ამას გარდა კედევ იყო სხვა ორი ოთახი უჭერო და უიატაკო. იმაში თვითონ მასპინძელი იდგა. პარასკევი ღამე იყო. მარხვაში ხორცის ჭამა იმერლებს ძალიან ცოდვათ მიაჩნიათ, მაგრამ რაღანაც ჩვენ ლობიოთი მუცლები გვქონდა დაგოდრილი, იმისთვის ჩიკოლიკმა უთხრა თავის კუდაბზიკას, რომ შასპინძლისთვის ჩვენი უძლურება გაემჟღავნებინა და ვახშმათ სახსნილო მოემზადებინა. კუდაბზიკა მაშინვე დაფათურდა. სამზარეულოში ბევრი აფურთხეს, ჩუმათ „უსჯულოც“

ბევრი გვიძეს, მაგრამ გოჭი მაინც ააჭირეს ჩვენთვის. კუდაბზიკას თავი მოსწონდა, რომ უფროსთან იყო განწესებული; უცნობებს ცველას ეუბნებოდა, ის სვანეთის მთავარ მართებელიაო და ამასაცდა ატანდა: „მე ძალიან უყვარვარ, უჩემოთ გარეთაც ვერ გავაო...“ ახლა სამზარეულოში მარხვის ჭამის გამო რომ ფურთხება დაიწყეს, კუდაბზიკამ, როგორც მთავარმართებლის შიკრიკმა, თავი გამოიდეა: „როგორთუ თქვენ მაგი გაბედეთ, ეს უბედავთ ფურთხებას და რაფა გაბედეთ. მაგიო და ეინ გგონიათ მაგი და ასე და ისეო... ახლათ ახლავე თქვენ თავს. დავაჭერინებ და ციმბირში ვატულვინებო...“ სამზარეულოს პიჭები მოუკუთეო შიშით და ფურთხება უცბათ შესწყვეტეს. ცოტა ხანს შემდეგ კუდაბზიკამ ხმა მოუმდაბლა და თითქოს დაიწყო იმათი განათლება ამ სიტყვებით „მარხვა... რა უყოთ! მას აქეთ რაც ჩიკოლიკთან ფარ, მეც ქე დევიწყე იმის ჭამა...“ არ მომეშვეა ბატონი, შენი ჭარიმე და თუ გიყვარდე და ჩემი

მამაშვილობა თუ გწამს, რა ვიცი, რა არ მითხრა
ბოლოს ქეც მაკოცა. რავა ვაწყენინებდი! კა-
კალ დიდმარხვის ორშაბათს გაეხლიჩე ქაფ-
მის ბარკალი! შოგეცა სიკოცხლე ის გემრიფ-
ლი მეჩვენა, ახლა არც კა ვიცი, როდის
არის მარხვა და როდის არა... ასე ჰო, თურ-
მე ცოდვა როდი ყოფილა შარხვის ჭამა. რომ
არაფერი ქონიათ სახსნილო, ბერებს იმიტომ
შოუგონიათ მარხვის ჭამა, ასთე მითხრა ჩიტი-
ლიკმა!...“ ამ ლაპარაკს ყურას უგდებდენ სამ-
ზარეულოს ბიჭები; მაგრამ მაინც თავს აქნევ-
დენ მარხვის ჭამაზე, ეტყობოლა“ კუდაბზიკის
სიტყვებს ვერ დაეჯერებინა ისინი.

ეახშამს ბევრი არ დაგვიანებია, ცოტას ხან
შემდეგ ოთახში ხუთი თავშიშეელა ბიჭი შა-
მოატუზა: ერთს ტაშტი ეჭირა, მეორეს თუნ-
გი, მესამეს ხელ-სახოცი: მეოთხე და მეხუთე
ბიჭი კა იმათა კუდები იყო. დახედე მოსა
მსახურის უსინიდისობას! ხელი დამაბანიეს და
ხელსახოცი კი არ მაღირსეს, რომ ხელი გა-
მეწმინდა: „არა გიშაეს რა, ხელს ჩოხითაც

კარგათ გეიწმენდაო. „იმერეთში ასეა მიღებული. მებატონის სახლში მომცრო კაცს საღილ-ვახშმის წინ ხელს დააბანიებენ და ხელ-სახოცს არაოდეს არ მიაწყდენენ ხელის შესაწმენდათ. მაგრამ ჩემი მდგომარეობა უნდა გენახათ, რა ნაირად მეწყინა, რომ მოსამსახურებ ხელშესაწმენდი არ მოძია. ჩემისთანა წარჩინ ებული აზნაურის შთამომავლობა გლეხ-კაცათ ჩამაგდო! აზნაურის კანი სირცხვილით დამეწვა, მაგრამ რას ვიქმოდი! უნდა მომეთ-მინა, ამიტომ რომ აზნაურის ბუნება ვლეხ-კაცურს ტყაპუჭში მჭონდა გამოხვეული. გულ-ში კი ასე ვემუქრებოდი მასპინძლის ბიჭებს: „მაჩვენა თქვენი თავი, როცა სირმით გატ-ყეპილი ჩოხა მაცვია, დაგიფრხობით ანგელო-სებს!....“

ჩიკოლიქს როგორც კბილები, ისე ენა არ გაუჩერებია იმის მეტი არა ვინ მინახავს, რომ ერთს და იმავე დროს ორი საქმე გაე-კეთებინოს: ჩიკოლიქმა გოჭიც გაანახევრა და ენაც ამღერა: ვინ მოსთვლის, რაც

იმან იმ ლამებს ილაპარაკა, ქვეყანაზედ ერთი
საქმეც არ დარჩენილა, რომ იმისი ენა არ
შეხებოდეს. ტუუილს ძრო ვიტყვი, ბევრსაც
უმატებდა, მაგრამ ეს ხომ ქართველის თვი-
სებაა. დღეში რომ ერთი მაინც არ მოვაჭო-
როთ, ისე როგორი გავძლებთ; მაგრამ ამ და-
ლოცვილს ჩიკოლიკს მაინც მგონია ენის ძალ-
ივ გაწყვეტოდა მარხვის ჭამა, რასაცვირველია,
მეც გავიზრარე. ეს შემოხვევა გულში ტყვი-
ასაფით, ჩამემძიმე ეჭვი მქონდა, ვაი თუ ჩემმა
სახლობაში შეიტყოს ჩემი მარხვის ჭამა. საუბე-
დუროთ ეს ეჭვი გამართლდა: ორ თევს შემ-
დეგ, როცა სახლში დავბრუნდი, ერთი ალია-
ქოთი ამიტეხს, როგორ თუ მარხვის
ჭამა გაბედეო! ბევრი მაფურთხეს ცხვირ პირ-
ში, მაგრამ ხელით კი არ შემხებიან. მაშინ
ოც და ურიკ წლის ვიყავი. ხნიერობა ძა-
ლიან შემეტია, თორებ თოთხმეტ-ხუთმეტის
წლისას ლოცვებს აჭიშით ლებდენ. მე ეს მაკვირ-
ვებდა: გლახათ-უბნითგან ქ—დის როგორ
გაიგეს ამისთანა მცირე შეცოდება!.... რო-

გორც სჩავს იმერეთში ბევრი მთხრობელი ყოფილია.

მეორე დღეს ყლილნზედ უნახე, ოომ ჩემ ჯორს ჭვიქვირი ჩამოეგდო, ყურები ჩამოეყარს და ღობის ძარს ატუზულიყო; მივხედო, ოომ იმ ლამეს საწყალს არა ეჭამა რა; ანუ კი რა უნდა ეჭამა! ათა ჭცევა ეზო სულ მოტლეკილი იყო. აქა-იქ გამხმარი ბალახის ლერები ღბლათ ამოჩრილიყვნენ მიწიდგან უწეიმობისაგან. მიწა დამსკდაროყო: მაგრამ ეზომ თვეისი შვენება მაინც არ აყიდა, მრავალნი ნიგვზის და თხმელის ზეები, რომელშიაც ყურძნის ვაზები იყვნენ გაწეულნი; მაინც ჩრდილავდენ ამ განიერს ეზოსა; იმათი მწვანილი და გრილი დილა გულს ატყბობდა.

ცხენებზე რომ შევსხედით, კამ მტრედის ფრათ ინათდნა. ამ დროს მაღალ თხმელია გან მამალი ფადაფრინდა მწვანეთ დახაგსიანებულს ღლის თავზედ და დაიყივლა, თითქო გვეპარ ტივებრდა, ასე ვდროე სად მიბრძანდებით, ცოდ-

ტა მოგვითმინეთო. მაგრამ ჩვენგვეჩარებოდა. მოსამსახურეებმა ჭიშკარი ააჭრიალეს და ჩვენ მასპინძელს გამოიეთხოვეთ.

III.

ბომბუას ხიდი

186... 10 იქნის, დილა გრილი დაგვიღება
ცას ნისლი (ჯანხი) გადაეფარა, ჰმის ვგამო იქ-
რავრ ჭა შზის აღმობრწყინება ტლარ გეინახას. გზა
მოგვიძლოდა ცხენის-წყალის ფართო ჭვა-
ლებზედ. არც ცხენის-წყალი იყო ჩვენზედ
ერთობ შორს. იმისი შხუილი ხან-და-ხან ბუნ-
დათ მოგვესმოდა. ჩვენ რომ მინდორზე ში-
ედოდით, იმას უწვემობით მოყვითლო ფერი
დასცემდა. ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქ-
ნართ ამ შინდორს ზოლ-ზოლებათ გადუყვე-
ბოდა. ჩვენ ერთი საათი შეტი ფიარეთ ამ შინ-
დორზედ და შემდეგ შევედით სქელს დო-
ბილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა
წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეზეუ-

ლი. მაჯის სისხო შავი ვაზება ხეებსა და ხეებს
შეა ბაწრებად გამოსულიყვნენ. და თვითონ
იმათაც გველსავით შემოხვეოდენ. ამ დროს
მზემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი
შუქი ჩვენთვის უკნებილა დარჩა, რადგანაც
ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის
ხეები სქლად გვიჩრდილებდენ. თვითონ მინ-
დორმაც ამ დობილოში ფერი მწვანეობიცვა-
ლა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრ-
დილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია.
დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკა-
ბა; გუნებაში გავივლე, ამისათანა მწვანილო
ვანს ბალში კაცი არ უნდა დაბერდეს. ხანდა-
ზმით დღედა ჭაცის ახახილი გვესმოდა; ამიუ-
ცილებლათ საღმე ახლოს სოფელი უნდა ყო-
ფილიყო, მაგრამ ვერც სახლი და ვერც კომ-
ლი ვერ დავინახე; ან კი რას დაიჩახავ იმის-
თანა სქელს დობილოში. კუდაბზიკა ცოტათ
წინ მიდიოდა. ჯორს ქუსლი ვკარი, დავეწიჭ
და დადგი კრჭალვით ვკითხე: „აქ რა სოფელია“
მეთქმა თუ საკითხავი რამე მექნებოდა, მო-

რიდებით უნდა მეკითხნა, თორემ სმახაც ორ
გამცემდა. წემ კითხვაზედ იმან შულლი მიჩვე-
ნა, თვალებით ჩემს კენა გამოაპარა, უნდოდა შე-
ეტყო, დაცინვით ხომარ. მკითხავსო და, რა-
კი დარწმუნდა ჩემ გულკეთილობაზედ, მიპა-
სუხა: „აქანერ სოფელი მათხოვია“. ამ დროს
თავს წავატყდით ერთს ტყიან მთის ცხვირსა,
რომლისთვისაც გარს უნდა შემოგვევლოდ
კიკოლიკმა ცხენი შეაჩერა და დაუძრავთა თავის
მოსამსახურებს, რომელიც უკან მოვადივდა:
დათუნა (ასე ერქვა კიკოლიკის მოსამსახუ-
რეს) მთხოვჯე წადი და ხელოსანს (მამასახ-
ლისს) შეატყობინე, რომ ახლათ-ახლავე ორი
ცხენი გვიშოვნოს. დათუნაშ ძალიან ზანტათ
გადბრუნა კისრამდინ დატყირთული თავისი
ცხენი. მშ ტყირთში ისე ღრმათ იყო ჩაფლუ-
ლი თხეითონ დათუნა, რომ თავისა და მხრე-
ბის მეტი არა, მოუჩან და რა. მთის ცხვირს იქით
ფართო მინდორი წყიწროა, ურშიათ, გადაგვექ-
ცა. ამ მწვანე ანშიაც ცალ მხრით მდაბალი
ტყიანი ქედი საზღვრავდა, შეორე მხრით ჩაა-

რი ცხენის-წყალი. მწევანე არშიაზე ბევრი
არ გვივლია: ჩვენს წინ გამოჩენდა ერთი პა-
ტარა კლდის ნახეთქი, რომელზედაც ბომბუ-
ჭა ხიდს ჰქონდა. დაბჯენილი ცალი თავი;
გაღმითაც ხიდს იმ გვარივე კლდე ჰქონდა
ბურჯათ. ამ ორ კლდის ნახეთქს ცხენის-
წყლის კალაპოტი (საწოლო) ძალიან შეევა-
წროებინა. ცხენის-წყალი შეგუბებულიყო
და იმ ორ კლდეს გიურჩად სცემდა. იმის-
გამო კლდის ნახეთქები და ხიდიც ძალიან
ძეერდა. ხიდს ქვეშ მდინარეს ქახვი მოეღო
და შეფეხ ერთ ადლზედ ისრობდა. ხიდზედ
გავედით გაღმით მქისი და ქვიანი ადგილი
დაგვიხვდა. ეს ალაგი იყო დაბლობი და მე-
ტად ეიწრო. აქა-იქ გვირილა და ეკლარა გა-
მნეულ იყვენ, სხვა ბალახი. არა მოიქვედა
რა. ამ ეიწრო დაბლობზედ ხიდს ახლო იდა
გა ერთი გახრევილი დუქანი და იმის პირდა-
პირ მეორე. იმ დუქანს იქით აიმართებოდა
გარუჯული კლდიანი მთა, რომელსაც აკვილ-
გაბანდული ჯაგები ჰმოსავდა. ამ ფარუჯულს

მთის ფერდზედ დასავლეთის მხრით ახალ-აღე-
ბულობანა იყო, იმისი ლობე ნაშროვა შეელდა
წა და შეგ ბალახსა სძოედა. ჩემი ჯორიც იქ-
ვა გაუშვი. ამ არა-მარესაც ბომბუს ხილი
ერქვა. ხილთან რომ დუქანი იდგა, ჩეენ იქ
ჩემოცხდით. დუქნის ყაფაზაპედ იდგა სამი სავა-
სე გობი, ერთგზე ეყარა ლომი, მეორეზე
სიმინდი, მესამეზე ლოპით და თავზედ ხუ-
ლიცკვერცხი ჰქონდა ირგვლივ. შემოწყობი-
ლი შიგნით დუქანში რამოდენიმე შუშა ყვი-
თლად და თეთრად გამოსცვერდებოდა. ზოგში
ყვითელი ლტკა ესხა, ზოგში თეთრი ჭუკით
ბაწარზედ თციოდე სულღუწი ტკიდა; ამას,
დარღა ყაფაზას ქვეშ ორი ტიკი და-
ნათ საესე ჰგორავდა. მთელი დუქნის სიმ-
დიდრე სულ ეს იყო. დუქანში ვაჭრობდა ერ-
თი პირტიტელა ყმაწვილი. ის თავის ჟუჟუნა
თვალებს კვირცხლად აბრიალებდა. ამ პირ-
მოგძო ყმაწვილს ატანზედ წყლის ფერი ჩინჭა
ეცვა და ფეხზედ წულა-ქალამანი (წულას-ჩუ! ტკ
ეძახიან) იმას ერქვა უფ. ჩიგუნია და რო-

გორც თვითონ ამბობდა, „ოდიშის (ოდიშს
სამეგრელოს ეძახიან) სირველი ჯზნაური
იყო. ჩეენ მისვლაზედ ჩიგუნიას თქალე
ბი აუკიმუიმდა და პირმა გაულიმა, ალბათ
გულში გაივლო:“ აფი კაი სტუმრები მომი-
უეთა დღეს მიქელ შთავარ-აზგელოსიმან,
დღეს კაი დახლო მექნებაოდა როგორც ჭი და
ეელაბარაკეთ, უფარჩიგუნიამ იმ წამს ამნაი-
რი სტუკები მოგვაგება: „პატონი; (ბატონი)
ოდიშის როიც აქნება თავად-აზნაუროვის
გარჩევა? ნიტე, თქვენი წყალობით, მალე დე-
ინიშნოს კამინისი... მე პრიველი აზნაუ-
რებილი ვარ; ჩემ თავს პრიველთ ჩავაწერიეთ.“
— უყურე, ახლა მე გაქუცულს მეგრელს — წა-
მიჩურჩულა კუდაბზიკამ — პირველი კი არა,
უკანასკნელიც არ არის. დედა... რეტომ ქვე-
ყანა არ დეაქციება, მაგრც რომ აზნოუშერ-
ლობას უძებდეს!.. მაგრ ჩიგუნიას ბუშია (ბუშ
ნაბიჭვარს ეძახიან); მართლა ჩიგუნია კი არ
გეგონოს, ბუშია, ბუში! — სამჯერ კიდევ ჩამძახა
ყურში კუდაბზიკამ:

კუდაბზიკა, სიცხარით პირზე სენტონ, იმას
საშინლად სწყინდა, რომ უფრო ჩიგუნიაში, აზა-
ნაურობის შოცნაშედ იმედი, გამოაცხადა «კუ-
დაბზიკას შეშურდა იმისი აზნაურობა, რადგა-
ნაც, ის უკანონოთ შობილი იყო», „ღმერთო
კი მომკალი — მულბნებოდა ჩუმათ კუდაბზიკა —
ბუშმაც რომ აზნაუშეილობა, დეიმტკიცოს,
მერე რათ იყარება აზნაურობა, ბუშებმაც
რომ აზნაურობა იშოვნოს, მთლათ წაპილწ-
დება აზნაურობა, გრძეშათაც არ ივარება. აზნაურობის შოცნა რაფა — იფიქრა მაგ ბუშმა
მაგან!...»

— პატონი ჩიკოლიკირკი მიცნობს; ვინცა
ვარ. მე გამოუძიებლათაც უნდა ჩამწერონ
აზნაუროფის ქალალდში — იძახოდა უფალი
ჩიგუნია.

— მო ჰო, დარღი ნუ გაქცეს. აზნაურობას
მე გაშოვნიებ? — აუთხრა ჩიკოლიკმა. — შენ,
ახლა ცოტა რამეს საჭმელო გვიშოვნე.

ჩიკოლიკი ძალიან თავის მოყვარე ჭაცა
იყო და სადაც მივიდოდა, უკელვანი ცდილ

ბდა პირველი ადგილი დაეჭირა. უცხოსთან
ისე იქცეოდა და ისე დიდ ვინმეთ აჩვენებ-
და თავის თავს, რომ გეგოთ ებოდა აშისი სი-
ტყვა და ლეთის სიტყვა მთელ დედამიწის ზუ-
რგზედ ერთ გვარათ უნდა მოქმედებდენ. იმას ლაპარაკს რომ გაყოლოდი, იფიქრებდი
მთცლი ქვეყანა ამია ფერხთა მტკერი უნდა
იყოს.

უფ. ჩიგუნიამ კიდევ თავის აზნაურობაზედ
ჩამოაგდო ლაპარაკი. როგორც ეტყობოდა,
ჩიგუნიას აზნაურობის. შოვნა არც დღი და
არც ლამე მოსვენებას არ აძლევდა. იმას ძახ
ლიან ეფიქრებოდა, საეჭვოთ არ გახდომოდა
აზნაურობის ლირსება; ამისთვის თუ ვინმე სე-
რთუკიანი გაივლიდა იმის დუქნის წინ, ყვე-
ლას უმტკიცებდა თავის ძეელ აზნაურობას,
ალბათ ფიქრობდა, რომ ეს სერთუკიანი კა-
ცები კამისის წევრები ეტყვის — „ბომბუას
ხილზედ რომ შედუქნე ჩიგუნია არის, ის გა-
მოუძიებლათ აზნაურათ ჩაწერეთო“. საჭმე-
დუროთ ვერც ჩიკოლიკი და ვერც კიკო-

ლრკი კამისიაში ვერ დაესწრებოდენ, ამის გამო, ეჭვი არ არის, უფ. ჩიგუნიას აზნაურობის შოცნა გაუძნელდებოდა, მა თავის თავს ძეველ აზნაურათ სთვლიდა. მაგრამ, კულაბზიკას სიტყვით უფალი ჩიგუნია უკანონობით მართვას მომდინარეობდა.

დასაცლეთის მხრით გარუჯულ მთითგან ერთი გზაწვრილი ჩამოყვებოდა ბომბუს წილისკენ. ჩვენ გვითხრეს ეს გზაწვრილი მარტვალითგან, და ცაიშითგან გადმოდისო. ამ გზაწვრილზედ ხან-და-ხან ცხენის გროვა ჩამოჭენდებოდა, გაირბენდა ღუქნების წინ და მიეშურებოდა აღმოსავლეთისკენ. თითო ცხენის გროვას უკან მისდევდა უბელო ცხენზედ მჯდომი თავ-მოპარსული და ფეხ-შიშველა წმეგრელები, რომელნიც ცხენებს „ჩეროუს“ მისძახოდენ.

— ეს ამდენი ცხენები აქეთ სათ მიჰყავთ? იყითხა კიკოლიკმა. უფ. ჩიგუნიას ძალიან იამა კიკოლიკის გამოლაპარაკება; იმას საშინაოთ უნდოდა კიკოლიკის გაცნობა, რადგა-

ნაც გულში ფიქრობდა, იქნება აზნაურობის
შოვნაში დამეხმაროსკი, უფ. ჩიგშინია დუჭ-
ნითგან მსწრაფლად გამოჩარდა და დილის პა-
ტივის ცემით უამბო იმას, რომ ეს ცხენები
ასხის მთაზედ მიჰყავთო საზაფხულოთ. ასხის
მთა ეკუთნის სამეგრელოს რაც გამხმარი
და გაცევეთილი ცხენი იპოვება მთელს სამეგ-
რელოში, ცეცხლისას აქებს მთაზედ წასხმენ ხო-
ლმე ზაფხულში გასასუჯებლად.

ასხის მთა არის ძალიან მაღალი და უზარ-
მაზარ სეეტივით ამროთული. ერთგან მეტად
ამ მთას კაცი ვერ მიუდგება. ამ ერთგან მთას
აჟყვება წვერამდის პატარა ბილიკი. მთაზედ
რომ ახვალ იქ დაგიხვდება თვალზაღალუწველე-
ნელი უძინდორი, სადაც ზაფხულში მალახი
საობიავდა. ასხის მთას აღგილი არ შეედრე-
ბა საძოვრად, მაგრამ ერთშ ძალიან ცუდი
ნაკლიულევამება სჭირს — წყალი არა ავქეს. ჩამდგარი წვიმის წყლები ბევრგან არის,
მაგრამ რათ გინდა!.. ისინი არაან მღვრივენი
და გოლგანობაზედ კიდევ დაშრებიან. ესე-

ები ჩიგუნიამ ასეთი მოწიწებით და სიმღაბ-
ლით უამბო კიკოლიკს, რომ გეგონებოდა,
ეს არის, ასულში ქაუძერებათ — ვიცი, რაც
შვილი ახარი ჭოჭვი გუნებაში — გინდა განა
კიკოლიკს თავი მოაწონო, რომ ორიოდე სო-
ტყვა შენთვის სტკვას კამისიაში. ესი, საწყა-
ლო, როგორ სცდები. კიკოლიკს რა ეკამი-
სიება და ან სად ნახავს ის კატისის წევრებს
და რომ კიუეც ნახოს, რა გაუარი.

ამ დღის გავიხედეთ და მთითვან გზაწვრი-
ლზე ჩამოთხარიკდა ერთი თავვის ოდნა
შავი ჯორი, რომელ ზედაც დიდი ძარის სი-
სხო კაცი შედებულიყო; საწყალს ჯორს გძე-
ლი ყურებისა და თავის მეტი არა მოუჩდა რა,
ეს მსხვილი არსება თუმცა ჯორზედ იჯდა,
მაგრამ ფეხებს თითქმის მიწაზედ მიათრევდა.
ამ საკვირველს ცხენოსანს უკან თრი ფეხ-
ში შველა და დაკონკილი მეგრელი მოსდევ-
და, ე მსხვილი ცხენოსანი ჩიგუნიას დუქან
თან რომ ქამოვნდა, რს თრი მეგრელი ჯორს
მიეპრდა, ერთმა სადაც დაუჭირა და მეორემ

უზანგი, რომ ძირს უვნებლად ჩამოესვათ
მსხვილი არსება, რომელიც დიდი ხენეშით
შემოსვენდა ჩიგუნიას დუქანში ჩიკოლიკმა
და კიკოლიკმა დიდი პატივით საღამი მისცეს
და ისურვებს მისი გაცნობა (უფრო დაზგა ასე)
ეწოდებოდა იმ მსხვილ არსებას) დაბრძანდა
დუქნის წინ და კინალამ ცხვირი არ დაჰკრა
წინგამოგდებულს ლიპხე უფრო დაზგას ჩიკო-
ლიკისა და კიკოლიკის ნახევ ძალიან ეუც-
ხოვა და ინდოურივეთ თავი მიიღო-მოიღო,
რომ კარგათ დაეთვალიერებინა უცხო სტუ-
მრები.

— ბატონო, აქეთ სად ბრძანებულხართ,
კითხა ალერსიანათ კიკოლიკმა.

უფალმა დაზგამ ყველის-ვაჭარივით გარკრიც
ჭა და მეტი არა სოჭეა რა. ის იჯდა გამოშ-
ტერბული დუქნის წინ. იმისი სველი თვალე-
ბი და მულელური ღრმილი დთითქო მუდამ
თევზსა და ღომს, შეტრფოდენ. მაგრამ მეტი
არ მჯერა და ჭრის ამ პატივურებულის ჩარსების
მუცელი მარტო დათმა გაებეროს ასე საშინე-

ლაფ. ლომი უფრო აწერილებს დაარ ამსხვი-
ლებს. როგორც ვფიქრობ, იმას უფრო ბევრ
რო მჭადის გუნდები უყლაპია მეგრელი გლე-
ხებისა სასუქ რჩდოურსაეით და ასე საშინ-
ლად იმას გაუსხვილება, უფალს დაზგან
თავზედ ორიღა ბუსუსი თმა შერჩენოდა, მე-
ტი არა; ამასთან წეერ ულვაშიც გათეთრე-
ბოდა და სისუქნის გამო წამოზღვდილი
ღაბაბი მა გულზედ ეკიდა. ჩიკოლიკმა უდა-
კიკოლიკმა ბეერჯელ სცადეს გამოლაპარაკე-
ბა, მაგრამ ის უნ „კის“ იძახოდა, და განი-
„არას“; უფრო ხშირად ქშინავდა. პრ დროს
იმის მეძალლეც მოეიდა. ჩვენ დავრწმუნდით,
რომ უფალი ღაზგა საკურდლლოთ ყოფილა
მეძალლეს ზურგზედ ეკიდა გიდელი (გრძელი
კალაოი) და ორმოცამდე მწევარ მეძებარს
ერთი-ერთმანეთზედ გადაბმულს, წინ მიუძ-
ღვებოდა როგორუც კი მეძალლე მოუეიდა,
უფ ღაზგამ მოგითხოვდა თავისი ჯორი და
ისევ ზედ შეედო. საწყალი ჯორი კულს ცხა-
რეთ აცმაცუნებდა, ეტყობოდა, რომ მძიმე

ტვირთით საქმე ჰქონდა გაჭირვებული; გაჭირვების დასამტკიცებლად კუდის ძირში მუზიკა დაუკრა და წათოხარიცდა. ორი ფეხტიტველა მეგრელე ისევა უკან აედევნენ და მეძალლეც თან გაჰყეა. მინამ უფ. დაზგა დუჭის. წინ ჯდა, უფ. ჩიგუნიამ მხრები ჩამოუშეა, ზედვე ეტყობოდა, რომ თაშან უფ. დაზგის ძალიან ერიდებოდა. წავიდა თუ არა ისა, ჩიგუნიამ ისევ ენა ამოიდგად მოჰყეა იმის ქებას: „პატონი, მაგი ოდიშში (სამეგრელოს). პრიველი თავადიშეილი არი; ძალიან ბრევლი (ბევრი), ყვა-და-მამული ჰყავსო...“ უამაში არც ჩეენ წეჭობდით უფ. დაზგას ზედვე ეტყობოდა: ის უნდა ყოფილი ყო კარგს მოსაჭრელ მიწაზე აღმოცენილი; თორემ იმდენს ვეება. ხორცის უნაყოფო მიწა ცერ შეინახავდა.

შუალებებიც შეატანა. ცა გადიწმინდა და პატარაქება სიცხე დადგა; მხოლო დასაცლე-თისკენ შეგროვებულ ცურ თეთრი ღრუბე-ლია. წინათვე ვიცოდი, რომ ეს ღრუბელი.

საღამოზედ დაგვასველებდა. აშ მხარეში ხშირად სიცხიანი დღე წვიმით გათავდება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწმენდილს ცხალრუბელი არ მოაცილდება. ყველას კარგათ გვშიოდა. ჩიგუნიას რაც კი ეშოვებოდა, არა დაგვამადლა რა. იმან იცოდა, რომ ჩვენთან არა დაეკარგებოდა რა. სუფრა გავშალეთ. ჩიგუნიამ ხუთი თუ ექვსი გამხმარი პურის კვერი მოვვიტანა, ამასთან სულუგუნი, (ყველი) და ჩარექა ლვინო. პურს კბილი ვერ დავაკარეთ. ისე გამხმარიყო, რომ დანასაც კი უჭირდა იმისი გაჭრა—უფ. ჩიგუნია, ამის დალეჭვას დევის კბილები უნდა,—უთხრა ჩიკოლიკმა— სად გიშოვნია ეს რკინის კვერები?

„პატონი, თქვენც კი იცით, ჩვენ პურს არაფელათ ვეწყობით, ჩვენი საჭმელი ლომია. პურს, ასთე, თქვენისთანა პატიოსნეფისთვის გამოვაცხოვინფუ. და მაქვს აქანეი შენახულის სამი კვირე გეიარს, რომ პურს არავინ მოითხოვს: გახმება, აპა, რა დევმართება“. ამას ესეც უნდა დავუმატო, რომ სამეგრელოში

პურს ძვირად უშერებიან საფუარს და ამი-
ტომაც ხმება ასე საშინლათ. სადილს შემდეგ
ჩიყოლიკმა და კიყოლიკმა მოისვენეს; მე კი
ჩიგუნიამ გამიხმო დუქანს უკან და დამიწყო
კითხვა ჩემ ვინაობაზედ და კიყოლიკზედ. ჩი-
ყოლიკს ისიც იცნობდა, რათვან ამ გზაზე
ხშირად დადიოდა. უფრო ჩიგუნიამ წინათვე
შეიტყო, რომ მე აზნაური ვიყავ და ცოტა
ოღენი მთავრობის ანგარიშიც გამეგებოდა.
ჩეენ სკამზედ ჩამოვჯდებით. იმან თავადურად
მხრები აისწია, თავი აიმართა და ცოტა გვერ-
დზედ მელაპარეკებოდა; ყითომ ამ გვარი
მოქცევით დამიტყიცა, თუმცა შენ აზნაური
ხარ, მაგრამ მე კიდევ შენზედ უფრო დიდა
აზნაური ვარო, თავადობაში ცალი ფეხი მიღ-
გასო, მართლაც უფრო. ჩიგუნია ცალფეხა თა-
ვადი იყო; ამიტომ რომ მამა თავადი უვანდა
და დედა გლეხის ქალი, რომელიც იყო მოა-
ხლეთ თავადის კარჩევ.

— შენ კი გეცოდინება, ვინ პრი მაგი, კი-
კოლიკი რომ ჰქეიან? — მითხრა უფრო. ჩიგუნიამ

— როგორ არა ეგ თ... ში ძალიან მიღებული კაცია და თეოთონ შენც კარგათ გეც ცოდინება, რომ დიდი მთავრობა სულ იქ არის.

— ამა, ერთი უნდა გკითხო: იცნობს მაგ იმ კამინსის ჩინონიკებს, სამეგრელოს თავადაზნაურებს რომ გაშოიძიებენ?

— უკველად უნდა იცნობდეს, მეთქი. ჭ. თ. ს ხის ფრთხოლიც ისე არ ჩამოვარდება, მაგან რომ არ შეიტყოს. ტურილების თქმა დავიწყე, მინდოდა იმის გულის პასუხი გამევო.

— შენ კი გეგეგონება დიდი ჩ* გეარი ღდიშისა ჩ* გარი ჩეენში პრიველი თავადია. დადიანს გ. ჩ* პრიველ კაცად ჰყავდა, მე იმის სახლი-კაცი ვარ.

— მაშ შენც თავადი უნდა იყო. აზნაურობას რომ ეძებ, რატომ თავადობას ხელს არ მოჰკიდებ, მეთქი,

— მაგი მეც კი მინდოდა, მარამ დიდმა გ. ჩ* იმ ოჯახ-გაწყვეტილმა მომიშალა! მე და რჩას ჩხუბი მოგვიეიდა და დადიანს ჩამასმინა:

უთხრა, მაგი აზნაურათ გახადეო და აზნაუროფის ქალალდი მოაცემინა ჩემთვის.

ამ სიტყვებზედ უფ. ჩიგუნიამ ერთი ქალალდის ნაგლეჯი ამოაძერინა ჯიბიდგან. ის დაჭიანის ხელ-მოწერილი იყო.

— კი ვიცი, ნასწევლი მოში (ბიჭი) ხარ, და მე რომ გითხრა, ის აშისრულე. ამ ხელს ვერ გედეილემ სხვა ქალალდზედ? (და დადიანის ხელმოწერილზედ თითით მიჩვენა). თუ გინდა საწერელს და კალამს მოგიტანა. იცი რეტომ მინდა ამ ხელის გადალებაა? ოჯახი დექცეს ბიძახემს გვათა ჩიგუნიას, ჩემი აზნუროფის ქალალდები მთლათ იმან დამიწვა. ამ ქალალდის მყტი არ გადარჩენილა. ვერ წელავ, აგრც დამწვარია?

მართლაც ქალალდის ნაგლეჯს ნაპირები მომწვარი ჰქონდა, მაგრამ ის კი არ ვიცი ახვა ქალალდებთან დაწეოდა. თუ იქნება თვითონ უფალმა ჩიგუნიამ სანთელზედ გარუჯა თავის აზნაურობის ნაგლეჯი, რომ უფრო დავეჯერებინე.

— შე მაგლენათ არ მისწავლია, რომ მაგ
ხელის გადაღება შემეძლოს სხვა ქალალდზედ,
ეუპასუხე უ. ჩიგონიას. ისევ სჯობია ქ...ს
წალი იქ გადააღებინე, თორემ ჩემ გადაღე-
ბულს ყველა მიხედება და ხომ იცი, ფალში-
კობა რომ შეგწამონ, დაიღუპები, მეთქი.

— კი, კი, შენ მართალს ამბობ, მაგ არა-
ფელია: ამის გადამღებს სხვასაც ვიშონი, მა-
რამ ეს მაინც მიქენი: გიგოლიკს უთხარი,
რომ კამინსის ჩინონიკებს ჩემს თავი გააც-
ნოს. მაგ თუ იზამს და კამინსის ჩინონიკებ-
თან შემწევა, კი ჩამწერენ აზნაურათ.

— ბატონი ხარ. მაგას ვეტუვი კიკოლიკს.
და იმედიც მაქვს შენს თხოვნას აასრულებს.

— მე შენ კაი სულუგუნს გაჩუქეფ — მით
ხრა ჩიგუნიამ და გამოიტანა ერთი გამხმარი
ყველი ღუჭნიდგან. ამისთანა საჩუქარმა ქრთა-
მის აღება მომაგონა. შევდექი; ვთქვი, რომ
არ გამოვართმეც, მეთქი, მართლაც უარი ვუ-
თხარი; გულში კი ძალიან მინდოდა სულუ-
გუნის შოვნა. პატარაობიოგან ვე ამისთანა

ყველზედ დაფეთხმული ვიყავი. ჩივუნიაშ
სულუგუნი მეორეთაც შემომაძლია, მაგრამ მე
ისევ უარი ესტქვა; თუმცა ჩუმათ ჩემ თავს
ვიწყევლიდი, რატომ არ გამოვართვი, მეოქი,
მეშინოდა ვაი თუ მესამეთ აღარ შემომაძლი-
ოს და ამისთანა კარგი სულგუნი ხელითგან
გამისხლტება, მეოქი. ღმერთია უშველოს,
იმან მესამეთაც შემომეპატიფა და სულუგუნი
ხელში ჩამიდო. რასაკეირველია ის აღარც მე
გადამიგდია. ჩუმათ მადლობასაც ესწირავდი,
რომ იმის მოცემა არ დაიზარა. დარწკუნებუ-
ლი ვარ, მკითხველო, რომელიც დაწ-
ვეულხარ ქთამის, ან საჩუქრის ღებას ეს
ჩემი მოქმედება წარმოგიდგენს იმ პირველს-
ნაბიჯს, რომლის გადადგმა ის შემდეგ ასე
სწრაფად გადიდედა შენი კეთილი მდგომარეობა

IV.

ამ დროს დათუნაც მოჩანჩელიდა დატვირ-
თული ცხენით; კისერი გვერდზედ გადაეგ-

დო; როგორც ეტყობოდა, უჭირელობით და
ბევრი სიარულით არაქათი წართმეოდა. შევი
ბოკესავით ქუდი თავზე ჩამოსცმოდა; ქალა-
მნიანი ფეხები უზანგებიდგან გამოელო და თი-
თქოს ფეხები ვისმეს მოემტერიოს, რაც საკო-
დავათ. მოაქანებდა. ის მოაჩანჩალდა ყოველ
იმედ-მიხდრლი; ვერც ხელოსანი (მამასახლისი)
ენება და ვერც ცხენები ეშოვნა. დათუნჯპ ცხე-
ნი დუქნის წინ დააყვენა, ღუარებლ ტეირთს
დიდი გაჭირვებით თავი დაღწია, ერთი ლრმათ
ამოახენეშა და ენი გამოავდო. ანით დაგეიძ-
ტკიცა, რომ, თუ რამე საჭმელი ჩქარა არ მო-
მაწოდეთ, ეს არის შიმშილით სული გამძ-
ვრებაო! ამ დროს კიკოლიკიც დუქნიდგან
გამოეიღა ნამძინარევი და ჰკითხა დათუნას; —
ცხენების რა ჰქენიო? — შენ ნუ მოუკვდები
ჩემ თავს, მთელი მათხოვი შამოეიარე, ხან
აქ ვეცი, ხან — იქ, მარა ხელოსანი მაინც ვერ
მოვიგდე ხელში: ერთ მოსახლესთან რომ მი-
ვალ, მეტყვიან, ყანაში მუშაობსო; მეორე მო-
სახლეს რომ მივადგები, ნაჩანიკთან წევადა;

მესამე კიდო სულ სახეაგან გამასწავლის არ
იქნა. ის ოჯახ-დაქცეული ეყრ მივიკვლიყ და
უერა! საძაგელი ქვეყანა ყოფილა, ბატონი,
ეს ქვემოთი (ქვემო-იმერეთი) — დიდი. სინწუ-
ხარით ამოიხვენეშა დათუნაშ და თავი გადა-
აქნია. თეითონ ის ზემო-იმერეთიდგან იყო.
ეჭ, შე საწყალო! — უგემური ლიმილით უთხრა
კიკოლიკმა — შენ მაინც მაგრე იცი: ცხვირს
წინ რომ გიდგეს, მაშინაც ძებნას დაუწყებ.

მართალია, დათუნა მოხერხებული კაცი
ეყრ ბრძანდებოდა, მაგრამ ხელოსნის გამო-
გდება თავის საბუნაგოდგან გამოქვეილს იმე-
რელსაც გაუჭირდებოდა. ამ ქვეყანაში ხელო-
სანი როგორც კი უფროსის სახელს გაიგო-
ნებს, კარში რომ იყოს, სახლში შევარდება
და მინდორში რომ იყოს, მაშინვე ტყისკენ
გაქუსლავს, საღმე: კურდლელიეთ გაინა-
ბება და ათასი მეძებარიც ველარ გამოაგდებს
თავის სოროდგან. მეტათ ეუცხოებათ ხოლმე
საწყლებს უფროსის მოვლენა: ალბათ ბე-
კრჯელ გამოუცდიათ იმისი მწარე დეზები.

დათუნა რომ ხეირს არ იქმოდა, ეს წინდა-
წინვე ვიცოდი. იმის მსხვილ ძარღვებიანს
ხელფეხსა და მძიმე აგებულებას ზედვე ეტყო-
ბოდა, რომ ის კარგი ლონიერი მიწის მუშა-
ვაჟიკაცი იყო, და არა ცქინტი იმერელი მო-
სამსახურე. იმისთვის უნდა მიგეცა ხელში თო-
ხი ან ნამგალი და გაგეშვა სამუშაოთ. ამი-
სთანა საქმეში დათუნას ვერავინ აჯობებდა;
მაგრამ ხელზე სამსახურში კი რა მოგახსე-
ნოდ. შარდი სამსახურისათვის არც ხელფეხი
მოზდევდა და არც მსხვილი ტანადობა.
წლოვანებით დასერილს იმის შუბლს ეტ-
ყობოდა, რომ იმ ნასერებში მძიმე შჩომისა-
გამო ხშირად ჩამოდენილა ოფლის ან კარა.
თვითონ სახეზედაც ცხელს მზეს სპილენძის
ფერი გადაეკრა დათუნასთვის. სეანეთის მთებ-
ში ის მალ-მალ შემომწუწუნებდა ხოლმე: —
სადაური ცეით მოვდიეართ!.. მე აქ რა შინდა?
ეშმაკს თვალს დრ უჩანს: ერთი რომ ფეხი
გადამიცდეს ამ უძირო ლრიან კლდეებში, ხომ
ჩემ ძვალსა და რბილს კაცი ჩელარ ნახავს!...

თაურმე კაცი რას შეესწრება თავის სიცო-
ცხლეში!.. რავა მოვიფიქრებდი, რომ რო-
დისმე ამისთანა ოღონ-ჩოღროში მომიხდე-
ბოდა სიარული. ღმერთო, ვან მიხეთება შენ
სამართალს!... კლდეებში ტანტალი რა ჩემი
საქმე იყო?..., ჩემი ხელობა თოხნა და მკაა!..
ამ რიგათ მოიგლოვდა თავის ძმდგომარეობას
მერე მომიყვებოდა, თუ როგორი ნამჯუშავარი
მოდის იმათ, მხარეში—ვაი, სადა ვარ ახლა,
რომ ჩემს. ტარო-გამოღებულს სიმიდის ყანას
არ ვუყურებ; რატომ ჩემ ყურებს არ ესმის
იმის სისინი?.... სიმწუხარით წაიდუდუნებდა
დათუნა. ჯერ ახალი სიმიდი არ მიჰკამია!
წრეულს სიმიდ! უერ დოუდგა კარგი ამიდა,
ერთობ გვალვა იყო ამ წელზაღში: სიმიდის
ყანები სულ ჩაყვითლებული დაცოვე; მარა
პურის სამდურავს ვერ ვიტყვე. მოგეცა სი-
ცოცხლე, წრეულს იმას კარგი გამოსავალი
ჰქონდა!“ ამ უკანასკნელ სიტყვებს ის სიამოვ-
ნებით და თავის ქნევით წარმოსოქვაშდა. პირ-
ველად იმისმა ლაპარაკე საქმე გამიჭირა: წა-

შის-წამ ერთსა და იმასვეს ყურში ჩამხახოდა. მუდამ ნამუშავარზედ ლაყბობა ძალიან მომ-ბეზრდა და თავის მორიცება დავიწყე; მერე-და-მერე ათასში ერთჯელ თუ ჩამიგდებდა ხელში სალაპარაკოთ, ისიც კარგი იყო; ამი-სთვის დათუნა უფრო ხშირად მოგვედებდა უკან ხმა-გაკმენდილი, მუდამ თვლემაში იყო და გაუწყეტლად თავს გვიკრავდა. ხან და ხან უეცრად თვალებს გამოაჭუტდა და უძი-რო-ლრეებსრომ დაინახავდა, შკერდზედ მუჭქ-მიიბრაგუნებდა და მწუხარებით გამოიძახებდა „ჰოიმე, ჰოიმე, ჰოიმე!...“, მემრე, როცა სამ-შეიდობო კზაზედ გამოვიდოდით, ისევ თვლე-მას და თავის კვრას მოჰყვებოდა. ერთხელ პატარა მთის ბილიკზედ მივდიოდით; მოვი-სედე თუ არა უკან, დათუნამ შორიდგან, ისე მდგბლათ დამიკრა თავი, რომ ცხენიდგან გადმოვარდა და ჯაგებში ჩაეარდა. წვერ-ულუ-აშ-გაწეწილი დათუნა მსწრაფლად წამოხტა, პირზე ეკლები მოიშორა, ცხენი დაიჭირა და ზედევ შეედო. შეეჩერდი. როცა დამიახლოვ-

და, ხუმრობით ვკითხე: — „დათუნა, იმ ჯაგებში რას ეძებდი, ხომ არა დაგკარგვია რა?... „ამრსთანა კითხვა დათუნას არაფრად არ იამა და უმაზურათ მიპასუხა: ნეტაი შენ, რომ არაფრის ჯავრი არ გაწუხებს. ქვე ვიცი, ენაზედ არა დაგადგება რა და ამ ჩემ გადმოვარდნას კიკოლიკსაც მიახარებ“. გულში რცხვენიდა, ეს უხეირო შემთხვევა როგორ დამემართაოდა და ძალიან შიშობდა, ეს ანბავი კიკოლიკს არ გაიგო. როცა მე და კიკოლიკი დაუცინებდით დათეური მიხერა-მოხერისათვის, თუმცა არას იტყუდა, მაგრამ გულში სწყენდა. პაპარაქება სიცხეში ჩემს ნაბადს და ჩემ ჭრელს შარფს იმას მიუცემდი შესანახავათ. ის ამ ჟამით საჩეგბლობდა. თუმცა სიცხე ზურგში ალიმულს გვადენდა, მაგრამ დათუნას კოხტაობა იმდენათ უყვარდა, რომ სიცხეს არ დასდევდა: ჩემს შარფს კისერზედ მოიხვევდა და იმის ჭრელს ფოჩებს გულზედ გადმოიკიდებდა, ნაბადს წამოისხამდა და თითქოს გულში ამას ამბობდა: — კარგი ჩაცმა მე არ დამშვენდება თუ? ახლა

ამ შარფში და ნაბაღში რათი მჯობია კუ-
ლაბზაკაო?“ მე ეს არაფრათ მომწონდა,
იმის თფლიანი კისრიდვან შარფს ცუდი
სუნი დაედინა. რამოდენსამე ხანს შემდეგ
იმისი პომალით ასეთნაირად გაიმურა ჩემი
შერფი, რომ, მეტი გზა არ მქონდა, დათუ-
ნას უთხარი: „შენი შენთანვე იყოს“ მეთქი
და შარფიც ვაჩუქე. დათუნას ლამაზობაც უყ-
ვარდა. დილდილიბით გამოლვიძებას ვერავინ
მოასწრობდა. ჯერ კიდევ მზის სხივი არ იქნებო-
და გაბნეული ცვარით ჩამარგალიტებულს მინ-
დორზედ, ის ხევის ნაპირას იდგა და პირზედ
წყალს იშხაფუნებდა, მერმე ჩოხის კალთით, ან
ახალუხის კალთით პირს შეიწმენდავდა, მოჰ-
უცებოდა თებოიანი ხის სავარცხლით თმისა
და წვერ-ულვაშების ვარცხნასა; ულვაშებს გაიწ-
კიპინებდა, ბოლოებს მოუგრეხდა, იქით და
აქეთ რგოლებს გაიკეთებდა; მერე ლურჯი გა-
მურული ულვაშესაკრით აიკრავდა. ხშირად
ვეტყოდი ხოლმე; — ვაი, მაგ ულვაშების ბრა-
ლი შენ ხელში. მე რომ მაგათ აღგილას ეიყო,

აქამდის სატმე გაგეჭცეოდი. ულვაშების მავდე-
ნი გრეხა და გლეჯა როგორ იქნება, შეთქი. —
„კაცს ვაჟვაცობა ულვაშებში შეეტყობი. — ის
მიპასუხებდა — ღმერთს ულვაშები. საშეენებ-
ლად მოუკია; ისიც რომ კარგათ არ შევინახო,
რა კაცი ვიქნები. კაი დეემართოს, კარგს ის
შეებოდეს, ვინც ულვაშებს იყნაჭვეს და იპარ-
ცავს!.. იმის კაცს რაფა დოუძახებ, ის ქალია...
გადი იქით, შე ულვაშ-მოპარცულის შეიღო
შენ! — მეტყოდა დათუნა, როცა რასმეზედ გა-
ვაჯვერებდი. დილით ულვაშების აკვრია და
წერილ-ტარიანი ჩიბუხის სწევა ძალიან უყ-
ვარდა დათუნას. ვძელი თუთუნის (თამბაქოს)
ქისა მუდამ უკან სარტყელში ჰქონდა ჩაბნე-
ული და, თუ არ სწევდა, ეს წერილ ტარიანი
წიბუხი თუთუნიანს ქისაში ედვა ხოლმე,

მიხერა-მოხვერაში დათუნა მართლაც დათ-
ვის მოცდებისა იყო. იმასთან ახლოს მიკარება
მემშელებოდა; მაშინც ან ფეხს დამალგამდა
ან იდაყვის თავს; გვერდებში მითავაზებდა; და
თუნის ერთი საქმის მოვის ძალიან ფებრალებოდა.

დი. ჯორს ნახევარჯელ სულ ის შიკაზმავდა
ხოლმე და ჩემ ბარგზედაც თვალ ყური ეჭი-
რა. ერთხელ უზას შივეჩქარებოდით და ჩემ
ჯორს მე თვითონ ვკაზმავდი. მოხართავი რომ
მოვუჭირე, ამ დროს დათუნაც გვერდში ამო-
შიდგა, უნდოდა ჩემი ჯორი თვითონ შეეკაზ-
მა. მაგრამ როგორც კი დაიძრა, ნატკენს
ნეკზედ ფეხი დამაღვა.—დათუნა; დათუნა,
ფეხი, ფეხი აიღე, თორემ, ეს არის, მოვუდის
—შეუგრელე გამწარებულმა და წავიქცეცი. ნე-
კის ტკიფილისაგან გაბრაზებულმა წიბლი უ-
თავ-ზე ფეხებში. იმან ფეხი ფეხზედ მოირტყა,
წობორძიკდა და ეს ეება კაციც თავზე და-
მეცა.—„ი, გავიწყრა შენ ჩემი. წმინდა გა-
ორგი!“—გაჯავრებით შიგატანე, —შე დალო-
ცვილო, რა არის, რომ მიდღები ჩხიკინს არ
მოიშრის.—წამოდგომაზედ წაჩდულუნა დათუ-
ნა. —თუ აგრეა, სულაც დღას მოგეკარება,
აღარც ჯორს შეგიკაზმავ და არც შენ ბარგს
ყურს უვდება. ისე დაიწყო ჯავრობა, წიგ-
ნის მეყოფილვიყო დანაშაული; ის კი არა თუ

ოხერმა კინაღამ ფეხის ნეკი მომამტერია...

თუმცა ამისმა დათვურმა ყოფა-ქცევამ გზა-
ზედ ბევრი უსიამოვნობა. გამოგვარონინა, მა-
გრამ მუშაობით გამხნევებულს იმის სახეზედ
რომ შეგეხედნა, არ შეიძლებოდა პატივი მა-
ინც არ გეცა. ის თავის წანჯაუხედავობით
და მიუხედომლობით ხშირად აწყენინებდა
ხოლმე კიკოლიკს. ესეც თუმცა ჩალიან თა-
ფლი-კაცი იყო, მაგრამ ხან და ხან ვცდარ
მოითმენდა და შეჰყვირებდა. დათუნა ფილო-
სოფურად სახეს არ იცვლიდა; ის მხოლოდ
ჩუმად დაიწყებდა კვნესას: კიკოლიკის საწყე-
ნი საქმე რათ მომივიდაო. დათუნა რომ ცხენ-
ზედ იჯდა, კიკოლიკისა იყო, და ამ ცხენის
სიყვარული იმას გულში ჩაგარდნოდა. ის
ხან და ხან ჩამიჩურჩულებდა:—იქნება კი-
კოლიკმა ეს ცხენი მაჩუქოსო. თურმე დათუ-
ნას ამისთვის უფრო ეჭირა თვალ-ყური ჩემ
ჯორზედ: იცოდა, გამოსადეგი კაცი ვიყავდ
—ვითამ არ მერგება თუ? მკითხავდა დათუნა.
რაც მე ამ უძირო ფხრეწებში (ლრეებში) ში-

ში და წვალება გამოვიაწე, ერთ ცხენათ არ
ლირს თუ?... ჩემი შარფი რომ მიიმკვიდრა,
ცხენიც იმ ოიგათვე უნდოდა დათუნას მიემ-
კუიდრებინა და ამის გამო ხშირად მეხვეწებო-
და, კიკოლივთან ცხენი გამირიგეო.

თითქმის სამხრობა მოიწია და ჩვენ კიდევ
ბომბუას ხიდზედ ვიყავით დაბარგებული. ხე-
ლოსნის უნახაობამ ცრთობ დაგვალონა, ცხე-
ნები არსად დევავდა და ჟერც დავოძროდით.
ჩვენი ბარგი ძალიან მძიმე გამოჩნდა.
რაც თან მოგვეჭონდა, ერთი იმდენი და მე-
ტიც ბომბუას ხიდთან დაგვახვედრეს სვანებმა,
რომელიც ჩიჯოლიკის ხლებულნი იყვნენ და
ჩვენზედ ერთი დღის წინათ წამოსულიყვნენ.
ორი სხვა ცხენი კიდევ დაგვჭირდა; მაგრამ
საღიერო გვეშინოდა ამ ადგილზედ არ შე-
მოგვლაცებოდა. ამ ტალონებაში რომ ვართ,
ერთი ტალახში ამოთხუპნული იმერელი მო-
გვეპარა და განზედ დაგვიდგა; თავის კურტ-
ნანი ცხენი დუქნის წინ სვეტზე მიაბა.

მეორე კურტნიანი ცხენი მეორე დუქანთან
გაჩნდა. ეს იმერელი იყო ხონიდგან.

ხონელს ეცვა ნარინჯის ფერი დაკონკილი
შალის ჩოხა. ჩოხის ნაფლეთები ერთი ერთ-
მანეთზე თეთრი ტილოს ძარით ჰქონდა
აკანძული; პირველ შეხედვაზე იტყოდი,
ალბათ ჩვენს წინაპარებსა და ადამს და ევას, ამ
ხონელსავით ფოთლებ აკონკილი სამოსელი
უნდა ცმოდათო. შორიდგან ხონელის ჩოხა
მართლაც გამხმარი ფოთლებისა გეკონებოდა.
ტიტველ, წვივები ამას მუხლაშიდას ჰქონდა
აკაპიწებული (დაკარწახებული) და კანჭები.
სქელი ტალახის ქერქით შეემოსა. თავზეც ჩა-
ლის შლაპა (*). ეხურა და შლაპის ქეემოდაშ
ხონელი ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა.
მაშინვე იტყოდი, ეს გაიძვესა ვინმე უნდა იყო
სო. იმისს გარუჯული, სახეზეც შავაჭ წამო-
ზრდილს წვერულვაშ, მგლოვიარების ბე-
ჭეზი დასვა. ის მართლაც მძმეო გლოვდა

(*) იშერეთში პურის წველისავან აკეთებენ შლაპებს.

რაღასაც და ეს რაღაცა იყო მთელი იმისი
მოუსევენარი ცხოვრება. ზედვე ეტყობიდა,
რომ ხონელს წარსული თავისი სიცოცხლე
სულ ჭაპან-წყვეტაში ჰქონდა გატარებული.
თითქო შეუბრალებელს გარემოებას ნდომე-
ბიათ ამისი დაჩაგვრა და წელში გატეხა, მაგ-
რამ გატეხის მაგივრად იმისი ზნეობითი
მხარე წნელსავით მიქნილ-მოქნილიყო. გა-
რეგანის უსამართლოებრივთვის ხონელს უსა-
მართლოებითვე გაუცია პასუხი—მითი, რომ
ის თეითონვე შექნილა უსამართლო და გად-
ძეერა. იმაზედ მუდამ თვალ-ყურა უნდო ცუდ-
როდა. რომ ან არ მოეტყუებინე და ან რამე
შენთვის არ წაეგლიჭა...

ხონელი ჩეენ შორი-ახლოს დადგა დუქან-
თან. შეშინვე შეატყობი, რომ იმას ჩვენგან
რაღაც უნდოდა.

— შენია ეს ცხენები აქანეი და იმ დუქან-
თან რომ აბიან? — ჰკითხა ხონელს კუდაბზიკამ—
— აფი ერთი ჩემია და ის, იქნეი რომ
აბია, ლეჩეუმელისა, — მიუგო ხონელმა

- შენ სიღოური ხარ?
- მე ხონელი ვარ.
- გვაქირავე შენი ცხენი, კაი ფასს მოგცემთ.
- სა მიბანდებით?

— ჩეენ შორე გზა გვაქ, მაგრამ შენი ცხენი მარტვა მურამდის დაგვჭირდება.

მური არის ცხენისწყლის ჭალაზედ მდგრად ბარე სოფელი, ლეჩხუმში. ეს სოფელი დარიანებს თურმე ძალიან ჰყავარებიათ. იქ ახლა დგას გაცივებული ხის სასახლე უწინდელი დადიანებისა.

— უუჰ—დაიყვირა გაკვირვებით ხონელმა—
 — იქინეი მე და ჩემს ცხენს რა წაგვიყვანს?
 მე და ჩემი ცხენის მოკვლა გდომებიათ
 და ისაა! იმისთანა პილწი გზებია, რომ რას
 მიბანებთ?... იქინეი არ მოკვლა ჩემი ცხენი;
 აქანა ცხენის წყალში ჩავახიოთ და ის იქ-
 ნება!... აჯ, მაგი ჩემი საქმე რაა. მაგას იგი
 მიაჩიენია, ხონისკენ გოუდგები სინემდის
 მურში ჩევიდოდე, ხუთჯენ მაიც ჩევიტან

ლეინოს ქუთეისს.... ხონელია გაგვშორდა და
მეორე დუქანთან მიეიღა. ხუთ წამს არ გა-
უვლია, ის ისევ მობრუნდა და თან ლეჩეუ-
მელი მოიყვანა. ლეჩეუმელი იყო პატარა,
მაგრათ ჩასხმული ბრჭი, ქერა და თაგვსავით
ფუალებ გამოკუსული. რომ შეგეხედნა,
იტყოდი, იმის ნიკაპი პირის სახეს ჩაუყლაპავ-
სუ. თავზე თეთრი ბაშლაყი (ჩაბალახი) ეხუ-
რა და ყალიონს (ჩიბუხს) სწევდა. ის იყო
ახალ-გაზიდა, პირზედ წვერულვაში ამო-
დიოდა.

— იქინეთ. რომ კურტნიანი ცხენი აბია, ის
შენიაზ—მეორე დუქნისკენ თითო გაშვირა
კუდაბზიკაზ და ჰკითხა ლეჩეუმელს.

ჩემია, უფხრა ლეჩეუმელმა.

— მურამდის ვერ გვაქირავეთ?

— რეტომ არა, თუ კაი, ფასს მომცემთ.

როგორც ეტყობოდა, ხონელს ჩაეგონე-
ბინა; ახლა შენ მიდი და ფასსზედ მოელაპა-
რაკე, თორემ მუშტარი დაგვეკარგებაო; თევი-
თონ კი პირველადვე ასეთი უარი სტუიც

კულაბზიკას, რომ ჩვენთან მოსასვლელი პირი
აღარ ჰქონდა. ახლა ხონელი განზედ იღვა
და შორიდგან უშმაკივით თვალებს აბრიალე-
ბლა. იმის გასაგონებლად და გასაჯავრებლად
კულაბზიკამ უთხრა ლეჩეუმელს.

— აპა ძალიან კაი. ისრე ბევრი ბარგი არც
გდაჭვს; ჩვენ ბარგს ერთი ცხენიც ეყობა-

— რაა თქვენი ფასი?... ჰკითხა ლეჩეუმელ-
მა კულაბზიკას.

— შენ ნუგეშინია, კარ ფას მოგცემთ და
კიდოც კარგათ გაჭმევთ.

— მაინც რაშილნე მომცემთ?

— ორ მანათს; მეტი რა გინდა. მამაჩემი

ნუ წამიწყდება; ძალიან კაი ფასია.

— აპ, ორ მანათად რავა იქნება? ამისთანა
გლახა გზებში ორ მანათად ცხენს რავა მოვ-
კლავ?... ლეჩეუმელი გაბრუნდა და ხონელიც
თან გაჰყეა:

— ბიჭო, შენ! გეოგონე, ორმანათს და
ერთ აბაზს შოგცემ,—დაუყირა კულაბზიკამ:

— ეპ, რა გეეწყობა, სამი მანათი მაინც

მომეცით. სთქვა ლეჩხუმელმა და ისევ ჩეკინთან მობრუნდა.

— თუ გინდა, ორი მანათი და ექვეში შაური წეილე, თუ არა და გამეტალე, დებკარგე აქიდგან — წყრომით შესძახა კულაბზიკაშ.

— ბატონო, წყრომა რა შენი საკალრისია. აპა ორი მანათი და ორი აბაზი შაინც მომეცით, და ისიც ნუ დაგავიწყდებათ, ღვინო ბრევლი მასეით.

— როგორც კი ეს სიტყვები გაათავა ლეჩხუმელმა, ასეთი იდაყვის თავი იგრძნო გვერდებში ხონელისგან, რომ ლეჩხუმელი ერთ ადლზედ ვახტა. — ჰატ, შე სუნელო, შენ! — წაილულლულა ხონელმა. — ცოტა კიდო რომ მოგეცადა, რა გრძირდა, შე საწყალო. აპა აქანეი მაგენი ცხენებს სად იშონიდენ? სამი ჯაბაზი ტყულა მეც დამაკარგვიე და შენც, — უთხრა წყრომით ხონელმა, გაშორდა ლეჩხუმელს და თავისა ცხენიც თან წაივეანა. კიკოლიკს იმედი დაუკარგა, ვაი-თუ მართლა ხონელმა, იმ ფასად ცხენი არ გვაქირა-

ცოსო და დაუყვირა, რომ მობრუნებულ იყო; უნდოდა ქირა შოემიტებიჩა; მაგრამ კუდაბზიკა მეტად გაცხარდა: „რას ამბობ!... ბატონო, მაგი რავა იქნება! მეტს რეიზა აძლევთ!.. რავა შოუძლია, რომ მაგან ცხენი არ გვაქირაოს, მაგრე ადვილდა ქირის შონა თუ?.. ჩვენ რომ არ წმოგვყვეს, ერთ თვეს ისთვიქნება, რომ კაპეიკს ვერ იშონის. ჩალანდრების ამბავი კი ვიცი. მაგრენისთანა გალლეტილი კაცები არაა ქვეყანაზედ. შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, თუ ცოტას მეიცით, პირიქით შეგვეხვეწება“.

ცოტახანს შემდეგ ხონელი ასევე ღუქანთან მოგვეპარა. გულში იფიქრა, მართლაც ბარგი მაგდენი არა არის რაო; ცხენიც არ გამელა- ხება და არც ქირაა მაინცა და მაინც ცოტა- ონელი რომ დაინახა კიკოლიკმა, ვეღარ მოითმინა და განუმეორა: „რას დგეხარ, რა ტომ ცხენს არ მოუყვან? ქირაა კარგს გაძლევთ, მეტი რა გინდა“.

— არა, ბატონო, სამ მანათ ნაკლებ ვერ

წევილები ერთჯენ არ გამავლია ამ გზებზე
და ორჯენ. ტყულა ცხენი გემელახება და
ქირაც მაგდონი არაფელია,—სთქვა ხონელმა.

— ბიჭი, შენ ჩემი სიტყები არ გესმის?
ორმანათს და ორ აბაზს გაძლევ. თუ გინდა
წევილე, თუ არა, და რეტომ-დგახარ აქანა? გინ-
და ამ მათრახით შეგიწითლო გვერდები, თუ
რავაა შენი საქმე? ვან გგონივართ; შენი ტო-
ლები ვართ თუ? უყურე ახლა ამ ყურუმ-
საღს, ამას! გასწი გეეთრიე.—დაუყვირა კუ-
დაბზეყამ და მეტისმეტი გაჯავრებით ცხვირ-
პირი აენთო.

— ორშაურს კიდევ მოგიმ....

— ბატონო, მაგი რავა იქნება? — მსწრაფ-
ლად უთხრა კიკოლიკს კუდაბზიკამ.—ყაძახს
(გლეხს) თავს გაფუცელი! თუ მაგის ნებაზე
მოუშვი მაგი, მთლათ ქუთაის მოინდომებს.

— არა, ბატონო, მაგიც ძილიან ცოტაა.—
წაიღუდუნა ცხვირში ხონელმა.

მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ცხენი მაინც
მოიყვანა.

ჩემოდნები ისე დიდები არა ჩნდნენ, თუმცა სიძიმე სამყოფი ჰქონდან. როგორც კი ხონელმა ჩემოდნებს მისწი-მოსწია, მაშინვე დაბალი ხვით ჭავრობა დაიწყო: — აჯ, ამაშიც კი მომატყუეს!... ამისთანა მძიმე რომ მგონებოდა, რავა გოურიგდებოდი ასთე ცოტა ფასათ“. მერე იმან და ლეჩემელმა დაიწყეს თანასწორათ გაყოფა მთელი ბარეისა. ხონელმა ჭინჭკლიანობა დაიწყო. წამის-წამს ჯუ-აერდებოდა ლეჩემელს, შენ ცოტა ბარეი დაიტოვეოდა და მეცი ბევრი მარგეო. „უჯ, შე სუნელო, შე უჭიუო, დღეს შენ წამიხინე საქმე. შენ რომ არა, მაგენს სამ მანეთზე ნაკლებს რავა „დავჯერდებოდა“ — ვულ-დაწყვე-ტილი ეუბნებოდა ხონელი ლეჩემელს. ხო-ნელის გაწითლებული ლოყები და ცხვირი ნათლად ხატავდნენ იმის შინაგანს მღელე-რებას. ის იყო მთელ ქვეყანაზე გაჯავრებუ-ლი და წამის შოსვენება არ ჰქონდა. ყოველ-თვის წუხდა. მთელს ჩვენ მეზავრობაში ის ერთ-ხელ მეტად არ მინახავს გაღიმებული და მაში-

ნაც იმისი თეორი კბილები შავს წვერ-ულვაშ-
თან და ჩალურჯებულს თვალებთან, თითქოს
მთელ ქვეყანას დაგლეჯას ემუქრებოდა...

ბომბუას ხილიდგან რომ ავებარგეთ, სამხ-
რობაზედ გადასული იყო. თეორიად გაპენტი-
ლი ღრუბელი უეცრად ყას გადაეფარა. ფფ-
რი შავათ იცვალა, გამოუშვა ჭექა-ქუხილი;
მოშორებით მეხი გავარდა და მსხვილმა კუ-
კურმა წვიმამ დაგვიმინა. ხონელს კუნესა და
ჯავრობა არ გაუწყეოფია; ის ხან თავის გაჩე-
ნის დღეს იწყევლიდა, ხან სწუხდა, თუ რათ
წაეყევიო. ჩვენ მივდიოდით მთის ბილიკზედ
და ალაგ-ალაგ დასველებულმა ქვის სიმა
საქმე გაგვიჭირა; ცხენები ფეხს ვერ იმაგრე-
ბდნენ. წვიმა ორსაათს მეტს უწყალოდ გვ-
ცემდა თავში და ბეჭებში. ისე დაესველდით,
რომ ძელამდის გაგვატანა. ბოლოს ცუდი
ამინდიც დაწყნარდა და სალამოს ქამს დასაც-
ლეთით მზემ ერთხელ კიდევ თვალებში შე-
მოგვაჭირა, თითქოს დაგვცინოდა: თქვენ
საწყლებო, წყალში ნათრევს კნუტებსავით

როგორ ამოწყუმბლულ ხართო! საღამოს სოფელს ღვედს ღვედს ხელოსნისას დავვცით ბინა,

იმისთანა თქვენს მტერს, კუდაბზიკას ვინთავა-ცხენს ამ გზაზედ საქმე მოუვიდა. იმან უეცრად პირზედ ქაფი მოიგდო და თავის მხედრიანათ მიწაზედ ტყება გააღინა. ამ მოულოდნელის შემთხვევისგამო კუდაბზიკას თავისი ამაყობა სულ გაეპარა. ის შიშით, ცხენი არ მომიკვდესო, ასეთნიარად მოიხრუკა, რომ საცერე რგოლში გაძვრებოდა. ს ჰიმწუ-ხარით ქვედა ლაფშიც ჩამოაგდო; თვალები უწინდულათ ველარ გამიმართა; გუნებაში ვამბობდი, სადღაა. შენი ქედ-უხრელი. ამაყობა და თაუ-მოწონება? მაგისთანა მჩატე საქმემ ეგრე როგორ დაგცა, ჩემო კუდაბზიკა? საწალი მწუხარებით მეუბნებოდა ხოლმე: „დედა, რა მეშველება, ჩემი ცხენი რომ მომდევ-დეს!... უბედურება იგია, რომ საყიდელ ცხენსაც ვერ იშონი ამ საძაგელს ადგილს...“ ალბათ საწყალი კუდაბზიკა ღმერთსაც შეებრალა; მეორე ღლეს იმისმა ცხეშმა ისევ

ყურები აცქვიტა. თურმე ნუ იტყვით, ამ კი-
რთაგვა ბედაურს მუცელი სტკივებოდა! რო-
გორც სჩანს, იმერეთში კაცა და ცხოველს.
სულ ერთი და რგივუ სენი აწუხება!

V

ღვედა რომ მრველით სალამო შეიქმნა. გა-
ორენი სეანი ხელოსნისას მიგვიძლეა. სახლის
ჰატრიონი შინ არ დაგვეხდა. მაგრამ ვინც იყ-
ვენ, კარგის გულით მიგვაღეს. ხელოსანი
ესახლა შუაგულა ტყეში ერთს მთის ფერდ-
ზედ. იმისი სამოსახლო მაღალის წიფლისა
და წაბლის ხეებში იყო ჩამალული; ეზო კი
ანწლითა და გვიმრით (ჩადუნათი, იყო ვაჭ-
სებული). ჩვეო შეგვიყვანეს სასტუმროში. ეს
იყო ახალი ფიტრის სახლი. სასტუმროს შიგ-
ნით სარის ღობე ამ სახლს ორ ნაწი-
ლათა ჰყოფდა. ერთი ჭერითი იყო მოგებუ-
ლი და ბაგაზე უხენები ტბა ამისგამო თვი-
თონ სასტუმროში სუნელოვანი ბოლი იყო

გამდგარი; თუმცა ეს ბოლი ჩემ ცხვირს ძალიან ემლაშ; მაგრამ ხონელისა და ლეჩხუმელისთვის რომ გეკითხნა, ამისთანა კარგი სუნი თუ რასმე აუღინდებოდა, არ ეგონათ. სასტუმროს მეორე ნაწილზე კედლებთან ერთმანეთის პირდაპირ ორი ტახტი ჩაუყვებოდა. რომელი ტახტიც უფრო განიერი იყო, ის ხალიჩებით და ფარდავებით მოჭინეს. საფეხლები ზოგი სახლის პატრონისა იყო, ზოგი ჩიკოლიკისა და კიკოლიკისა. ამ ტახტზედ ხელმწიფურათ განისვენებდა ჩიკოლიკი და იმის მახლობლებიც კიკოლიკები. ხელოსნის სახლობა ძალიან ფაცა-უუცში იყო. ძეველა გამურული სახლიდგან წამის-წამის მოსიშოდა კარების ჭრიალი, კაცისა და ქალშეს ხმა და აგრეთვე ძუძუ მწოდები დაბჯინა, ტალახიანი ჩექმები წინ გადმოაშეირა, ერთი ლაზათიანი დამთქნარა, პირზე ხელი წისუს წამოასვა. და დაიძახა: „ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ-გორ დავიწუწუნით ამისთანა წეიმა მე ჯერ

არ მინახავს“ — „იშიდენი რა გითხრა, რამდენი უარესიც გენახოს ამ მთებში! შე იჯანჭორო, სულ ამ მთებში არ დადიხარ!... მგრნია კათასჯელ მაინც გაგივლია და გამოგივლია. შარშან რომ ამ მთებში წეიმა ჩიყო, წრეულს. (ამწელს) იმის ნახუვარიც არ არის.“ — წაილულლულა ხონელმა და პირითგან ჩიბუხი გამოიღო. ტალახით გათხუპნული ფრხები თბილ ნიცარში ჩაეწყო და ალზე წელებს უფრიცებდა. მოვუდა “თუ არა, ამან მაშინ ვერ დაიყეირა „ცეცხლი, ცეცხლი, თვარა, ეს არის, მთლათ გევიყონეთ!...“ ოჯ, ღმერთო, შენ დააქციუ ეს ქვეყანა და (მდაბალი ხმით) იგიც, ვინც ცლამ აქეთ წამოგვიყვანა!... ბიჭო, არ გეყურება შენ!... წალი ახლათ ახლავე ცეცხლი მეიტანე, თვარა, ეს რის, მოგკალი, მოგყალი!..“ შეუტოვატატარა ბიჭს, რომელმაც იმდროს ძევლი სახლითგან თავი გამოჰყო ხონელის თვის რომ შეგეხევდნა; მართლაც შეგეცოდებოდა დაგლუჯილი ჩიხა ფოთლებსაჭრო ტანზე დაკვროდა. წვერ-ულვაშს ჩამოწეუმშლუ-

ლი, სწორეთ წყლის ქაჯი გეგონებოდა. როცა კერას ხეჟლს შეშას აყრიდნენ ის სიხარულით ამხნევებდა ბიჯა: „ჰაი, შენ ღოურჩი (ნუ მოეშალე) შენ დედას! ბიძაშვილობამ, ძალიან დავსცელდით? ჩემი პერანგი სუნთლათ მთხლესავით წევიდა ... კიდო მიეტანე, ძამია, კიდო მეიტანე. ნუგეშინია, შეშა ბრევლია... კერაზე დიდი ცეცხლის ალი აფარდა. მსხვილი მუხისა და წიფლის ხეებო ბლობათ დააყარეს ამაზე. შეშის ტკაცანში და ცეცხლის ბრიალმა გაყინებულება სული ჩაგვიდგა. ხეებზე კერის ჩახლობლივ თხით სვანი შესკუპდა; ხონელის გვერდით ლენი რუმელი იჯდა. იმათ ზურგს ორთქლი სქლათ ასდიოდა. ამ დროს ერთი პატარა ბიჭი თავ შაშველი, უნიფერ და პერანგის ამარა ჩეცნან-თან შამოძერა; ხელში ცოცხი ეჭირდა: „აპა, დახვეტე, შენ გაზდას, თვარა შვანია, ერთი კვირეცარის, რომ არ დახვეტილა ეს სახლი“ უთხრა დათუნემ, რომელიც ამ დროს ხონე-

ლის ზურგს უკან იდგა და ხელვები ალზე
ჰქონდა გაწვდილი. ის ასეთი მრასხანებით
უბრიალებდა თვალებს ხონელსა, რომ მაშინ-
ვე მიხვდებოდი; რასაც გულში ჰყიქრობდა:
„აპა, თუ აქეს სეინდისი ამ ტალახიანს კაცს!
ხომ იცის, რომ იმის ზურგს უკან ვდგევარ,
რატო არ ჩამომეცურება?“ მაგრამ ხონელი
ყურსაც არ აპანტურებდა. იმან იცოდა თუ
დათუნა რა ლირსებისაც იყო. „ცხენით რომ
მოეთრევა, ამიტომ ჯოფუცლი (ჯავუთმობ)
ამ ადგილს თუ?...“ პატარა ბიჭია მიწას სქე-
ლი ბოლი აადინა, მეტი გზა არ იყო, ხონე-
ლი და სეანები უნდა ჩამოცულოდნენ. ეს დრო
დათუნამ აირჩია გასაწყრომათ: „ადე, კაცო,
ვერ ხედავ, რომ ნაგაუი გეყრება, ღველფუში
რას ჩაგიყრია ტალახიანი ფეხები, არ იცი,
შენ პირ-და-პირ ვინ ჯის? შენიადვილი რა-
ტომ არ იცი?—პო, რაა?.. რას ყვირი? ვინ-
ცხაა, ჩვენც კარგათ უიცით, მაგრამ გაშრო-
ბას მაინც არ დაგვაშლის! (მდაბალი ხმით)
ვინც უნდა იყოს! ვინ არი და ჩიბურდანი-

ძე!.. ჩინონიკი არ მინახავს თუ?.. უყურე ახ-
ლა ამ ყურუმსალს! ტყულა კი არ ამბობენ,
ყაბახი (გლეხი) ცხენზე შეაჯდინე და ღმერთი
დაუიწყდებათ. იმას ჰერნია, რომ იმაზე უ-
რესი ვიყო! — ჩუმათ წაიღუდუნა ხონელ-
მა და კერალვან ადგა. დათუნამ იმის აზგილი
დაიჭირა. ხონელი მეტად გაჯავრდა ამაზე,
მაგრამ მაინც ვერა გაამხილა რა, რადგან და-
თუნას კიკოლიკის შეწევნით ზურგი მაგარი
ჰქონდა. ამ დროს ლეჩხუმელშა დაიყვირა;
„არიქა, არიქა, საქვაბე დეიწვა, საქვაბე!.. —
მართლაც ხელი სტაცა კერაზედ ჩამოკიდე-
ბულს ხის კავსა, ჩამოილო და ნაცარში შეხ-
ვია, რომ კავზე ცეცხლის ალი გაექრო.“
— მამა შეილობას, როცა დაჰკიდო ზეით ას-
წიე, თვარა ცეცხლი კიდო გოუჩდება; —
— უთხრა ხელოსნის ძმამ ლეჩხუმელს. ლეჩ-
ხუმელ, ბევრი ეწვალა, ფეხის წვერებზედაც
შედგა, მაგრამ ტანშორჩილოს გამო ვერა
გააწყორა, კავი ზევით ვეღარა დაჰკიდა. — პატ,
შე გლახა! მომე აქ, თუ არა შეგიძლია, რეიზა.

ეპოტინები (ეჩრები).⁴ — ხონელმა გამოგდიჯა
კავი ლეჩხუმელს და რიკით კარგა მაღლა
ჩამოჰკიდა.

ასეთი უმთეარო ლაშე იყო, რომ კაცი
თვალში თითს უერ მიიტანდა. ეტყობოდა,
რომ ღრუბელი ცას სქლათ გადაპენტოდა.
წინათვე ვიცოდი, რომ მეორე დღესაც წვიმა
არ მოგვასვენებდა. სასტუმროს მეორე კუთ-
ხითგან ცხენების ხრაშუნი მოგვესმოდა, რად-
გან ჩალა და ბზე ბლოჩათ ვქონდათ. ჩვენი
დაეშრით და ვახშმისმეტი არა გვაკლდა რა.
ცალგვერდზე განისვენებდა ჩიკოლიკი და იმას-
თან კიკოლიკი. შორიდგან რომ ჩიკოლი-
კისთვის შეგვედნა იტყოდი, გაბერილ ტი-
კისთვის სერთუკ-შალვარი ჩაუცმევიათო და
ზედ კაცის თავი დაუდგამთო; კისერი მხრებ-
ში ჩაერდნოდა და ტახტზე კოტრიალებდა.
იმის ჭალაულაუებული ლოცები და მსხვილი
გადმოვარდნილი თვალები ასეთს დიდს გუ-
ლის-თქმას გვიცხადებდნენ, რომ ის მზათ
იყო, ჩაენთქი მთელი ქვეყნის გრძნობიერი

სიტკბოება. ჩიკოლიკმა ენა აიღა. იმან და კიკოლიკმა დიდხანს იბასეს სამეცნიერო საგნებზე, მე შევატყე, რომ ჩიკოლიკს ძალიან შეჰყვარებიყო ფრანცუზის ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, უფ. გიზო. ამ მწერალს ის დიდი პატივის-ცემით იხსენებდა: „გიზო ძალიან კარგი ისტორიკოსია. თქვენ ხომ გიკითხავია იმისი თხზულება, იმისი ლექციები სორბონში. ოჯ, რა მშვენიერია! ოჯ, რა ლრმა აზრებით არის ავსებული იმისი თხზულება“. ამისთანა სიტყვებს უხვად აფრქვევდა ჩიკოლიკი. „კარგი“, „მეტიად შვენიერი“, „ფრიდად მოსაწონი“, „ლრმა შეხედულება“ და სხვა მრავალი ამისთანა მაღალი ფრაზეოლოგია წყაროსავით გადმოსდიოდა პირითგან ჩიკოლიკს.

როგორც კი გიზოს, სახელი მოშესმა, მაშინვე თვალები გამოვაჭყიტე და ჩიკოლიკთან ახლოს მივჯექი: მინდოდა შემეტყო, თუ სახელდობ რისგამო ეძახოდა ჩიკოლიკი გიზოს ლრმა აზრის მწერალს? ბევრი ვეცადე,

მაგრამ, რაც მინდოდა, მაინც არ ამისრულდა. მე ეს მაწუხებდა, რომ კაცს ასე საშინლათ აქებდენ და რისთვის აქებდენ, ის კი ვერ შევიტყე, ამ გვარმა ფილოსოფორმა მსჯელობაში თოთქმის ერთი საათი გასტანა.

გიზოს გარდა ჩიკოლიკის წყალობით სხვა შესანიშნავმა ევროპელმა მწერლებმაც გამოჰყეს თავი ლველის ხელოსნის სასტუმროში. ჩიკოლიკმა ეს მწერლებიც ქებით ცამდის აიყვანა; მაგრამ არც იმათი შრომა და ლირსება უჩვენებია ჩვენთვის, არც ასეთი რამ ამბები, რომ კაცი დარწმუნებულიყო, უთუოდ რამე წაუკითხავს ამ კაცების თხზულებიდგანაო, ამისგამო იმას თავისი მაღალი ფრაზეოლოგიით მხოლოდ ფუქსავატი მაჯელობა გამოსდიოდა. ჩიკოლიკი სწორეთ ამას ფიქრობდა: „ვითომ რა საჭიროათ იმათი მწერლობის გარკვევა და ლვაწლის საფუძლიანათ დაფასება. საჭმე ის არის, რომ მე ამ მწერლების სახელი ვიცი, ზოგი იმათი თხზულება კიდევც მინახავს, თუმცა არ წამიკითხავსო. ისიც ვიცი, რომ ეს მწერლები უკ-

როპაში სახელ-განთქმულები არიანო; მაშა-
სადამე, მე მაქვს ნება, ვითარცა ჩვენ დროე-
ბის განათლებულს კაცსა, დავიწყო იმათი
ქება, რადგან რუსულს უურნალებშიაც ამავ
მწერლებს ხშირად აქებენო“. ამ სულიერს
თავის ფუქსავატს მაჯელობაში ეტყობოდა,
რომ იმისი უმთავრესი წყარო განათლებისა
მხოლოდ უურნალები და გაზეთები ყოფილან.
ამათში მრავალ გვარ საგნებზე სწერენ ხო-
ლმე და თვითონ საკურნალო სტატიის დამ-
წერიც თავის ამორჩეულს საგანს იმ გვარათ
განიხილავს ხოლმე, რომ მკითხველი დაარწ-
მუნოს თავის აზრზე და ეს აზრი იმას თავში
ჩაუდოს. დამამტკიცებელი საბუთები ბევრი
არ ექნება ამ გვარს სტატიას, მაგრამ საბუ-
თები კი იმგვარი აქვს არჩეული, რომ ძალიან
გაამართლოს მწერალმა თავის აზრი და ამით
მკითხველის გონება ჩიიმხროს. უურაალები
ცდილობენ, რომ იმათი აზრი რაც შეიძელე-
ბა, ბევრმა გაიგოს; მაშ შესაძლებელიც არ
არის, რომ იმათში ვრცლად და დაწვრილე-

ბით გამოცხადდეს ის სწავლა, რომელსაც
თვითონ უურნალის სტატია შეეხება. ამისგა-
მო საფურნალო სტატია საფუძვლიანათ და
კრილათ ვერ ასწავლის. მკითხველს იმ მეც-
ნიერებას, რომელზედაც სტატია ლაპარაკობს.
ამ გეარს სტატიებში მხოლოდ ის განზრახვა
აქვთ, რომ მკითხველებს შეაგონოს თავისი
მიმართულობა და გადაცენ საკუთარი შეხე-
დულება ყოველსაგანზე. სტატიის დამწერს ამის-
მეტი სხვა არა უნდა რა უურნალები ცდილო-
ბენ. ბევრგვარი საგნები გააცნონ თავის მკით-
ხველებს ცოტაოდნათ მიინც. ბეჭითად შე-
თვისება რომლისამე მეცნიერებისა მოითხოვა
ხანგრძელს შრომას მარტოვა ამ ერთი მეც-
ნიერების მისაღებათ; უურნალები კი თავის
დანიშნულებისმგამო ვერაოდეს ამას ვერ იკი-
სჩედდნ. ამისგამო რომელი კაციც მხოლოდ
უურნალებით და გაზეთებით იმდიდრებს თა-
ვის გონებას, იმას არაეითარს საგანსე არაო-
დეს საფუძვლიანი ცოდნა არა აქვს; იმას
მხოლოდ საფურნალო სტატების აზრი უტ-

რიალებს თავში ეს აზრი იმას დაუჩლვეველ
ჭეშმარიტებათ მიაჩნია და ისეთი დაჭეშმარი-
ტებული ლმპარაკობს ყოველს საგანზე, რომ
გეგონება, ეს კაცი ცაში ვარსკლავების მკრე-
ფავი უნდა იყოსო. იმას ერთი ღრამის თაღნა
ცოლნა ყოველ გვარს საგანზე მიულია და
მით ესე გაამაყებულა, რომ ჰერინია, თით-
ქმის ყველაფერი ვიციო; მაგრამ არაფერი კი
მართლაც არ იცის და არც ერთს აზრზე მა-
რთლად დამკვიდრებული არ არის. ამ გვარი
კაცები ჩიკოლიკისავით გაერთვიან ყოველგვარს
მსჯელობაში, მაგრამ იმის საბუთებს კი ნუ
მოკითხდეთ, რაზედაც თვითონ ლაპარაკობენ.
ისინი თავისი ფუქსავატი ენა მჭერობითა
თითქოს ამას გეუბნებიან: „მე ვიცი, რომ გი-
ზო წარჩინებული და ღრმა აზრის მწერალიაო,
ამისთვის რომ ეერობაში ყველანი ამ მწერა-
ლზე ასე ლაპარაკობენო და რუსული ფურ-
ნალებიც ამას გვიმტკიცებენო. მეც ამ სა-
ბუთებით ვლაპარაკობ, სხვა საბუთები რაღა
საჭიროა“ ამისთანა კაცებს ზედვე ეტყობათ,

რომ ამათთვეის საბუთების ცოდნა საჭირო არ არის. რაც აქვთ თავში და რაც ენიდგან წა-
მოგარდებათ, ეს სულ სხვისაგან აქვთ მობე-
რილი და ეს მობერილობა, როგორც სჩანს,
იმათთვეს. სრულებით საკმარა. უბედურება
მხოლოდ ეს არის, რომ ამ ვეარი გონების
ფუქსავატობა საქმეშიაც ფუქსავატათ პხდის
ამისთანა კაცებსა. მანამ საქმე მარტო სიტყ-
ვაზეა, ყოველი დიდი და კაცობრიობის სასარ-
გებლოვანზრახეა თითქოს ამ კაცისაგან გა-
მოდიოდეს. გმათი სჯა რომ მოისმინოთ, გე-
გონებათ, კაცობრიობის განათლების დღე მა-
შინ. დადგა, როცა ქვეყანაზე "ამისთანა კაცები
დაიბადნენო. მინამ ამისთანა კაცებს სიტყვის
მეტი არა ეხარჯვით რა, თავისუფლების, გა-
ნათლების და კეთილ მოქმედების წარმომად-
გენელნი ისინი არიან. მაგრამ როდესაც მო-
ქმედებაზე ჭილგება საქმე, მაშინ კი რა მოგა-
სენოთ!. როცა ცხოვრება მოითხოვს ხოლ-
მე იმათვან ცოტაოდენს მსხვერპლსა, როცა
იმათ შეემოხვევათ ხოლმე საქმით ასრულება

იმ აზრებისა, რასაც სიტყვით ამტკიცებდნენ, მაშინ ამისთანა კაცებს თავისი მაღალი აზრები უეცრათ შემოაცვდებათ ხოლმე; მაშინ შენი თავისუფლება და ჩალხის თვით არსებობის სურვილუც უკან მოიდევი; ეს კაცები ამ აზრებს ხელიდგან გააგდებენ ხოლმე და იქით გაიწყვენ, სადაც კარგი და ტკბილი სამყოფაა. მაშინ თუნდ მთელი ხალხიც წყალს წაულია, იმის დარღი აღარაფრად აწუხებს იმათ. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახალი თაობა თითქმის სულ ამ გვარის კაცებისაგან არის შემდგარი და, მანამ ჩიკოლიკისთანა კაცები ჩვენ ხალხის წარმომადგენლებათ ბრძანდებიან, მინამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხიც მცინარებაში იქმნება.

VI

ვახშამი მოგვიტანეს. მხოლოდ ამან გააწყვეტინა ჩიკოლიკს მაღალს საგანზე ლაპარაკი. ძალიან უკმაყოფილო დაერჩი, რომ ჩიკოლიკისაგან მრავალი სხვ-და-სხვა გვარი

ქება მომესმა შესანიშნავს პირებზე და საბუ-
თი კი არც ერთი, რომ ეს პირები იმის
ქების ღირსი ყოფილიყო. ვთქვი, უეჭველად
როდისმე უნდა გამოვყითხო ჩიკოლიკს ეს სა-
ბუთები; იმ ღროს კი ამის კითხვის რიგი არ
იყო, რადგან უველას ცხარედ გვქონდა მა-
და გალვიძებული და უველანი ნატვრით
შევყურებდით ცხელს ღომსა, რომელიც ქვა-
ბით საქვაბეზე ჩამოჰკიდეს, რომ ჩვენს ხელის
შანაში და ტაბლაკების (ფიცრის სუფრების) მო-
ტანაში არ გაცივებულ იყო. ბიჭმა თუნგით
ხელის საბანელი წყალი ჩამოატარა. ტაბაკები
დადგეს. თავში დაბრძანდა ჩიკოლიკი, ბოლოს
ლეჩხუმელი. ხელოსნის ძმა ჩოგნით ცხელი
ღომის გუნდებს აკრავდა ტაბაკებზე. სვანებსა
და ხონელს რომ გაუსწორდა, ღომის მი-
ტანა აღარ იკადრა: ის გაისერიდა ჩოგნით
ღომის გუნდასა და ვისთვისაც უნდოდა, პირ-
და-პირ იმის წინ დასცემდა. მოიტანეს ბრო-
წეულ გადასხმული შემწვარი ქათმები, შემწვა-
რი გოჭი და რგვლათ მოხარშული ქათმე-

მი- ყველანი კარგათ ემუშაობდით. მერიქიფე (ლვინის დამსხმელი) წამის-წამს ჩაატარებდა საესე სტაქანს. ჩიკოლიკი ცოტათ რომ შე-ქეფიანდა, ენა აიღდა. იმას უნდოდა გცმაია. ნი ვახშმის სამაგიერო გადაეხადნა სახლის პატრონისთვის, თუ არ საქმით, სოტყვით კეთილის მიგებით მაინც, ის იმაში ძალიან დახუ-ლოვნებული კაცი ბრძანდებოდა. მაშინ გლე-ხები იმ მხარეში კიდევ არ იყვნენ. პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ-ნი. მაშინ გლეხისთვის ბატონ-ყმობის ამბის-თანა სასიამოვნო არა იყო ო. გლეხებმა იცო-დნენ, რომ ადრე, თუ გვიან, უნდა მომხდა-რიყო. ბატონ-ყმობის გაუქმება.. ისინი ისე მოუთმენმლათ ელოდნენ ამ ცვლილებას. როგორც პატარა ყმაწვილი — ალდგომას. ყვე-ლის ყურები აცქვეტილი პქონდა და ყოვე-ლგან. მელასავით დაძრებოდენ, რო რამდე ამბავი გაეგოთ ამ ცვლილებაზე. ჩიკოლიკმა კარგათ იცოდა, თუ რა სასიამოვნო იქნე-ბოდა მასპინძლებისთვის. ამისთანა ამბავი და,

რადგან სიტყვის მეტი არა ეხარჯებოდა რა, ამისგამო გლეხების გათავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკი.

— ეხლა თქვენ კარგი დრო მიგელით ამ ერთ წელიწადში თავისუფლებას გამოვიცხადებენ, — უთხრა სახლის პატრონის ძმას ჩიკოლიკმა.

როგორც ეტყობოდა, ამ სიტყვებმა მეტიჭითე ძალიან გაამზიარულია. იმას ძალიან უნდოდა, რომ პირზე სიხარული არ დაეჩინა, მაგრამ თავი ვეღარ შეიძაგრა და გაიცინა და რომ ეს სიცილი არავის შეენიშნა, იმან ქოჩორში ხელი წაიკლო, ვითომც სთქვანო, რომ თავს ვიქექო, მაგრამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მოსწია და ლიმილის მავიერათ ტკივილისაგან პირზე დაიჭყანა. ამ ხერხით იმას უნდოდა სიხარული არ შემჩნეოდა ჩიკოლიკის ლაპარაკზე.

— აჲ, მაგი არ შეიძლება. ბატონი!.. იგი რაფა იქნება, რომ მოხდეს, რაც თავის დღეზე არ გაგონილა! — მიუგო ხელოსნის ძმამ,

თუმცა გულში თვითონაც ძალიან სჯეროდა
ბატონ-ყმობის გაუქმება. მაგრამ უნდოდა
უფრო ბევრი ამბავი გამოეტყუებინა ჩიკო-
ლიკისთვის და ამიტომ დაუწყო ასეთი წინა-
აღმდეგობა; ამასთან ესყუ იცოდა, რომ ჩი-
კოლიყი მებატონეთაგანი იყო და თავი მო-
უქონა.

— ეჭვი არ არის, რომ უნდა მოხდეს. ბა-
ტონ-ყმობის გაუქმებაზე ხელმწიფეს კიდეც
მოუწერია ხელი პეტერბურგში. ეს ცვლილე-
ბა ძალიან სასარგებლო იქნება მთელი ქვე-
ყნისთვის. დღემდის გლეხებს რაც გაწვალება
ადგათ თავზე, სულ ერთიანათ მოეშლებათ:
ამას შემდეგ ბატონი თავის გლეხს ხელს ვე-
ლარ ახლებს....

— არა, ბატონთ, ჩვენ კიდო ბატონი გვი-
რჩევნია. თავათ მოგეხსენებათ; შოუჩვეველს
ლხინსაო, შეჩოული ჭირი მირჩევნიაო. ვან
იცის, მერე რა დაგვემართება! იქნება უარესი
დროც მოვიდეს, ასთე ამბობენ, სალდათს
ჭოგვთხოვენო!... ბატონი რომ აღარ გვეყო-

ლოს, მერე ვინ იქნება ჩვენი ბატონი?

— ვინ იქნება და ხემშიფე! — სწრაფათ, უპა-
სუხა მერიქიფემ ხელოსნის ძმას.

— ისთვი გვონია შენ!... დიახ, ხემშიფე იქა-
ნებ მოგივა და თავზე დაგადგება. ჩვენი მე-
ზობელი ჭერიშეილი ახლაც რომ არ გვაყე-
ნებს, ვაშინ სუნთლათ მოსუენებას არ მოგვე-
ციმს; თუ თავზე დაგვეცა და ყოველიფერი
წაგართვა, მერე გამოუდევი და ზდიე კუდში!
ბრევლი იქი შენ!... — დაუინებით უთხრა მე-
რიქიფეს ხელოსნის ძმამ.

— არა. ევ ტყუილია. მაგისთანა საქმე,
როგორ შეიხლება, მოხდე? თავზე დაცემას
ვინ გაბედავს? მერე მთავრობა სად არის?
როგორ შეუძლიან, ვისმე ხელი შეგახოსტ! —
სთქვა ჩიკოლიკმა.

— მთავრობას, ბატონო, ჩვენში. ძალა არა
აქვს. შარშან, ეგერ, გალმა სოფელში, ორი
კაცი წერიდა სულ ტყულათ-უბრალოთ
ერთს თავისი ღობე ცოტათ გეესწია მერ-
ე მეზობლის ადგილში, ამისთვის იგი კე-

ტით მიუხტა ლობის პატრონს: შენ ჩემი
ადგილი რეიზა დაგიჭრიაო, დაჰკრა კეტი
თავში და სული გააგდებინა. მას უკან დღე-
საც ისთვა ის კაცი, რომ არავის იმისთვის ხე-
ლი არ უხლია. სადაა ბატონო მთავრობაში...
იგი ნახევარს ვერც კი ტყობულობს!, რაც
ჩვენში ცული საქმე მოხდება. ერთი ვერძის
(უეზდის) ნაჩანიკი გვყავს და ნახევარჯელ
კარში არ გამოდის. ძალიან ოტკის მსმელი
კაცია. თუ დეი თრო, იმას შენი ჯავრი არა
აქვს.

— არა. ეგ სულ ხომ ეგრე არ იქნება.
მაშინ უეზდის ნაჩანიკიც უკრთხესი გეყოლე-
ბათ, და ოქვენც სულ თავისუფალი იქნებით.
უნდა მოჰკიდოთ ხელი ესჭრობას. შვილები
შკოლებში უნდა მისცეთ; ისწავლიან, განათ-
ლდებიან და ოქვენ ძლიან წინ წახევალთ.

— ეჭ, დალოცვილო, გლეხ-კაცს რა გაა-
კეთებს!... კაი დეგემართოს, რასაც თქვენ ბრ-
ძანებთ, ის კაი იყოს, მარა ბატონი მაინც
ჩვენში დიდი ნუგეშია, შენი ჭირიმე! თუ ბა-

ტონი კან გყავს კაცს, მტერი ვერაფერს და-
უკლებსა. — ამ სიტყვებით ვითომც იმან მა-
ვისი მწუხარება გამოაცხადა ბატონ-ყმობის
გაუქმებაზე; მაგრამ იმის მხიარულს სახეს ჟე-
დვე ეტყობოდა, არომ, თუ ჩიკოლიკი და კი-
კოლიკი იქ არ ყოფილიყვნო, ლეკურ-ბუქნას
ჩამოუელიდა.

ჩიკოლიკი და ხელოსნის ძმა რომ ამჟან ლა-
პარაკობდენ, მეორე ზაფში ხონელი და ლეჩ-
ხუმელი იმავე საგანზე ერთი ერთმანეთს ებ-
რძოდნენ. რა კი თავისუფლების ამბავი ლეჩ-
ხუმელს ყურში ჩაეწვეთა, სიხარულის გამო
ფეხზე აღარ იჯგა. ის ელრიჯებოდა ხონე-
ლსა, თანაც ტანში ირხეოდა და მხიარულე-
ბის ნიშნათ თავზე ჩამოუხატებულს ჩაბალა-
ხიანს ქუდსა ხან იქით გვერდზე მიიჩუვდა
და ხან აქეთ გვერდზე:

— ნეტაი ლმერთი იმ ჩემ ბატონს უძრავია-
შორებდეს, თვარა კუცი რავა მუჯლუპინება
ქვეყანაზე! შენ კი იცნობ ჩემს ბატონს? — კით-
ხა. ლეჩხუმელს ხონელშა. — იმ კურტუმ-ქევია

ჭიპაშვილს ვინ არ იცნობს!... დაწყევლის
ლმერთმა იმისი ფეხ-მოტეხილი თავი ცოჭლი
ბატონი ჰყოლია). შარშან ბოქოულებით (ია-
საულებით) სახში შამომივარდა. ერთი მეწვე-
ლი ძროხის მეტი არა გაგვაჩდა რა, და ისეც
წაგვართვა, სულ ტყუილა-უბრალოთ! შარი
მომიგონა, ერთი წელიწადი არ მემსახურე-
ბოდიო!... ღვთას წინაშე, ტყულს ვერ ვი-
ტყვი, ერთი კვირე მართალია, არ მიშახო-
რია. რა უნდა მექნა სიმიდი მქონდა გასაძ
ხნი, გუუთოხნელს ხომ ვერ, დავაგდებდი. აქ
ამ ერთი კვირის უშეხახურობისთვის ოცი მა-
ნეთის ძროხა წამართვა. ლმერთო, ნუ შეარ-
გებ იმ ფეხმოტეხილს ჩემ ნიკორას (ძროხი
სახელია). იმას რომ მოვშორდებოდე, მეტი
რა მინდა! ხუთ წელიწადს იქით მოსახლეთ
კაცი არ მეჯობინება. წელიწადში სამ თუმანს
მარტვა მე ვაძლევ ჩემ ბატონს შინაურიბის-
თვის. რომ ის დასაქცევი არა, ეს ფულები ხომ
სულ მე დამრჩებოდა.

— ჯერ ქვეყანა ისთე არ მონათლულა,

რომ ბატომ-ყმობა მასთე ადვილათ გადაეირდეს. თუ კაი თაეისუფლება იყოს, მაგისთანა კაცებიც არ დეიწყებენ იმაზე ლაპარაკს. ჩიკოლიკი არ ბრძანდებოდა მაგი, რომ აშისთანა წუმაში ძალათეი წამოგვათრინა! არა. ის თაეისუფლება ისთევე მაგენის სასარგებლო იქნება. ხემწიფემ რომ კიდეც მოგვცეს თავისუფლება, მაგენი დაგვიმალავენ. ჩინონიკები მებატონები არ არიან, აპა რა არიან? თქვათნელმა.

— ჩინონიკებს უგლეხოშოთაც ბრევლი ფული აქვთ. მაგენს ხემწიფე აძლევს ჯამაგირს. რაც ხემწიფეს ჰსურს, მაგენსაც იგი ენდომებათ.

— კი, ისთე გგონია შენ! თუ მაგრეა, აპა რეიზა აქამდინ არ გაათავისუფლეს თავისი კმები ჩინონიკებმა. შენ სუნელი ხარ, ჩემო ბიძია. არაფერი არ გეყურება. რაც შეტი ექნება, ჩინონიკენსაც იგი ურჩევნია. იგი არ უჩევნია, რომ ჯამაგირსაც ეილებენ და გლეხ-

კაცსაც გამოართმევენ. სუნელს რა უნდა გე-
ლაპარაკო?

— სუნელიც ხარ და არც იცი! ხემწიფეს
თუ უნდა, მაგრენი ვერაფეს გაბედავენ.—გა-
ცხარებით მიუგო ლეჩხუმელმა.

— გასწი იქით.—ჩუმათ შეპყუირა ხრანელ-
მა და ზურგი შეაქცია ლეჩხუმელს.

როგორც რომ ბატონ-ყმობაზე ჩამოვარდა-
ლაპარაკი, ყველანი გამხიარულდენ. ოუმცა
სვანებს ქართულისა ბევრი არა გაეგებოდათ
რა, მაგრამ თავისუფლების ამბავმა ისინიც
მრალხინა და ტილი შექცევით აკახურებდენ
ქათმის ზვლებს. ერთს სუანს ასეთი გრძელი
და თეთრი კბილები ჰქონდა გამოვარდნილი,
რომ სწორეთ კბილებდაკრეჭილი მტელი გე-
გონებოდა. ამ საზოგადო მოლხენაში მხო-
ლოდ ერთი ქუდაბზოგა არ ერეოდა. მაგრა
ვი ჩაეკიდა და უგემურათ იღეჭებოდა. დავი-
ში იმას არ გაუხარია: სულ თავის აეჭრ-მყო-
ფის ცხენის გლოვაში იყო. ეს კაცი სახეზე
შეიცვალა, ფერი აღარ ედო და კურდღელ-

სავით ყველასი ერიდებოდა. ვინ იფიქრებდა,
რომ ეს ასევე ის უწინდელი ყოყოჩა ჭუდა-
ზიკა ბრძანდებოდა, რომ ელიც ასე ბატონურათ
ეპყრობდა ხონელს და ლეჩებუმელს ის წა-
მის-წემს ახტაცდა: „ვაიმე, ჩემი წუთო თუ-
მანო დჯარგულო!... რავენა ახლა რავა-უნ-
და ვიზრო ქვეითათ სვანეთამდინ. რა კაი ცხე-
ნი დამეღუპა, პა, პა, პა, პა!..“ იმ სალამოს-
კუდაბზიკას პირის-პირ შევხედი: თვალი ვე-
ლარ გამიმართა და გულ ნალვლიანათ შემომ-
ჩივლამ „არ გეტრალებია ცხენი მიკვდება. რა
მე შევეღებთ სვანეთამდინ!“ ეს მიტყვები ასე-
თი სისაწყლით წარმოსთქვა, რომ თან შემე-
ცოდა და თან სიცილიც ვეღარ შევიკავშ
როცა წარმოვიდგინე უწინდელი იმისა სიამ-
ცე და ახლანდელი დამცრობა. ჩემ დაცინება-
ზე გაჯავრების მაგივრათ იმან თვალები ჩამო-
უშვა და გაშმორდა. იმ ლამეს ასეთ რი-
გათ იყო გამოშტერებული, რომ შეშლილი
გეგმინებოდა. ჩიკოლიკმა დაჭპირდა, სვანე-
თამდინ ცხენს გიქირავებო და სვანეთში სხვ.

ცხენს გიყიდიო, მაგრამ იმის ნუგეშობას მა-
ინც არა ეშველა ჩა. როცა შეორე დღეს იმი-
სი ვირთავდა ცხენი ისევ მოცოცხლდა, კუ-
დაბზიკაც მხოლოდ მაშინ გამოერკვა და და-
დგა ისევ კარგს ქეიფზე. ამ გვარი კაცები ბე-
ვრია იმერეთში. ისინი ძალიან ცხარი ბუნე-
ბისანი არიანი. ცოტაზე გაფიცხდებიან. ყო-
ველ საქმეს ძალიან ღონიერად მისდგენიან
ხოლმე და თუ რამე გაეწყოთ, თავს არ იზო-
გავენ. საქმე თუ კარგათ მიდის, ღონეც და
მუყაიშობაც თანდათან თუ ყმატებათ, თო-
რემ არ აყლდებათ. მაგრამ ცოტა რამ დაბრ-
კოლება რომ მიეცესთ და თუ შეატყვეს, რომ
საქმე ცუდათ მიდის, მაშინ ამისთანა ჭაცები
ღმერთმა შეინახოს! ისინი უეცრად მოსწყო-
დებიან, იმედი დაეკარგებათ და დაიბნევიან. ამ
მდგომარეობისაგან, იმათ თითქმის უერარა-
ფერი გამოიყვანს, თუ თვითონ ამათმა
დაწყებულმა საქმემ ისევ არ იკეთა.

შეორე დღეს წვიმაშ ისევ თავი დაგვიკრია:
ალბათ თვითონ ღმერთს არ მოსწონდა, რომ

თეალ-უწვდენელს მთებზე სიარულით იმის სამყოფელს ცუახლოვდებოდით. გამოთხოვების დროს ხელოსნის ძმამ მოგვარა კიკოლიკს თორმეტი წლის ბიჭი. ეს იყო ხელოსნის შვილი.

ხელოსნის ძმა სთხოვდა კიკოლიკს, რომ პატარა ბიჭი თან წაეყვანა სასამსახუროთ იმ პირობით კი, რომ წიგნი ესწავლებინა. ჩიკოლიკს ეს ამბავი, როგორც „შევატყვე, ცოტათი უწყინა“: რატომ, მე პირველს პირს არ მოჰყვარა და კიკოლიკს სთხოვაო ამ ბიჭის გაზღა. როცა კიკოლიკმა ყმაწვილს „ლაპარაკი დაუწყო, ჩიკოლიკი“, იმ დროს მივიღა ყმაწვილთან და გამხნევება დაუწყო სწავლაში, „შვილო, ისწავლე თორმე, ახლანდელს დროში უსწავლელი კაცი არ ვარგა. პო, მართლაც მე მაქვს სახლში კარგი საკითხავი წიგნები ვისი ხელით გამოგიგზავნო, თორმე ჭეშმარიტათ გამომიგზავნი; მაგრამ ეს არაფურია მეორეთ რომ მოვალ მე თვითონ მოგიტან“.

— ღმერთმა შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს, — უთხრა ხელოსნის ძმამ ჩიკოლიკა.

— არა, შვილო, ეგ მადლობათ არა ღირს. ჩვენი ვალია, რომ ჩვენს მცირე მოძმეს ჭელი გავუმართოთ.

— ღმერთმა თქვენი ჭირი მოგვცეს. თქვენ ძმობას ვინ ღირსა!

დარწმუნებული ვარ, რომ ჩიკოლიკა ამის შემდეგ არც კი გაახსენდებოდა თავის დანაპირები. ის თუ კი შეატყობდა, რომ ხიტყვით კაცს მოიმადლიერებდა, ასეთ-ასეთებს ეტყობდა და დაპირდებოდა, რომ რათ გინდა: უველა იტყოდა ეს კაცი. ციდგან არის ჩამოფრენილი; მაგრამ საქმით კი ნურას უკაცრავათ. ჩვენში რომ რტყვიან „ენათარტალა“, საქმე პატარა, ღოძი არ ეყო ხუთი „ყარლალა“, სწორეთ ჩიკოლიკიც ამისთანა ბრძანდებოდა.

ამ დროს ყველანი ცხენ ებზე შევჯექით, და მასპინ ძელს ვამოვეთხოვეთ.

VII

სოფელი ღვედი, სამეგრელოს და ლეჩხუ-
მის, საზღვარზეა, თვითონ ეს სოფელი კი უფ-
რო ლეჩხუმს ეყუონის, ლეჩხუმი და საღა-
დიანი სვანეთი ახლა ერთს უენდს შეადგენს;
ისინი ჩადგმულან ორ მთის ზურგებ შეა და
შეიცავენ ცხენის-წყლის ხეობას. იქმო და
აქეთ მთების ფერდებზე სოფლები დამწკრივე-
ბულან, სახნავ-სათესი მიწა, ძალიან ცოტა
აქვთ ფალაგ-ალაგ ვიწრო მთის კალთები, ყა-
ნებათ არიან გაღატცეულნი; ზოგან კი არც
ამისონა ვიწრო მთის კალთები მოიძევე-
ბა და სახნავ-სათესი მიწა სულაც არ არის.
შუაგულს ლეჩხუმში, ცხენის-წყლის პირზე
დაეფინება ერთი დიდი და მშვენიერი ჭალა,
მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ ნაყოფიერის ჭა-
ლისა ცაგერის ეკულესის ტკუთვნის; ლეჩხუ-
მის ქალხი ძალიან შრომის მოყვარეა, მაგ-
რამ თხეის ქვეყანაში რომ თავის შრომის შეს-
ფერი საქმე არა აქვს, ამისთვის ის ზაფხულ-

ზაფხულ მიღის ვაკე იმერეთში და იქ ქირით მუშაობს. ცხენის-წყლის ხეობაში რადგან კარგი სქელა ტყეა, ამისთვის ტყე იმათ ბეჭრს აარგებლობას მისცემდა, რომ ან საურმე გზე აი ჰქონოდესთ და ან წყლით შეეძლოსთ ტიკების გატანა. საუბედუროთ მთის ბილიკებს კარდა სხვა გზა არ არის; ცხენის-წყალზე კი ტიკები ვერ იმოქმედდებს, რადგან კალაპოტი წყლის (საწოლი) კლდიანია და თვითონ ამ ბლინარესაც ძალიან ჩქარი დენა აქვთ. ლეჩ-სუმში ცხვარი იციან; იქ შალი და ნაბადიც კარგი კეთდება.

დველიდგან რომ გამოვედით; წყიმა შუალედის უწყალთოთ გვასხამდა. ჩვენ მივდიოდით ერთს მთის ბილიკზე. როცა ჩრდილოეთისკენ შეუხვიერ და სოფელს ბუზს მივედით, ირს ცხენის-წყლის მახლობლად, მთის ფერზე ერთ საურმე გზა დატინახეთ, რომელიც იავედებოდა ცხვირ-წამოწვედილს მთასთან. ეს ა გზაა — ჰქითხა ლეჩსუმელს კიკოლიკმა. მაგრა ეს ბატონი, ჩვენ რომ ვაკეთებოთ ის

გზაა. ვაკეთებთ, ვაკეთებთ და შოლო კი ვერ
მივეტით. ღმიერთმა იცის, მიეცემა თუ არა და
სასრული მაგის კეთებას. ხუთი წელია მაგას
ვაკეთებთ და არა გვეშველა რა, ვერ გავაკე-
თეთ.

— რატომ ვერ შეასრულეთ მაგისთანა კა-
რგი საქმე. თვენ რომ საურმე გზა გქონდეთ
მეტი რალა გინდათ; მალე გამდიდრდებით.

— მაგი, ბატონო მასთეა, მაგრამ სოფლის
შეგროვება ძალიან ძნელია. ერთს რომ უნდო-
დეს, მეორეს არ უნდა. ერთათ ვერ ვიმუშავებთ
და ცალკე არც ერთმა არ მოინდომა. ასთე
ამბობენ: ნეტაი დედა ჩემს, მე თუ გზის კე-
თებით თავი მოვიკალიო და სხვა კი სახლში
დაჯდაო. არ შეიძლება ბატონო, ვერ შეგვ-
როვდებით. აქანა რომ ერთი სოფელია, უჰე,
იქინა მეორება (გაღმა მთას ფერდზე ხელი გა-
იწვდინა: შორს მთებში ჩაწყვდეული სოფე-
ლი ძლიერს მოსჩანდან). ტქიდგან აქანეი ჭარი
ნახევარ დღეს ვერ მოვა. რომ კიდეც უნდო-
დოდეს, იმას ყოველ დღე აქანა მოსვლა, სად-

შოუძლია. მართებლობა რომ იმდენ წყალობას გვიზამდეს, ჯარს დააყენებდეს და ამ გზას გაგვიკეთებდეს, ძალიან კაი იქნება. იმან რომ მოინდომოს ორი კეირის მუშაობის მეტი არ დაჭირდება“• შუადღეზე მეტი იყო. მთების ბირ ლიკე მგზავრობამ და წვიმამ ძალიან დაგვლა ლა; კიდეც გვშიოდა. ხელოსაჭრი (მამასახლის სი) ვიკითხეთ; მაგრამ ვინ ნახავს ხელოსაჭრის ახლოს რომ სადმე იყოს, მანც ძნელია იმის გამოვდება თავის სოროდგან. მინამ იმას მიუგნებდით მთელი ორი საათი ხან აქეთ გვაუქანეს და ხან იქით. როცა ძალიან გაგვიჭირდა, ჩიკოლიკმა იხმარა თავისი ძალა ის მიღება ერთს მოსახლეს და დაიყვირა, რომ ამ შამსა ხელოსანი აქ დაიბადოს. მოსახლიდან კან ერთი თავ-გაბურჯნული, ტალახიანი. ბიჭი გამოვიდა. ის ხან იქ მიახტა, ხან აქაც დაკავანახა, გითომც რასმე აკეთებდა, მაგრამ ხელოსის მოსვლამდის კი არაფერს ხელი არ შიპუო. თურმე ნუ იტყვით! ჩვენ რომ მოსახლისას მივედით, იქ ხელოსანი სახლებული.

ჩიკოლიკმა გაჯავრების შემდეგ გული დაიმ-
შეიტა და როცა ხელოსანი გამოგვეცხადა,
ის ჭიმილით მიეგება: „აბა, ერთი, გუთაფვა,
კარგი საღილი მოგვიმზადე და ჩვენ ცხენებ-
საც უშოვნე რამე, მერქა კი მე ვიცი შენიპა-
ტივისცემა და საჩუქარი. ჩქარა. თორემების
არის ჩემ ზიორები სვანს შიმშილით სული-
ელევა, „კი, ბატონო, კი, კი, — შეჰყვირა ხე-
ლოსანში და გაიქცა:

სოფელი ზუბი კ. დ—ნს ეკუთვნილა. რო-
გორც ხელოსანმა გვიამბო, დ—ნი ხშირისტუ-
მარი ბრძანდებოდა ამ სოფლისა. ის მობრ-
ძანდებოდა ხოლმე ორმოცი, ან ჟამოცი ცხე-
ნოსანი კაცითა და დადენი ურდო ხალხისა
კვირას, ან ერთ თევს უნდა დარჩენილდეს ამ
სოფელში. შარმოიღვინეთ, რამდენათ სასია-
მოვნო აქნებოდა სოფლისათვის ამდენი კა-
ცისა და ცხენის რჩენაზე უფასოთ. ხელოსანს
თვითონ სახეზე უტყობოდა, თუ რამდენათ
სამხიარულო იყო დ—ნის მობძანება. „ღმერ-
ჩნმა იმის თავი ნუმოვერშადოს, დიდ წყა-

ლობას გვიშობაო. მისი ჭირიმე, როცა მობდანდება, ბევრი ხლებულებით მობძანდებაო. ორმოცი, სამოცი ცხენოსანი სულ ჩვენ ხარჯზე უნდა იყვნენო. შეგვსვამენ, შეგვჭამენ, ყოვლისფერს გათელავენ და ისე წაბრძანდებიან. არც ერთი მოსახლე არ დარჩება, რომ იმ სახლიდგან ათობით არ წაიყვანონ გოჭი, ქათამი და ცხვარია. იმისი ჭირიმე, კაი მწყალობელია ჩვენი. რომ ის არა, მომეტებული ჭინახულით ყველა დაგმძიმდებოდით და გავზარმაცდებოდითო. ჩვენი შემსუბუქებელი, ჩვენი ბეღლების დამცარიელებელი სულ ჩვენი მოწყალე ბატონი, კ. დ—ნი, ბრძანდებაო.“ ზუბის ხელოსანს თავისი მოწყალე ბატონი, როგორც თხას მგელი, ისე შეჰყვარებიყო, რასაკვირველია, ჩეენი სტუმრობა იმას არაფრათ იამებოდა, რადგან ჩვენგანაც იმავე გვარს წყალობას მოელოდა, როგორც თავის ბატონისგან. იმიტომაც ამ სოფელში ყველა იმას უდილობდა, რომ ჩეენისთანა გამკეთებელი სტუმრები თავიდგან

მოეშორებინა. პირველად რომ შეგვხედა ხე-
ლოსანი, იმისმა მოჭმუხვნილმა სახემ ცხადათ
დაგვანახა, რომ ჩვენი წვევა არ იამა, მაგრაც
როდესაც ჩიკოლიკმა ღიმილით გაუკრიჭა დამა-
სპინძლობის სამაგიეროს დაჭირდა, მაშინ ხე-
ლოსანიც გამხიარულდა და, რაც გვიჭირდებო-
და, ყოვლისფერი მალე გვიშოვნა.

ხელოსნის ეზოში ასეთი ტალახი იდგა,
რომ ალაგ-ალაგ კაცი მუხლამდის ჩაეფლე-
ბოდა. ღობე-ღობე თუ გავეკვრებოდით, თო-
რემ პირდაპირ მისულა-მოსულა ვერ შეგვეძლო.
ჭვარტლით გამურულს სახლს გარდა ხელო-
სნის ეზოში ერთი პატარა ბელელი იდგა, სა-
დაც ხორბალს ინახავდენ. ამას გარდა ეზო-
ში იყო ერთი ბოსელი და იმისა წინ
ციწრო დერეფანში იდგა გქელი სკამი, რო-
მელზედაც წამოწვა ჩიკოლიკი და იდაყვ-
დაბჯენილი განერობოდა. თავის ზრახვასა,
ცოტანს იქით მოგვადგა. ერთი კარგი მო-
სული ვაჟკაცი ის იყო აზნაური. ტანზე ჟეცა:
ბუზმენტიანი მაუდის ჩოხა ჩერქეზულათ გაწ-

ყობილი. ფეხეფზედ დეზები ეკრა. მოწითალი
ულვაშები აებურდა, ეტყობოდა, რომ ულვაშ-
საკრა დაჭარგოდა. ჟუჟუნა თვალები პუთი
სიამაყით. გადმოეჭიშა, რომ გეგო წობოდა,
მთელი ქვეყნის მზრძანებილიაო. მართლაც
ამ სოფელში იმისმეტი აზნაურიარ უსახლა
და ამისვამი გლეხებთან თავი გამცელოდა.
ბაკურას სიტყვით (ასე ერქვა ამაზნაურის) თვი-
თონ ძალიან კარგი მოსახლე აზნაური ჩყო;
პური და ღვინო გამოულეველი ქონდა; მავ-
რამ ისრუ რომ არა ჰქონოდა, ბაკურას ასე-
თი ზე სჭირდა, რომ უპურლევინოთ არაუგრს
დაიყლებდა. თუ ვიზმე 'პატიოსანი სტუმარი
გაჩინდუგოდა' საღმე სოფელში, ბაკურა ვმას
სუნით გაიგებდა, ჩმასაც მეიტყობდა, თუ
რომელი გლეხის ოჯახში ჩამოხდი პატიოსა-
ნი სტუმარი და თავის ჩაქჩაქაცენზე იქ
მოშურებდა: ალბათ გულში ჰნეიქრობდა,
გაუზრდელი გლეხები რიგიანს სიტყვაპა-
სუხს ფერ მჩს ცუშენ პატიოსამს ცეტუმარსაო,
ჩემი ჩე ყოველი საჭიროა, რომ ჩე ჩემის დანაშა-

ისლობით სტუმარი არ მოვაწყინოვო“· ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ რამდენათაც სტუმრებისთვის, ეგოდნათ ბაკურასთვის იყო სასიამოვნო ამნაირი ყოფაქცევა. მუდამ სახ-ხლში ჯდომა, ტახტზე უსაქმოთ გორეა და მთქნარება საზოგადოთ ყველას ძალიან მო-ბეზრდება. რაღაც ბაკურაც ამ გვარს კაცე-ბში ერია, ამისთვის მეზობელ გლეხთან მის-ვლას და სტუმართან თავის გართობას დიდ ნუგეშათ მიითვლიდა, მით უფრო, რომ კარ-გი ღვინის სმასა და კარგი სატილის ჭამის მეტი არა ეხარჯებოდარა.

გიორგი სეანს არათრათ იამა ბაკურას მოსევლა. ამ სეანის ველური სახე კიდევ უფ-რო მოიქუშა. ეს კაცი იყო ძალიან მაგარის ავებულობისა; შავგვრემანი და ჩწლოვანებით დაპრანჭული სახე მხეცური თვალებით ჰქონ-და გაცოცხლებული. თუ მივდიოდით, გიორ-გი სეანი თვალით არ დავვენახვებოდა; და კარწახებული ერთ ვერსზე წინ მიგვიძლოდა ქვეითათ. ჩეენი ცხენები იმას ჩაქჩაქიათც ვერ

მოსწერებოლნენ ამ ღონიერს სიარულთან
ჭამაც ძალიან იცოდა. მნელათლა შეეძლო
ვისმე იმისი გაძლობე. ხშირათ წყრომით და-
გვაყველებდა ხოლმე: სკანეთიდგან რომ წა-
მოვედი, ერთხელ ხეირიანათ არ გამძლარვარო.
ღორის ჯაგრის მეზაესი თმა კისრამდის ეყარა;
ამ თმას მის დღეში საფარცხლის კბილები არ
უნახა: საქოჩიე ერთი მანეთის ოდენზე ჰქონ-
და მოპარსული და ზედ ეკრა მანეთის ოდნა-
ფაფანაც. ის იყო ქუდის მავიერი, მაგრამ
იმის მოვალეობაც კი არ ასრულებდა. გიორგ-
ის მძლავრი კბილები ძვალს არსედ გაიცი-
და. სადილ-გახშამზე ხრარცი რომ შემოაკლ-
დებოდა, მერე ძვლების კრახა-კრუხს მოჰკვე-
ბოდა. ამისთანა მადის კაცი, რასაკვირველის,
ჭამაში მოკერძე არაფრათ იამებოდა. როცა
ბაკურა კარზე მოგვადგა, გიორგი სკანმა უსია-
მოენოთ წაიღუდუნა: „ამას მაინც რა მოათ-
რევდა ჩვენთან. ხელოსნის სადილი ჩვენც არ
გვეყოფა, აუგვი-დასაქცევს სახში. საჭმელი
პური. არ მოვეძევა და ჩვენი ბარიბით უნდა

მუცელი გეილოს. ჩვენთვინაც ვერ გვიშოვნია
საჭმელი, თრადა. მაგის ამხანაგობას ჩვეჭი-
რება!...“

— გიორგი სვანი ძალაანი ამაყი უაცა იყო. თუ
ვისმეზე გულ-ნაღვლიანათ იყო სულ იმას
ცდილობდა, რომ ჩითიმე გაეჯავრებინა, ან
ვადაეხადნა იმის მაგიერი, რაც სხვად აწყენი-
ნა. ცოტა სანს შემდევ ბაკურის გვერდით
დაუჯდა. სვანმა კარგათ იცოდა, რომ ეს არ
იამებოდა ამაყს აზნაურს, მაგრამ არამც თუ
გვერდით დაჯდომით, სიტყვითაც უნდოდა
გაეჯავრებინა. “ეა აზნაურების ბრალი, გლე-
ხდებს რომ ვათივისუფლებენ! მაშინ თქვენ
უნდა თოხნოთ, თქვენი ხელით უნდა აკუ-
თონ უველავერი“. ეს სიტყვები უფ. ბაკუ-
რი ფალასავით გულზე დატნა. იმან თქა-
ლუბა გადმოუჭიმა გიორგი სვანს, გვერდზე
შეხედა, ხელები ვარა შალა და მრასხანებით
წამოიძახა: უყურე ახლა ამ ჩიყვიანს სვანს!..
შენ ვინ გკითხავს გლეხების გათავისუფლე-
ბას?..

— ჰო! — გიორგი სვანი ძალიან თავის-
უფლების მრყვარე კაცია — ღიმილით წამოი-
ძახა ჩიკოლიკმა — მაგას გლეხებზე გული სტ-
კივა, რადგან თეითონაც თავისუფალია თა-
ვის ქვექანაში.

— მაგის დახეულს ჩოხას და ტალახიანს
ფეხებსაც კი ეტყობა თავისუფლება. მაგისთა-
ნა თივისუფლება უველას აქვს. თავისუფალი
არ არის, მაგრამ ჩიყვიანს ვანს ჩვენებური გლე-
ხი სჯობია.

— ჰო. შენ რომ აზნაურიხარ, რათი მჯო-
ბიხარ. ჩემ ქვეყანაში მე მდივანბეგი ვარ.

— დიალ, დიალ. ეგ მე მდივანბეგათ მყავს —
თავ-მოწონებით წამოიძახა ჩიკოლიკმა.

— შენ რომ ჩვენი იყო, თუ რამე და-
აშავე, მაგ შენ აზნაურობას დაგატოვებინებ:
დაგიჭირავ და ნაჩანივთან ხელ-შეკრული მიზ-
გიყვან — დაცინებით უთხრა ბაკურას გიორგი
სვანშა.

უფ. ბაკურა პირზე აენთა. ისე გაჯავრდა,
რომ, მგონია, კბილით დასაგლეჯავათ არ

დაზოგავდა, რომ გიგოლიქისა და ჩიკოლიქის
მორიდება არა ჰქონოდა.

შენისთანა მურიანი სვანები გამიბედა
ვენ რამეს, ო, შემა მზემ! გაჯავრებით დამ-
ყვირა ბაკურამ, წამოხტა ზეზე და ბოსელს
უკან წაჭიდა. ამ ბასზე ჩუმჩუმათ მეცინებო-
და. ბაკურამ იფიქრა, სჯობია ამ აღგილს მო-
ვს ცილდე, თორემ ცუდი რამ შემემთხვევაო:
მეტს მეტი გაჯავრებით თავს ვერ იმაგრებდა.

კუდაბზიკა განზუ იდგა და უველის-ჭაჭარი-
ვით იკრიჭებოდა. როგორც კა ბაკურა დე-
რეფნიდგან გაფიდა, ის იმავ წამს მელასავით
უკან. გაედევნა: უნდოდა თვითონაც გამო-
ლაპარაკებოდა ბატონ-ყმობის საქმეზე. კუდაბზ
ზიკას სურდა, ბაკურასთვის დაემტკიცებინა,
ამო ყმების გათავისუფლება კარგია. თუმცა
ამ საქმეში ინჩიც არ გაეგებოდა და უფ-
როვერმაზე იყო დაჯერებული, რომ ყმების
გათავისუფლება უბედურობის და დამცრობის
მეტს არას შეამთხვევდა კეთილ-შობილთ წო-
დებას; მაგრამ კარგათ იცოდა, რომ ჩიკო-

ლიკს გლეხების მხარე კეჭირა სიტყვით და
ამ გვარი ბაასი ბაკურასთან ჩიკოლიქსაც თა-
მებოდა. კუდაბზება მუდამ თვალებში შეჩე-
რებოდა თანას მოკეთეს, რომ ყოველივე
დაწერილებით შეეტყო, რაც იმას ესიამოც
ნებოდა. მით უფრო ჰაურდა ჩიკოლი-
კის სიამოცნება, რომ იმძღვან მოელოდა
ჯამზეირის და ჭარისხის მომატებასა. აშენ ვა-
მო ყოველი იმისი მოქმედება ჩიკოლიკის სა-
სიამოცნოთ კუდაბზიკური იყო.

ბაკურა სახე-მოქუშული ბოსელს უკან
სკაშზე დაჯდა. კუდაბზიკაც გვერდით მოუჯ-
და და კბილის კრეჭით ჰყითხა: — რაფა! არ
გრამა, გლეხების გათავისუფლებაზე რომ და
გიწყო იმ სეანმა ლაპარაკი?

ყოველისფერს მოელოდა და აზნაურისაზ
გან ამისთანა კითხვას კი არაოდეს არ მოუ-
ლოდა. გულში გაივლო, ეს კაცი სწორეთვაზ
გრუებულა, თორემ ამისთანა უშევრათ როკ
გორ მკითხავსო! იმან გაჯაფრებით თვეიდგან

ფეხებამდის თვალი აავლო კუდაბზიკას და არა
უთხრა რა.

— რას მიყურეფ, თუ იცი?.. მართლაც გკითხა
ხავ: რეიზა გეწყინა, სვანმა რომ გლეხების
გათვისუფლებაზე დაგიწყო ლაპარაკი.—განუ-
მეორა კუდაბზიკამ.

— შენ გასულულდი, თუ მართლა მკითხავ
მაგამ?..

— მართლა, აპა ტყულა?

— თუ მართლა მკითხავ, გიჟი ყოფილხარ.
— გიჟი ჩემო ბიძია, შენ ყოფილხარ, რომ
ტყულა წყრები.

— რა კაცი ხარ, შენ! აგი მითხარის კუდ-
ხა ხარ, თუ აზნოური?

— ვეი პლაც!.. ნეტარ შენ იყო ჩემისთხუ-
აზნოური: მე დღეს იქნება, თუ ხვალ თავა-
ლობას დამიმტკიცებენ აქოჩეით წამოიძახა
კუდაბზიკამ.

— თუ აზნოური ხარ, აპა, მაგას რაეა კლა-
პარაკობ: „რეიზა გეწყინა გლეხების გათხა-
ეისუფლებაზე ლაპარაკი“. მეც და შენც გლე-

ხით გვიდგია სული. მაგი კაი ჩოხა და ვერცხლით გაჭედილი ხმალი არ გექნება, შენ რომ გლეხები არ გყავდეს, არც ცხენით დეიწყებ ამ მთებში სიარულს.

— დიახ. არ გინდა (ცერს უჩვენებს)? მე იმისთანა ნუ გვიპინარ, ზოგი ერთი რომ გინახავს. ჩიკოლიკა თუ ცოცხალი მყავს, ჩემ ბედა ძალლი არ დაჰყეფს. — თავმოწონებით სოქვა კუდაბზიკამ.

— შენ აგი მითხ რი, აზნოურშეილი ხარ?

— აზნოურშეილი ვარ, ამა რა ვიქნები? აზნოურშეილი აზნოურშეილს ჰქვია, მე ძარის აზნოურშეილი ვარ.

— ამა, რავა მასხარულათ ლაპაროკობ გლეხების გათავისუფლება ჩემზე უფრო შენ უნდა გეწყიონო.

— არა. გლეხების გათავისუფლება კარგია. ჩიკოლიკა თქვა, იგინიც და ჩეენც ძალიან მოვიგებთო. ჯამაგირი გექნებათო და ფული სულ ბზესავით მოგვიდა.

— ჭეილგან გექნება რომ გლეხები აღარ
გეყოლება?

→ ხემწითე მოგვცემს და მერე ვაჭრობას
დევიწყებთ.

— კაცო, აზნოურობას მერე ვაჭრობაში
გვცელი? გარდი აზნოურშვილი ყოფილხარ!
მომიკვდეს შენისთანა აზნოური.

— მოკვდი და არც იცი. რავა. ლაპარა-
კობ. შენ.

— ყაძახები (გლეხები) გვავს თუ არა? —
გაოცებით ჰქითხა ბაკურამ, რომელსაც სრუ-
ლებით, არ სჯეროდა იშისი. აზნაურობა, რო-
ცა კუდაბზიკამ სთქია, რომ ვაჭრებათ გადევიქ-
ცევითო.

— კი მყავს.

— ოჯახი გაქვს?

→ კარგი.

→ შენს ოჯახს ხომ შენი ყაძახები უვლის?
ხომ გემსამხურებიცნ იჯახში? ბეგარას არ გა-
ალევენ?

— აპა რას იზმენ! რომ არ მომცენ, ძა-

ლათ გადავახდევინებ. ნეტაი დედა ჩემს თუ ჩემი ბეგარაც ყაძახებმა შეირჩინეს. მე იმის თანა არ გახლავარ, ზოგიერთს ბატონს რომ გლეხები დეიჯაბნებენ და ბეგარას შეირჩენები ბეგარა ჭია არა, საუდიერო ფერდელა ღორიც რომ არა მომიყვანოს, სუნთალათ ცხვირში ძმარს წავადენ.

— კაი დი ჰატიოსან; მეც მაგისტრნ ლოდა, რომ გეოქვა. ახლა წამოიდგინდ, რომ ის შენი გლეხები არც ბეგარას მოგვცემენ, არც შინ გემსახურებიან; თუ ძალა დაატანე, ბრევლს გცემენ. ოჯახის მომვლელი არავინ გეყოლება. ყანაში არავინ ვიმუშავებს. სახლში ცეცხლს არავინ დაგინთებს. სულ შენ უნდა ქნა ყოლიფერი: ცეცხლიც შენ უნდა გადანთლ, წყალიც შენ უნდა მეიტნო.

— არა, არა, არა. მაგი არ იქნება; წყალს რაფა მევეიტან... ჯავრიანათ თქვა კუდაბზიკამ.

— მაცა, მაცა... ყანაც შენ უნდა გათოხნო, შეშაც შენ უნდა მოეტანო.

— აჲ, აჲ, გადირიყ თუ?.. მაგას რავა მეუბნები. მაგას რავა ეიზამ.

— გლეხები რომჩამოგვერთშევა, არ იზამ, რავზა გაქვსა?

— ესიკოლიკმა მე და შენზე უკეთ ჩიცის. იმან თქვა, რომ გლეხებში ფულს მოგვცუა მენო. სამსახურში შეეალთ, ჯამაგირს გაგვიჩენენ. შეილებს გაეზდით, გაენათლდებით და ეჭე, ფრანცუცები რომ მდიდარი არიან, ჩვენც რსთუ გაფარდებით თქვა კუდაბზიკამ.

— ურ, ლევილუპე!, მთლათ გოუსულ ელებია ეს საწყალი იმან ჩიკოლიკია, თუ გინც ლა! ჰა, ჰა, ჰა, ჰა (ჩიცინის). კაცო, ჩემი გლეხები მილიონს მირჩევნია. გლეხებში ხემწიფე მილიონს როგორ მომცემს! იგი ან მოგვცემს ეუროს ფარას ან ორ ფარას. ჩახვალ ქუთეის და იქვე მითესავ; მერე დამჩები ხელუარისტის შენატბობ შეიღებს გავზღიოთო, რით გაზდი, რომ ფარა არ გვეწება! ჯამაგირს გაგვიჩენენო; ყველა ძიხუა სამსახურში არ შევა ყველა. რომ — მთავრობის კაცი შეიქმნეს, მთავრი

რობის ხელქვეით ვინდა დარჩება! ბიძაშვილობამ მაგ ჩიკოლიკს გოუსულელებიხარ:

— სულელი შენ ხარ. რას ამბობ, კაცო, მაგი მეორეთ არ მითხრა. ეს ბახსი ასეთი ფიც ცხი შეაქმნა, რომ ჩვენი სვანები და მეც იმათთან მივცვივდით. ბაკურა და კუდაბზიკა პირზე ძალიან გაწითლებულიყვენ: ფეხზე იღვნენ და როგორც შეეძლოთ, რერთმანეთს შეჰყვიროდნენ.

— კიდო გეტყვი, რომ გაგიჟებულიხარ, თვარა შენ მაგისთანა უჭირუ ლაპარაკს. არ დეიწებდი უთხრა. ბაკურამ:

— მეორეთ არ მითხრა მაგისთანა სიტყვები თვარა ან შენ და ან მე.

— ფუ შეგირცვა აზნოურის შვილობა, კუ აზნოურშეილი შენ არ გამოსულხარ — შესძახა ბაკურამ.

— გამიშვით — დაიყვირა კუდაბზიკამ და ხმალს ხელი მოაყლო.

— გიორგი სვანი ეცა და გააჩერა ბაკურა განზევალგა და იქიდგან ჰყებიროდა. — „გამოუშე

ვით, გამოუშეით. თუ ბიჭია, ჩემთან მოპპე-
დავს. მამა ჩემი არ წამიწყლება, ქათამსაერთ
თავს წავჭრი. „კულაბზიკა ძალიან იჩარჩებოდა,
მაგრამ ღონიერს სვანს მაინც ვერ დასხლტ
ხელიდგან. ბაკურამ იგრძნო, რომ მე აქ სამ-
ყოფი პრი აღარ მაქვსო. შეჯდა თავის ჩაქ-
ჩაქა ცხენზე, ერთი კიდევ მოაძახა; „გახსოვ-
დეს. კიდო გნეხავ. იმისთანა ჩემს მტერს, მე
შენ დღე დაგაყენო! ხელი გულზე შიიბრაგუ-
ნა. და გაქუსლა“.

გიორგი სვანი ძალიან გამხიარულდა, რომ
სადილში მოკერძე თავიდგან თოიშორა. ჩეენც
დიდხანს აღარ დაფრჩენილვართ ხელოსნისას.
სადილი ვჭამეთ თუ არა, იმავ წამს ზუზის
სოფლიდგან გავემგზავრეთ.

VIII.

ზუბილგან რომ გამოვედით, წვიმამ ისევ
დაუშეა. მთის ბილიკებზე სიარულმა ერთობ
შეგვაწუხა. ჩემ ჯორს ფეხი ხშირად უკურ-
დებოდა. სველ ქვიშიან მაწაზე, და მეც წამის

წამს. მისულადა ტანში ჟრუანტელი; ბოლოს
ასეთს სასოწარკვეთილებაში ჩავერდი, ორმ
ძალა-უნებურათ. წამოვიძახე, რაც მოხდება,
მოხდეს, ყოველივე ღვთის ნება!“. სადაც ე
ხელი გავუშვი, დეზები პირალე და გულში
ჯორს ასე ვეუბნებოდი: თუ ამ კლდეებში და
ლრებში არ ჩამჩებავ, თვეა-ქერძი ბზესავით
დაგიყრა-მეფქი, და თუ ჩამჩებავ, შენი ნებაა,
მე არა მეოქმის რა; მაგრამ ძველი ცოდვების
მოგონება გულკეთილ კაცის საკალრისი არ-
არის-მეფქი. აქ მკითხველს ურიოლე სიტყვით
უნდა მოვახსენო ჩემი და ჩემი ჯორის მეგობ-
რული დამოკიდებულება.

როგორც თავმომწონე იმერებლს, ორივე
ფეხებზე დეზები მეკრა და მუდამ უჩუტურით
საწყალს საქმე ჰქონდა გაჭირებული; ყო-
ველ დეზის გაკვრაზე ჩემი ჯორი თი-
თქოს ხენეშით მეუბნებოდა: „ვაგიხმეს ეგ
ფეხებიბო“. როდესაც ამისთანა ცოდვები
კისერზე მაწვა და თვალ-აუწვდენელ მთას
შილიკებზე მოჰდილით, რასაკვირველია,

შიშისაგან ვთახთახობი; რაღა მეშეცელება; ჩემ-
მა ჯორმა რომ იმის ჩურგზე დასკუპებული
მე მისი ბატონი აქედგან გადამიძახოს, და თან
დაატანოს: მინდორში ცემას ამ ბილიკზე ცუნა-
დრუები მოუხდებაო. მართლა რომ ასე მოქცე-
ულ იყო, შენი მტერი, რაც ჩემ ძეგლსა და
ბილს დაემართებოდა, ამ თვალ-ჩაუწედენელ
ოლრო-ჩოლროებში! ეითამ არ მემართლებო-
და, თუ სიცოცხლე გაქვს, მემართლებოდა.
რაც მატებად დეზების ცემით წვე-და-დაგვა
მე იმა გამოვაცლევინე, ეშმაქაც ცრემლსა
მოგვრიდა, მაგრაც ჩევნი ბეჭი ის არძის, რამ
საზოგადოთ ჯორები გაკრეჭილ და გაპარ-
სულ კაცებსაცით გულაკეთილები არიან და
ერთხელვე თუ ლაგაში ამოსდეთ, მემრე
რაც უნდა შეუწყნარებელი ბატონი ჯვდეს
ზურგზე, მაინც ფიქრში არ მოუვათ ზურგი-
თვან იმის ვალაგდება, თუმცა, რომ უნდო-
დეთ, ღალატობას ჭყოველთვის, მოახერხე-
ბენ, როგორც მაგალითად ჩემს ჯორს შეეძ-
ლო მთის ბილიკზე ჩემი წესის აგება, დამახ-

სოვება რომ სცოდნებოდა და ჭიუა ჰქონდა. მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომ პლაგმულ სულიერებს იმდენან უფრო თავზარი ეცემათ ხოლმე, რამდენათაც ზედ მჯდომები უფრო უსინდისოთ ხდებიან. რომ იცოდე, მკითხველო, რე შიშში ვიყავი, რა სიმრის თვლი მდიოდა, სულ ხელებს ვიტეხდი, ღმერთი არ გაუწყეს, ჯორმა ურიგოთ ფეხი არ გადასდგას მეთქი. რაც რამე ცუდი შემემთხვია ჩემი ჯორისთვის, ყოველივე იმ დროს მომავალდა; ვფიქრობდი, მე რომ დეზები არა მქონიყო, იქნება ჩემ ჯორს იმდენს გაჭირებას არ მიგაუყნებდი მეთქი და ახლა მოვყევი ამათ, ლანძლვას, ვინც დეზები და საზოგადოთ სულიერი არსების შემაწუხებელი მანქანები და იარაღები მოიგონა. ამ მწუხარებაში თანდათან შემეპარა გულში სამართლის გრძნობა, ყოველი ჩემი მოქმედება ჩემ გაკრეჭილ ჯორისადმი საზიზლარ მტარვალობათ მომეჩვენა, წარმომიდგა დაჩაგრული ჯორის ანგელოზების სასიათი, რომელიც სიკეთის მეტს არას

მიშვრებოდა, მუდაშ კისერზე, მიჯენდა, რაც
უნდა გაჭირებოდა, საყვედურს არ მეტყოდა;
ის შიმშილსაც ითმენდა, წყურეოლსაც და
ფეხებსაც იქტერევდა ამ ოლრო-ჩოლროში
სიარულით მხოლოდ იმისთვის, რომ მე ახე
მსურდა და იმას ჩემის უკანონო სურვილი
სიამოვნებათ მიაჩნდა. რომ იცოდე, მკითხვე-
ლო, რა მორჩილებით ისმენდა ყოველ ჩემს
გძენებას; რაც უნდა ნოკიერს სათიბში ყო-
ფილ-იყო გაშუებულ, როგორც რომ ლაგამ-
ასადებლათ წავიდოდი იმისკენ, მაშინვე იგრ-
ძნობდა, ბალახის ჭამას მაშინვე თავს დააწე-
ბებდა, აღებდა თავს და ლაგამ-ჩასადებლა-
თაც თვითონ გააღებდა პირსა. ამისთანა გულ-
ჭეთილს სულიერს მე მ აინც ეუჯავრდებოდი,
თმას ვაგლეჯდი და თუ ერთი ნაბიჯით უკან
ჩამორჩებოდა კუდაბზიკას, სულ ქრისტე
ღმერთს ვალოცებდი დეზების ცემით. როდე-
საც ყოველივე ესენი წარმოვიდგინე, და
იმისი თავგანწირულება ჩემს უმაღურებას და
უსინდისო ყოფაქცევას შევადარე, სწორეთ

ძალიან შევშინდი, მაგრამ ეს არგამეტყუნვა, ამისთვის რომ მთის წვერზე მივდიოდი და ჭორისაგან მაგიერობის გადახდას მოველოდი. რათ იყავი ისე შეუცოდებელი, რათ გამოხვედი ისე შეუბრალებელი. რათ შეიქენი ისე უწამებელი კაცი, რომ არავითარი სიკეთე ჯორს არ დაუსწავლე. როცა ზედ არხეინათ იჯექი და მინდვრათ მოაქანებდი, მაშინ რატომ არ განიკითხე, არ დააფასე და კაცურათ არ მოექეცი-მეთქი. რათ აუტეხე ჭირი შენ თავს, რათ ჩაგდე ასე უდროოთ შენი სიცოცხლე საფთხეში, ხომ იცოდი რომ ოდესმე მთის წვერზედ შეგემთხვევოდა სიარული მაგავე ჯორით-მეთქი — ამ დროს გულმა უკმეხათ მითხრა „მე მაგას არ მოველოდი“. თუ არ მოელოდი, მაშ აბა ახლა ჩაიხეხე უფსკრულში. ერთი პატარეალე ცრემლიც არ ჩამომვარდება შენისთანა უგრძნობელი მწვალებლის დალუპვაში-მეთქი. აბა ჯორო, მაგას სამარტო უკავიო, ჩამოიძახოდა რაღაც საშინელი მას ჯულის ხმა ზეათგან, მაგრამ ჯორს თითქოს

ეს ხმები არ ესძოდა, ჯორს თითქოს გონება დაბნელებოდა, მეხსიერება წართმეოდა; მუდამ წვალებაში და მორჩილებაში ყოფნით მორჩილების მეტი აღარა უტრიკალებდა რა თავში. ის იმდენათ მიჩვეულ-იყო წვალებას, რომ ახლა, როცა ამ წვერზე დეზებს აღარ ვსცემდი, თითქოს ის ძალიან მიმაღლოდა, ჩემი გულკეთილობით გაკვირვებული იყო და ძალიან გაფთხილებით ადგამდა ნაბიჯს ბილიკზე, რომ ამ ჩემს კისერზე მჯდომარე ძერჩოასს პატრონს არა გაუჭირდეს-რაო. ამას რომ ვხედავდი, უნებლიერ ამოვიხენეშე: „ვაი თქვენ დაჩიგრულნო, რამეთუ არა უწყით, თუ ეინ არის მაჭირვებელ თქვენი და უინცა-გცემსთ არღანსა, იმათვე სცემთ თაყვანსა“ ამის შემდეგ, რაკი განსაცდელს თავი დავალ. წიე და მინდერათ გაველი, დეზის კბილები ისევ შევატყობინე ჩემ გულკეთილ ჯორს. მარჯვნით მთის ქედი სარტყელსავით გარს შემოგვევლო, შუაში აიმართებოდა სამი ვეება მთის ზეინი, რომელნიც მწვეტიანი

წცერებით ცამდის სწვდებოდენ. ხევები გაგი-
ჟებით ღრიალებდნენ და შხეფს ისეთის გამწა-
რებით ისეროდნენ მაღლა, რომ გეგონებოდა,
ჯავრისაგან ქოჩორს. იწიწკნიანო. ცის კამარა
თუშურს ქუდსავით თავს დაემხო აყუდებულ
მთის ზეინებს. ისინი მხოლოდ ხევის წყლებს
გეეყო ერთმანეთისაგან და ნაძვის ტყით შა-
ვათ იყვნენ დაბურულნი. აქა-იქ გრანიტის
ნამზელევები ეყარა. მაწა კი თეთრი კირიანი
იყო. ბინდი ნელ-ნელა გვეპარებოდა. გზა
ისეთი დაკვლაკნილი შეგვხვდა, რომ გვეგონა,
სულ ამ მთებს ვუტრიალებდით, თითქოს
თვალ ნაცემები ვყოფილიყოთ და გზა ვერ
გაგვეგროს. ამ დროს გვერდით ამომეტუზა
კუდაბზიკა თავისი ცხენით. წყალში ამოწკუ-
მპლულ თავეს რომ ხმელს ფიჩხზე შესმენ და
მზეზე გამოიტანენ გასაშრობათ, სწორეთ
დაიც იმას მოგაგონებდა:

— რა ჯოჯოხეთი ადგილი ყოფილა აფი!
— სასოწარკვეთილებით შემომჩივლა კუდაბზი-
კამ.— წვიმას ეინ ჩივა; ნეტაი ამ ჩალუპულ

ადგილიდგან გამოვიდოდეთ. მე მგონია, დღეს
სოფელში ვერ მივატანთ.

ჩეენს მოშორებით კიკოლიკი მოყუნტალობ-
და. ისეთ ნაირათ გამოხვეულ იყო ნაბად ჩაბა-
ლაზში, რომ ვისმე შეეხედნა; იტყოდა, ეს ყვავე-
ბის საფთხობი აქ სად მოაქვთო. იმის უან
ჩიკოლიკი ილანძლებოდა. ძალიან გაჯავრე-
ბული იყო ბუნებაზე, რომელ საც პატივსაცემ
კაცათ ვერ ჰყცნო, წყალს ასხამდა თავზე გუ-
ლის გასაგრილებლათ.

ბოლოს, რათიც იქნა, ღრუებს თავი დავა-
შერეთ და მარცნით მთას. შევუდექით. სოფე-
ლი წიფერჩი მრებარებდა იმის ქედზე, მაგრამ
იქამდის მისელასაც კარგი დეთის წყალო-
ბა უნდოდა. თითქმის დალამდა. ამ დროს
მთის ქედზეგან თოვლიფით გათეთრებული
მოხუცი მორბოდა და წინ მარდათ მოახტუ-
ნებდა რკინის ჯიხს. კუდაბზიკამ რომ და-
ნახა, წელში ფაიმართა დი შეპძება-

— კაცი, კაცი, მოიცადე. სოფელი წი-
ფერჩი შორს არის?

— მაგერ გახლავს, ბატონო. ოცი ნაბიჯი რომ გადადგათ, მიხეალთ, — სიჩქარით უპასუ. ხა მოხუცებულმა და თავის გზას დაადგა. ძალიან შორს ეიხედებოდი, მაგრამ ჩემ წინ ტყის მეტი არა მოჩნდა რა.

— კაცო, ეი, უი, არ გესმის! მოიცადე. მასთე რომ აგვიგდე, ვინ გვინიგართ!, დაბრუნდი ახლავე, თვარა არ ეიცი, რას გიზამ!.. — შესძახა კუხაბზიკამ და ცხენს მათრახი გააწწა. ამით უნდოდა ეთქვა, რომ ეს მათრახი ცხენის ზურგიდგან შენზედაც გადმოინადირებს, თუ ახლავე ჩემს სიტყვას არ დამორჩილდიო. — ხელოსნისას (მამასახლისისას). გაგვიძელი, გესმის!..

— რა გაძლოლა გინდათ, ბატონო, მაგ გზას დაადექით და ჯიხურ ხელოსნის კარზე მიგოყენსთ. წისქეილში მიედივარ, დამაგვიანდება, თვარა ხელოსნისას კი არა, რა თქვენი საკადრისია, სტამბოლამდის გახლებოდით. — თქვა ეს მოხუცებულმა და მოქუსლა.

ერთი ორი ჭიდევ გაჰკივლა კუდაბზიკამ,

თვალიდვან გავვიქრა.

— რავა არ მოვკვდე ახლა, რავა წამივიდა ხელიდვან ივი ბერი-კაცი... მე ვიცი, დღეს ჩეენ გზა დაგვეძნევა... — მართლაც ასე შოხდა:

ლმერთმა აცხონოს და, სიბერის დროს იმ მოხუცებულმა კარგათ მოგვატყუა. ოცი ნაბიჯი კი არა თრი ვერსტი მეტი იყო თურმეს. წიფერჩამდის; შერე!... იმ გზას დაადექითო, რომ გვითხრა, თურმე ისიც ტყუილი გამოდგა. იმ გზისთანავე თუ მიხეეულ-მოხეეული ბილიკები გამოვიარეთ, სანამდრის ხელოსანს კარჩე მივაღებოდით. ტყუილს არ ვიტყვი, მეც ბევრი შეუკურთხე იმ ცხონებულს, ასე მწარეთ მოტყუებისთვის. კუდაბზიკა ხომ ჯავრისაგან კურცხლებს ჰყრიდა. მაგრამ, ახლა რომ ვფიქრობ, ლეთის წინაშე, ის ბერი-კაცი სწორეთ არ იყო გასამტყუნარი. მართალი რომ ეთქვა, უეჭველათ წინ წავიგდებით საწყალს; იმ ღამეს წისქვილში ვეღარ დაბრუნდებოდა, წეიმა კი გაუწევეტლათ მოდი-

ოდა მთის ხევები თან-და-თან მატულობდენ,
და თუ იმ ლამეს არ მისწრებოდა, წყალი
უსათუოთ წისქვილს მოიტაცუბდა. მერე! შენი¹
კუდაბზიკა, ან შენი ჩიკოლიკი გადუხდიდა?

— დიახ, როგორ არა! კუდაბზიკა შხოლოდ ის უნდოდა, რომ
ხელოსნისას მაღვე მისულიყო, თორემ ქვა-
ზედაც ნუ დარჩენილიყო ბერძ-კაცის აფლა-
დიდება!...

ხელოსნისას რომ მივედით, ჩეენ შეგვი-
ყვანეს ერთს პაწაწა ქოხში, რომელსაც ერთი
საჟენი სიგრძე-სიგანე ქონდა, მეტი არა. ამ
სახლში რვა კაცი უნდა მოთავსებულ ვიყა-
ვით, ჩეენი ბარგიანა. წარმოიდგინე, არა ხალ-
ვათობა იქნებოდა. შუაში კერა ციყო და ა-
დებული; მაშინვე ირგვლივად შემოცუსხე-
დით. იმას და სქელი აზშიჭარი ავდიოდა.
კერაზე ცეცხლი გაძლიერდა და რომ კომლი
არ გვმდგარიყო, რომელმაც თვალები დაგვ-
თხარა, სწორეთ ბერძნიქრუბას არა გვიკლდა არა-
ჩიკოლჩკი ძალიან ჭირობდა იმ ბერძ-კაც-

ზე; რომელიც ასე უპატირურათ მოგვევქცა,
რომ იმის ძლიერებას არ შეუშინდა და მო-
გეატყუა: „სწორეთ ხელ-ფეხ შეკრული უნდა
გავეგზაენო ქუთაისს მე ის ბერი-კაცი. კუდა-
ბზიკა, არ დამავიწყო, უეჭველათ ხელოსანთან
მომავონე“.

— ვაი იმის დედას, რომ აშ მათრახით
ვერ გავასივე, — გულზედ ხელის ბრაგუნით იძა-
ხოდა კუდაბზიკა.

— მოდი და ახლა კაცურად მოექეც მა-
გისთანა კაცებს, არ დაგინდობენ, არა. შვი-
ლიც რომ შოუნათლოვ, თუ სადმე გიხელთა,
მოგატყუებს კი არა, მოსაკლავათაც არ დაგ-
ზოგავს. ახლანდელი მწერლები რომ, სწე-
რენ, თქვენ დაჩაგრულ ძმებს გულ ჩხეილად,
კაცურად მოექეცითო!... აი შენი კაცური
შოქმედებით რას გიშერებიან: — გატყუებენ,
თუ მოგიხერხეს, წაგაგლეჯენ, გაგქურდვენ
და შენვე დაგცინებენ პირში. ის მწერლები,
რომელიც ურთობ გულ მტკიცნეულად ქადა-
გობუნ ჩვენ უმცროს ძმებზე, ამ ჩვენს ადგი-

ლას უნდა დავა და ვნახოთ მაშინ რას დახ-
წერენ, თორემ თავის დღეში წიგნების მეტი
არა უნახავთ რა, და ლექსუმელის ბერიკაცის-
თანა პირუტყვებს ხელი მიეცით, ძმათ გაიხა-
დეთო — გვეუბნებიან. ეჭ, დაიკარგონ ერთი!..
ამპარტავნულათ გაიქნია ხელი და დაცუნებით
ჩემსკენ გადმოიხედა, ფითამ და რაო; „ბევრი
იცით შენ და შენმა მწერლებმა, სადღაც თხას
კუდი აბიაო. გეუბნებით ცხოვრებაა მარტო
ნამდეილი სწავლა და ვინაც ჩვენსავით ცხოვ-
რების დარჯაკში არ გატარებულა, იმას არა და-
ეჯერებარა.“ მართლაც კარგი ჭკუის მასწა-
ლებელი ყოფილა, ეგ რაღაც ცხოვრების დარ-
ჯაკია, საიდგანაც კუდაბზიკას მწარე მათრახი-
გამოუტანია და ჩიკოლიკს მაგარი თუკი იმ
მოხუცებულისთანა კაცების შესაკრავათ.

თქვენ ეს წარმოიდგინეთ, როგორ გაბედა
იმან ამდენი პატიოსანი კაცების გაჩერება სა-
შინელს წეიმაში; როგორ გაბედა, რომ მა-
შინვე თავი არ დაანება წისქვილს კუდაბზი-
კას ბრძანებით!... უთქვათ წისქვილი წყალს.

წაელო, ვთქვათ მოხუცებული თავისი წერილი ცოლ-შეილით სულ ცარიელზეც დარჩენილიყო! რა უყოთ მერე! ამ, დიდი რამ მოხდებოდა, ერთი ლატაკი მოხუცებული კაცი თავისი ცოლშეილით რომ ქვეყანაზე აღარ ყოფილიყო!... მაგრამ როგორც სჩანს, მოხუცი ასე გულგრილათ არ უყურებდა თავისი ცოლ-შეილის შიმშილით გაწყვეტას. კიდეც იმიტომ იყო მტყუანი, ჩემო მკითხველო; კიდეც იმიტომ იყო სამათრახე და სათოკე, მაში—განა ამდენი პატიოსანი კაცის წვერმაში გაჩერებით შეწუხება კი ხუმრობა ჰვეგონია!...—აბა ახლანდელ მწერლებს რა გაეგებათ ამისი, რომ ცხოვრების დარჯაკში არ გატარებულან.

ამ დროს ქოხში შემოვიდა ხონელი, კერასთან მიერიდა და ხელები აღში ჩაყო; იმას თან შემოჰყვა ლეჩხუმელი, რომელიც იქვე ხეზე დაჯდა და კისერი მოიწყვიტა. მაშინვე შეატყობდი, ამ კაცს კარგი არა მოსვლია რათ.

ჩიკოლიქმა შენიშნა ეს და სანუკეშებლათ ჰკითხა: — რასა იქ, ლეჩხუმელო, ხომ არ და-

იღალე. დღეს ძალიან ცუდი ამინდი დაგვიდგა, მაგრამ იმედია, ხვალ გამოიდარებს; ამა-დამ ერთი კარგათ დაგალევინო.

— შენ ნუ შომიკედები, დალევა მართლა შოუხდება მაგას. ამ სალამოს კაი გუნებაზე ვერ დააყენეს,— ეშმაკურათ თქვა ხონელმა.

— რაო, რა მოუკიდა?

— ცოტა ნიერიანი აჭამეს და ძალიან ემ-წარა,— დაუშატა ხონელმა:

— რა ამბავია, შემატყობინეთ. ჩხუბი ხომ არაეისთან შოსელია.

— ჩხუბზედ მეტიც დაგვემართა. ძალიან გალლეტილი კაცი ყოფილა ჩვენი ხელოსანი. კარზე რომ მივადექით და თქვენი მობრძანება გამოუცხადეთ, ქალმა გამოიხედა მარტვა და გვითხრა: შემაკაცი არაუინ არისო, რავჭნათ, ჩვენ ვერ დაგაყენებთო. კარებიდან ქე ვუყურებ-დით, ხელოსანი და მისი ძმა რომ შიგნით ცეცხლთან იჯდენ. ჩვენ უთხარით, ამპლამ ვერსად ვერ წავალთ, რაც უნდა იყოს, ღამე უნდა გრევარევარო, უფროსი უკან შოდის

თქვა. ამაზე გამოგვიხტა ხელოსნის ძმა და გინება დგვიწყო. ამ ღროს შეგნითგან ხელოსანმა დეიუვირა: „ბლის ჯოხი მაგათო“! ჩემ ლეჩეუმელს კაი, კაი უთაქეს!

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — ღაიწყეს ხარხარი ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა. — ვაი, შენ ჩემო თავო! ლეჩეუმელო, ეგ როგორ მოგივიდა. დამაცადოს, მე იმათ ვაყურებინებ, ხვალ ნალნიკთან გავგზავნი ხელ შეკრულს, — ღაიტრაბახა ჩიკოლიკმა.

— თქვენ რომ არ მოგესწროო, შენ ნუ მომიკვდე, კიდო ბეერს უთაქებდენ!

— შენც კი მოგვედა კაი კაი — დაუმატა აბრეზილმა ლეჩეუმელმა.

— იმე, თუ თქვენ ახლა მაგენი არ დასაჯეთ, შენ არ მომკვდე, არ იქნება. სახლში შეშობას არ გვიპირობდენ... თქვა ხონელმა.

— შენ ეს მითხარი, ცხენეები ხომ დააბით? გეთაყვა ჩემ ცხენს ამაღამ კარგათ მიჭმიეთ, ერთობ დაღალულია.

— თუ თქვენ ახლა ის ხელოსანი კარგათ

არ შელახეთ, შენ არ მომიკედე, ჩვენ ცხენებს
კაცმა ნამცეცი არ მიაკაროს. ბოსელში შე-
ციყვანეთ, მარა რათ გინდა! ყველა თავჩამო-
კრულებია,— აქეზებდა ხონელი.

— იმე, ბერი-კაცის ჯავრი მაინც ქე მჭირს
და ორიოდე მათრახი თუ მაგ ხელოსანს მა-
ინც არ ვუცხუნე, კაცი არ ვყოფილვარ! —
სიფიცხით წამოიძახა კუდაბზიკამ.

— შენ ნუ მომიკედები, ცუდს არ იზამ, —
წააქეზა ხონელმა.

— ასთე რომ მცადნოდა, ერთი თუმნის-
თეისაც არ წამოვიდოდი, — ჯავრიანათ წაი-
დუდუნა ლეჩხუმელმა.

ამ ღროს კარები შემოალო ერთმა შოლ-
ტიეით ამართულმა კაცმა.

— ღმერთმა გაუპარჯოს ბატონებსა, დაატანა
იმ კაცმა და ისე მდაბლათ დაგვიკრა თავი,
რომ შუბლი კინალამ მიწაზე დაჰკრა. ეს გახ-
ლდა თეითონ ხელოსანი.

ბატონები ცოტათ აბრეზილები იყვნენ იმა-

ზე და არა უთხრეს რა, მხოლოდ თავი დაუკნიეს.

— მაღლობა ღმერთს, რომ მშეიღობით მობძანდით, ძალიან ცუდი დარები დადგა. თქვენმა სიცოცხლემ, დიდი ხანია ამისთანა ავღრები არ ყოფილა. კარგია ბატონო, რომ ლელებში გამოგიტანებიათ. ხიდები არ წოულია, ბატონო? მე რომ წყალმა კინალამ წისქვილი მომტაცა! ეს არის წისქვილიდგან ახლა გიახელით. დროზე რომ არ მიმესწრო, შენი მტერი! კაჭალი კაცი დევიქცეოდი, ცოტა გვიან რომ მივსულიყავი, სწორეთ წისქვილს წამართმევდა.

— ჰო, იმ ენის წისქვილზე ამბობს, რომელსაც წელან ჩვენ წინ მარდათ ატრიალებდა და, ძმა! ეუბნებოდა, „ბლის ჯოხები მაგათო!“ დაცანვით ჩაილაპრაკა ხონელმა.

— რას როტამ, კაცო, სიღაური ბლის ჯოხი.—ეს არის, ახლა მოვედი. შინ არცკი შევსულვარ ჯერ. რავაც შევიტყვე... ბატონების მოსვლა, იმ წამს გამოვიქცეცი.

— პო, აპა, ისთე მოგვეჩენ ებია, როცა უცნა
ურმა ხელებმა შენი ძმის უკანიდგან ბლის
ჯოხი წამოგვეპარა ბეჭებში.—თქვა ლეჩეუ-
მელმა.

— აა!! მაგი მეორეთ არ თქვათ, უკაცრა-
ფად, ჩემს ოჯახში მაყისთანი ამბავი არც მომხ-
დარა, თავის დღეში და არც მოხდება.

— აპა, წალი და შენ ძმას ჰკითხე, — ის გე-
ტევის მართალს. — უთხრა ხონელმა.

— ვაი, დევილუპე, იქნება ჩემმა გადარე-
ულმა (გიუს ეტყვიან) ძმამ ცუდი რამე გაკა-
დრათ.

— რა ვიცი, ძმაო, ჩხუბში კი არ ეტყო-
ბოდა გადარეულობა და! ვიჟი ისე შარდათ ვერ
მოძენევდა „ბალის ჯოხს“. — დაცინუბით უპა-
სუხა ხონელმა.

— ვაი შენ ჩემო თავო! იქნება, მართლა
წაგეკიდათ!

— წაგვეკიდა კი არა, რას ამბობ, ლეჩეუ-
მელს ზურგზე მტვერი აადინა. — ლმერთო შე-

გცოდე და, მგონია, შენი ხელიც კი ერთა
შენს უნებურათ.—თქვა, ხონელმა.

— მაგიც იქანა არ იყო! მაგი იყო, რაც
იყო! „ბლის ჯოხი“—მაგან არ დეიძახა!—
წაუდგა პირში ლეჩხუმელი.

ამ სიტვეებზე ხელოსანს ცოტათი ფერი
ეცვალა და მოჰყევა პირჯვრის წერით გადაფიც
ვას.

— ღმერთო დამიტარე ბაგისთანა. შარის-
გან. ჯ, თქვენ არ მომიკვდეთ, ბატონო, მე-
შინ არ ყოფილიყო (ჩიკოლიკისკენ მიიბრუ-
ნა პირი). რა ბრძანებაა, ბატონო! რავა ღმერ-
თი გამიწყრებოდა, მაგას რავა ვიზამდი. ხემ-
წიფის სამსახურში ეს ექვსი წელიწადი გახ-
ლავარ, და თქვენისთანა პატიოსანი კაცები
ბევრჯელ ყოფილა ამ ჩემს საწყალ ქოხში.
მაგისთანა შარი ჩემა მტერმა თქვა! ჩემი ყო-
ფა-ცხოვრება სულ თქვენი სანაცვლო იყოს.
თქვენ რომ მიმდინაროთ, ახლავე ცეცხლში ჩა-
ვარდები!! მაგრ რა პასუხია. გადარეულს ძმას
რაღაც ცუდი უქნია და მე მაბრალებენ, მა-

გირავა იქნება; შენ ნუ მომიკვდება, მაგის-
თანა შარი ლმერთსაც ეწყინება...—ამის შემა-
დეგ მოჭყევა კვნესით და ოხერით თავის შებ-
რალებსა; „დევილუპე“, ბატონო, დევიქეცი
შარშანდელს აქეთ; ერთი მუშა ძმა შეავდა,
ჩემი უჯახახსა საძირკველის ის იყო! რაღაც
უბედურათ გირგობას წავიდა შარშანდა, ისე
ისე უცებ გადამერია (გამიგიშდაო). დევილუ-
პე, ბატონო, დევიქეცი!.. რისგან შემემთხვა
ამისთანა უბედურება: ჩემი ცოდვისგან რყო, გ
თუ უკმაყისაგან, არ ვიცი. ამ უბედურების 5
შემდეგ უჯახის საძირკველი დემენგრაბი, იქ-
ნება, შენი ჭირიმე, რამე წამალი იცოდეთ?..
რამდენი საწირავები და გამოსალლაცავი და-
ხარჯე, ვინ იცის! ახლა, ბატონო, საჭვირვე-
ლი დადარევა აქცის: შინაურებთან ქე არის
ჭკულნათ, მაგრამ ან თუ ცოტა რამე უცხო
ხმა ჩეეწვეთა უურში, ან თუ უცხოსთან გა-
მოუსუეანეთ, მაშინათვე სიგაჟე მოუკლის. უფ-
რასფრით ეურშეგვიძლიან დავამაგროთ ერთ-
ჯელ აგი ცერი მომკვრიტა რალშეც დევი-

ქეცი, ბატონო, დევილუპე! — ამაებს რომ ლა-
პარაკობდა, თავის ქუქუნ თეალებს ჩიურ-
ლიკისკენ დაპარებდა, უნდოდა, იმის ჭახეზე
შუეტყო, ცურდ ხომ აღარა აქვს რა გულში
ჩემზე.

— მართლაც, ცოტათ არ იყოს, ჩიურლიკი
დალბო იმასმა მაცოურმა მწუხარებამ და, რა-
დგან თავის ცხენის დარღი უფრო ჰქონდა,
ლეჩხუშელის ქომაგობას აღარ გამოუდგა და
მშერდობიანი ხმით უთხრა ხელოსანსა.

— გეთაყვანე, ჯმალამ ცხენებს კარგათ გვი-
ჭმი, დღეს ერთობ დაგველალენ.

— კუშენი ჭირიმე: რაცა მაქვს სულ თქვე-
ნის სანაცვლო იყოს. ჩემი ყოფა ცხოვერება-
სულ თქვენისთანა პატიოსან კაცებისთვის მიწ-
დოშენი ჭირიმე.

— აბა, გეთაყვა, მალე — ცოტა ჩვენც გა-
გვიყეთ რძე ვახშმათ.

— კი, ბატონო, კი ჩემი ხელმწიფე. ჩალას
და ბზეს ბევრს გიშოვნი. ჩემდა საუმედუროთ
ქერი არ მაქვს და იმის უმჯგერათ სიმინდა

რომ ვაჭამო, ხომ არა უჭირს რა, შენი ჭირობე!..

— დიახ, დიახ — მიატანა ჩიკოლიკმა.

— ვახშამსაც ახლავე მოგართმევთ. იქნება თქვენი საკადრისი ვერა მოვახერხო რა, მარამ რა ვქნა, შენი ჭირობე, ცალხელა კაც ცისთვის ესეც მევრია. ჩემდა საუბედუროთ ღვინო მაქვს ცოტა ნაკლები. ამ წელს, ბატონო, ჩვენში ვერახები ძალიან წახდა. — ესები სთქვა, სიმარჯვის ნიშნათ მიტრიალ-მოუტრიალდა შარლათ და კარში გავარდა.

— ძალიან ეშმაკი ყაბახი ყოფილა, შენ ნუ მომიკვდები! რა შუაშია! გადარეული კი არა, ის კიდო!... მოიგონა, ბატონო, გადარეულს რა უგავდა.

— მე დევენიძლავები, თუ მაგი შინ არ იჯდა, როდესაც ჩვენ კარზე მივადექით,

— ეჲ, კარგი, ახლა თავი დაანებეთ — ლიმინ ლით და თვალების დაწყურებით წამოიძახა კიკოლიკმა!

იმ ღაშეს შართლაც ხელოსანშია კავახშა

მი გვაჭიმა, ასე რომ ხონელსა და ლეჩხუ-
შელს სულ დაავიწყდათ ის ნივრიანი საჭამალი,
რომელიც პურმარილის მაგიურათ მოსველისა-
თანივე მიაჩიტა ხელოსნის გიფმა ძმამ. თუმ-
ცა ხელოსანმა წინათვე სთქვა, ღვინო არ მი-
ეაჩიგაო, მაგრამ ვახშმის ბოლოს ჩიკლიკის
დამტკბარი თუალები და წამოჭეხებული ლო-
კები. უხეს ამტკიცებდა; ასე გაშინჯე, ჩუმი
კიკოლიკიც კი აატიკტიკა ამ ლვინომ. რო-
გორც მოგეხსენება გულჩეილის კაცის ამბავი,
განსაკუთრებით როცა ღვინო გაუჯდება, იმან
დაუწყო ხელოსანს ოხერითა და კვნესით მი-
ტირება გიფ-ძმაზე; ბოლოს ნუგეშის საცემ-
ლათ დაპირდა, რომ ქუთაისს ჩამოიყვანე,
ერთი მეგობარი ექიმი მყავს, იქნება იმას მო-
ეარჩენინოვო. ხელოსანი, რასაკეირველია
სულ დაღნა ამისთანა ყურადღებისათვის და
მით უფრო გამხიარულდა, რომ ასე ხერხია-
ნათ გადააფუჩეხა ბლის ჯოხით მოგერება და-
უპატიკუებელი სტუმრებისა. ბოლოს ხელო
სანმა მრავალჭამიერიც დაწყო და, როცა ხო

ნელ-ლეჩხუმელმა მისძახეს, მაშინ ხო რაღა,
იმის საჭმე სულ გაკეთდა, და სიამოვნების ნი-
შნათ ქუდი დახახალა მიწაზე.

— მეორე დღეს ყველანი კარგს გუნებაზე პფ-
დეჭით. ხელოსანი რასაკეირველია დიდს ფა-
ცა-ფუცში იყო, თუ ცხენებს აკაზმიწებდა, თუ
ბარგის აკიდებაზე ე. ხმირებოდა, თუ მცელასა-
ვით იქით-აქეთ გვიტრიალებდა და თავის მომ-
ხიბლავ თვალებს ხშირ-ხშირად ჩიკოლიკისა
და კიკოლიკისკენ აპარებდა, თითქოს უნდო-
და იმათთვეის შიგ გულში ჩაეხედნა, ხომ ცუ-
დი აღარაფერი აქვთ ჩემზე განზრახულია.
ისეთს ისეთს პირფერს და მოხერნხებულს სი-
ტყვებს ისერიდა, როცა ჩიკოლიკს დაელაჭა-
რაკებოდა, რომ იმისი მზაკვრობა მაშტერებ-
და. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ
იმერლები დაბადებიდგან დიდი დიპლომატები
არიან. წამოსვლისას ხელოსანმა ერთ ვერსტ
შეტზე გამოგვაცილა. ჩიკოლიკი და კიკოლი-
კი ბევრჯერ შეიხვეწია, ამ სიტყვებით: „დაბ-
რუნდი, ნუდა ირჯებიო.“ — ბოლოს თითქოს

დამორჩილდა იმათ ბძანებას; - გამოემშვიდობა
და უთხრა: თქვენი ჭირიმეთ, ნუ დაგვიფიტყებ,
პიდევ გამოგვიარეთო. როცა კიკოლიკმა, და
ჩიკოლიკმა პირი გაარ ჩუნქა, მაშინ კი ქოქო-
ლა გადმოგვაყარა. ხელით, გატრიალდა შე-
ნისკენ, და თითქოს გულში ამბობდა: „ჯა-
ნაბამდინაც გჩა გქონიათო.“

IX

სოფელი წიფერჩი ორ-კაპალა ქედზე იყო
წამოყუდებული. ჩეენ დაუეშვით იმ ფერდზე,
რომელიც სამხრეთისკენ იყო მიქცეული. პა-
წაწინა მთის კალთებზე ამწვანებული ცოშინდეს
ყანები უუთმაჯების ფრიალით თავს იქცევდენ;
ზოგან, ვაზის ფოთლებით მორთულს ტევნებს
უმანკოებით თავი ჩაეკიდათ და თრთოლვით
ულოდნენ კაცის ხელს; ზოგან აყვითლებული
პურის ყანები სიაშოცნებით ღელავდენ. მაგ-
რამ ეს ყანები სიდიდით უფრო ბალჩებს ჰგავ-
დენ, ვინაშც მამულებსა; იმათ პატრონებს ქა-
ლა-უნებურათ მუცლები უნდა აეკრათ მაგ-

რათ, რომ მომეტებული სარჩოს თხოვნით
არ შეწუხებულ იყვენ. მე რომ ჩეენი ლეჩხუ-
მელის ცოცხალ თვალებს ვუყურებდა და
იმის მარდათ სიარულს მუხლებამდის გათქვე-
ფილს ტალახში, ვითიქრე, თუ კი სარჩოს
დაძეირებით მუცლის აკვრა ასე აცქვიტებს
კაცს, ნეტა ჩეენ ღაპიან ახალგაზღობასაც
მოუჭერდენ მუცელზე მუხრუჭსა, ეგების ზან-
ტობას და ტახტზე გორგას თავი დაანებონ-
მეთქი.

თუმცა დარი კარგი დაგვიდგა, მაგრამ ცუდ-
მა გზამ საშინლათ დაგვტანჯა. ალაგ-ალაგ
თიხიანს ტალახში კუდაბზიკას ცხენი ისეთ
ნაირათ ეფლობოდა, რომ ვეღარც წინ სდგამ-
და ნაბიჯს და ვეღარც უკან. ამისგამო შისს
კეთილ-შობილებას ხშირად შეხვდა დაქვერ-
თება, რომლისთვისაც თავის ვირთაგვა ცხენს
მწარე მათრახით აჯილდოებდა: „ეგეც შენ
და ჩემი ქცეითობაცაო“. ერთ ალაგას ისეთ
ნაირათ გაძაგრა ჩეენი მ. ლალ-ლირსეული ტა-
რიელ და იმის ტაიჭი ურჯულო ტალახშია, რომ

ხსნა აღარ იყო. ამ დროს ხონელი და ლეჩხუ-
მელიც მოეწიენ.

— ეის უცდი, ბატონი, ვაი თუ რამე დაგე-
კარგათ? — მაცოცხლის ლიმილით ჰქითხა შონელ-
მა და თვალები ტალახში ჩამაგრებულ ცხენის
ფეხებისკენ წაილო.

— დალუპვა და დაქცევა ამ ქვეყანას. რაუბე-
დურობა ტალახი ცოდნია ამ დასაქცევეს! უაჯავ-
რებით წაიღუდუნა კულაბზიკამ!

— შეასვენე, ბატონი, შეასვენე. რა გეჩ-
ქარებათ, მაინც მალე დაგვეწევით. — უთხრა
ხონელმა.

კულაბზიკა მიხედა, რომ ეს სიტყვები და-
ცინებით იყო ნათქეამი, მაგრამ რას გააწყობ-
და: ფრთები იმას არ ესხა და ცხენი კი ად-
გრლიდგან დაძრას არ აპირებდა. ასე ამ უბე-
დურ მდგომარეობაში კარგა ძალი ხანი გაა-
ტარა: ღამე რომ ყოფილიყო, უცხო კაცი
იფიქრებდა, სწორეთ აეთანდილსავით ზეცი-
ურ მნათობებს ემუსაიფება და იმიტომ გაჩე-
რებულა მაღალ სერჩეო; მაგრამ, რადგან ამ

დროს შუაღლე მოახლოვებულ იყო, კუ-
დაბზიკას და იმის ქიქვირ ჩამოვარდნილს ცხენს
სოლ სხვა სულის გვემა ჰქანდათ: ერთს უნ-
და ადა ჩვენი მოწევა, მეორე კი დასვენებას
იხვეწებოდა. მაინცა და მაინც ცხრა მთას
არც ჩვენ გადავცილებივართ. პევრი ვდებადეთ,
მაგრამ ოთხს საათს ხუთი ვერსის მეტი ვერ
გავაკეთეთ. შუაღლეზე დავეშვით მშვენიერს
ცაგერის ჭალაზე. იმას ქვაბსავით ავლია მთას
კედელი, რომელიც თავში და ბოლოში თით-
ქმის ცხენის წყალს გაურღვევია და ზედ თა-
ვის სავარლი გზა გაუყვანია. ეს ჭალა რომ ვნა-
ხე, ცოტათ გული გამიკეთდა. არც ეგრე დამ-
შეული ყოფილა — მეთქი — ლეჩეუმი. მარტო
ამ ნაყოფიერი ჭალის მეტიც რომ არა ჰქო-
ნებოდა რა, ესეც კმაროდა იმის სახნავ-სათვე-
სათ, მაგრამ საუბედუროთ სახელი ლეჩეუმის
ეღვა და სახრავი კი სხვისი იყო.

სამხრობამ მოატანა, როცა ერთმა ლრია-
ლა-ხევმა ჭალაზე გზა გადაგვიჭრა. თუმცა
სიგანით რჩი გადახტოვის მეტი არ იყო,

მაგრამ ასეთი ლოდები მოჰქმნდა, აქ-
ლემს წელს მოსწყვეტდა. ვარჩიეთ, ცხენები
ცალკე ჩაგვერეკა და ჩვენ ხიდზე გავსულ-
იყავით. საუბედუროთ ხიდის გაკეთებაც სა-
ჭირ-ბოროტოთ გაგვიხდა. ოთხი სვანი დალ-
ლილობის გამო უზრნველათ გაწვენ ღრიალა-
ხევის პარზე და ცას შეჩერებოდენ. ხიდის გაკე-
თების თაობა კუდაბზიკას მიეანდეთ. ის ალ-
ჭურვა თავის მათრახით და სვანებს მიადგა.

— აბა, ჟე, სვანებო, შედით! იმ ტყეში და
ორი დიდი ხე მოჭერით, მეტი არ მოგვინ-
დება. ჩქარა, უფროსის ბძანება!

სამს სვანს კურიც არ გაუპარტყოუნებია,
ამისი ბძანება ისე მიიღეს თითქოს. ბუზს კურ-
თან გაებზუილოს. მცოთხემ მხოლოდ
ცეცხლი-თვალები გამოანათა და ბროლვერთ
თეთრი კბილები გადმოჰყანა.

კუდაბზიკა გაჯავრდა, მაგრამ მეტი ალარა
უთქვამს რა, მსწრაფლად გატრიალდა და თა-
ვისთვის წაიღუდუნა: „ფუ, თქვენს შემქველს
კი რა ვუთხრა, კაი სულიერები თქვენ ა.

გოუკეთებიხართ. ჩემ სახელოთ რომ იყონ, ან ერთს დღეს რავა დავაყენებ მაგ თხრებს. ჭამით ერთს ხარს შეჭამენ და საქმე კი ღმერთ-მა შეიწახოს“.

ამ დროს გიორგი სეანი (იგივე მდი-
უანბეგი) ჩიკოლიკს ელაპარაკებოდა. კულა-
ზხიკამ იმას მიმჰართა.

— გიორგი, უთხარი მაგ ღორებს რამე, თეარა ჩემი არ ესმით.

ორი სამი სიტყვის შემდეგ სეანებმა ტყის-
კენ გასწიეს. ამ დროს ხონელი ცოტათ მო-
შორებით ჩიბუქს სწევდა, გვერდით უჯდა
ლეჩხუმელი. ჩეენსა და იმათ შუა პაწაწინა
ხევის ტოტი ჩადიოდა და რიყის ქვებში გატ-
ბორებულ იყო.

— მოდი დამეჩაძლევე, ლეჩხუმელო, რომ
იმ ხევში გენიდე, — უთხრა ხონელმა.

— გასულელდი კაცო, სახლის ოდენი
ქვები მოაქვს, შენ რავა ფახვალ იმაში.

— შენ რა გენალვლება? თუ გევიდე ერ-
თი კაი პანლური მაკვრევინე.

— შენ თუ გახვალ, მეც ქვე გავალ!
ამ სიტყვებზე დაცინებით გადმოჰქმდა ხო-
ნდლმა და უთხრა:

- ხუმრობ, თუ მართალს ამბობდ?
- ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც ხუმრო-
ბდეს! რავა ლაპარაკობ, ძამია, შენ, მაგი რა-
ვა იფიქრე: შენ გახვალ და მე ვერ გავიდე?
- აპა, კარგი. თუ არ გასულხარ, აწ წაჭ-
ცეულხარ, ასეთს პანლურს გჩანთავ, რომ
უკანალი მიგამტვრიო.
- მე რას მიპირობდ? თუ გევედი, ცოცხა-
ლი არ მომირჩები, იცოდე.
- კარგი, ადექი: — უთხრა ხონელმა:
პაწაწა ხევის ტოტში რომ შევიდენ, საუ-
ბედუროთ ლეჩხუმელი გალესილ ქვაზე შედ-
გა, ფეხი აუცურდა და წყალში გაიშხლარტა.
ამ დროს ხონვლმაც წიხლი წაუქნია და
დაატანა: ვე პრუწ, შენს კაცობას! — მაქანა
რომ ვერ გასულხარ, იმ ხევში რავა გახვალ...
დეიკარგე იქრო!
- ამ აშავზე ჩეენც ხარხარი შევქენით. ლეჩ-

ხუმელი სირცხვილისაგან გაშრა, წამოხტა ზე-
ზე და ტანისაშოსს წურვა დაუწყო.

ხონელშა თავისი სიტყვა არ გააცრუა. ხევ-
ში ორჯერ გავიდ-გამოვიდა და ბოლოს წყა-
ლშა ასეთი ქვა მოარტყა კანჭებში, რომ ცა-
გერის მონასტრამდის ჰკოჭლობდა.

რათიც იქმნა ამ ხევსაც მოვრჩით და მზას
დაწურუჭმდე ჭალის ყელში მივედით. გაღმით
ს. შური მდებარებდა დაჟიანის სასახლით,
გამოღმით ცაგერის ეკვლესია თავისი მო-
ნასტრით, რომელსაც შეიცავდა ორი წელ-
კავიან ცხენსავით დამანჭული ქოხი, საცა-
ბინადრობდენ ამი ბერ-მონაზონი და ოთხი-
ოდე დაკონი.

ჩვენ გვინდოდა ტაძრის ნახეა და ამისთვის
წინამძღვარს კაცი გაუგზავნეთ. ცოტა ხანს
შემდეგ ერთი მოხუცებული ბერ-მონაზონი
გამოგვეგება, რომელიც მწუხარების ნიშნათ
თვალებს აპაჭუნებდა: დავრიღომილებაზე სწუ-
ხდა, თუ ამ სოფლის ამაოებაზე, თუ ცაგერის
საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებაზე და მას-

თან მრავლისაგან მრავლის ხორციელ-სული-
ერ კმაყოფილების მოშლაზე, — კაცმა არ იცის.
იმან ლოცვა კურთხევით ეკლესიის კარები
გატეილო. ტაძარში ენახეთ ლეიტენანტ-მთა-
ვარ-დადიანის გრიგოლის საფლავი, რომლის
ქვაზედაც ასე ეწერა: „დიდის რუსთ ხელმწი-
ფის წყალობით მე გრიგოლი დადიანმა წავარ-
თვი იმერეთის მუჯუს გიორგის ლეჩხუმის და
სადადიანო სკოლითით“ მომკვდარა 1804 წელს.
შეუნდევ, დომერთო, შეცოდებაზი შესნი-
აქვე დასაფლატებულია ცაგერის მიტრის შელ-
ტი იძანე, კაცია დატიანის ძე, რომლის შემ-
დევ ცაგერში გაუქმდა საეპიკოპოსო კათედ-
რა-და ამასთან ცაგერის მონასტერსაც შოე-
შალთ უწაველივე სიუხვე პურისა, ლეინისა და
ზეთისა, რომელნიც შეიწიროდა კეთილდღე-
ობისათვის და მოძღვრებისათვის მრავალთა
კრებულთა მოსულთა და ადგილობრივთა მო-
ნასტრისათა. პატიოსანი მოხუცი წინამძღვარი
დილის ამბოხებით გალოვდა წასრულთა ტებილ-
თა ჟამთა.

— დეიკარგა, ბატონი, ის ბეღნიერი დრო,
 როცა აქ გულუხვათ ჰყავაოდა ცხოვრება. —
 იშეუ პატიოსანმა წინამძღვარმა მწუხარებით
 ჩივილი. — სულ-განათლებულ მიტროპოლიტ
 იოანეს დროს მარტვა გარეშე კრებული ორ-
 მოცდა ათ კაცზე მეტი იყო, ბატონი. ბე-
 რებს და შთავარ დიაკვნებს ხომ ანგარიში არ
 ჰქონდათ. გარეშე სტუმარს არ იტყვით, ბა-
 ტონის... ასზე ნაკლები კაცი სადილათ არ და-
 ჯდებოდა. ამ ცაგერის ჭალაზე რაც ნამუშე-
 ვარი მოდიოდა, იმისი ხელის ხლება ვის შე-
 ეძლო: სულ ამ მონასტრის იყო... ახლა ვინ
 და გვითხავს. ვისაც უნდა, ის ხნავს და თე-
 სავს. ერთ ფოხალსაც აღარავინ გვაძლევს. ძა-
 ლიან წახდა დრო, თქვენმა მზემ. სარწმუნო-
 ება შესუსტდა, ღვდელ-მონაზნების პატივის
 ცემა დეიკარგა. სრულიად ყურს აღარავინ
 გვიგდებს. ასე, თქვენისთანა პატიოსანი კაცე-
 ბი ხან-და-ხან თუ გამოიყლიან და თავის სუ-
 ლის შესავერებლათ თუ დაგვეტოვებენ რას-

მე, თვარამ სხვა აღარაეინ არის ჩვენი ყურის-
მგდებელი.

— განა სარჩო არა გაქტო გაჩენილი? —
ჰეითხა ჩიკოლიქმა.

— ცოტა, თქვენმა სიცოცხლემ, ცოტა.
ორმოციოდე კვამლი კაცია და ისინიც არას
იხდიან. წვალ ებისა და ჭიჭინის მეტი არა გა-
მოდის რა იმათგან. ვაი, ნეტაი იმ დღეს, რო-
ტა აქ გალობა და ძილის პირი მუდამ დღე
ისმოდა. დღეში უკანასკნელი ორი ძროხა-
მაინც დაიკველებოდა.

— თეითონ მონასტერს ჰყავდა ჯოგი, თუ?

— რას ბძანებთ! მთელი ლეჩხუმი მონას-
ტრის იყო, დღეში ორი-სამი ძროხა რომ მო-
სკლოდა ძლენათ მიტროპოლიტს, კიდევ ცო-
ტა იყო. ახლა, ბატონო, საწირავს არ იყით-
ხავთ...დიდი ლეთის მოწყალება ჰსდიოდა
თავს ამ მონასტერს.

ტაძრის განის კარზედ წარწერილობა ჩა-
მოთელილი იყო. პატიოსანმა მგლოვიარე
ბერმა აგვისსნა, რომ ეს ეკულესია იმერეთის

მეფის გიორგისაგან არისო აშენებული, მაგრამ ახლა ჩეენ ში ძვირათ იპოებაო ამისთანა, სახ-სოერები, რომ იმერეთის მეფებს მოგვაგონებდნენო. მთავრებმა, საცა მეფის სახსენებლათ იყო რაშე, ყველა წაშლევინეს და დაწვევინესო.

როგორც ეტყობა, სამეგრელო იმერეთის ხალხი ძველიდგანვე ყოფილა სამოქალაქო კანონებში. განვითარებული. მთავრებს იმ განზრახვით გაუწყვიათ ისტორიული საბუთები, რომ იმერეთის მეფებს დავის დაწყება არ შესძლებოდათ შემდეგში. მაგრამ დროთა ვითარებას კიდევ უფრო სამართლიანათ გადაეწყვიტა:

„შეგრის დანიებულს დაერთო იმერთა ქარი ალზედა. რა იგი ორნი შეშუღლდენ, ვეთ ქორნი გარიალზედა,, გამოეღვიძა არწიესა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,, და ფარიალს კლანჭიშან უკრა, ორნივსხდენ ცარიელზედა“

X.

მურს რომ გავედით, კიდეც დაბინდლა. --
 ჩვენ დავიძინავეთ გაცივებულ დადიანის სასა-
 ხლეში. ეს იყო უზარმაზარი ხის სახლი შვი-
 თი განივრი ღთახით. გარეშემო ხის ჯავარია-
 ნი ბალკონი ერტყა. ორ კუთხეზე ამაღლებუ-
 ლი სატახტო ადგილი იყო გაკეთებული: რო-
 ცა სასახლეში ლხინი და მეჯლიში გაომართე-
 ბოდა, ამ ამაღლებულს ადგილზე ტახტს მო-
 აწყობდნენ. და ზედ დასხლებოდნენ მთავარ-დე-
 დოფალი. სასახლეში დაგნედა მეტის მეტი. სიბე-
 რისაგან თმა-გაყეითლებული მოხუცი, წელში
 მოხრილი და ზურგზე კუზი ამოსელოდა. ეს
 გახლდათ ლევან დადაშინის კამერ-ლაქია.
 ძეელ წიგნებში სიკედილს ძელის ჩონჩხის,
 მეზაქსათ ხატვენ. ეს მოხუცებული კამერ-
 ლაქია სწლრეთ კან-კადაკრული ძელის ჩონ-
 ჩხი იყო, რომელსაც სული ყელში ჰქონ-
 და ამოხრიდლი და ის იყო განშორებასაც აპი-

რებდა; თუ კიდევ იმის მიმქრალ თვალებში გამოჰყიაფობდა სიცოცხლის ნაპერწერალი, ეს იმას ამტკიცებდა, რომ სული ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო ჩონჩხისა გან. როგორც კი გავახსენებდით იმას დაჭინების დროებას, ერთს ასეთს ამოიხენებდა, რომ გეგონებოდა ფილტვის ნაგლუჯიც თან ამოაყოლაო. „ჯერ იმისთანა კაცი და მისთანა ქალი ცის ქვეშ არ დაბაჟებულია. — მწუსარებით წამოიკრინა კამერ-ლაქიაშ, როცა ვკრთხეთ ლევან დადიანისა და იმის მეუღლის ამბავი. — ნეტაი იმ დღეს, ეს ეზო რომ ყოველთვის ვატენილი იყო დიდებული თავადებით და აზნაური-შვილებით. იმ სულ-განთლებულს ზაფხულობით უყვარდა აქ მოძანება. — სხვა ძალოებს გარდა ორმოცდა ათი ასეთი მწევარი გამოვიდოდა, რომ შველს სამ გახტომაზე არ გოუშეებდენ. დარიანი და იმის ხლებულები რომ დოუკეცებოდენ სანადიროს ამ ცაგერის ქალას, ქეეყანას აცოცხლებდა იშარი თვალის სეჩი; იმათა კინდლ-ქინდლი

ზეცან ღმერთს ესმოდა. სულ ქეიფი, სიმღერა, ლხინი და პატიჟობა იყო გამართული. სადალზე ყოველთვის სამ წყებათ დაჯდებოდენ. ამ აიგანს ხომ ხედავთ. ბატონი? ამ სიგძე, აიგანზე მაშტავი დიდი თავადები იმდენი და ჯდებოდენ, რომ ტევა აღარ იყო. აზნაურობას და საპატიო გლეხობას კიდო თავისი ადგილი ჰქონდა. როდესაც დაჭიანი და დელოფალი მაქანა მაგ ტახტზე იჯდენ, მაშინ მზეც კი თამაშობდა სიხარულით. მე სულმალი ცოცხალი რაგა ვარ იმათი დაკარგებით. აქ წახდა, ბატონი, ქვეყანა, მეორეთ-მოსვლის ნაშნებია, რაცხა მზეც არ ანათებს ისთებრწყინვალეთ, რავარც ლევან დადიანის დროს იყო“.

შეორეს დღეს დილით ხელოსანი მოვიკითხეთ თურმე იმას სუნით ეცნო ჩვენი მისება და წინ დღითვე გაპარულიყო. ამ ამბავშა ძალიან გამაკვირეა, სადაც მივედით, არსად იმათ არ მიგვიკარეს: ჩვენი დანახეა ისე ეზარებოდათ, რომ ღმერთმა ჭირიც ნუ შეა-

ძულოს კაცს ამ გვარათ. ხონელი და ლე-
ჩხუმელი იმავე ლამას მოგვმორდენ. დაკრჩით
პარტო ჩვენი სვანებით. კამერ-ლაქიას გარდა
ერთი სხვა სოფლის ბიჭი იყო კიდევ სხახლებ-
ში დაჭირავებული და, თუ რასმე ვეტყოდით
ან სარჩიოს ყიდვაზედ, ან სტოულში წასვლაზე,
გაშინევ ასე გვიპასუხებდა: მე ნაჩანიკისაგან
დაყენებული ვირო აქ, ფეხი არ მოიცვალო,
თვარიამ ოთხში ამოგილებო: რა ვქნა, შენო
ჭირიმე, ტყულა რუ გამიწყრებით, ვერსად ვერ
გიახლებით. კუდაბზიკას ტალახში ჩარჩენას
დაცუნოდით და ჩვენ უარესი მოგვივიდა. სა-
სახლის ნაგავშიაც კოჭეპამდან ვიყავით ჩაფ-
ლული და შემშილიც კარზე გვადგა. ცხენე-
ბის შოვნას ვინ დაეძებდა, რომ საყიდელი
რამე გვეშოვნა. შორს მარჯვენა შხარეზე
ერთ კორდზე ორი თატ-გადახდილი ქოხი მო-
სჩანდა. მოხუცებულ კამერ-ლაქიას ვკითხეა
კორდზე ისინი რა გადმოყუდებულან — მეთქის
— იქ, ბატონი, სოფელი მურია.
ტყუილია ჯდომას ისევ სოფელში წასვლა

ვარჩიე. ათლოს რომ მივედი, იმისმა სისაწყ-
ლემ ვული ამიტირა. უფრო ხშირათ თავ გა-
დახდილი წნელის ქოხები, წაჭალული ღობე,
ფერდ-მიმხმარი ძალლები, რომელთაც ჩემს მი-
სვლაზე ყმუილი შექნეს და ზეზე კი არ წა-
მოდგენ, ალბათ შიშილისაგან წელი ვერ აფ-
თრიათ, ორი სამი კისერ-მოხეხილი ღორი,
ქეციანი გოჭებით — სულ ესეები ნაღვლიანათ
გამეხირენ თვალწინა ბოლოს რომ ვიკითხე,
მთელ სოფელში ისეთი კაცი არ მოაძებნებოდა
რომ ცხენი ჰყოლოდა. მე ერთს დაბლუნძულს
და ფარგალებულს ქოხს მიუადექი, შიგ ახალ-
გაზდა ქალი პერანგის ამარა იჯდა და განის
ჩაქები იღლიებამდის შეხეული პონდა, ასე
რომ გულ-მკერდი სულ ერთიანათ მოტიტვ-
ლებული ჰქონდა. აკვანში სრულებით ტიტ-
ველა ბავშვი ეგდო, და არტაშნების მაგიერათ
ბადლის ჩითის ნაფულეთებით ით იყო ჩაკრული.
საწყალს ბავშვს თვალებში და ცხვირის ნეს-
ტოებში ისეთი გაცხარებით ესევოდა ბუზები.

თიოქო ცოცხლათვე გადაუგდიათ იმათ შესა-
ჭმელათაო.

— კაცი არავინ არის შინ? — ეკითხე ახალ-
გაზდა ქალს.

იმან პასუხის მაგიერათ თავი ჩაღუნა და
მხოლოდ ტიტველა მკერდის ლაფარებს აპი-
რებდა პერანგის ნაფლეთებით, მაგრამ ერთ
ძუძუს რიომ დაიმალავდა, მეორე თავს გამო-
ყოფდა. მაშინვე გამოვტრიაჭდი და სხვა ქოხს
მიეკურე. ეზოში სამი რეა-რეა წლის პაწაწა
ქალ-გაჟი თამაშობდენ და თავიდგან ფეხამლის
რაც დედის მუცლითგან არ დაყოლოდათ,
იმის მეტი არა ებადათ რა ტანზე. სილარიბე
მინახაეს, მაგრამ იმისთანა ამხათაც არ გამი-
გონია — ვთქვი ჩემს კუნებაში. როცა იმ შე-
ორე ქოხში შევიხედე, ერთი ლრმათ მოხუცე-
ბული კაცი დამხედა. პერანგისა და შემოფლე-
თილის პერანგის ამხანაგის მეტი იმასაც არა
ეცვა რა.

— მამა შეილობას, თუ რამე გაქვთ ვასას-
ყიდი, ან ქათამი, ან კვერცხები თუ იშოვე-

ბა, ან ყველი, ან იქნება გოჭი გყავდესთ, ნუ-
რას დაგვიჭერთ.

— იმან პასუხის მაგიერათ ახირებულისთ
გადიხარხარა და მძიმე ხეელებისაგან კინ დღამ
გული გაუსქდა.

მე კიდევ განუმეორე ჩემი თხოვნა.

უარის ნიშნათ თავი გაიქნია და თან და-
აყოლა.—არა, მამაო, ჩვენ გასაყიდი ვინ რა
მოგვცა. წეტაი იმდენი მოგვცა, კუჭი გაეიძ-
ლოთ, თვარა გაყიდვისაგან ლმერთმან დაგვი-
ფაროს.

— ასეთი სისაწყლე რისგან არის-მეთქი ამ
სოფელში?

— იმან უკმაყოფილების ნიშნათ ხელი გაიქ-
ნია და არა მითხრა რა.

ამ დროს უცებ მოვტრიალდი და ცაგერის
ჭალის ყელში დადიანის სასახლე და ცაგერის
ეკლესია, მდინარის იქით-აქეთ კუთხეში, მთე-
ბის ძირს ორ კუპრივით შავ ცეებათ მომეჩვენენ:
უეცრათ თვალწინ წარმომიდგა ორი შავი
ექშაპი, რომელნიც თითქოს ცაგერის ჭალის

ყელში იმ განზრანებით დაბადებულ იყვნენ, რომ მთელი ლეჩხუმი კლანჭებში ჰყოლოდათ და გაუკითხავათ ხარჯი ეღოთ თავის სარჩე- ნათ. ამ დროს თვითონ ს. მურიც ერთ პატ- წა ქალაქათ წარმომიდგა, რომელთანაც შავი დევები ტაბინავებულან დღიურათთავის გასავე- ბარ. *) ამ შემთხვევამ ბევრი ისეთი რამე ამიხ- სნა ჩეენი ძეელი ცხოვრებისა, რომლის კვა- ლიც აქამდის ვერ მიმეგნო: იმ წამსეე ჩავ- ლრმავდი გონებით ჩეენი ძეელი ლეგენდების სურათში, სადაც მზე-ჭაბუკი და ჯიმშეთ ხელ- მწიფე სიმართლის შახვილით შეიარაღებულნი გამოლიან ბუმბერანების დაცემავების გასაწყვე- ტათ. გრავალია ჩეენში ძეელებური მოთხრო- ბა, სადაც თითქმის სულ ამისთანა სურათე- ბია აღწერილი; როგორც ახლა მაგალითად მთელი ლეჩხუმი ვნახე იმ ორ სახლისაგან

*) ამ ფაზა იმ ალაგას თითქმის ალარაუერია. მთავ- რის სახლიც ცეცხლმა დაწვა და მონასტერიც დიდი ხანია გაუქმებულია.

დაპყრობილია: ერთი იყო სამღვდელოებათა
წარმომადგენ ელის აჭარა სადგომჩუმეორე
საერთო უფლების წარმომადგენ ლის სასახლე
ცაგერის მონასტერში სუფეფდა შიტროპოლიზ
ტი, მურის სასახლეში—დადიანი. ორივე ბუმ-
ბერაზი, ორივე ამ ქეყნის დევები ყოფილან
და ძველითგანვე აქ, თავი ურჩენიათ, ძველით-
განვე ჩაუკლიათ ხელი ყოველი შემოსავ-
ლიანი ადგილისათვის; ცაგერში ჭალა იმათი
ყოფილა, მურის სოფელი იმათი ლლიური სარ-
ჩო შექნილი და ჯმ დამოკიდებულების კვა-
ლი რა ცხადათ გამოხატულია სოფლის მუ-
რის მცხოვრებლების სიღარიბეზე... ჩვენი
ხალხი ძველითგანვე არ ყოფილა ამ ანაირი
დამოკიდებულების კმაყოფილი, იმას არ ჰყა-
რებდა თავისი დევები, თავისი ეეშვები, რომე-
ლინიც შტრისგან დაფარების მაგიერათ იმასვე
სწუწნიდნენ სისხლსა აი, ამითო აიხსნება ის
შრავალი გვარისა მოთხრობები, რომლებ-
შიაც გამოყვანილნი არიან ერთის მხრით დე-
ვები და მეორეს მხრით ხალხის გმირები.

გმირები იბრძვიან ხალხის საშველად და წოც-
ვენ დევებსა. თუნდ აეროოთ „რუსულანიანი-
საგან“ ერთი სურათი მოთხრობისა, სადაც
გოსტამ გმირი ათავისუფლებს ერთს დაცალი-
ერებულს და ოხრებულს. ქვეყანას დევების
ვაწყევეტით:

„ავდექ — გვიამბობს გოსტამ გმირი — დავიწყე სიარუ-
ლი, შევუე მას რუსა, ვიარე და ერთს ასეთს გაალ-
ვანს. მი ვადექ, სულ გათლილის შავის ქვით ნაგებსა,
რომ მის სიმაღლესა. საგდებელი (გრძელი თოკი) არ
აწვდებადა და სიგანეს თვალი ვერ გაუწვდინე. ვთქვი,
ეს ცუდი არა იქნება რა, უთუოთ ხელმწიფისა არის ეს
ტახტის გალავანი მეთქრ, შევყევ მას ზღუდესა და
ვიარე ორი დღე, კარზედ მიველ, შინ კაცი არსად იყო.
არც ხმა ისმოდა. შენობა უცხო ფერი იყო, სულ
გათლილი ქვისა, რომელ თვალითა და მარგალიტითა
აშენებულს ის მერჩია. გამიკვირდა მისთანა დიდი ქა-
ლაქის უკაცურობა. დავიარე სულ ის მხარე. სხვა და
სხვა გვარიან მოწყობილი იყო, ბაზარი და ქულბაქი
სახლკარი, ბალი, ბალჩა, რომე კაცი მის უამეს ცერას
ნახავდა, მაგრამ ლხერი და უკაცური იყო. შევყევ, ნუ.

თუ ან კირისაგან არხებული იყოს, ან ახალი აშენებული იყოს და ჯერ არ შესულიყონ მეტქი, სხვაგან მაინც იქნება კაცი. დავიწყე სიარული, ვიარე ის დღე და ის ღამე, გათენებამდი კაცის ხმა ვერ გავიგონე.

რომ გათენდა, იმ მხრის შენობია გაველ. მინდორი იყო და იმ მინდორში ერთი საოცარი შავი მთა რომ იყოს იმდენი ქუაბიერი აშენებული სახლი იყო, ერთი კარი ჰქონდა ბასრის ოკინისაკ სიმაღლითა ორი შუბის სიმაღლე ჩაისა და სიგანით შუბი გაიშარებოდა; უცხო ხმა გამოდიოდა, რომ კაცი შეზარდებოდა. უაქერ, წავალ, უნახავ მეტქი. რომ წაველ მის უცხანრის მთის ოდენის სახლისაკენ, შევხედე, რომ ამოისუნთქის, გაიღის კარი და რომ დაისუნთქის, შეგუდის (იხურებოდა). ვთქვი, ლვთის მადლმან, შევალ, უნახავ მეტქი. რომ ამორფშეინა, შეეირბინე საჩქაროთ, კარმა არ დამიტანის მეტქი. კარს რომ შევეცილდი, დავდეგ, ჯოჯოზეთისაგან უბნელე იყო იგი სახლი. სიბნელით ძლიერ დავინახე, რომ თეთრი დევი იჭვა, სიძლიდითა ძლიერ ეტერდა და პირი გი-შერს უგავდა, ტანი შთისოდენი ჰქონდა, თმა კოჭამდი. ჩასწერდებოდა, სისრტყე, სიმაღლე მისი ღრუბელისა შესასწორებელი იყო; თავზე რკინის ქუდი ჰქონ-

რა საჭარელი. გაცემისთვის მისა სიჭადესა და შწველაც
შევშირდი და ახე ვთქვი თუ, ეს ქალაქი თურმე
ამას აუახრებია, ჩემი დღეც აქ გათავდება მეთქი;
მერავე გულსა უთხარ, გაფიცხების ფაშია, რად აგრე
მოლაფლი (დალონლი) მეთქი. ვახსენ ლმერთი, გარ-
დავაზმენ ჩემი ხმალი, რას გადასწვდებოდა, ერთის თითის
მოჭრაც არ შეეძლო, ისევ ჩავაგე და მოუარე,
თავით ლახტი და ხმალი ეკიდა.

ვიქვი კიდევ, არამც ლახტი (ზუბი და შვილდაისა-
რი) ვერ დავიმაგრო, გამჟარდეს, გაიღვაძოს შეთქი-
ხმალი ჩამოვილე, გული ვავამაგრე და მეღვრათ შეუტივე,
დავკარ მისიერ ხმალი, ბარკალი გავაგდებინე. თურმე გაღვი-
ძების დროც იყო და ხე ემწვავი, რომ ჭიცუცხლე და-
მწარდა და გამწვავებულმან ტოტი ჩამომერა და ფა-
რი გამჭვდებინა. მე უკან უკუკხტი და ხმალი ვერ
გამაგდებინა. წამოიწია და ახე თქვა: «ვინა ხარ, მეტ-
ლად მომელა ამ ლორმარ და სიცოცხლეში წილი
აღარ მიძევსო». რა მისგან ეს გავაგრონე, გავგზებინ-
დე და კელავ მიუხდე; ერთი ხმალი მკერდსა ვკარ,
რაც შემეძლო. წამოიწია და ახე მეღვრად შევიჭიდენით,
რომ ხაზაროდ კრა იყო, სადაც ხელი გამომკრის, ზეჭა-

რიცით ხორცი დამახიცის. ასე ვაქები გულში: თუ ამას მოკრჩები, ალარა მიშავს რა-მეთქი... მას ფევსა ძალი წაუხდა და ასე მითხრა: „მე ჩემი კი დამემართაო და ჩემს გულლეიძლს ნუ წაახდენო, ბევრს აქაგს მოგერ ხმარებისო“. რა მისგან ეს იმედის გადაწყვეტა გავა-გონე, უფრო გავგულოვნდი; შემოქმედს ძალი ვთხოვ ე, დავიუვირე, ავწიე და ავიყვანე თავის სწორათ, მოვი-ჭნივე და ასე ძალიანი დავეც, დავეც, რომ ზურგის მძივი, მოეშალა და სულთაგან დაიცალა, გავაპე, და-ძლი გამოვგლიჯე, ჩქავ მაღლა შევკიდე, ასე ვაქები: ჯერ გავალა პატახ შევისვერებ, ეგება კაცი ვინმე გამოვჩინო-მეთქი და მერე წავილებ-მეთქი, გამოველა ამასა რასმე სასახლეში შეველა, ძლივლა შევაწიე და მივევდე. მას დღესა იქ ვიყავ, ძლივ ხორცის სის-ხლი დავიწყვიტე, პატა სულა შევიქანე, ვდევ და დავიწყე სიარული და ძახილი: ვინც ჟულუ გამდიდი თეორი დევო, მოვკალ-მეთქი. მე აუ ვიცოდე თუ სხვაც იყო მათ ქალაქის კაცია აუ იცოდენ, თურმე უარესი, ქხვა იყო, არავინ გამოჩნდა....

ამ სახით გოსტამ გმირი მოკლეს მეორე დეტალს და მესამესაც და მესამესაც და დანათავისუფა-

ლებს იმ ქვეყანას, რომელიც ასე შეწუხებული და გარტრებული იყო იმათვან.

ხალხი ყოველგან და ყოველს ჟამს შევირცხლ—გონებიანია. იმის მღვიძარე გრძნობას არ დაემალება ყოველზაირი ცუდი ხმა-რე საკუთარი ცხოვრებისა. რამდენადაც უფრო მავნებელია ერის ცხოვრებისთვის რომელიმე ქვეყნის დაწესებულება, იმდენათ დღელვებულია იმისი აზრი, რომელიც ამ შემთხვევაში ეძებს საშუალებას. რომ ამ ცუდის დაწყობილებისაგან თავი დაიბინას. იმისი გონება გააცოცხლებს ცხოვრების შავნებელს მიზეზებს და გარდააკეთებს ზღაპრებში ბუმბერაზებათ და ექშაპებათ, რომლებსაც ერის გონება გაუსევს საკუთარის ძუძუთი გაზღილს გმირებს იმათ გადასადენათ ცხოვრების ასპარეზიდგან. ამ სახით ჩევნს ძევლ ისტორიულ ცხოვრებაშიაც ერის გონება იმდენათ დამწიფებული იყო, რომ აზრით ნაპოვნი ჰქონდა ის საშუალება, რომლითაც მოისპობოდა ცხოვრების დამაბრკოლებელი მიზეზები, მაგ-

რამ მძიმე გარემოებას არ დაუცლია . ერის-
თვის საქმით ასრულება იმისა, რასაც აზრით
მიმხვდარა. იმას არ დასკლია, რომ თვითონ-
ვე მოესპო შინაგანი უსამართლობა, უწესო-
ება, ერთი მეორისგან დაჩაგვრა და შებორ-
კილს ცხოვრებას ზელ-ფეხი გახსნოდა წარმა-
ტებისა და დიდებული ცხოვრებისათვის. ამ
საქმეში სხვისი დავალებული შევიქენით, და
ეს დავალება ჩვენგან შეუძლებელს და ვერ
შესასრულებელს მავიერობას ითხოვს.

პარიზი

ტეით-მძიმეთ და მამშერალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა.

კვლავ ქვეყნისა მჩაგვრავ-ძალმა
იგი დროშა დაჰსუა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,

კვლავ დაიდგა დიდ-წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის;

კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად-მხსნელის სიყვარულის.

კვლავ ძირს დაჰსუეს იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,

რომლისთვისაც თვითონ ღმერთი
იყო ტნჯულ და ჯვარცმული.

კვლავ შეფერხდა ისტორია—
განახლების შედგნენ ძალი.

და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებული მტარებალნი.

ილ. ჭავჭავაძე.

1871 წ. 29 მაისი.

რუსეთის ცხოვრება

(მიმოხილვა)

ჩვენი მამულის ბეჭი და შომავალი მტკი-
ცეთ დასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე,
და რუსეთის საზოგადობრივ ან პოლიტიკურ
ცხოვრებას ნიადაგი გავლენა აქვს ჩვენი ქვე-
ყნის იღბალზე. მაგრამ ჩვენი საზოგადოება
რუსეთს არ იკნობს, მისი მდგომარეობის გა-
ვხებას არ ცდილობს, მისი ხალხის ხასიათს და
გარემოებებს არ აკვირდება და მის საზოგა-
დობრივ ცხოვრებას ნიადაგ თვალს არ ადევ-
ნებს. ეს დიდათ სამწუხარო მოვლენაა, მით
უფრო, რომ რუსეთის ეხლანდელი ცხოვრე-
ბა დაკვირვების ღრძნია არა თუ მარტო იმ
გავლენის გულისთვის, რომელიც იმას ჩვენს
საკუთარს ბეღზედ აქვს, — მაგრამ იმ მხრითაც,
რომ თეთოვნ ეს ცხოვრება ამ უკანასკნელ
ღროში შესანიშნავი შეიქნა სხვა და სხვა

ცვლილებების და წარმატების ცდით. დღე-
წანდელი რუსეთი ბევრით სრულიადაც აღარ
ჩამოგავს იმ რუსეთს, რომელსაც ჩვენი მამე-
ბი ამოცი ან თხუთმეტი წლის წინეთ იცრობ-
დენ. მის მდგომარეობაში და ცხოვრების მიმ-
დინარეობაში ბევრი რამ სიფუძვლიანათ შეი-
ცვალა, ბევრი ცუდი მხარე მოიშალა, ბევრი
ახალი უკეთესი დაარსდა, ბევრიც ისეთი რამ
აღმოჩნდა, რომელიც თუმც ახალია, მაგრამ
საქები მაიც არ არის. ზოგიერთი ჭრი ცვლი-
ლებათაგანი ჩვენ ქვეყანასაც შეეხო, სხვები
სხვაშის, ახლობელ მომავალში. შეგვეხება,
ზოგის თავიდამ აცილებას რუსეთშიაც სცდი-
ლობენ და ჩვენც უნდა ვეცადოთ, ვინიცობაა,
რომ ჩვენც შეგვეხოს. მაშაადამე ჩვენმა სა-
ზოგადოებამაც ყუჩადღება უნდა. ათხოვოს
ყველაფერს, რაც ეხლანდელ რუსულ ცხოვ-
რებას ხატავს და აფასებს. ამას მისი მოვალე-
ობა და სარგებლობაც მოითხოვს. აი ამ სა-
ჭიროების მიხედვით ჩვენ წარმოუდგენთ დღეს

მკითხველს ორიოდე სურათს რუსეთის ენლანდელი ცხოვთებიდამ.

რუსეთის ისტორიაში ენლანდელი მეფობის დასაწყისს დიდი მნიშვნელობა ექნება, განსაკუთრებით იმ მხრით, რომ 1857 წლიდამ დაწყებული სახელმწიფო მმართვის და გამგეობრის სისტემა შესამჩნეველათ შეიცვალა, უწინდელი სისტემა, როგორც მკითხველმა უნდა იცოდეს, უფრო იმაში მდგომარეობდა რომ საზოგადობრივი ცხოვრება ნიადაგ იმ წინეთ აღმცენდლი და დაწიშნულ კვალს უნდა გაჰყოლოდა, რომელიც მისთვის მთავრობას განემზადებია. ყველაფერზე, უნდა ეზრუნაამავე მთავრობას, ყველაფერი იმას უნდა წინდანედულათ დამზადებია, და მთელი საზოგადოება, მთელი ხალხი მის განკარგულებას, მის სურეილს და ნებას უნდა დაჰყოლოდა. ამ სისტემის იდეალი გაჩერებანდ წესიერების და მორჩილების დაცვაში მდგომარეობდა, მთავრობის მიზნის დაფარვაში და საზოგადოების სრულ გაჩუმებაში.

თუმცა რუსეთის ცხოვრება მრავალ საუკუნების განმავალობაში ამ სისტემით იმართებოდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს ყირიმის ომმა დაამტკიცა, რომ ამ სისტემას თავისი დრო მოეჭამა და საჭირო შეიქნა მის ადგილას ახალი რისიმე შემოლება. ევროპიელებთან ომის გამართებამ გამოააშკარა რუსულ წესში ძლიერ ბევრი შესანიშნავი ნაკლულებანება: ჯარის იარაღი და მორთულობა, მისი სწავლა და ცოდნა, მისი სურსათის და ტანსაცმელის დამზადება და გადაზიდვა, მისი ხელმძღვანელობა და ბევრი სხვა ამისთანა მხარეები მეტის-მეტათ ნაკლულებანი გამოდგა... ამას დაერთო საზოგადო აღმინისტრაციის მმართვა, რომელშიაც აგრეთვე უთვალავი წერილმანი და სხვილ-სხვილი უწესობა და უცოდინარობა აღმოჩნდა, ისე, რომ ომის დროს ამ აღმინისტრაციამ თითქმის სრულიად ვერა მოხსერხა რა აღმოჩნდა აგრეთვე თითქმის ყოველ ნაირ ადგილებზე პიროვანი სარგებლობის ძიება, მოქრთამვა, ქრთამის ლება, მიღვ-

მა, ხაზინის დაუზოგველობა, უმაღლესი მთავრობის წინ ჭეშპარიტების დაზალვა. ან სხვა ნაირათ მისი მოტყუება...

ეს ყველა არაფერი, მაგრამ ამასთანავე ორი ისეთი ნაკლულევანება აღმოჩნდა რუსეთის ცხოვრებაში, რომელსაც უფრო დიდი და საზოგადო მნიშვნელება ჰქონდა. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ ამ ვრცელს, თითქმის განუზომელს ქვეყანას გზები თითქმის სრულიადაც არ გააჩნდა, ორიოდე დიდი ქალაქების შემაერთებელ გზებს გარდა. ერთ ნამცეცხა წევითას ან ერთი რომელიმე მდინარის გადაღებას მუდამ ის შედეგი ჰქონდა, რომ ვერც ჯარი, ვერც უჩემი, ვერც მგზავრი ცელარ გაადგამდა წინ ფეხს, სანამ ან თითო უჩემში ათიოდე ცხენს არ გააძამდენ, ან მზე გზას არ გააშრობდა, ანაუ ყანეა არ გატკეპნიდა და სასიარულოთ არ გააშჩადებდა. რკინის გზა მთაწო 1853 ში გაიმართა, ისიც პეტერბურგიდამ მოსკოვამდი. დანარჩენ ალგილებში შოსხე რაა, ისიც არსად იყო თითქმის... ისე,

რომ რუსეთის ნაკიდურები, მტრებისგან აოხ-
რებული ან დაკავებული, ისე შორს უჩჩე-
ბოდა შუა გულ რუსეთს, რომ ცენტრალური
შმართებლობა ვერც ჯარის ვასტუმრებას
ახერხებდა, ვერც მისითვის საჭირო სურსათის,
იარალის და ტანსაცმელის გზავნა. გაგზავ-
ნოლი ჯარის და იარალის ნახევარი გზაზე
იძნეოდა და იღუპებოდა...

მეორე, უფრო შესანიშნავი და მძიმე მოვ-
ლენა იმ მოძრაობაში მდგომარეობდა, რომე-
ლიც იძველოს შუა გულ რუსეთის რამ-
დენიმე გუბერნიებში მოხდა. კლებ-კაცობა,
რომელიც მაშინ ბატონ-ყმობის უდელს ქვეშ
იტანჯებოდა, ჰერიტედებოდა სოფელ-სოფელ
და თხოულობდა მტერთან საბრძოლათ გა-
გვიშვითო, ჩეენც ეიბრძვით, როგორც „ვოს-
სის კაզაკი“ და რაკი ვოსსის კაზაკი ვიქ-
ნებით, როცა დავბრუნდებით, ბატონების
უფლებიდამ გათავისუფლებულები შევიქნე-
ბითო. ამ მოძრაობას მოკლე ხანში იმსიდე
სიმძლავრე მოყცა, რომ რამდენიმე გუბერნია-

ში მათ წინააღმდეგ ჯარის ხმარება დაჭირდათ და მარტო ამ ფიცხელი საშუალებით შესაძლო შეიქმნა ამ მოძრაობის მოსპობა და დროებითი დამშეიღება *).

ყველა ამ გარემოებებს ის დასკვნა ჰქონდა, რომ საყოველთაოთ ცხადი საქმე შეიქმნა, რამოდნათ განთუდეგარი ყოფილა ეხლანდელ დროისთვის ის სამართველო სისტემა, რომლითაც უწინ ხელმძღვანელობდენ... ყველა თვის ცხადი შეიქმნა, აგრეთვე, რომ აუცილებლათ საჭიროა სხვა, ახალი, ეფრობიელი სისტემის მიღება, ისეთის, რომელსაც თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილების და საჭიროებების დიკმაყოფილება შეეძლოს. საჭირო შეიქმნა აღმინისტრაციის გადასხვათვერება, ჯარის გაუმჯობესება, სამართლის წესის განახლება, საზოგადობრივი კანონების შეცვლა, ერთი სიტყვით ახალი „რეფორ-

*) ამ საგანზე შესანიშნავია უფ. გრომეკას სტატია: *Крестильщикія волині віз Київской губернії. Небе* *Отечественника Записки 1863 р.*

მების « შემოღება, ესე იგი სახელმწიფო
წესში და წყობილებაში ცულილებების მოხ-
დენა. და ეს ყველაფერი იმას ნიშნავდა, რომ
უწინდელი მოჩჩილების მაგარი საჭირო შე-
იქნა საზოგადოებისა და ხალხის განათლება
და განათლების ნამყოფების გამოყენება სა-
ზოგადოების სასარგებლოთ. მარჯლაც ეს
აზრი და შეხედულება პარტაპირ გამოიხატა
შანაგანი საქმეების მინისტრის მოხსენებაში
ხელმწიფე იმპერატორთან, 1857 წ. რომელ-
შიაც მინისტრი ხელმწიფეს მოახსენებს, რომ
უცხო ქვეყნებს წარსული ომის დროს
ჩვენზე მარტო ის უპირატესობა ჰქონდათ,
რომ ისინი უფრო ნახწავლნი და დახელოვ-
ნებულნი იყვნენო, და რაკი ჩვენც სწავლას
და განათლებას წინწავსწევთ, რაკი ჩვენც გა-
ნათლების ნამყოფის ხეირიანათ გამოვიყენებთ,
იმათ ჩვენზე აღარაფერი უპირატესობა არ
ყონებათ და ჩვენს ხალხს ვეღარავინ ვერ
დასძლევეთ.

თანხმად ამ შეხედულებისა, 1857 დამ და-

წყებული, რუსეთის საზოგადოპრინც და პოლიტიკურ ცხოვრებაში იწყება მთელი წელი სხვა და სხვა ცვლილებებისა, როგორც აღმინისტრაციაში და ჯარის წესში, ისე კანონებში და სამართლის წარმოებაში, ისე თვითონ რუსეთელი ხალხის და კერძო წოდებების მდგრადირებაშიც. ყველაზე უწინ დაიწყო ყველაზე უფრო შესანიშნავი ცვლილება — „ვლეხ-კაცების მდგრადირების გაუმჯობესება“, ესე იგი მატონ-ყვითების მოსპობა. ეს ცვლილება, რომლის ხასიათს დაფასება ეხლა ჩვენ შორს გაგვიტაცებდა, დაიწყო 1857 და მოხდა 1861 ში, 19 თებერვალს თვითონ რუსეთისთვის, და ცოტათი უფრო გვიან — სხვა და სხვა მოშორებული პროეინციებისთვის (მაგალითად, ბესარაბიაში, საქართველოში და სხვ.). 1859 დაიწყეს სამხედრო წესში სხვა და სხვა შესანიშნავი გაუმჯობესობის შემოღება, და ეს გაუმჯობესება ცოტ-ცოტათ უფრო და უფრო ერცულდება, თუმცი დღემდი სამხედრო რეზორმა

ჯერეც არ. შესრულებულა. 1864 გამოიცა „ერობის“ წესდებულება, რომლის ძალითაც ადგილობრივი (აგუბერნიო და სამაზრო) შემოსავალ-გასაცლის მმართვა და საქმეების გამგეობა თვითონ საზოგადოებისაგან ამორჩულ პირებს (ისაცის) ეძლევა *). იმავე წლის ბოლოს დამტკიცდა სამართლის ახალი წესდებულება, რომლის ძალით რუსეთში სამოსამართლო ადგილებს და პირებს ბევრი ახალი უფლება და სიმართლე ეძლეოდათ. 1870 დაწესდა ქალაქების საზოგადო გამგეობის ხალი წესდებულება, და სხვა და სხვა დროს გაარსდა ზოგიერთი საჭირო სასწავლებლები, დაწესებულებაები და სხვ. და სხვ., რომელთაც საზოგადოთ ის დანიშნულება ჰქონდათ, რომ აზოგადობრივი ცხოვრება გაეუმჯობესებიათ და სახელმწიფო მმართვისთვის, გამოსაღევი შსახურები და მზადებიათ...

*) ამ საგანზე ნახეთ „კრებული“ 1871 № 5, ტატია „ერობა და მისი დანიშნულება“.

ეიმეორებთ, ჩვენ აქ იმას განხილვა კი არ
გვინდა, თუ რამოდნათ კილო-გამოუდებელი
და უნაკლულევანოა თითოეული ამ რეფო-
რმებთაგანი, ან რამოდნათ აკმაყოფილებს ის
საზოგადოებრივ საჭიროებას და მოთხოვნი-
ლებას. ეს განხილვა, როგორც ვთქვით, ნამე-
ტნათ შორს წაგვიყვანდა. ჩვენი მიზანი ჯერ-
ჯერობით ისაა, რომ ვარაუდით ჩამოვთვალოდ
რა და რა უმთავრესი ცვლილებები მომზღვარა
რუსეთის ცხოვრებაში ამ უკანასკნელ წლების
განმავალობაში და ვნახოთ, როგორი გავლე-
ნა იქონიეს ამ ცვლილებებმა. იმ მხრის გა-
ნხილვა კი, თუ რა იქნებოდა, სხვებრ ან
უკეთ რომ ყოფილიყო და სხვ, ჩვენ ამ უა-
მათ სრულებით უნდა მიეატოვოთ.

ასკუ ჩვენ ამ აზრით რუსეთის ეხლანდელ
ცხოვრებას დავაკვირდებით, და საგანგებოთ
ომ კითხვას დავივიწყებთ, თუ რა უკეთესი
ცვლილების მოხდენა შეიძლებოდა, ჩვენ და-
ვინახავთ, რომ იმ ცვლილებას, რომელიც ნა-
მდეილათ შოხდენილა, გვარიანათ შეუცვლია

რუსეთელი ხალხის და საზოგადოების მდგრა-
მარეობა და ხასიათი. თუმც ამ ცელილება-
ებს მათი მატერიალური მხრით ის მძიმე შე-
დევი ჰქონდათ, რომ ხალხის გადასახადი გამ-
რავლდა, განსაკუთრებით იმ მხრით, რომ მი-
წა-წყალი მებატონეებს დარჩათ და მათ გლე-
ხებისგან მიწისთვის გადასახადი და გამოსაყი-
ლი მიენიჭათ, მაგრამ დანარჩენ მხარეებით
ცელილებებს ამითანა მძიმე ხასიათი როდი
ჰქონიათ. თუმც, კიდევ, ზნეობითი ხასიათი
რომელიმე ხალხისა ხუთი და ათი წლის გან-
მაფალობაში დიდათ ვერ შეიცვლება, მაგრამ
ბატონის უფლების მოპობა, მისი როზეების
და მათრახის, მისი „შინაური“ გამრუცნელი
და ჯამჩაგვრელი ძალის გაუქმება ეხლაც კი
დაეტყო რუსეთელი ხალხის ხასიათს. ცოტა-
თი არ იყოს ის წელში გაიმართა, თუ ყველას
წინ არა, უწინდელ თავის მებატონეების და
გარეშე პირების წინ მაინც. იმას მიეცა შინა-
ური და ხასოფლო საქმეების მმართვა, და
თუმც ამ მმართვას ბევრი დყალი ხვდება ნია-

დაგ, თუმც წერილმანი შთაცრობა და გაქნილი მირთვა-ები ხშირათ გლეხ-კაცობას თვალს უხვევენ და საქმეებს ბრძან აწყვეტინებენ, მაგრამ ცოტაზომით მანც უკეთესდება და თან და თან უფრო და უფრო გაუკეთესდება. ამ შერით გლეხ-კაცების გონიერება და ხასიათი. ნიაზაგი საქმის საზოგადოებას წინ განხილვა, სანდო პირების ამორჩევა, მათი მოქმედების დაფასება და გასჯა თუ ეხლანდელ გლეხებს არა, ახალგაზლებს, მოზღვილებს მარც დათიქრებს და უკეთეს საქციელს შეაჩევს, საზოგადოების სასარგებლოთ გონებას გაუხსნის და ერთგული სამსახურის სურვილს აუძრავს. ბევრ რუსეთელ სოფლებში კიდევ შეუნიშნავთ ჩევა და სხვა გაზეთების კორჩესპონდენტებს ამ სასურველი მომავლის ზოგიერთი წინამორბედი მაგალითები.

მაგრამ უფრო შესანიშნავი და ძლიერია მეორე მხარე, რომლითაც გამოიხატა რუსეთელი რეფორმების გავლენა ამ პირველ დაწყებაშივე.

უწინდელ დროში ყველაფერი, რაც კი
რუსეთში ნიჭიერი და გონიერი რყო და რაც
ცხოვრებას ჯამთურგვენელ, მოშხიბულელ
ძალას უძლებდა, ნიაზაგ პეტერბურგისკენ
იწეოდა. მაშინ მარტო პეტერბურგში დახან-
დისხან მოსკოვში იპოვებოდა ხოლმე „გონე-
ბათი ცხოვრება.“ იქ უნივერსიტეტების ახალ-
გაზირობა სკოლებით, რომელსაც ჯერ ცხო-
ვრებას „საჭიროების“ და „ინტერესის“ ჩირქი
არ მოსცხებოდა; იქ სულს ნამავდა, როგორც
იყო, მწერლობა, იქ ცოტ-ცოტათ სღულდა აზ-
რი და გრძნობა, იქ „მომავლის იმედი“ კი-
დევ იპოვებოდა აქა-იქ... მაშინ დელ დროში,
რაკი გაცილდებოდა კაცი პეტერბურგის ან
მოსკოვის ზასტავებს, იმისთვის იკარგებოდა
მთელი „გონებითა ცხოვრება“. აზრის მოძ-
რაობა, მომავლის იმედი, იდეალის ძიება, ერ-
თისიტუაციათუელაფერი, რაც კი აკეთილშობი-
ლებს და ამაღლებს კაცს, რაც მასში პატიო-
სტურ გრძნობას და ახალგაზირ ს უმანკოე-
ბას ინახავს, — სანიადაგოთ ჰქონდებოდა. შის წინ,

და მაგიერათ იმას დახვდებოდა ბნელი „პროვინცია“, მაშინალური საჭისახურით, ბანქოს თამაშით, ბებრუსების კორიანობით და ახალგაზდების სიმთერალით. რაღა თქმა უნდა, რომ ყველას, ვისაც კი ამ ბნელი ბეტია გადარჩენა შეეძლო და ვისაც ტვინი არც გული არ ურიგდებოდა ამ გვარ ცხოვრებასთან, პეტერბურგი და მოსკოვი იმ აღთქმულ, ნეტარ მიწათ მიაჩნდა; სადაც კიდევ შესაძლო იყო ცხოვრება, ფიქრი, მოქმედება და იმედის შენახვა. ამნაირათ მთელი საუკუნის განმავალობაში ამ ქალაქებში გროვდებოდა მთელი რუსეთის ნიჭი და ძალა, და ამ მოგროვებას, ამ შეერთებას თუ არა, ერთ ქალაქში ცხოვრებას ის შედეგი ჰქონდა, რომ მთელი რუსეთის მაგიერ ფიქრობდა, ლაპარაკობდა და სწერდა მარტო პეტერბურგი და მოსკოვი. ამ ორ ქალაქში ისეთი ზნეობითი და გონებითი ატმოსფერა შეიქმნა, რომ კაცი შიგ ძლიერ მაღალ სხვათ გადასახლდა, მაღალ სტოვებდა პროვინციის უნიკალური ცაკევებული და ბინძური ცხოვრების კვალს და ბეჭედს, მაღალ

იფებოდა უკეთესი ცხოვრებისკენ ლტოლვი-
ლებით, და ზოგი ამის გამოსობით, ზოგისმ
ნამდვილი გრძებისგახსნის ძალით, მელსუ-
მათ პეტერბურგი და მოსკოვი აშლევდა, პირ-
ულობდენ პროვინციებში ნამდვილ გავლენას
თუ არა, ნამდვილ მორიცებას ხომ მაინც
თვითონ, ამ შეგროვებას პეტერბურგში და-
მოსკოვში ის გავლენა, პქონდა; რომ უფრო
შეტათ განათლდა ან მორჯულდა ის წრე და
საზოგადოება, რომელშიაც დაიარებოდენ მა-
შინდელი უმაღლესი საზოგადოების წევრები.
თვითონ ამ უმაღლეს საზოგადოებაში და
იმ წრეებში, სადაც მზადდებოდა სხვა (და
სხვა სამართველო წესდებულებები), შევიდა
ახალი აზრების და შეხედულების ზოგიერთი
ნაკეთები, გავრცელდა, ცატაოდნათ ჭაინც,
ახალი შიმართულებების სუნი და მორიცება;
ამასთანავე რუსეთელ მწერლობას და სწავლას,
ამავე პოგროვების გამო, მიეცა ძლიერ დიდი
გავლენა და ძალა. თითქმის ყველა სასწავლებ
ბლებში და განსაკუთრებით ერსიტეტებ-
ში რამდენიმე გონიერი და უჩვერი პირები

იპოებოდენ, რომელნიც თავიანთი ნიჭით, მი-
მართულებით და გრძელობით ისეთ გავლენას
ჰქონები უნდა მოსწავლე ახალგაზღობაზე,
რომ იზიდავდენ თავიანთკენ და პატიოსან მი-
მართულებას უნერგავდენ ყველას, ვინც კი
ბავშობთამ უნიჭო ან გრძელობით წამხდარი
არ იყო. მწერლიობაში ზედი-ზედ ნიჭიერი და
ლირსოვანი მწერლები გამოდიოდენ, რომელ-
ნიც უთვალავ დაბოკოლებას და აუარებელ
წინააღმდეგობას შესა იმოდენს მაინც შერე-
ბოდენ, რომ უკეთესი მომავლის იმედს აერ-
ცელებდენ და უმჯობესი გაწყობილების სურ-
ვილს სძრავდენ მკითხეელ საჭოგადოებაში.

მაშინ ამ მცირეოდენი სწავლულების და მწე-
რლების სიტყვას უფრო მეტი გავლენა ჰქონ-
და რუსეთის საზოგადოებაზე და ახალგაზღო-
ბაზე, ვინემ ეხლანდელ უმრავლესი პროფე-
სორების და უთვალავი ჟურნალ-გაზეთების
ქადაგებას... ამის მიზეზი სხვათა შორის მშე-
წრბის ზნეობითი გავლენა იყო, რომელიც ამ
ორ სატახტო ქალაქებში შედგენ, და რომე-

ლნიც ნიადაგ ერთ და იმავე მაღალ მიზანს სდევდენ — რუსეთის საზოგადოების ზნეობით და გონებით ამაღლებას, რუსეთის ხალხის მომავლის გაუმჯობესობას... და სანამ ეს წრე-ები ერთს და იმავე მიზანს მისდევდენ, სანამ მათი წევრები შეერთებულათ შრომობდენ და ერთი მეორის გამხნევებით, დახმარებით და წინ-წასწევით მოქმედებდენ, მათი გავლენა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ერცელ-დებოდა ამ არა თუ მარტო, ქალაქებში, სხვა და სხვა მოშორებულ პროვინციებში და მთელ რუსეთშიაც...

ამ მოძრაობას სატახტო ქალაქებისკენ ბოლო მოელო 1862 წელში, ერთის მხრით იმ მიზეზით, რომ მაშინ სატახტო ქალაქების „წრეები“ აქეთ-იქით დაიფარტენ, და მეორე-თი იმის გამო, რომ ახალმა ორფორმებმა კარგადალი ხალხი მოინდომეს. როგორც ბატონ-ყმობის საქმის გაწყობაში, აგრეთვე ახალი აქციისა და გამოძიების წესის დაარსებაში, ისე, ბოლოს, ყხალი სასამართლო ადგილების გამართვა-ში და ერობის საქმების გამგეობაში მოითხოვეს.

ახალი „ნასწავლი“ პირები, და სატახტო ქალა-
ქები ცოტ-ცოტათი დაცალიერდენ, იქაური
„ინტელიგენცია“ გუბერნიებისკენ განემგზავრა,
და ამ ნაირათ ის გონებითი ძალა, რომელიც
უწინ პეტერბურგში და ხანდისხან მოსკოვშიაც
თავს იყრიდა და ჯვუფ-ჯვუფათ სცხოვრობდა,
დაიფანტა თვალუწვდენელი რუსეთის სხვა და
სხვა წერილმან ქალაქებში და მაზრებში. ზო-
გიერთი სწავლულების ენა რომ ეიხმაროთ,
შეგვეძლება ვთქვათ, რომ რეჭორმებამდი
რუსეთში გონებითი ძალა „ინტეგრალო-
ბდა“, ერთდებოდა, ზავდებოდა, და რეჭორმე-
ბის შემდეგ კი ის — „დ იჭერენ ციალიბს“,
ცალ-ცალკავდება, სხვაფერდება, იფანტება.

ამის გამოისობით რუსეთში სატახტო ქა-
ლაქების გავლენა შემცირდა, მათი საზო-
გადოების - გრძებითა. სიმაღლე ცოტაოდ-
ნათ ჩამოიწია, იქაური სასწავლებლების ხა-
ზიათს უწინდელი ოლმტაცი ძალა მოეკლო
და იქაური მწერლობა — ხასიათით და მნიშვ-
ნელობით მაინც — დაეცა. დღეს რუსეთელი

სატახტო ქალაქები ბევრიდთ აღარაფრით არ დგანან სხვა დიდ ქალაქების მაღლა. ოდესა, კიევი და სხვ. ბევრით აღარაფრით ჩამოუარებიან დღეს პეტერბურგს და მოსკოვსა, და სხვა წვრილმან ქალაქებს უწინდელზე ბევრით უფრო შეტი მნიშვნელობა მიეცა რუსეთის გონიერით ცხოვრებაში. პეტერბურგის და მოსკოვის საზოგადოებას ამით ხასიათი შეეცვალა. უწინ რომ იქ სწავლას და ნიჭის ხმა ჰქონდა, ისეთი, რომ მმართველებიც ქალაუნებურათ იმათ ყურს უგდებდენ და ერიდებოდენ, დღეს მაგიერი გავლენა სხვა და სხვა ფინანსი სტებს, ადვოკატებს. და აჭერისტებს მიეცა. იმათ ფეხი შეადგეს და ჩაგდეს არა თუ მარტო მმართველ და შუათანა საზოგადოებაში თვით გაზეთ-ჟურნალებში და მწერლობაშიაც დღეს იმათ ხმა აქვთ, მერმე თითქმის უპირატესი ხმა, უმჯობეს რუსულ განომცემლებში, და ბევრი საზოგადობრივი კითხვა გადაწყვეტილა იმათ გავლენის ქვეშა, რასაკვირველია, იმათ სასარგებლოთ. ნამდვილ სწავლას, პატი-

ოსან მწერლობას, გულწრფელ სიტყვას გა-
სავალი და გავლენის კვალი არა აქვს ამ ახა-
ლი გავლენიანი. პირების გამოისობით, და
მათ უცებ, დაუმსახურებელ, ხშირათ უპა-
ტიოსნო აშალლებას, მათ მაგალითს და ძა-
ლას ის საშინელი გავლენა აქვს საზოგადო
გონებაზე და ხასიათზე, რომ საზოგადოებას
და ახალგაზიდობას გზა ებნევა, პატიოსანი
შრომის ხალისი ეკარგება, აღვილი ამაღლების
სურვილი ებადება, გრძნობა ულაყდება და
იმედი უქრება. და რაღვანაც ამასთანავე
უმრავლესობა საზოგადობრივი აზრის მი-
მართულებაში უწინდილს პირუთნეველ და
პატიოსანს მოსარიდებელ და პატიოსაცემელს
კალოს ველარ გრძნობს, ისიც თავის მხრით
ეჩვევა ზნეობის სასტიკი. მოთხოვნილებების
წაყრუებას და დავიწყებას და უფრო შეუპო-
ვრათ ადგება. მოუწონარს და დასაწუნ მოქ-
მედებას.

შეუძლებელი საქმეა, რომ გონების ცხოვ-
რების ამგვარი ცვლილება მძიმეთ არ დააჩნ-

დეს ეხლანდელს და მომავალს თაობას, მით
უფრო, რომ ახალგაზდა თაობაც ძლიერ და-
მასუსტებელ და დამჩაგვრელ გარემოებებში
იზდება... შეუძლებელი საქმეა, რომ მთელი
რუსეთის ზნეობით ხასიათს არ დაეტყოს ამ-
გვარი მიმართულების კვალი, რომელც იქ-
ნება რამდენიმე თაობას შთამამავლობითაც
გადაყვეს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს
კვალი და ეს დამდაბლება, არც ის უნდა და-
ვივიწყოთ, რომ მეორე მხრით რუსე-
თის ცხოვრებას ნამდვილი ვაუმჯობესობა,
დაეტყო რამოდენათაც დაიწია სატანტო ქა-
ლაქის ზნეობითმა სიმაღლემ, იმოდნათ, მეტათ
თუ არა, ამაღლდა სხვა და სხვა მაზრების და
ქალაქების ცხოვრება. იმ ახლათ „ჩასახლებუ-
ლებში“, რომელნიც მიიყვანა ამ ქალაქებში
სხვა და სხვა რეზორმების საჭიროებამ, ბევრი
ისეთები იყვნენ, რომ მათი მაგალითი და
ცხოვრება უკვლიოთ და უმნიშვნელოთ არსად
ჩაიგლიდა. იმათ გარეშემო ცოტაოდნათ მარც
იცვალა შერილმანი ქალაქების მცხოვრებლე-

ბის ხასიათი და ზნეობა. ბევრს ახალგაზრდა ყმაწვილს კეთილი შთაბეჭდილება და მიმართულება მიეცა მათთან დაახლოებით, მათი დაკვირვებით და თუნდ ახალი, უცხო პირისახის და ხასიათის დანახვით, რომელიც უწინდელი ნაცნობების ჩეცულებისამებრ როდისცხოვრობს და მათ მაგალითს როდი მიძღვეს. თვითონ ამ პირების მოქმედებას, თანამდებობის ასრულების დროს, ისეთი ხასიათი აქვს, რომ მათი ნათქვამი, მათი საქციელი ძალა-უნებურათ სძრავს და აფიქრებს ყოველს ჯერ კიდევ წაუხდენელ ტვინს და გონებას. მართალია, ამ იშვიათი პირების გვერდით, იმავე რეზორმებმა ბევრი უხეირო და უმნიშვნელო პირებიც დაიყენა, ასეთები, რომელნიც ცუდი და უშვერი მაგალითის მეტს ვერას აჩვენებდენ წვრილნან ქალაქების საზოგადოებას. მაგრამ იმასაც ნუ დაუიგიწყებთ, რომ ნიჭია და გონიერებას რიცხვი იმდონათ როდი სჭირია, და ერთი ხეირიანი კაცი უფრო მეტს სარგებლობას შესძენს.

ხოლმე ამ ნაირ გარემოებებში, ვინემ იცდა
სუთი უხეირო და უჯიშო კაცი იმავ დროს
ვწებას მორტანს.

ჯერჯერობით, რასაკრისიელია, კაცი ხეი-
რიანათ და ნამდვილათ ვერც კი შენიშნავს
ამ ორნაირი ცელილების ნამდვილ ძალას და
სივრცეს. ჩვენ შეგვიძლია მარტო მწერლობის
საზოგადო ხასიათზე, საზოგადოების მიღრე-
კილებაზე და მიმართულებაზე და ზოგიერთ
სხვა ფარემოებებზე შევნიშნოთ ის გავლენა.
რომელიც სატაცტო ქალაქების საზოგადოე-
ბაზე ამ ქალაქების „დაცალიერებას“ ჰქონია
და აქცეს. შეგვიძლია აგრეთვე აქა-იქ, ზოგი-
ერთი კერძოობითი საქმეების და საზოგადო
გადაწყვეტილების განხილვის დროს, შევამჩ-
ნიოთ და დავინახოთ ის გავლენა, რომელიც
წვრილმანი მაზრების და ქალაქების საზოგადო-
ებაზე „ახალ-მოსულებს“ ჰქონიათ. მაგრამ
ამორივე მოვლენის ნამდვილი ძალა და ხა-
სიათი მარტო მომავალში გამოჩნდება მათი
სრული ტანით და სიმტკიცით. შეხლანდელი

ჩვენი შენიშვნები ამ საგანზე უფრო მიხედო-
მა, კერძოობითი ფაკტების შემდეგია, ვინემ სა-
კმაო ფაკტების განხილვაზე დაფუძნებული
ბეჭითი, საზოგადო დასკვნა. მაგრამ, თუ ჩვენ
ძლიერ არ ვსცდებით, იმ ზოგიერთი ფაკტე-
ბიღვამ, რომელსაც ჩვენ რუსეთელი პროგინ-
ციების ეხლანდელი ცხოვრება წარმოგვიდ-
გენს, ეხლაც შეიძლება იმ აზრის გამოთქმა,
რომ ამ პროგინციების საზოგადოებას კეთი-
ლათ დატყობია და შემდეგში უფრო მეტათ
და მძლავრათ დატყობა ის მოძრაობა, რო-
მელსაც რუსეთელი გონიერი და ნიჭიერი
ახალგაზღობა სხვა და სხვა მაზრებში და ქა-
ლაქებში დაუფანტავ!

თუ ჩვენ ყურჯდლებას მივაჭცევთ ზოგიერთ
იმ აშვიათ ფაკტებს, რომელნიც ეხლანდელ
პროგინციალურ ცხოვრებაში აქა-იქ შეხვ-
დება ხოლო დამკვირვებელს, და რომელნიც
საამოთ განირჩევიან სხვა უთვალავ და უხერ-
ოო ფაკტუბიდამ, ჩვენ შევნიშნავთ, მაგალი-
თად, რომ ზოგიერთ ერობების კრებაში და

მმართვაშიაც თანდათან უფრო და უფრო მეტი გავლენა იმ ხეირიან მიმართულებას ეძლევა, რომელიც ხალხის კეთილდღეობას სარგებლობას და განათლებას ემსახურება, და რომელიც ხალხის ინტერესებს უველა კერძობით ინტერესებზე უფრო მაღლა სთვლის. ამ მიმართულების მომხრენი თავიანთ მაზრებში უფრო და უფრო იმ შეხედულობას ავრცელებენ, რომ ამ მაზრების შემოსავალი და ღონე იმისთანა საგნებზე და საქმეებზე უნდა იხარჯებოდესო, რომელთაც ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება მისი ცხოვრების გადაწყვაფება; და მაშასადამე მისი გონების გახსნა, მისი ღონის გაძლიერება შეეძლოთ. ამ მიმართულების თანახმათ ისინი ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ ხალხის შრომა გააადგილონ, ხალხი იმ მჭამლების ხელიდამ დაიხსნან, რომელნიც მის შრომით რჩებიან და მის შემოსავალს ნაშრომს თავიანთ სასარგებლოთ ითვისებენ. ზოგიერთ ერობებში, სადაც უმრავლესობა ან გავლენა ამ მიმართულების პირებს ეკუთ-

ენის, კიდეც დაწესებულა ერობის საშუალებისთხოვნის სასარგებლოთ სხვა და სხვა ამხანაგობის გამართვა, და ბევრჯერ შესამჩნეველი დახმარება მისცემია იმ ამხანაგობებს (*артели*), რომელნიც თვითონ გლეხებს გაუმართავსთ. სხვაგან ერობის საშუალებით გამართულა სამაგალითო ქარხნები (ყველისა და კარაჭის საკეთებელი, მავალითად), რომლის შემწეობით გვარიანათ გაუმჯობესებულა გლეხკაცუობის მდგომარეობა. ძლიერ ბევრ ადგილის, შიმშილისა და სურსათის ნაკლულევანების დროს, ან სხვანაირ ხალხის გაჭირებაში, ამავე მიმართულების პირებს ერობის მოქმედებისთვის ხეირიანი და პრაკტიკულათ სასარგებლო ხასიათი მიუციათ, ისე რომ გლეხ-კაცუობას ერობის მხრით ნამდვილი დახმარება მისცემია, და არა ის ეითომ-დახმარება, რომლის სახელით ზოგიერთ სხვა ერობებში ხალხს ატყავებდენ. და უკანასკნელ ლუკმა-პურს სტაცებდენ ან აშხამებდენ...
მართალია, ეს დახმარება და ყველა ეს კი-

თილი დაწყებულება ჯერჯერობით მაინც ნამა
დეილს და შესანიშნავ სიკეთეს და ტეიროს
შემსუბუქებას ვერ მისცემს რესეთელ ხალხს.
მისი მდგომარეობა ამისთანა კერძოობითი კე-
თილმოქმედებით და დახმარებით ვერ გაკეთ-
დება და მისი ბედი ასე ადვილათ და წერილ-
მანათ ვერ შეიცვლება... მაგრამ ამ წერილ-
მან, კერძოობით დახმარებას, რომელიც ცო-
ტაოდნათ ამსუბუქების ხალხის გასაჭირს და
ტეიროს, და ერთ ნამცეცა სინათლეს და იმედი
პბალავნ მის გულში და გონებაში, ის ნამ-
დვილი და ძეირფასი სარგებლობა მოაქცი;
რომ ხალხი ცნობულობს - კეთილათ-განზრა-
ხულს პირებს, გრძნობს, რომ იმათ მისჩ დახ-
მარება სურთ, რომ იმას მათზე დანდობა, მა-
თი ხმარება და გამოწყენება შეუძლია. ამით
იმ პატიოსანს მიშართულებას, რომელსაც ეს
პირები ემსახურებიან და რომელშიაც მდგო-
მაოდნებს რესეთის შომაფლის იმედი, შექმი-
ნება ხალხის სიმპატია რაც არა პატიოსტემა
მაინც, და შესაბამის დროც, როცა ქსევ ხალ-

ხსამ მიმართულებას უფრო შტკიცეთ დაენდობა რამას მოსთხოვს უკეთესი ბედის და გაწყობის ლების დარსებას... ამ მარტო მაშინ, როცა ებლანდელი კერძორი კეთილ-შოქმედების მაგიერ, საზოგადო ღონისძიებები მიიღებიან ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ეს მიმართულება ნამდვილ თავის ღირსებას და ძალას გამოიჩინს... 10

ეს მით უფრო შესაძლებელი და თითქმის აუცილებელი. საქმეა, რომ ამ მიმართულებას და რუსეთელს ხალხს შუა ბევრი შემაერთებელი კავშირია ისეთი, როგორიც სხვა ქვეყნებში უფრო იშვიათათ და ძნელათ შოიპოვება. ამ მიმართულების უმთავრესი პრინციპი შეერთებული, ამხანაგური შემომის და ცხოვრების გამართვა, — ათასი წლობით ასე ბოჭს რუსეთელ ხალხში, რომელსაც მიწა-წყლის საზოგადობრივი მფლობელობა (օფიციალური ვალევლადისი) და ამხანჯორბივი (ართელი) საქმის წაყვანა. მელებშიაც გამჯდარი აქვს. მართლია, რომ ეს ორივე გაწყობა

ბილება, ეხლანდელ მდგომარეობაში, ნამეტ-
ნათ შემოძეველებულია და ბევრში არ ეთა-
ნახმება თანამედროვე მეცნიერებისგან გამო-
კვლეულ მოთხოვნილებებს, მაგრამ მსგავსის,
ნაცნობის გაუმჯობესება და გადაკეთება უფ-
რო აღვილია, ეინემ ხალხში სრულიად უც-
ნობი, გაუგებარი, და ძნელათ ასახსნელი
პრინციპების შემოლება და გავრცელება. და
რაც უფრო მეტი დახმარება და გონიერი
ხელმძღვანელობა მიეცემა რუსეთში იმ ამ-
ხანაგობებს, რომელნიც რუსეთის ხალხს თა-
ვისთავათ დაუარსებია, რაც უფრო მეტი
პრაქტიკული მხრით დაუახლოვდება ამ ხალ-
ხს ახალი მიმართულების პირები, მით უფრო
და უფრო გაადვილდება რუსეთის გონიერითი
გახსნის საქმე, მით უფრო დაახლოვდება ის
დრო, როცა ამ გახსნას გაზიერი გზა მიეცემა
და მის წინ ეხლანდელი დაბრკოლება და წინა-
აღმდეგობა მოისპობა...

ერობის მოქმედებაზე ნაკლები გაელენა
არც სასწავლებლების გავრცელებას უნდა

ქონდეს. უნდა გამოვტყდეთ, სასწავლებლების და საზოგადოთ განათლების საქმე რუსეთში სუსტობს. სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ საქმეს ისეთი ხასიათი და მიმართულება მყეცა ამ უკანასნელი შეიდი წლის განმავალობაში, რომ სწავლას პრაქტიკული სარგებლობის მიზანი დაეკარგა. კლასიკური (ძველი ენების უპირატესობის) სისტემას ეხლა რუსეთში პირველი ადგილი უკავია. უეჭველია, რომ ამ გზით პრაქტიკული ცხოვრებისთვის დამზადებული, ერთობისა და მწირმოებელი შრომისთვის საჭირო პირები მეტის-მეტათ გაიშეიათდენ: ამასთანავე შუათანა და უმაღლესი სწავლის ამ კილოზე წაყვანას ის შედეგიც მიყცა, რომ სახატო პირველ-დაწყებით შკოლებში ხეირიანი მასწავლებლები ძეირობენ. თითქმის ყველა სოფლებიდამ და მაზრებიდამ გაზეთებ-

ში ის ღალადი ისმის, რომ გლეხებმა შკოლა
გამართეს, სახლი ააშენეს, ფული მოკრი-
ფეს და მასწავლებელი კი ვერსად იშოვნესო.
ეხლანდელი შკოლების უმეტეს ნაწილში
ასწავლიან თურმე ან კლასიკური გიმნაზიას
მესამე და მეოთხე კლასიდამ გამოსული ყმა-
წევილები. ანა და სემინარიელები, რომელთაც
თითქმის იმისთანავე ცხოვრებაში გამოუდე-
გარი სწავლა ეძლევათ, როგორც გიმნაზიე-
ლებს. და რაკი ჩვენ ჭავისხენებთ, რომ ამ
შკოლებში მასწავლებელს უმეტეს ნაწილ-
ში რვა ცხრა, ან ათი მანეთი აქვს, თუ ში
ჯამაგირათ, ბევრი—თუთხმეტი, ჩვენ ადვი-
ლათ შეგვეძლება წარმოჟიდგინოთ თუ რა-
ნაირათ უნდა მიღიოდეს. სწავლება ამ სახალ-
ხო შკოლებში.

შეკლის საქმე—რუსეთში როგორც ცხვა-
განც—ბევრს შეცდომას პბადავს საზოგადო-
ების გონიერებაში. ჩეეულებრივ ყველას ჰეონია,
რომ რაკი სოფლებში შეკლა გაიმართება,
ხოლო გაბეჭდიერებული რეწებათ. მაგრამ
იმას არავინ იხსენებს, რომ ხალხი შეკლაში
ყმაწყოლებს ოშეიათათ გზავნის, რადგანც
გლეხ-კაცობას ყმაწვილი შინ სჭიროა სა-
შრომოთ, და თუნდ კიდეც გზავნიდეს, იქ
მარტო წერა კითხვას ასწავლიან, მეტს ირა-
ფერს, და ავ წერა-კითხვის სწავლა ვლენ-
კაცს მეტერში. არაფრათ არ ვამოადგება, თუ
კაიძს შემდეგში არც კითხვის დრო, არც
საკითხები წიგნები არ ექნება. უცხო ქვეყნე-
ბის მაგალითით რუსეთში ბევრ ერთბებს
დაუწესებიათ მართებლობასთან ეიშუამდებლო-
თ, რომ კანონი გამოიცეს, რომლის ძა-
ლით უოფელი ყმაწეილი უსათურო შეკლაში
უნდა დაიარებოდეს, სანამ წერა-კითხვას არ
ისწავლისოდეს, ჩინებულთ და აუცილებლათ
საჭირო საშუალება მარტო ერთაშემსახუეს დაწინ-

ყოფილებს, ერთ დაბრკოლებას სპობს შკოლის საქმეში. მეორე დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, როგორც წელან ვსთქვით, რომ შკოლებში მარტო წერა-კითხეას ასწავლიან. ეს დაბრკოლება კიდეც შეუნიშნავს ზოგიერთ ერობებს, და „მმართებლობის მოამბეში“ ჩეკი ხშირათ იმ ამბებს ვპოულობთ, რომ ამა და ამ ერობამ გარდაწყვიტა თავის შკოლებში ხელ-საქნარის, კერვის, დურგლობის, ხარაზობის და სხვა ხელობების სწავლებაო. შესანიშნავია, რომ რამდენიმე ამგეარი ამბების დაბეჭდების შემდეგ თვითონ „მმართებლობის მოამბეშ“ გამოაცხადა, რომ ხალხი დიდი ხალისით აგზავნის ეხლა ყმაწყვილებს ამისთანა შკოლებშიო, რადგანც მაიში პრაქტიკულ სარგებლობას ხედავსო. უეჭველია, რომ ამ საქმეს თანდათან უფრო და უფრო მეტი გაერცელება მიეცემა ერობის მხრით, მით უფრო რომ ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებას და საჭიროებას ეს საქმე პირდაპირ აკმაყოფილებს. რაც შეეხება ამ საქმის მესამე მხარეს — საკითხავი

წიგნების შოგნას ხალხისთვის, ზოგიერთ რუსეთელ ქალაქებში კიდეც დაუწყიათ სახალხო ბიბლიოთეკების და საკითხავი ოთახების გადართვა, და ერობის მოქმედ პირებში, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, თანდათან ის აზრი ერცელდება თურმე, რომ ყველა ქაზერებში, სოფლის შეკრულების ხალხის საკითხავი წიგნებისგან ბიბლიოთეკა და საკითხავი ოთხი უნდა დაარსდეს, რასაკეირველია, თავი დაპირველათ ამ ბიბლიოთეკებს ვარაუდათ ავსებენ სხვა და სხვა უხეირო და გამოუდევარი წიგნებით. მაგრამ საქმე დაწყებაშია: შემდეგში ამ ბიბლიოთეკების გზას კარგი და სახეირო წიგნებიც მოსძებნიან, და ცოტ-ცოტა, ნელ-ნელა ხალხში სასარგებლო კითხვაც გაერცელდება...

— მაგრამ შეკრულის უმთავრესი დანიშნულება, — მომწავლე კამწვილის ხასაჟის და ზნეობის გაწვრთნა, მასგან ხეირიანი შამულის შეილის გამოზღა, მისი გონიერ და მარჯვეთ მშრომელ კაცათ გამოყენა — ლიდ ხანს კიდევ არ

ელიოსება რუსეთელ შკოლებს, ამიტომ როგორ ამისთვის აუცილებლათ საჭიროა ჩინებულათ დამარაგებული და დამზადებული მასწავლებელების ყოლაკრომებითაც ხანგრძლივი სწავლით, მნიშვნელოვანი და პიროვანი მეცნიერებით გაფულენის შეძენა შეეძლოთ, როგორც მოსწავლე კუმარების მიერ იმათ დელ-მამჩე და მთელს გლეხ-კაცობაზე. ბევრი ტურქი იყიდებს რუსეთის მინდვრებში და ბევრი მელა გასულდება იქ, სანამ იქაურ შკოლებს ეს თვისება და ხასიათი მიეცემათ...

გვარიანი, გაფლენა იქნნა ხალხის მფლობარეობაზე აგრეთვე რკინის გზების გამართვაზე და საზოგადოთ წასკლა-წამოსელის გააღველებამ. უწინ რუსეთელი გლეხი კი არა, შეუათანა საზოგადოების პირიც თითქმის დარგული და დაჭედილი იყო ნიადაგ ერთს და იმავე ადგილზე, იმას მარტო თავისი საკუთარი ქადაგლის და მეზობლების მაგალითი ჰქონდა, და თვალსწინ, და უკეთესი ცხოვრების ან სხვა ნაირი გაწყობილების ცნობა კი არა,

წარმოდგენაც არ ჰქონია. ამისი ფაში მთელი
მაზრები თავთავისთვის სცხოვრობდენ ჩატარდების სასერ
როგორც ეცხოვრათ იმათ წინჯპარებს, თით-
ქმის ქვეყნის გაჩენიდამაც. გაუმჯობესებას,
შედარებას, წარმატებას სრულიად არაფერი
სძრჩვდა და ბადებდა. გზების გამართვას და
წასვლა-წამოსვლის გადვილებას კი ის შედე-
გი აქვს დღეს, რომ ხალხი შეიძრა, სხვაგან
წივილა სამუშაოთ, ქალაქები და სხვა ზაზრები
ნახა, რაც მის ცხოვრებას და ჩვეულებას, არ
ჩამოგაედა, რომ შენოშნა და დაიმახსოვრება, გამ-
ელელ-გამომელელები ნახა, მათი განვითარე-
ბული ქასიაზე და მოქმედება გაიცნო, და
ამით, შეუმჩნეველათ, შეუნიშნავათ თეითო-
ნაც თავისი ცხოვრების კილო შესცვალა და
გაუმჯობესა. ამას თან დაერთო მისვლა-მოს-
ვლის ნიადაგი შედუგი: აზრების გაცვლა-გა-
მოცვლა, შეფარდება, ძეველი დამაოთ-მორწმუ-
ნების დავიწყება, ჭირვიერთია ხალი შეხედუ-
ლობის შემოდება, ისე რომ რუსეთელი
ხალხის გუნიერებას ამ გზების გამართვამ

გვარიანი შოძრაობა და წარმატება მისცა: ლა-
უმატოთ ამას ის მატერიალური სარგებლო-
ბა, რომელიც გლეხ-კაცობას და საზოგადოე-
ბას გზების გამართვაშ მოუტანა, და, გვგონია,
ადვილათ დაუინახავთ იმ ცელილებების ხასი-
ათს, რომელიც გზების გამართვაშ მოუხდე-
ნია, და რომელიც თან და თან უფრო
ლრმათ ჩაიჭრებიან რუსეთის ხალხის და სა-
ზოგადოების გონებით ცხოვრებაში და ტვინ-
ში...

— საზოგადოების ცხოვრებაშიაც დიდი ცელი და-
ლექციები მომხდარა. აქ, მართალია, ჯერ-ჯეროდ
ბით უფრო ის ალიანქოთი მოჩანს, რომელიც ი-
და ყოველ საზოგადობრივ ცელილებას მოზ-
დევს. ძეველი შეურყეველი ცხოვრების და მამა-
პაპური ჩვეულებების დანგრევას ის შედევი.
ჰქონდა, რომ ბევრმა ძეველი რწმუნების ძალა
დაჭყარვა და ახლოის კივერა შეიძინა რა. ბევრს
თავში კარგისა და აეის გარჩევა აებნა, ბევრმა
ძეველებური პატიოსნების ხმას წაუყრუა და
თვალდახუჭულათ „ცხოვრების სიკეთეების

ძიებას“ გამოეკიდა. გამარჯვება, შეძლება, ბა-
ტონური ცხოვრება ბევრისთვის ღმერთათ გა-
დიქცა, და ამ ღმერთს ემსახურება ეხლან-
დელი საზოგადოების უმრავლესობა. მაგრამ,
როგორც წინეთ ეთქვით, ეს აუცილებელი
შედევრი ყოველი ღრმა ცვლილებისა და
ამ გვარ ზნეობით ალიანქოთს, ამ ნაირ ზნეო-
ბით „დუღილს“ ყოველთვის მოკლე ბორჯი
აქვს. თავბრუ დახვეული საზოგადოება მარტ
ივრბილობს ამისთანა ალიანქოთის სამწუხარო
შხარეებს, ამიტომ რომ ეს მხარეები თვითონ
იმის ტყვეს შეეხებიან და თვითონ იმას შე-
წუხებენ. მაშინ ხელ-ახლავ ალიძრება საზო-
გადოებაში გაუმჯობესებული და გამძლავრე-
ბული ზნეობითი ერთობა და მაშინ ხელ-ახ-
ლავ უპირატესობა იმ მიმართულებას მიეცება,
რომელსაც საფუძვლათ საზოგადოების ზნე-
ობითი და წეონებითი გახსნა უძევს... უნდა
გავიხსენოთ, რასაც ზემოთ გამბობდით იმ
პირების გავლენაზე, რომელნიც წერილმან-
მაზრებში ჩასახლდენ, და რომლებმაც თან

ახალი შეხედულობა და ჩვეულებები ჩაიტანეს. თუმცა დღეს იმათი ძალა და გავლენა მარტო წვრილმან წრეებზეა შესამჩნეველი, მაგრამ იმათ გაცალცალკავებულ მაგალითს და ძალას მომავალში დიდა მნიშვნელობა უნდა მოეცეს რუსეთელი საზოგადოების ზე-ერთი ცხოვრებაში.

საზოგადოების ცხოვრება ყოველგან და ყოველთვის ერთ და ორ ყველს წესით დაკანონით სწარმოებს ყოველი საზოგადოება, როგორც ყოველი ხალხი, ცალკე პირებისგან არის შემდგარი და ამ პირების უშესებულებელი ფრავლებობა ნიადაგ უხასიათო, უღდეალო უმოძრაო სიცაცხლეს ნაჩევეია. ამ უმრავლეს სობაზე უმთავრესი გავლენა ცხოვრების მიმა დინარებას აქვს, თეითოეული წამის საჭიროებას და ის ნიადაგ მარტო იმაზე პფიქრობს, რასაც მისვან მისი დღითო დღიური ცხოვრების საჭიროება მოიხსევს ამ უმრავლებას აქა-იქ ურევია რამდენიმე წიჭიერი და მოძრავი პირები, რომელთაც უმა-

ჯობესი ცხოვრების სურვილი და ლტოლვით
ლება აქვთ, რომელთაც საზოგადოებისთვის
უკეთესი ბედი სწყურიათ, მაგრამ რომელნიც
თავიანთ თავს ქრთობ გაცალ-ცალკაცებულათ
და უძლურათ გრძნობენ, ამ იშვიათ პირებს
დანარჩენ საზოგადოებაზე თითქმის ყოველ-
ვის ცოტაოდენი გაცლენა აქვთ, ამ მხრით
მაინც, რომ საზოგადოება გამოუთქმდათ,
გრძნობს მათ ფონუმბის უპირატესობას და; ძა-
ლას, და საჭიროების ან გაჭირვების, ანა და
მოულოდნელი, უცნობი შემთხვევების დროს
ის ძალა-უნდაბურათ მათ რჩევას და გონე-
ბას ემორჩილება... იპადებიან ამას გარდა, ხან-
დისხან, ისეთი პერებიც, რომელნიც თავიანთი
ნიჭით და გონიერებით სწორეთ იმნარივე გავ-
ლენას ჰპოულობენ ამ ხეირიან გაცალ-ცალკ-
კაცებულ პირებზე, რომ იმათ იმედით და
მოძრაობის სურვილით ჟესებენ, იმათ შეუ-
თავიანთი თავით შემჯეროებელ კაცშის ჰბალე-
ბენ, იმათ ერთს სულ და ერთს ნებს აძლე-
ვენ და იმათ კერძოებით მოქმედებას ერთ და

ომავე ხასიათს და მიმართულობას აბეჭდენ. აშისთანა იშვიათი პირები რუსეთის ჰყოლია ხოლმე, მაგალითად-ნოვიკოვი, ბელინსკი, დობროლიუბოვი და სხვები უკეთესებიც. და თუმც ეხლანდელ ღროში, ამ უამათ რუსეთის აშისთანა მოთავე აკლია, ამისგან სრულიადაც ის დასკვნა არ უნდა გამოგვყავდეს, ვითომ შემ-დეგშიაც შეუძლებელი. იყოს მისი გამოჩენა და მოქმედება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არც შეუძლებელი, არც ნამეტნათ მოშორებული საქმეა.

როცა ეს იმედი ასრულდება, რუსეთის გო-ნებით მოძრაობას იმ ერთობის და ერთკილო-იანი მოქმედების გზა დაენიშნება, რომელიც საზოგადოებას წარმატებას ანიჭებს. მაშინ თი-თოვეულ ეხლანდელ კერძოობით შრომას, თითოვეულ გაცალ-ცალკავებულ მოქმედებას, თითოვეულ წვრლმან საქმეს და თითოვეულ მოქმედ პირს ძალა და მნიშვნელობა ერთი ათასათ გაუმრავლდება, და საზოგადო წარმა-ტება მაშინ ჩქარი და შესამჩნეველი ფეხით

გაივლის. როგორც არითმეტიკაში რამდენიმე ნოლი სრულიად უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ და როგორც იმათ დიდძალი მნიშვნელობა ეძლევა, როცა მარცხნით თუნდ ერთათ ერთი ციფრა წინ ამოუდგა, ისე საზოგადობრივ ცხოვრებაში წვრილმან მოქმედებას და ცდას ხასიათი ეცვლება და ძალა ეძლევა, როცა ხეირიანი და მომავლის აზრით აღვისილი მოთავე იმათ სულს ჩაუდგამს. და გზას გაუკვალავს...

6. სკანდელი.

მოსველი

(რიკონიაშ)

I

ნელ-ნელა მიდის მუდამ დროება,
გვმართებს იმედი, ლოდანი ჩვენა...
იმრავლე, ჩვენო ახალ-თაობა,—
წინა მოგელის შარა-გზა შენა.
ბნელ ღამეშია ელვამ დაგვნათა,
ჩვენ ეხლა ედგენართ დახლართულ გზაზედ...
მკვდრებს ჩაეძინათ ამ ქვეყნად ლრმათა,
ცოცხლებსა დაგვრჩა საქმე მიწაზედ.

II

თესლია ჰსთესავდა ათასი-წლები,
 მისი ფესვები ღრმად გასხმულია;
 ტყესა მოჰკაუავს მხოლოდ ცულები,
 ბორიოტებისა მოთხრა ძნელია;
 მას შეუთვისდნენ მამა-პაპები
 და ჩაგვინერვეს ჩვენც სიყრმეში...
 ღრმა ძილს მიეცნენ ამ ქვეყნად შკვდრები
 ცოცხლებსადაგვრჩა საქმე ხელშია.

III

რცხვენოდეს იმას, ეინც ჰაწუხს-უგნურად,
 ფოთლის შრიალზედ ეინც ჰკარგავს ენას!
 ნეტავი მას, ეინც თავ-განწირულად
 ემსახურება ჭეშმარიტებას!
 ჩვენ გავახილეთ გვიან თვალები,
 თანხმად მიეჰსცვიუდეთ მალე ყანებსა...
 ღრმა ძილს მიეცნენ ამ ქვეყნად მკვდრები,
 და საქმე დაგერჩა ხელში ცოცხლებსა.

IV

მიწა მზათ არის კარგად მოხნული;
 ეპსთესოთ, სანამდის სდგას გაზაფხული;
 კეთილ სიტყვის და საქმის თესლები
 არ არს მომავლის-თვის დაკარგული.
 სად, ან რა გვარად ეპპოვეთ თესლები,
 ამის პასუხი მიეჭსცეთ შეილებსა.,.
 ღრმა ძილს მიეცნენ ამ ქვეყნად მკვდრები,
 და საქმე დაგვრჩა ხელში ცოცხლებსა.

ჩვენი გარემობა

„გლახის ნამბობი“

„გლახის ნამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა („კრებული“ 1873, 1—3)

„გლახის ნამბობი“ 1859 შია დაწერილი, პეტერბურგში. ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ეს მოთხრობა იმ ნაწერებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მწერლის პირველი პერიოდის და პირველი მანერის ბეჭედი ასეიათ. ის ბევრით განისხვავება „კაცია, აღამიანისაგან“, „გლეხენის ვათავისუფლების სკუნებიდგან“ და საზოგადოთ იმ თხზულებებიდგან, რომელნიც ჭავჭავაძის დავაუკაცებულ გონებას და ნიჭის ჩვენი მწერლობისთვის უკვლევია. „გლახის ნამბობში“ ჩვენს წინ ახალგაზდა, ჭამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობის ავლენა აქვს, რამელსაც მიბაძვა თავიდამ

ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილო-
თი, სხვისი ენით ლაპარაკობს. შემდეგ ჩენ
სხვა თხზულებებში ეგევე მწერალი გავიცა-
ნით, თავის საკუთარ გზაზე დამდგარი, სხვის
გავლენისა და მიბაძვისაგან გათავისუფლე-
ბული, ბეჭითათ მოლაპარაკე თავისი საკუთა-
რი ენითა და თავისი საკუთარი გრძნობის გა-
მომზადებული. და ეს „გლახის ნამზობი“ ჩენ-
თვის მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინქ-
ბული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს,
მის უწინდელ გზას გაგვაცნობს, მის პირველ
ენის ამოდგმას გვასწრებს. ჩენი მწერლობის
ისტორიისათვის ძმით დღიდი მნიშვნელობა ეძ-
ლება ამ მცირე მოთხრობას, უფრო მეტა ვი-
ნემც იმას მისი საკუთარი ლირსება და მისი
ნამდვილი ფასი მციცემდა.

ამ მოთხრობას, როგორც ეთქვით, აუცხო
ქვეყნის მწერლობის გავლენაზე ტყვება რუსულ
მწერლობაში ამ ოცი წლის წინათ ურთი ისე-
თი შიმართულება ჰარსდა, განსაკუთრებით
ბელლეტრისტიკაში. რომლის ნამდვილს და

ჩინებულს სურათს „წარმოგვიდგენს ჩეენ „გლად
ნის ნამშობი“. როცა ეს მწერლობა ათას
ნაირ ჭახრაკ წაჭირებული იყო, და თავისი მა-
შინდელი გულის-წალილის გამოთქმას ვერ ახე-
რხებდა, იმ გულის-წალილის, რომელსაც თანა-
უფრძნობდა მთელი შაშინდელი გონიერი და
სინიღისანი საზოგადოება, ის სხვა და სხვა კი-
ლოთი, სხვა და სხვა მოხერხებული გადაკ-
რულ-გადმოკრული სულისნამედით ჰბედავდა
ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდნათ მაინც
გაეხსენებია მკითხველის ათვის ეს გულის-წა-
ლილი. როგორც მკითხველმა იცის, მაშინ
რუსული სტიგმულებისა და მწერლობის უმა-
თავრესი გულის-წალილი და იდეალი იმაში
მდგომარეობდა, რომ მოსპობილიყო როგორმე
ის უჯიშო და კაცის დამმდაბლებელი ბატონ-
ყმობა, რომელიც სულს ართმევდა რუსეთელ
ხალხს და ნიაღავ დაბრკოლებათ უდგა საზო-
გადოების წარმატებას და წინ-წაწევას. ამ სა-
ერთო და საყოველთაო გრძნობას ვერ გამო-
თქვამდა იმ დროინდელი რუსული მწერლობა,
ამიტომ რომ მწერლობის გარეშოებები იმის

გამოთქმის ნებას არ აძლევდენ, რაც მწერ-
ლობას დაარსებულ კანონებში და გაწყობი-
ლებაში. სავნებელ და შესაცვლელ რაომე მია-
ჩნდა. მაშინ მწერლობამ, რომელსაც ამ მხრით
თავისი აზრისა და გრძნობის გამოთქმა არ
შეეძლო, უფრო მოთხრობებს, რომანებს
და ღრამულ თხზულებებს მიაწვა, რომლე-
ბშიაც კარგათ თუ ავათ გლეხ-კაცური მდგო-
მარეობის შებრალების გამოსახვა შეიძლებო-
და.

მაშინდელმა *Современникъ* მოდაში შემო-
ილო ისეთი ბელლეტრისტული თხზულებების
ბეჭდვა, რომელშიც გლეხ-კაცობა გამოყენილი
იყო კაცურ კანში. ამ თხზულებებში ნიადაგ ის
აზრი იყო გაყენილი, რომ გლეხებიც კაცები
აჩინ, ამითაც გრძნობა აქვთო, იმათაც ბეღნიე-
რება და კეთილდღეობა სჭირიათო, იმათაც გუ-
ლიაქვთო. მაგრამ, რადგანაც იმ ღროს მწერ-
ლობში თითქმის მარტო რომანების და ფელტო-
ნების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულე-
ბუბშიაც მარტო სიყვარულზე და ქალისა და

კაცისა გულზე ლაპარაკის ნება ვქონდა მწერალს, *Современникъ* ბატონ-ყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა: მის რომან ნებში და სხვა ოხზულებებში ნიადაგის ერთი და იგივე ანბავი იყო აწერილი, რომ გლეხს გლეხის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გაელენამ და ძალადობამ იმისი ბეჭედი ნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩეილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დააობლათ. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმდროს ეს დიახაც საჭირო და სასარგებლო მწერლობა იყო. შეითხეელი ძალაუნებურათ იმ შეხედულობას ეჩვერდა, რომ გლეხსაც კაცის გული აბალია, რომ იმასაც ამ გულში კაცის გრძნობა, სურეილი და იმედი უღეივისო, რომ გლეხიც ღეთის გაჩენილი ქმნილებაა და ღმერთს ის ქეყანაზე სატანჯველათ და სხვის მრჩენელათ კი არა, თავის თავის სანუდეშოთ გაუჩენიათ. ამით შეითხეელ საზოგადოებას, რომელსაც უიმისოთაც ბატონ-ყმობა უსამართლო საქმეთ მიაჩნდა და

მისი მოსპობა გამოუყვლეველ ნატურალ ჰქონდა, ნამდევრული თანაგრძნლება და შებრალება ებადებოდა გლეხ-კაცობისა. და ეს კილო, ეს მანერა და ეს ჭარვებლობა ხასიათით ჰქონდა ყველა მმ მწერლებს, რომელიც მაშინ ცე-
врепенеми иск'ма წინ წამოსწიან და რომელთაც
საზოგადოების აურადება თანაგრძნობა და
მაღლი მოუპოვა.

ამ მწერლებში პირველი ადგილი ეკავათ გრიგორიონის, პოტეკინს (ალექსის), ტურგენ ევს („მონადირეს წერილებით“) და პისემსკის გან-
საკუთრებითი მნიშვნელობა მიეცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მარკევიჩის ქალს (მარკო-ეოვ-
ჩიკს). იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავალობაში მეტის მეტი ხალისით ჰკითხუ-
ლობდა რუსული საზოგადოება, და მწერლო-
ბაც, ესე იგი კრიტიკა, იმ სარგებლობის მი-
ხედვით, რომელიც ამ თხზულებებს საზოგა-
დო ჭარბისათვის მოჰქონდათ, როდი ეხებოდა
და როდი ანიშვნინ ებდა. მკითხველებს იმათ
სუსტ მხარეებს, როდი ჰკიცხავდა იმათი ხე-

ლოვნური მხრის ნაკლულევანებას, ორდი ა-
ბობდა ნაზდეილი ხელოვნური მწერლობა
უფრო მუჯითი გზით უნდა დაიძრებოდეს.
კრიტიკა რომ იმ დროს ეს შენიშვნები გა-
მოიღვა, იმას რომ იმათი ხელოვნური სი-
სუსტე გამოეაშეარებია, ამით საშინელი ვნე-
ბა მიეცემოდა საზოგადო საქმეს—გლეხ-კა-
ცობის გათავისუფლებას,—და სული ჩაედგმო-
და, ძალა მიეცემოდა იმ უხეირო მწერლო-
ბას და იმ საზოგადო მიმართულებას, რომე-
ლიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმათ ეწინააღმდე-
გებოდა ან სწყევლიდა. და პირველი ხმა, რომე-
ლიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების
წინააღმდეგ ამოილო, მათი სისუსტის შესა-
ნიშნავათ, მარტო გლეხების გათავისუფლების
შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა: თეი-
თონ სივრცე გამოთქმა სხვა უფრო ხე-
ლოვნურა თხზულებების საჭიროება თავისი
უფროსი თანამშრომლის სტატიით „Не на-
до ли перевести?“ (Совр. 1861, № 11)
რაში მდგომარეობდა, ვითომ, ეს ნაკლუ-

ლევანება და რას მოითხოვდა კრიტიკოსი ხელოვნური მწერლობის სახელით?

ამ მწერლების (ცრიგორიოვის, პოტენის, პისემსკის, ტურგენევის, მარკო-ერებიშვის და სხვ.) ნაკლულევანება ამაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლეხ-კაცობას ზატავდენ ისე, თითქო წარ ნამდებილი გლეხი კი არა, მათი სკუთარი თავი კულტდეთ, გლეხ-კაცურ ფარავაში ჩატარდეს. ისინი გლეხის მდგომარეობას არც კი ოცნობდენ. იმათ გლეხები შორიდამ დაწარახოთ, და თავიანთ ჟაბინეფში პეტერბურგს, მოეაზრებიათ, რომ რადგანც გლეხი ჩეცნისთან აღამიანია, იმასაც ჩეცნნაირ გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსაცირუნდა გრძნობდესო. ამის ვამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი შიტყვები ჰა აზრები გამოითქმდა, რომელთაც გლეხი კაცი არ იცნობს და არ ხშარობს. მყითხველისწინ, ნამდეილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე, იღვანასწავლის

კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის
ნამდგრად ენას, თავის საყოველდღეო დარღს
და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდამ
ამოკითხულ, ბაირონის და შილლერის ფრა-
ზებს ამბობდა და გამოზეამდა. კაცი გრძნობ-
და, ცრომ ეს ფრაზები ეს ვითომ-გრძნობა,
ეს დარღი დრმათ და ჭეშმარიტათ გულს გამ-
ჯდარი რომ ჰქონდეს ამ გლეხს, უფრო
გასაგები, უფრო ბუნებითი და გულიდამ პირ-
დაპირ ამოსული სიტყვებით ფამოთქვამდა ის
თავის სათქმელსო. მკითხველს ის შთაბეჭდი-
ლება რჩდი რჩებოდა, რომელსაც მოუგონ-
ნელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტო-
ვებს, ის შთაბეჭდილება, რომელიც ურუან-
ტალს უკლის კაცს ტანზე და რომელიც
თირქმის სანიადაგოთ რჩება მის ტეინში და
მეხსიერებაში. ამ შთაბეჭდილების შაგიერ ის
ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ ნასწავლ
და ზეპირ-მოალაპარაკე გლეხს, რომელიც
ისეთ ნაირსახელაპარაკობდა და იქცეოდა,
როგორც ილაპარაკებს ან მოიქცევა გერმა-

ნიელი სენტიმენტულური მწერლობით გა-
მოზდილი კაცი, და ორგორუც თავის დღეში
ვერ ილაპარაკებდა ვერც ერთი მაშინდელი
გლეხი ან გლეხის ქალი. ამ თხზულებებშიგა-
მოყვანილი გლეხ-კაცობა ყოველთვის გულა-
კეთილი, მეტის მეტათ პატივსანი, მტკიცებ
გამრჯელი, ერთი სიტყვით ყოველი ლირ-
სებით და უმანკუებით ავსილი იყო. მკით-
ხველს თაოქმის ის აზრი რჩებოდა თავში,
რომ ანგელოზები ჩამოსულან ციდამ და
გლეხის ტულუფი, გლეხშს სარაფანი ჩაუც-
ვიდო. გულ-კეთილება, გრძნობის სიჩეილე,
მჯუსყიდლობა, ნიადაგი შრომა, წუთიერი სია-
მოვნების ან სიმთვრალის ზიზღი და დავიწ-
ყება, მოვალეობის მუდამი და სინწილისგან
შესრულება, ერთი სიტყვით ყოველნაირი სი-
მართლე ნიადაგ მათ მხრით იყო, ვითომ,
ავაზაკათ უსინილიჭა მჩაგვრულათ, ბნელ-
ეშმაკათ, მოძალადეთ მუდამ სტარისტა და
ხანდისხან მეტატონე გამოიყვანებოდა. და
მკითხველი, აშენგამო, მართალია, სიმპატიას

გრძნობდა. გლეხ-კაცობისადმი, მაგრამ ის
იყვარებდა ნამდვილ გლეხ-კაცობას, ცოცხალ
გლეხს კი არა, იდეალური გლეხის, „პერზა-
ნების“ სურათს და წარმოდგენას. და როცა
შემდეგში ცხოვრება იმას ხალხთან აახლო-
ვებდა, როცა ის ხალხის ნამდვილ მდგომა-
რეობას და ხახიათს გაიცნობდა, როცა მის
წინ „პერზანების“ და იდეალური გლეხების
მაგიერ ნამდვილი გლეხკაცი დაფიქტოდა, მი-
სი ნაკლულევანებით, მისი უგნურებით და
ცხოვოებით გაფუჭებული ან გათელილი. ხა-
სიათითის ველარ ცნობდა თავის ჟაყვარელი
გლეხკაცის“ სურათს, ის პერზობდა ეს წამ-
ხდარი, უსინიდისო, ბინძური და უგრძნო-
ბელი ქმნილებაა და არა გლეხ-კაციო, ის
იზიზლებდა იმას, ხანდისხან შებრალებას ივიწ-
უებდა და როდილა ჰოგავდა. ჟაყვარელი, შე-
საბრალებელი, დასახოგავი გლეხი სულ სხვა-
ნაირიაოთ ფიქრობდა ის, ის გულკეთილი, სი-
ნიდისიგნა, მშრომელი, გრძნობიერი და ბა-
ტონის. ხათრით აღვსილი ქმნილებააო, და

ეს კი უფრო იშვიათ საციზლარ სტაროსტებს ჩა-
მოგავს, რომელთაც მე იმ მოთხრობების
კითხვის დროს უსწყევლიდიო. იმათ აბა რო-
გორ დაცხოვავო!

უეჭველია, რომ ეს ძლიერ დიდი ნაკლუ-
ლევანება იყო იმ მწერლობისა, რომლის ხა-
უიათს ჩვენ ვსწერთ, მაგრამ, ვიმეორებთ, რომ
ჰაშინდელ დროში, 1861 მდი. ამ ნაკლულე-
ვანებაზე შეჩერება, მათი ძაგება ან გამოაშ-
კრიავება კრიტიკის მხრით ნამდვილი შეცო-
მა იქნებოდა, ამიტომ რომ კრიტიკა ნიადაგ
პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ას-
რულებდეს და თითონ მწერლობის საჩვენე-
ლობის და საქმის მაღლა შთელი ხალხისა და
საზოგადოების საჭიროებას და სარგებლობას
უნდა სთვლიდეს. მაშინდელი რუსული კრი-
ტიკა იმ აზრით მოიქცა, რომ ჯერ გლეხების
გათავისუფლება კანონათ იქცეს, და მერმე
თუნდ იგრძნოს საზოგადოებამ ნამდვილი
გლეხ-კაცების ნაკლულევანებაო, შაშინ იმ-
დენი ვნება ან მიყცება საზოგადო საქმეს.

მით უფრო რომ შემდეგ ვეცდებით საქმე გა-
ესწოროთ და შეუფერავი სურათებით საზო-
გადოების გრძნობა გავასწოროთო.

ეხლა ისიც გავიხსენოთ, საქმის უკეთესათ
გაგებისთვის, თუ რას მოითხოვდა ნამდვილი
ხელოვნური მწერლობა ხალხის მდგომარეო-
ბის გამოსახვის დროს, რას მოითხოვდა რუ-
სული კრიტიკა მწერლობისაგან, და რა ვერ
მისცა იმას მაშინდელი მწერლობის სუსტმა
და გამოუცდელმა მწერლებმა. ეს ჩვენ იმ
მხრითაც გამოგვადგება, რომ როგორც წი-
ნეთ აწერილი ნაკლულევანების კვალი ჭავ-
ჭავაძის „გლახის ნამბობს“ ამჩნევია, ისე ამ
ახალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მისი
შემდეგი თხზულებები, და განსაკუთრებით
„კაცია, ადამიანი.“

ხელოვნური მწერლობის დანიშნულება
იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკით-
ხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების
და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასი-
ათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკით-

ხელი ამ მდგრამარჯობის, ხასიათის და საჭიროებების ნამდვილ გარემოებებში და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და აქს მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაფებაც ჰქონდეს, რომელთაც ესები დაუბადნა. კაცობრიული საზოგადოება ანგულოზებიდამ კი არ არის შემდგარი, იმას სხვა და სხვა სურვილი, აუისება და საჭიროებები აქვს, და ზოგი ამათგანი კარგია, ზოგი ავი, ზოგი მოსაწონია, ზოგი არა. მარტო ერთის მხრით ჯაღაჭარბებით, მარტო აეის ერთ წოდებაში ან პირში გამოხატვით და კარგის — მეორეში საქმე შორს ვერ წავა და საზოგადოების გრძნობაზე და ხასიათი ვერ გადაკეთდება. ქვეყანაზე ოსადაა არც ნამდვილათ და მთლათ ერთიანათ ავი კაცი, ბოროტებით თავიდამ ფეხებაში ალესილი, არც აზეროზეს-მსგავსი გმირი. საზოგადოთ ყოველ სულდგმულს ბევრი კეთილი თვისება და მხარე აქვს ხასიათში, ბევრი ცუდი და მოსასპობელი. ამის გამო მწერლობის მხრით შეცოლაა იმრიგათ უხატავდეს

მკითხველს ადამიანის საზოგადოებას, რომ აი
ეს პირები გიყვარდები, და ქსენი კი გრაგლე-
სო, ამათ გზა დაუცალე და სხვებს კი ხელ-
ფეხს შეუჭოჭეო. ამ ნაირი მწერლობა პრო-
კურატურას ჩამოგავს, და ამ თუ დანიშნუ-
ლებას შეა დიდი განსხვავება უნდა იყოს.
მწერლობა იმას უნდა იკვლევდეს, თუ რომელი
თვისება როგორ მდგომარეობიდამ სწარმო-
ებს, რომელ მდგომარეობას რა წამალი მოუ-
ხდება, რით უა როგორ დაკმაყოფილდება
კერძო პირების. მოთხოვნილება და საჭირო-
ება. არც ერთს კაცის გულის თვისებას არ
უნდა ივიწყებდეს მწერლობა, ამიტომ რომ
ყოველი თვისება, თუ კი ის რამდენიმე ასე
და ათასს კაცისათვის საერთოა, უსათუოთ
რამე ბუნებიში მიზეზი და ფესვი აქვს კაცის
აგუბულებაში. მწერლობა კყელა ამ ნაირ
თვისებებს უნდა აკვირდებოდეს, და გაიცნობ-
დეს და იმ მხრით შინჯავდეს, თუ რანაირაზ
შეიძლება თითოეული კაცის მოთხოვნილების
დაკმაყოფილება ისე, რომ სხვებს ამ დაკმა-

ყოფილებამ არ აენოს, სხვები არ დაჩაგროს
 და სხვის მოთხოვნილებას და საჭიროებას
 გზა არ გაუხილოს. გონიერმა მკითხველმა
 მწერლობიდამ იმის ცოდნა უნდა გამოიტა-
 ნოს, თუ როგორია ნამდვილი ცხოვრება,
 რა თვისებები აქვთ თანამედროვე ხალხს და
 საზოგადოებას, რა საჭიროება ადგია, რას
 ეძებს და თხოულობს ეხლანდელი გაცობ-
 რიობა, და რა გზით, რა საშუალებით რა ია-
 რალით შეიძლება როგორც ამ საზოგადო
 მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე თვი-
 თოვეული ხეირიანი კაცის საწილებლიანი მოქ-
 მედება თანამედროვე საზოგადოებაში, თანა-
 მედროვე გარემოებებში.

როგორც საჩივალოების ზნეობით ამაღ-
 ლებისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ
 მწერლობას უკეთესი ცხოვრების და გაწყო-
 ბილების ნათლად გამოხატული იდეალი ჰქონ-
 დეს, იმნაირათვე აუცილებლათ საჭიროა, რომ
 ესევე მწერლობა მკითხველს თანამედროვე
 ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას

და ხასიათს აცნობდეს, რომ კაცმა იცოდეს, ხელში რა იარაღი ექნება და რანაირ მასა-ლასთან ექნება საქმე, რანაირ გარემოებებში დასჭირდება შრომა, რა და რა გვარი შემთხვევა და დაბრკოლება დახვდება გზაზე, რა ხასიათის წინააღმდეგობა აუტყდება და რამ-სიდე ლონისა და ენერგიის ხმარება დასჭირდება. უამისოთ მწერლობა მკითხველ საზოგადოებას თვალს ვერასოდეს ვერ აუხელს და თუ რასმე მოახერხებს, მარტო იმას, რომ ორიოდ სამს კერძოობით აზრს ან გრძნობას ჩაუსახავს მკითხველის გულს, ორიოდ სამი მხრით გააუმჯობესებს მის ხასიათს. და როცა ამ გვარათ გაუმჯობესებული მკითხველი ცხოვრების ნამდვილ მიმდინარეობას შეხვდება, როცა იმას უცნობი დაბრკოლება, უნახავი. და გაუგებარი თეისებები წინ დაუდგება, ის გაშტერებული და დაუმზადებელი კაციები ან გულ-ხელს ურევს, ანა და ცხოვრების მიმდინარეობას შიპუვება და დანარჩენი საზო-

გადოებისავით ბრძან და გაუგებრათ მოქმედებს...

მწერლობა იმისთანა მკითხველებს კი არ უნდა ამზადებდეს, რომელთაც გაზეპირებული აქვთ ვითომ-ზნეობითი კატეხიზმოს ლიბერალური მუხლები, და რომელნიც ამ მუხლებით ზმანავენ ყველაფერს, რაც კი ცხოვრება-ში იმათ შეხედებათ. ამისთანა მკითხველი სანდო და გამოსაღები იშვიათათ გამოვა; მწერლობას მიზნათ იმისთანა მკითხველების დამზადება უნდა ჰქონდეს, რომელთაც საზოგადო მიზანი კარგათ იცოდენ და თანა მედროვე შდგომარეობა გაცნობილი ჰქონდეთ. თუ მკითხველს ხეირიანი ტეინი და ვრძნობა აქვს, ამ ცოდნით ის ყოველ გარემოებებში გზას და კვალს გაიგნებს, კარგს და სასარგებლოს ავისა და სავნებელისაგან გაარჩევს და ხალისი თუ ექნა, საქმეს ყოველთვის სარგებლობას მოუტანს. იმას, მართალია, ზეპირათ როდი ეცოდინება ლიბერალური არტიკულები, მაგრამ სამაგივროთ ის თვალიახელილი

იქნება, მისი გონება საკუთარ მუხლებზე
მარჯვეთ იდგება, იმას ახალ გარემოებებში
სინათლის დანახვა და კეთილი გზის პოვნა
თვითონვე შეეძლება. ნასწავლი და თუნდ
სწავლული მაშინის მაგიერ, ის კაცი იქნება,
საკუთარი გონებით და მოაზრებით მოქმედი,
და თუ იმას საზოგადო საქმის, საზოგადო
მიზნის ხსოვნა არ ამოეხოცა გულიდამ, მის
მოქმედებას თითქმის ყოველთვის კეთილი და
სასარგებლო შედექი ექნება.

აი ამისთანა მყითხველისთვის უნდა ამზა-
დებდეს მასალას თანამედროვ და გონიერი
მწერლობა, და ეს მასალის დამზადება, რო-
გორც წინეთ ვთქვით, განსაკუთრებით იმაში
მდგომარეობს, რომ საზოგადო მიზნის, უკე-
თესი იდეალის გამოსახვას გვერდით მოჰყე-
ბოდეს ეხლანდელი ხალხის, საზოგადოების
და ადამიანის ნამდვილი ხასიათის, მდგომარე-
ობის და საჭიროების გამოხატვა. ამისთვის
საჭიროა ზოგიერთი წოდების ან გრუპების
შეფერვა და ცამლი აყვანა კი არა (ეს მარტო

ხანდისხან, ბრძოლის დროსაა გამოსაღევი) მათი პირუთენელი ავისა და კარგის გამოთქმა, მათი ნაკლულევანების გაცნობა, მათი სისუსტის დანახვა, ერთი სიტყვით მათი ნამდვილი ხასიათის ცოდნა. ჩვენს საგანს რომ დაუბრუნდეთ და ისევ გლეხ-კაცობაზე ლაპარაკი განვაგრძოთ, გვეთქმება, რომ რუსთელ მწერლობას გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტიმენტური და შეფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი დღი-თი-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისა-გან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბ-ლებული და უზონო, უპატიური ცხოვრებით უნდა გამოეყენა. მწერლობას მკაფეელისთვის უნდა ეჩვენებია, რომ ცუდ წესს, ძალადობას, სიღარიბეს, უშეცრებას, განათლებული წოდებისგან მიტოვებას ეს ღვთისგან გაჩენილა, ჩვენი მაგალითი და ტოლი ადამიანი დაუმდაბ-ლებია, გაუბინძურებია, გაუსულელებია, თითქმის პირუტყეათ გაუხდია, და მასში დღეს

ღვთის სახე და მსგავსება კი არა, აღამიანის
სურათიც აღარ მოჩამსო. მწერლობას გლეხე-
ბის შდგომარეობა ნამდვილათ და სწორეთ,
შეუფერავათ რომ გამოეხატა, აღმოჩნდებოდა,
რომ განათლებულ საზოგადოებას, გონება
გახსნილ წოდებას, „უმაღლეს კლასებს“ და
თეითონ მთავრობასაც აუცილებლათ სჭირიათ
ამ დამდაბლებულ და დაბრმავებულ გლეხ-
კაცობას ყურადღება მიაქციონ, დაეხმარონ,
უკეთესი მოძავალი და ბედი მოუმზადონ, ამი-
ტომ რომ შეუძლებელი და გაჭირვებული
საქმეა მაღალი საზოგადოებისთვის და მთავ-
რობისთვის იმისთანა ხალხში გაძლება და
ცხოვრება, რომელიც ამისთანა უბედურ და
დამდაბლებულ მდგომარეობაში იმყოფება.
ამ ნაირი საქმის გამოხატვა მწერლობის მხრით
ხელოვნური. მწერლობის მოთხოვნილებასაც
და კმაყოფილებისა და თან საზოგადობრივ
საჭიროებასაც სიკეთეს უზმიდა, საზოგადო
მიზანს სარგებლობას მოუტანდა, რუსეთის
პოლიტიკურ გახსნას დაეხმარებოდა და გაა-

ადვილებდა...ეს მაგალითი კრიტიკის და მკითხველის ყურადღების, ღირსია: ის გვიჩვენებს იმ კანონის სიმართლეს და სინამდეილეს, რომ ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გავლენიანი და გამოსაღევი პუბლიცისტიკა თითქმის ერთი და იგივე საქმეა.

აქედამ არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყენოს, ვითომ მწერლობას ჩვენის აზრით ნიადაგ და მარტო დღითი-დღიური ცხოვრების ჭიროვრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში. ამაშწინეთ *) ჩვენ ურცლათ მოვილაპარაკეთ და პირობებზე, რომელიც მწერალს ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ასაწერი საგნების არჩევის და გამოხატვის დროს, და ურთი და იშავე აზრის ათასჯერ გამოთქმა, ხომ, მკითხველსაც უნდა აბეზრებდეს თავს და მწერალსაც. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ მწერლობაში შეუფერავათ და სწორეთ უნდა გამოიჩატებოდეს თანამედროვე

*) „კრებული“ 1871 № 3, სტატია: „კრიტიკა და იმის: მნიშვნელობა კლატერატურაში.“

ცხოვრება. მაგრამ, მეორე მხრით, მწერლობა
ბაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა სხვა
საჭიროებასაც აქვს, და მწერლობა ამ საჭი-
როებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მწერლობა
მირტო მასალებს და იდეალს კი არ უნდა
იყვლევდეს, იმას ხშირათ სხვა დანიშნულებაც
აქვს,—პირდაპირი სჯის გამოთქმისა, გამოხა-
ტული მოვლენის დაფასებისა, მისი ნამდვილი
ადგილის ჩეენებისა, და ამ მხრით იმას ძლიერ
ხშირათ მეორე იარაღის ხმარება; მეორე კი-
ლოთი წერა სჭირდება: მწერლობაში დიდი
გავლენა და ძალა აქვს მწვავ და სასტიკ სჯას,
და ცინგას, ირონიას, მწერლის გრძნობის. გა-
მოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ
მწერლის შთაბეჭდილების პირდაპირათ გადა-
ცემას მკითხველისთვის. ხელოვნურ მწერლო-
ბაში. ამ შხარებაც დიდი ადგილი უკავია, და
უმჯობეს მწერლებს ეს იარაღი თითქმის სე
ხშირათ უხმარის, როგორც ცხოვრების შეუ-
ფერავი და გონიერი გამოხატვა. ეს მეორე
იარაღი უფრო საჭირო და გამოსადეგია ჩაშინ;

როცა საზოგადობრივი ცხოვრება ცოტაოდნათ მაინც მოძრაობს, როცა საზოგადოებაში აშკარათ ან მალულათ ბრძოლა სდულის, როცა მწერლობა პირდაპირ ამ ბრძოლაში უნდა ერევოდეს და თავის აზრს, შთაბეჭდილებას და ყრძნობას საზოგადოებას უნდა ავებინებდეს. აი ამ დროებაში, ამნაირ გარემოებებში საჭირო და გამოსადევია სატირა, იუმორული თხზულებები, პატილეტი, საჭიროა ერთი სიტყვით ფელტონური ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზემოთა გვაქვს ნათქვამი, ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეაღენს.

ამაებზე ჩვენ ლაპარაკი იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ეხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია, იდამიანი“ საკმაოთ გვიჩვენებს, რომ „გლახის ნაამბობის“ ცდას შემდეგ იმას მალე გაუგია იმ მიმართულების სისუსტე, რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპა-

რაკობდით, და მალე გაუცვნია ნამდვილათ
ხელოვნური მწერლობის კილო და პირობები.
„კაცია, ადამიანში“ გამორჩეული საგანი სწო-
რეთ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვ-
რებაში არსებობს, და დაფასებულია პირდა-
პირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური
შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლე-
ხების გათავისუფლების სცენები“ ერთი მხრით
ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვ-
ნილებას აკმაყოფილებენ, და ჩინებულათ აკმა-
ყოფილებენ, და მეორე მხრით თანამედროვე
ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო ხაქმეს და
საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან,
ეგრეთვე ოსტატურათ და სურათების ძალით!
ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“,
ხომ, ჩინებულათ იმ დანიშნულებას ეთანხმე-
ბიან, რომელიც მწერლობის წუთიერ, საჭირო
და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი ლექ-
სების გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება
ამათში მეტის-მეტათ სანუგეშო გავლენას
წარმოგვიდგენენ. მაგრამ ამაებზე ჩვენ სხო-

მის გვექნება მოლაპარაკების დრო და შემთხვევა. ეხლა კი ჩვენს „გლახის ნამბობს“ დაუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვით მასზე სჯა დავაბოლოვოთ.

ეს თხზულება, როგორც წინ ეთ კოქით, 1859 შია, დაწერილი პეტერბურგს. იმას იმ მწერლობის გაფლენა ატყვია, რომლის წარმომაზე ელი იყვნენ რუსთაში: გრიგოროვიჩი, მარკო-კოვჩევი და სხვ. მაგრამ, რაღაც მიმბაძეელი პრმა მიბაძეას არ სჯერდებოდა, რაღაც მისი ხელოვნური გრძნობა მაშინაც ხედავდა ამ-ვვარი მწერლობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს, იმის „გლახის ნამბობში“ ეს სისუსტეები მეტის მეტათ შემსუბუქებული არიან. მაგალითად, წელან რომ ვამბობდით რუსულ რომანებში გლეხი რჩეოდ სენტიმენტალურ, მწერლობის ენაზე ლაპარაკობდათ ქო, ილ. ჭავჭავაძეს უგრძენია ეს ნაკლულევანება, და მის „გლახის“ ნახტავლს ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრში დამ-

ვე ერთ კეთილ მოქმედ ღვდელს შეურის, რომელიც იმას წერა კითხვას ასწავლის, გრძობისა და პატიოსნების ძალას აგრძნობინებს და გზას უჩვენებს, და „ვეფხვის-ტყაოსანს“ აკითხებს, აყვარებს და აგებინებს. „ვეფხვის-ტყაოსანზე“ აღზღილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებებით გამოკვებულ კაცში, რასაკვირველია „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერული ან ნამდვილი გრძობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია.

ამავე აღზრდით აიხსნება ის გრძნობის სინარნარე და სიფხიზლე, ის პატიოსნური ამაუყობა და ზნეობითი სისუფთავე, ის ჭადაჭარბებული რელიგიური გრძნობიერება და გულის სიჩეილე, რომელიც „გლახის ნამბობში“ ასე აშკარათ ეწინააღმდეგება ნამდვილი ცხოვრების სურათებს. მაგრამ, ვერც ეს ზერჩი, ვერც ცალკე აღვილების შშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგავები, ანდაზები და მარჯვეთ, მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები ვერ მაღვენ იმ საზოგადო ნაკლულე-

ვანებას ამ თხზულებისას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი დედა საგანი იშვიათი, განვითარებული შემთხვევა და ხასიათია. მკითხველს ნიადაგი ის აზრი აქცე თავში, რომ მართალია, ამგვარი შემთხვევა ხშირათ მომხდარა ხოლმე ჩვენშიც, ბატონიშვილის დროსა, მაგრამ იმ შემთხვევებს ამნაირი გარემოებები თითქმის არასოდეს არ დაჰყოლიათო, ეს ამბავი „შეკეთებული“, შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო და სხვ. და სხვ.

მაგრამ თუ ჩვენ ამ საზოგადო ნაკლულებანების დავიწყება მოვახერხეთ და კეისარს კეისრის მივეცით, მაშინდელი ღროის საჭიროება და გონების მოძრაობა გავიხსენეთ, და სისუსტეს უკუმიგდებით დანარჩენ შხარებს თვალი გადავავლეთ, ბევრ ნიჭიერს და გრძნობათ საესე ფურცლებს წარმოგეოდგენს ჩვენ ეს „გლახის ნამბობი.“ ღვდლის სიტყვებში, მისი ერთობ-გადაჭარბებული სიწმინდე და

ჭულკეთილობა რომ დავივიწყოთ; ბევრ ხელოვნების მარგალიტა შევეცერებით ხოლმე. მაგალითად თუნდ იმ ადგილს მოვიყეანთ, სა-დაც ღვედელი პეტრეს სწავლისა და ცოდნის სარგებლობას და საჭიროებას უხსნის, გასაგე-ბი, უბრალო და გონიერი ენით, ჩინებული მაგალითებით და შედარებებით. ეს სწორეთ „საქრესტომატიო“ ადგილია. ყველა იმ ად-გილების ამოწერა ან მოხსენება რომ მოვინ-დომოთ, საიდამაც გამოსჭვერს „კაცია, ადა-მიანხის“ შემდეგი აფტორის ნიჭი და ძალა, ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწეროთ ან ჩამოეთვალოთ, და „გლახის ნამბობი“ მკითხველს ახლად-წაკი-თხული აქცე, მისი ხსოვნა და შთაბეჭდილე-ბა იმას ისე არ დაუკარგია, რომ ეხლა ჩვე-ნი გახსენება და ჩამოთვლა სჭიროდეს. მაგრამ ორიოდ-სამ მაგალითს მაინც მოვიყეანთ, რომ მკითხველმა იცოდეს, რა ნაირი ადგილები გვაქვს მხედველობაში, როცა „გლახის ნამ-

ბობის კერძოობით ღირსებებზე ცლაპარა-
კობთ.

«ადამიანს, — ამბობს გლახა იმ ადგილს, საცა ის
ათავებს იმ სურათის აწერას, თუ თავის შეუვარებულს.
პირველათ „ჰო“ როგორ ჩამოართვა, — ადამიანს ხანგრ-
ძლიფ რომ შეხვდეს ამ წუთის ხოფელში იმისთანა დრო,
ეს წუთის ხოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის
ხოფელი იმიტომა ჰოქმევია, რომ უველავერი წუთობი-
თა ჰსცოდნია, უბედურების მეტი.»

ან აი ეს:

„ხიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო (არიგებს გლახას
დვდელი), არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა. არის
ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის-
ვარსკვლავები მაშინ არა ჰჩანან...“

ან კიდევ სურათი:

„გაოცებული ვუყურებდი დვდელს. სახე გამოეცვა-
ლა, თვალი გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა,
თითქო მკერდში არ ეტევაო. გატყობდი; რაღაც უნდა
ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარა მითხრა რა და
სიარულში გაიქარწყლა გულის. წადილი.«

ან ეს შედარება, რომელიც დვდელს უხ-

მარია, როცა გაბრიელს მისთვის უყითხავს „ვეფხვის ტყაოსანი“ სამღვთო რამ არის თუ არაო?“

„ყველაფერი სამღვთოა, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწერა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისოვის ჭი გაუნათლებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშავარს, გულის სიკე-თეს, ხილათ გასდებს, რომ თუ არა თითონ სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხილს ჰედ ამჩნევია უოველ-თვის ლეთის მაღლია.“

ერთის სიტყვით ძალათ თუ არ შევიკავეთ თავი, ამისთანა ჩინებული თვლების ამო წერა ასასობით მოგვინდება.

ილ. ჭავჭავაძის ოხზულებებს შეა შეორეც იპოება ისეთი, რომელსაც ამ „გლახის ნამბობ-თან“ ბევრი საერთო თვისება და მზგავსება აქვს. ჩვენ ვამბობთ პოემაზე „რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ“, რომლის ზოგიერთი ნაწყვეტი „საქართველოს მოამბეში“

და „ჩონგურში“ იყო დაბეჭდილი, და ოობე-
ლიც სრულად „კრებულში“ მალე დაიბეჭდე-
ბა. ამ ორ თხზულებას თითქმის ერთი და
იგივე აზრი ია გარემოებები აქვთ, ისე რომ
ერთი მეორეზე გამოჭრილი ჰელინია კაცს. მაგ-
რამ „რამდენიმე სურათში“ ნაკლები სენტიმენ-
ტალობაა და მოქმედი პირების ხასიათის გა-
მოხატვას შიგ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე
აქვს, ვინემ „გლახას ნამბობის“ ამავე მხარეებს.
როცა ეს პოემა „კრებულში“ დაიბეჭდება,
მკითხველი იმას სრულად გაიცნობს, და, იმე-
დი გვაქვს, დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაშიც,
როგორც „გლახის ნამბობში“ ჩვენი ნიჭიერი
პოეტი, ჭერ კიდევ ფრთა-ვაუშლელი და თა-
ვისი ნიჭისა და გზის თითქმის პირეელათ
მშინჯველი, გამოდის მაინც შესანიშნავ მწერ-
ლათ და გრძნობით საესე პოეტიათ, რომელ-
საც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში
ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას
დაუჩაგრავს ან ობლათ დაუტოვებია, და მა-
ლალი ლტოლვილება აქცს ყველაფრისადმი,

რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აძელნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს. ყველა ამ გრძნობებს ისეთი ჩანებულია, გასავები, დასამახსოვრებელი ენით გამოთქვამს, ამ ახალგაზღურ თხზულებებშიაც რომ მისი ნათქვამი მკითხველს საზოგადოების გრძნობამდის გზას გაიკვალავს და თავის ბეჭედს დასტოკებს; ესე იგი პოეტის გრძნობა გაფრცელდება, სარგებლობას მოიტანს, საზოგადოებას და ხალხს, ცალკე ჰირს და მამულს სამსახურს გაუწევს, ასარგებლებს, არგებს და აამაღლებს. და ნებულები იმ მწერალს, რომლის შრომას ამნირი ხასიათი აქვს: იმას ბევრი წვრილმანი ნაკლულევანება შეენდობა, თუნდ იმისთანაც, რომ მელიც „გლახის ნაამბობის“ საზოგადო ხასიათს და ხელოვნობის სისუსტეს შეადგენს.

— — — — —

ჩვენ გავაცანით მკითხველს ჩვენი შეხედულობა ილ. ჭავჭავაძის ყმაწვილურ ცდებზე.

მის ნაშდევილ და გავლენიან შრომას კი, მის „კაცია-ადამიანს,“ „სცენებს“ და სხვ. ჩეენ როდესმე სხმის დაუბრუნდებით, მათი დაწვრილებით გასაშინჯეველათ. მარტო მაშინ მკითხველს ნაჩეენები და გამოხატული ექნება ჭავჭავაძის ნაშდევილი ლირსება და მნიშვნელობა, მისი ძალა და ხასიათი და მის ნაწარმოების გავლენა ჩეენი მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაზე და მომავალ ბედზე. ეხლანდელი ჩეენი საუბარი კი მასზე მარტო მეორე, უწინდელ, ახალგაზღა ჭავჭავაძეს შეეხება, რომელსაც „კაცია; ადამიანი“ რომ არ დაწერა, „გლოხის ნამბობი“ ჩინებულ თხზულებათ ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩეენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია, ადამიანის“ დაწერმა დაპუიწყა:

ამ საგანზე ჩეენ აქვე უნდა მოგვესპო ლაპტოკი, მაგრამ არ შეგვიძლია ამ უწინდელი ილ. ჭავჭავაძეს მოუცილებელ უიშისოთ. რომ

ერთი შენიშვნა კიდევ არ გამოვთქვათ. როგორიც განსხვავებაა მის „გლოხის ნამბობს“ და „კაცია, ადამიანს“ შეუა, სწორეთ იმნაირათ განისხვავება მისი პირველ-დაწყებითი ლექსები ეხლანდელებიდგან. უწინდელ მის ლექსებში სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩამდა. იმათში ჭავჭავაძის პირვენული თვისება, მისი საკუთარი ორიგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უბირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არა იყო რა. ეხლანდელ მის ლექსებში კი *), საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე. იმათში სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, და თან ნამდევილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაშათიანი გამოთქმა. ეტყობა, რომ იღ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალ-

*) „კრებულში“ ბევრი ისეთი ლექსია ტაბეჭდილი იღ. ჭავჭავაძისა, რომელიც უწინდელ მის მწერლობას უსთანეს, უწინაა დაწერილი. და არა ეხლოა.

სის პოეზიისთვის ყური უთხოვებია, მის ხა-
სიათს გაცნობია, მისი სულით აღვხილა, ჩვენი
ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და
გრძნობის გამოხატულება კარგა საფუძვლია-
ნათ დაუნახავს და შეუსწავლია. ეს მეტის მე-
ტათ საქები და სასარგებლო საქმეა, ერთი
მით, რომ ხელოცნურ მწერლობას ამით ია-
რალი უკეთესდება და უძლიერდება და მე-
ორე მით, რომ მისი გავლენა და მნიშ-
ვნელობაც ძლიერდება. ჩვენ მწერლობას
ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასია-
თი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გა-
ვიცნობთ ხალხის გონებას და მოაზრებას, რო-
ცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას გავეჩვევით
და იმნაირ წერაში გაეიწაფებით, რომელსაც
პირდაპირ ხალხის გრძნობამდი და გონებამდი
მიწევა შეეძლოს. მარტო ამით მოვიპოვებთ
ჩვენ ხალხის გულს, მარტო ამით შეუძენთ
მწერლობას ძალასა და გავლენას, და მარტო
ამით შევაძლებინებთ იმას ხალხის სასარგებ-
ლოთ გამოსადევ სამსახურს და გავლენიან
შრომას.

ხელის-მოწერა „პრეზულზე“

1873 წლის

გაუგზავნელად. გაგზავნით.

ერთი წლით —	5	მ.ნ.	6	"
ნახევარი წლით —	2.	50.	3	"
თითო წიგნი —	"	50	"	60.

„დროება“ და „კრებული“ ერთათ ეღირება; ერთი წლით 9 მანეთი და ნახევარი წლით 5 მანეთი.

ხელის-მოწერა მიმღება.

თ ფილის ში: „კრებულის“ ან „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე სოლომონ მირიმანოვის სახლებში. აგრძოვე იყანოვის. ბიბლიოთეკაში.

ჭუთაისა: გ. კალანდარიშვილთან, სა-
სულიერო სასწავლებელში, და ს. მესხესას,
სილაზე.

„კრებულის“ რედაქცია.